

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

მარიანა თავაძე

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის
სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი – თევდორე ნინიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის
პროფესორი

თბილისი, საქართველო

2020

სარჩევი

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი -----	5
შესავალი -----	6
თავი 1	
იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ადგილი კერძო სამართლის	
ობიექტების სისტემაში -----	16
1.1. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია, როგორც კერძო	
სამართლებრივი დაცვის ობიექტი -----	16
1.2. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ცნება -----	32
1.2.1. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ცნება სამართლის	
მეცნიერებაში -----	32
1.2.2. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ცნება სასამართლო	
პრაქტიკაში -----	41
1.3. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია და გუდვილი -----	46
1.4. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის გამოჯვანა პატივის,	
ღირსებისა და სხვა არაქონებრივი სიკეთეებისაგან -----	51
1.5. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის უფლების შინაარსი	
-----	67
თავი 2	
იურიდიული პირის უფლების შინაარსი საქმიანი რეპუტაციის	
დაცვაზე -----	78
2.1. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის	
სამართლებრივი საფუძვლები -----	78
2.2. საქართველოს კონსტიტუცია იურიდიული პირის უფლებების	
შესახებ და იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის	
უფლება -----	84
2.3. თეორიები იურიდიული პირის არსის შესახებ და იურიდიული	
პირის საქმიანი რეპუტაცია -----	91
თავი 3	
იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამოქალაქო-	
სამართლებრივი საშუალებები და პირობები -----	98

3.1. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის საშუალებების ზოგადი ცნების შესახებ_ _ _	98
3.2. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის პირობები _ _ _ _ _	101
3.3. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების უარყოფა_ _ _ _ _	105
3.3.1. გავრცელებული ცნობების უარყოფა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით_ _ _ _ _	107
3.3.2. ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი_ _ _ _ _	108
3.4. საპასუხო ცნობების გამოქვეყნება_ _ _ _ _	110
3.5. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება_ _ _ _ _	111
3.5.1. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 993-ე მუხლის საფუძველზე_ _ _ _ _	117
3.6. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვისას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება_ _ _ _ _	121
3.7. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვა და გამოხატვის თავისუფლება_ _ _ _ _	144
3.7.1. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონთან კავშირში_ _ _ _ _	168
3.8. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვასთან კავშირში _ _	175
3.9. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის საჯაროსამართლებრივი საშუალებები_ _ _ _ _	189
3.9.1. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვა და არაკეთილსინდისიერი რეკლამა_ _ _ _ _	191
3.9.2. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვა და არაკეთილსინდისიერი კონკურენცია_ _ _ _ _	194

თავი 4

**იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამოქალაქო
საპროცესო საშუალებები**

200	200
4.1. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა	200
4.2. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ სარჩელის თავისებურებანი	202
4.3. მტკიცების ტვირთი იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვისას	209
დასკვნა	214
ბიბლიოგრაფია	220

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი

ა.შ. — ასე შემდეგ

ავტ. —ავტორი

გვ. — გვერდი

გამომც.— გამომცემლობა

ე.წ. — ეგრეთ წოდებული

ისმო — ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია

იხ. — იხილეთ

თბ. — თბილისი

მაგ. — მაგალითად

მქკ — მაუწყებელთა ქცევის კოდექსი

მუხ. — მუხლი

რედ. — რედაქტორი

რფსკ — რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი

სსკ — საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სსსკ — საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

სუსგ — საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება
(გადაწყვეტილება)

სსსგ — საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

ადმკ — ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

შეად. — შეადარეთ

ჟურნ. — ჟურნალი

Дис. — Диссертация — დისერტაცია

Автореф. — Автореферат — ავტორეფერატი

М. — Москва — მოსკოვი

г. — Год — წელი

с. — Страница — გვერდი

Т. —Том — ტომი

Журн. — Журнал

ЕCHR — ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (აბრევიატურა)

WIPO — World Intellectual Property Organizashion — ინტელექტუალური
საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია

შესავალი

სამართალი ადამიანის ცხოვრებას კომფორტულს, სრულყოფილს და უსაფრთხოს ხდის. ზნეობის ნორმების გვერდით სათანადო წესით შექმნილი სამართლის ნორმები საზოგადოებრივი ცხოვრების ტრადიციული რეგულატორია და კეთილდღეობას, სამართლიანობასა და წესრიგის დამკვიდრებას უზრუნველყოფს. უფლებათა და ამ უფლებათა საპირწონედ მოვალეობების არსებობა პიროვნების ფიზიკური და სულიერი განვითარების გარანტიაა. უხსოვარი დროიდან ადამიანს აქვს საკუთრების, მემკვიდრეობის, პირადი უფლებები.

სამართლის გვიანი პერიოდის ქმნილებაა იურიდიული პირის „დაბადება“, რომელიც თავისი ხელოვნური, აბსტრაქტული ბუნების მიუხედავად ფიზიკური პირის ტოლფასი (თანასწორი), სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე დამოუკიდებელი სუბიექტი და ფიზიკურ პირთა შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება გახდა. თანამედროვე ცხოვრების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ინდივიდუუმებს ხშირად აღარ შესწევთ უნარი განვითარდნენ როგორც ცალკეული ერთეულები. იურიდიული პირი წარმოადგენს ორგანიზაციულ ფორმას, რომელიც ამგვარი გაერთიანების საშუალებით იძლევა უფრო ეფექტურად საქმიანობის საშუალებას.¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში სსკ) განსაზღვრავს კერძო სამართლის სუბიექტის დეფინიციას, რომლის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი.²

სამართლებრივი ურთიერთობების განვითარების კვალდაკვალ ისეთი არამატერიალური სიკეთეები, როგორცაა პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, სახელი და მათი მსგავსი სხვა არამატერიალური და არაქონებრივი სიკეთეები სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის ობიექტებად ჩამოყალიბდა.³

ძველ კანონმდებლობასთან შედარებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა გააფართოვა როგორც პირად არაქონებრივ უფლებათა კატალოგი, ისე ამ უფლებათა სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის ფორმები, რომელსაც ძველი კანონმდებლობაც აღიარებდა. თუ ძველი კანონმდებლობა, ცალკე გამოყოფდა და უზრუნველყოფდა პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა, ერთი მხრივ, გააფართოვა პატივისა და ღირსების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები და, მეორე მხრივ, განსაზღვრული ადგილი დაუთმო ისეთი არაქონებრივი

¹Herbert L., Persönlichkeitsschutz juristischer Personen, Archiv für die civilistische Praxis 170. Bd., H. 4 (1970), 266-294, Published by: Mohr Siebeck GmbH&Co, Münsteri. Westf. 274.2. <http://www.jstor.org/discover/10.2307/40994518?uid=3738048&uid=2129&uid=2&uid=70&uid=4&sid=21103284645633>.

² სსკ-ის 8.1. მუხლი.

³ ჭანტურია ლ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 40.

სიკეთეების დაცვას, როგორცაა პირადი ცხოვრების საიდუმლო, პირადი ხელშეუხებლობა და საქმიანი რეპუტაცია.⁴

საერთო სამართლის ქვეყნებში სამოქალაქო სამართლის არამატერიალური ობიექტებისა და განსაკუთრებული უფლებების შესწავლა და სამართლებრივი რეგულირება გაცილებით ადრე მე-19 საუკუნეში დაიწყო, ხოლო ყოფილი საბჭოთა ქვეყნების სივრცეში მხოლოდ, მე-20 საუკუნის დასაწყისში. ამიტომ, საერთო სამართლის ქვეყნების დოქტრინა დასაბუთებული და განმტკიცებულია არა მარტო თეორიული თვალსაზრისით, არამედ საუკუნოვანი სასამართლო პრაქტიკით.

საქართველოს უპირველესი კანონის-კონსტიტუციის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ თავში აღინიშნა, რომ მითითებული უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით ვრცელდება, აგრეთვე იურიდიულ პირებზე.⁵ კონსტიტუციური ნორმის რეალიზაციის შედეგია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რომელიც პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას უზრუნველყოფს. საკანონმდებლო დათქმებისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით იურიდიულ პირს, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, ფიზიკურ პირთან იურიდიული თანასწორობის მიუხედავად, არ გააჩნია ამ უკანასკნელის ყველა პირადი არაქონებრივი უფლება.

ზოგადი პირადი არაქონებრივი უფლებები უფლებათა ის ნაწილია, რომელიც დიდწილად განაპირობებს სამართლის სუბიექტთა სოციალურ სტატუსს და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სიმყარის, საზოგადოებრივი სიმშვიდის გარანტიად გვევლინება. პირად არაქონებრივ (პიროვნულ უფლებათა) კატალოგი ბევრ უფლებას მოიცავს, მათ შორის კანონმდებელმა შეარჩია ყველაზე მნიშვნელოვანი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში მოათავსა. პირად არაქონებრივ უფლებათა შორის, კონსტიტუციით აღიარებულ ღირსებასა და პატივთან ერთად, კერძოსამართლებრივი დაცვის ობიექტია პირის საქმიანი რეპუტაცია. საქმიანი რეპუტაცია აქვს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს. თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვაში, გამწვავებული კონკურენციის პირობებში, სულ უფრო მეტად ხდება აუცილებელი იურიდიული პირის, როგორც სასაქონლო ნიშნების, ისე საქმიანი რეპუტაციის დაცვის საშუალებების სრულყოფა.

საქმიანი რეპუტაცია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სიკეთე, დიდი ხნის წინ გაჩნდა. მეცნიერთა მოსაზრებით იგი ძველ რომში, ცივილიზებული ვაჭრობის აღორძინებასთან ერთად წარმოიშვა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი. იურიდიულ კატეგორიად კი გაცილებით გვიან ჩამოყალიბდა.⁶ მეწარმეობის განვითარების კვალდაკვალ

⁴ ნინიძე თ., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 1999, 60.

⁵ საქართველოს კონსტიტუცია (მიღების თარიღი 24.08.1995), მუხლი 45, www.matsne.gov.ge [03.04.2019].

⁶ Покровский И.А., История римского права. М., 2004, მითითებულია: Тимерханов А.А., Деловая репутация юридического лица, М., 2012, 16.

დადებითი სამეწარმეო რეპუტაციით, მეწარმემ ბაზარზე კონკურენტული უპირატესობები მიიღო, რაც დამატებითი შემოსავლის წყარო გახდა, შედეგად, საქმიანი რეპუტაცია კანონით დაცულ ობიექტად იქცა.⁷

განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, დღეისათვის საქმიანი რეპუტაცია იურიდიული პირის დადებითი ან უარყოფითი მახასიათებელი კატეგორიაა კონტრაგენტებთან, მომხმარებლებთან და სხვა სუბიექტებთან ურთიერთობაში.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ისტორიული ბედუკუღმართობის გამო მე-18 საუკუნიდან რუსეთთან, შემდეგ კი საბჭოთა კავშირთან ერთიან პოლიტიკურ რეალობაში არსებობდა, სამართლებრივი განვითარებაც ერთიან სივრცეში მიმდინარეობდა. შესაბამისად, რუსეთის სამართლის მიმოხილვა ჩვენი ნაშრომის მიზნებისთვისაც ინფორმატიულია სამართლებრივი მემკვიდრეობის თვალსაზრისით.

შუა საუკუნეებში ვაჭრობისა და სავაჭრო სამართლის განვითარებამ განაპირობა ვაჭრის კეთილი (კარგი) სახელის («доброе имя»), (მოგვიანებით საქმიანი რეპუტაციის) დაცვის საჭიროება.⁸ ვაჭრების-სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი მონაწილეების საქმიანობა მათი წესიერებით, სამართლიანობითა და გასაყიდი საქონლის ხარისხით ფასდებოდა.⁹

კარგი რეპუტაციის ვაჭარს აძლევდნენ სესხს, მასთან აფორმებდნენ მსხვილ გარიგებებს. კეთილმა სახელმა მალე შეიძინა სამართლებრივი მნიშვნელობა. იურიდიულ დოქტრინაში ტერმინი რეპუტაცია სწორედ ვაჭრებთან მიმართებით გამოიყენებოდა.¹⁰ მოგვიანებით, მრეწველობის, ეკონომიკის, მეწარმეობის, საბანკო სექტორის განვითარებასთან ერთად საქმიანი რეპუტაცია კონტრაგენტის კეთილსინდისიერებისა და საიმედოობის გარანტი გახდა.

სავაჭრო სახელი და საქმიანი რეპუტაცია რუსულ ცივილისტიკაში მე-19 საუკუნის ბოლოს, პირადი უფლებების შესახებ მოძღვრების განვითარებასთან ერთად, დამკვიდრდა. ცნობილი ცივილისტის პოკროვსკის მოსაზრებით, ფიზიკური პირის პატივი და სახელის უფლება და სავაჭრო დაწესებულების საქმიანი რეპუტაცია განსხვავებული ბუნებისაა. სწორედ პოკროვსკის იდეა იყო რუსეთში საქმიანი რეპუტაციის სამოქალაქო უფლებისა და მისი დაცვის საჭიროების აღიარება.¹¹

საქმიანი რეპუტაცია თანამედროვე მნიშვნელობით ისტორიულად კრედიტად იწოდებოდა.¹² „კრედიტი“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და

⁷ Братусь С.Н., Курс советского гражданского права. М., 1963, 37-38.

⁸ Покровский И.А., Основные проблемы гражданского права. СПб., 1917, 102.

⁹ Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 22.

¹⁰ Шершеневич Г.Ф., Курс торгового права. М., 2003, Т. 1. 18.

¹¹ Покровский И.А., Основные проблемы гражданского права. М., 1998, 123.

¹² Даль В.И., Толковый словарь живого великорусского языка. М., 1998, Т. 2. 669.

ნიშნავს ნდობას.¹³ კომერციალისტი ციტოვიჩის აზრით, იურიდიული პირის კრედიტი განსაკუთრებულია იმ თვალსაზრისით, რომ ქონებრივი შინაარსისაა და განსხვავდება ფიზიკური პირის კრედიტისაგან. ფიზიკური პირის კრედიტში აისახება მისი ზნეობრივი თვისებები, რომელიც საქმიან ურთიერთობებში მეწარმეზე გადადის, ხოლო პირის რეპუტაცია შემდეგში სამეწარმეო საქმიანობის შედეგად საწარმოს რეპუტაცია ხდება. რუსეთის იმპერიაში ამ მეცნიერის შრომებში გაჩნდა მოსაზრება საწარმოს მიერ საქმიანი რეპუტაციის (კრედიტის) მოგების მისაღებად გამოყენების შესაძლებლობაზე.¹⁴

დიფამაციის ცნება ჯერ კიდევ რუსეთის რევოლუციამდელ იურისპრუდენციაში გაჩნდა დასავლეთ ევროპული მართლწესრიგის გავლენით. ტერმინი დიფამაცია ლათინური წარმოშობისაა „diffamatio“, („fama“ – რეპუტაცია). ამ სიტყვისგან ჩამოყალიბდა ინგლისური სიტყვა „defame“, რაც უგულვებელყოფას, იგნორირებას ნიშნავს. დიფამაცია დამკვიდრდა სისხლის სამართალში, როგორც განზრახი ქმედება, რომელიც პრესაში სახელის გამტეხი ცნობების გავრცელებაში გამოიხატებოდა. დიფამაციისგან სისხლის სამართლის კანონი იცავდა როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს, რაც პრაქტიკულად პირველი იურიდიული ნორმა იყო, რომელიც არსებითად იცავდა იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციას. აღსანიშნავია, რომ ცნობილი რუსი ცივილისტი შერშენევიჩი უარყოფდა რა ფიზიკურ პირთათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას უზნეობის მოტივით, მიიჩნევდა, რომ იურიდიული პირებისათვის ზიანის ფულადი ანაზღაურება დასაშვებია, თუ იგი პირის მატერიალურ ინტერესებზე, მათ შორის კრედიტზე (საქმიან რეპუტაციაზე) აისახება.¹⁵

საბჭოთა პერიოდში, სამეწარმეო ურთიერთობების უგულვებელყოფის გამო იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია არ წარმოადგენდა სამართლის მეცნიერების კვლევის საგანს. თუმცა არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული ზოგიერთი თეორიული პრობლემა დამუშავებული იყო საბჭოთა ცივილისტების აგარკოვის, ბელიაკოვას, მალეინას, ფლეიშიცის, იაროშენკოს და სხვათა მიერ, თუმცა კვლევებში არ იხსენიებოდა კრედიტი და დიფამაცია, როგორც სოციალისტური საზოგადოებისთვის მავნე ბურჟუაზიული მოვლენები.

ფიზიკურ პირთა საქმიანი რეპუტაციის მსგავსად იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის ნორმები „სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში“ გაჩნდა. თუმცა ამ ნორმათა რეალიზება არ მომხდარა. საწარმოს საქმიან რეპუტაციას დირიჟორისტული ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური შინაარსი არ გააჩნდა, შესაბამისად არ

¹³ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“. თბ., 2012, 13.

¹⁴ Цитович П.П., Туды по торговому и вексельному праву: В 2 т. Т. 1: Учебник торгового права. К вопросу о слиянии торгового права с гражданским. М., 2005, §7.

¹⁵ Шершеневич Г.Ф., Учебник русского гражданского права (по изданию 1907 г.). М., 1995, 402.

არსებობდა ინტერესი თავად სამართლის სუბიექტთა მხრიდან.¹⁶ სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზებული ბაზრის პირობებში არაკონკურენტულ გარემოში საქმიანი რეპუტაცია არ გამოიყენებოდა არც კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად და არც მოგების მისაღებად. იურიდიული პირები კონტრაგენტებს ირჩევდნენ, საქმიან ურთიერთობებს ამყარებდნენ არა მათი წინადადებების, საქმიანი პოტენციალის, საქმიანი რეპუტაციის, საიმედოობისა და ნდობის საფუძველზე, არამედ, სახელმწიფოს დირექტივებისა და გეგმების მიხედვით.¹⁷

საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან პოლიტიკური ცვლილებების კვალდაკვალ მნიშვნელოვნად შეიცვალა ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობები. ამ ვითარებაში იურიდიული პირის საქმიანმა რეპუტაციამ არსებითი მნიშვნელობა და ფუნქცია შეიძინა. კონკურენციის პირობებში სხვადასხვა საწარმოს მიერ ერთიდაიმავე საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების მიწოდებისა და რეალიზაციისას სწორედ საქმიანი რეპუტაცია გახდა საყურადღებო ფაქტორი საქმიან ურთიერთობაში საიმედო არჩევანის გასაკეთებლად.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია აბსოლუტურად განსხვავებული საბაზრო-ეკონომიკური შინაარსის მქონე სამართლებრივი კატეგორიაა, რომელიც დამატებით მეცნიერულ კვლევას საჭიროებს. ფაქტია, რომ კონკურენტებთან საბრძოლველად, მართალია მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ ყველაზე ეფექტური, იარაღი იურიდიული პირის (საწარმოს) საქმიანი რეპუტაციის დისკრედიტაციაა. ამასთან საქმიანი რეპუტაციის ხელყოფა არ ამოიწურება მცდარი, შემლახავი ინფორმაციის გავრცელებით, რის გამოც იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის სრულყოფილი სამართლებრივი დაცვის საკითხი უფრო აქტუალური გახდა.

კერძო სამართალში საკვლევი თემის მნიშვნელობას, უპირველეს ყოვლისა, მისი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი განაპირობებს. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და მაღალი კონკურენციის პირობებში საქმიანი რეპუტაციის დაცვა, წარმატებული და სტაბილური სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი ფაქტორია. იურიდიული პირის ურთიერთობა მომხმარებელთან, პარტნიორებთან, არსებულ თუ პოტენციურ კონტრაგენტებთან დამოკიდებულია მისი სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე, რაც დადებითი საქმიანი რეპუტაციის გარეშე წარმოდგენილია.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში არაქონებრივი უფლებების საკითხი ზოგადად დამუშავებულია. მხედველობაში გვაქვს პირად არაქონებრივ უფლებებზე თ. ნინიძის, ს. ჯორბენაძის, დ. კერესელიძის, თ. მონიავას სტატიები, ნაშრომები, ავტორთა ჯგუფის მიერ შესრულებული საქართველოს კონსტიტუციის უახლესი კომენტარები, შ. ჩიკვაშვილის, ნ. ბარაბაძისა და ლ. დოღონაძის ნაშრომები მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტზე, მედია სამართლის სახელმძღვანელოები, დ. ძამუკაშვილის ნაშრომები ინტელექტუალური

¹⁶ Грибанов В.П., Осуществление и защита гражданских прав, М., 2001, 23.

¹⁷ Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 23.

სამართლის სფეროში, გ. გუგეშაშვილის ნაშრომი გუდვილის შესახებ, რომელნიც იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის თემას პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეხება, მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის პრობლემა ქართულ სამართალში უშუალოდ დამუშავებული არ არის.

წინამდებარე ნაშრომი იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის კომპლექსური შესწავლა-დამუშავების, არსებული პრობლემების წარმოჩენისა და გადაწყვეტის პირველი ცდაა.

თემის აქტუალობას განაპირობებს სასამართლო პრაქტიკის გამოწვევებიც. უკვე აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა პერიოდში პირადი უფლებებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის საკითხი არ იყო მნიშვნელოვანი იდეოლოგიური მოსაზრებებით, რომელიც დიდხანს არ აღიარებდა ზოგადი ხასიათის პირად უფლებებს და დირიჟისტული ეკონომიკის პირობებში არ არსებობდა მითითებული სიკეთის დაცვის ობიექტური საჭიროება. სახელმწიფო მონოპოლიის პირობებში, როცა თავისუფალი ვაჭრობა და მეწარმეობა აკრძალული იყო, ბუნებრივია, ზედმეტი იყო მეწარმე ან სხვა სუბიექტთა საქმიან რეპუტაციაზე ზრუნვა და მის დაცვაზე ფიქრი.

დირიჟისტული ეკონომიკის ეპოქის დასრულების შემდეგ იურიდიულ მეცნიერებაში ახალი გამოწვევები გაჩნდა, რაც სხვა პრობლემებთან ერთად პირადი უფლებებისა და არამატერიალური სიკეთეების კვლევასაც შეეხო. აღსანიშნავია, რომ განსხვავებულ პოლიტიკურ და სამართლებრივ რეალობაში სამართლის მეცნიერებაში საქმიანი რეპუტაციის დაცვის საკითხი განიხილება არა განცალკევებულად, არამედ სხვა პირად არაქონებრივ სიკეთეებთან, კერძოდ, პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებასა და პირად ხელშეუხებლობასთან ერთად. ვინაიდან, კანონი ამ სიკეთეთა დაცვის ერთნაირ წესს ადგენს, საინტერესოა მათი სამართლებრივი ბუნების განხილვა და გამიჯვნა საქმიანი რეპუტაციისაგან.

საქმიანი რეპუტაციის დაცვის მომწესრიგებელი ნორმები საქართველოს კანონმდებლობაში არც თუ ცოტაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია სახელდებით, საქმიან რეპუტაციას არ მოიხსენიებს, იგი სხვა ნორმათა დანაწესების გათვალისწინებით კონსტიტუციით დაცულ სიკეთედ უნდა მივიჩნიოთ, რეპუტაცია დაცულია საერთაშორისო კანონმდებლობით, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18, 27.5.-ე მუხლებით, რეკლამის, კონკურენციის, სასაქონლო ნიშნებისა და სხვა კანონებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, საგადასახადო და სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

მიუხედავად აღნიშნულისა, საქმიანი რეპუტაციის ცნება ნორმატიულად მოცემული არ არის (გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის 11³.გ. მუხლი).

წინამდებარე ნაშრომმა უნდა დააზუსტოს როგორ ესმის დოქტრინას, ქართულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას საქმიანი

რეპუტაციის ცნება. იურიდიული პირის უფლება საქმიან რეპუტაციაზე და რა მიმართებაშია ამ უფლების შინაარსი იურიდიულ პირთან.

შესაფასებელია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის, როგორც სამართლის ობიექტის სამართლებრივი ბუნება და აღიარებული შეხედულება, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია მიეკუთვნება არამატერიალური არაქონებრივი სიკეთეების კატეგორიას.

საქმიანი რეპუტაციის, როგორც კერძო სამართლის ობიექტის, სამართლებრივი ბუნების შესწავლასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხი საქმიანი რეპუტაციისა და გუდვილის ურთიერთმიმართებაა. მართალია, მეცნიერება და სასამართლო პრაქტიკა მათ სინონიმებად არ განიხილავს, მაგრამ პრაქტიკულად, მითითებული სიკეთეები ნაწილობრივ მაინც „ფარავენ“ ერთმანეთს. საქმიანი რეპუტაცია განიხილება გუდვილის შემადგენლობაში. გუდვილი, რომელიც საერთო სამართლის ოჯახის „პირშოა“, გასხვისებადი და ფულადი შეფასების უნარის მქონე სიკეთეა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება მოსაზრება საქმიანი რეპუტაციის, როგორც გუდვილის წარმომქმნელი და შემადგენელი ნაწილის, მხოლოდ არაქონებრივი შინაარსის მქონე სიკეთედ მიჩნევის დასაბუთებულობის თაობაზე.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე აუცილებელია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო ფორმებისა და დაცვის პირობების ანალიზი.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სრულყოფის თვალსაზრისით შესწავლის ღირსია სამრეწველო საკუთრების ობიექტების (სასაქონლო ნიშანი, გეოგრაფიული აღნიშვნები, საფირმო სახელწოდება, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისგან დაცვა) დაცვის სამართლებრივი ასპექტები, ვინაიდან, მათი, როგორც იურიდიული პირის ინდივიდუალიზაციის საშუალებების ხელყოფა, უშუალოდ განაპირობებს იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვას.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვის სამართალი არაკეთილსინდისიერ კონკურენტულ ქმედებებში მოიაზრებს უპირატესობის მოპოვებას სხვათა მიღწევების ხარჯზე (FREE RIDING), რაც სხვა ანტიკონკურენტულ ქმედებებთან ერთად მოიცავს სხვისი რეპუტაციის გამოყენებას.¹⁸

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი რეგულაციები ფიზიკური და იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დიფერენცირებას არ ახდენს და დაცვის ერთნაირ წესს ადგენს, სასამართლო პრაქტიკა იურიდიული პირის მიმართ გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს; კერძოდ, დაუშვებლად თვლის იურიდიული პირისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებას. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვისას

¹⁸ ინტელექტუალური საკუთრება, წიგნი პირველი, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“, თბ., 2001, 457.

უფლების სრულყოფილი აღდგენა იურიდიული პირისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების გარეშე შეუძლებელია. ნაშრომის საკვანძო თემა სწორედ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ხელყოფისას არაქონებრივი (რეპუტაციური) ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის შესწავლა-დასაბუთებაა.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სისტემის სრულყოფილად წარმოსაჩენად ინტერესმოკლებული არაა იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვა საჯარო ადმინისტრაციულსამართლებრივი საშუალებებით, მათ შორის არაკეთილსინდისიერი რეკლამისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევებში. აღნიშნული პრობლემა კვლევაში განსაზღვრულ ადგილს იჭერს.

მიმდინარე, ტექნოლოგიების განვითარების საუკუნეში განსაკუთრებით ხშირია საქმიანი რეპუტაციის შელახვა კომუნიკაციის არა მარტო ბეჭდვითი, არამედ ელექტრონული საშუალებით ცილისმწამებლური ცნობების გავრცელებით, რომელიც საქმიანი რეპუტაციის ხელყოფის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ცილისწამებისას (მათ შორის მედიის საშუალებით) ხშირად წარმოიშვება კოლიზია საქმიანი რეპუტაციის დაცვასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის, სადაც წინააღმდეგობა ორ დაპირისპირებულ უფლებას შორის სამართალმა უნდა გადაწყვიტოს. კვლევაში მნიშვნელოვანი ყურადღება უცხოურ და ეროვნულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში მითითებულ უფლებათა შეზღუდვის სტანდარტებსა და მათ შორის სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფის ანალიზს ეთმობა.

კვლევის საგანია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები, არსებული სამეცნიერო კვლევების მიღწევები, სასამართლო პრაქტიკის შედარებითი ანალიზი, როგორც ქართული, ასევე უცხოური მასალების საფუძველზე.

კვლევის მიზანია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის სამართლებრივი ბუნების შესწავლა და სამოქალაქო სამართლის ობიექტთა სისტემაში ადგილის მიხედვით საქმიანი რეპუტაციის ცნების განსაზღვრა, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის საკითხის კომპლექსური თეორიული კვლევა, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის კრიტერიუმების განსაზღვრა და დასაბუთება დოქტრინის, ქართული და უცხოური კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. შესაბამისად, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება სამართლებრივი დოქტრინისა და კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით.

კვლევის თეორიული საფუძველია როგორც ქართული, ასევე უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა, ნორმატიული აქტები და სასამართლო პრაქტიკის მასალები.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული, სისტემური, ლოგიკური ანალიზისა და სინთეზის, ანალოგიის მეთოდები.

ნაშრომი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს ქართული სამართლის მეცნიერებაში იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციისა და მისი დაცვის შესახებ არსებული კანონმდებლობის, თეორიული ცოდნისა და სასამართლო პრაქტიკის პირველ სპეციალურ კვლევას, რომელიც წარმოაჩენს იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვისას სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ადა არა მარტო სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის პრობლემებს, ასევე ახალი რეკომენდაციებისა და მომავალი კვლევებისათვის საფუძვლის შექმნის მცდელობას.

ნაშრომის სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება: შესავლის, ოთხი თავის, 28 ქვეთავის, სამართლებრივი დასკვნისა და ლიტერატურის სიისაგან.

ნაშრომის პირველი თავი ეთმობა იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ობიექტის შესწავლას. განხილულია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის, როგორც ობიექტის სამართლებრივი ბუნება, გაანალიზებულია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ცნების საკითხი სამართლის მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში. ცალკე ქვეთავი ეთმობა იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციისა და გუდვილის ურთიერთმიმართებას, მათ მსგავსებასა და განსხვავებას. ნაშრომში განხილულია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის უფლების შინაარსი და მის უკეთ წარმოსაჩენად მოცემულია ისეთი არაქონებრივი სიკეთეების დახასიათება, როგორცაა პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება და პირადი ხელშეუხებლობა.

ნაშრომის მეორე თავში საუბარია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის უფლების დაცვაზე, შესწავლილია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები და უშუალოდ ნაშრომის მიზნებისათვის განხილულია თეორიები იურიდიული პირის არსის შესახებ.

ნაშრომის მესამე თავში შესწავლილია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებები, ბუნებრივია მოცემულია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის პირობების ანალიზი. განხილულია როგორც არაქონებრივი (გავრცელებული ცნობების უარყოფა, ორგანიზაციის მიერ შესწორებული საბუთის გაცემა, საპასუხო ცნობების გამოქვეყნება, სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ ინფორმირება), ისე ქონებრივი ხასიათის საშუალებები (ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება). სამართლის მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში საკითხისადმი დიამეტრალურად განსხვავებული დამოკიდებულების გამო ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იურიდიული პირისათვის არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების პრობლემას.

ამავე თავშია განხილული ორ უმნიშვნელოვანეს უფლებას-საქმიან რეპუტაციასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ღირებულებითი კონფლიქტის ვითარება და გადაწყვეტის გზები. იმის გათვალისწინებით, რომ

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები თავისი ბუნებით „ენათესავება“ საქმიან რეპუტაციას, ამ უკანასკნელის დაცვა პირდაპირპროპორციულადაა დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების, განსაკუთრებით სასაქონლო ნიშნის ხელყოფა-დაცვაზე. სასაქონლო ნიშნის ხელყოფით, ხელყოფილია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია და მისი დაცვა საქმიანი რეპუტაციის დაცვას უზრუნველყოფს.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვა სრულყოფილი ვერ იქნება დაცვის საჯაროსამართლებრივი საშუალებების გამოყენების გარეშე. ყველაზე გავრცელებულ საჯაროსამართლებრივ საშუალებებს არაკეთილსინდისიერი რეკლამისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვის მექანიზმი წარმოადგენს, რაც იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის კერძოსამართლებრივ საშუალებებთან ერთად ნაშრომის ავტორის განხილვის საგანი გახდა.

ნაშრომის მეოთხე თავში მოცემულია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამოქალაქო საპროცესო საშუალებები, კერძოდ, განხილულია ასეთი ტიპის დავებზე ეროვნული სამართალწარმოების სამართლებრივი საფუძვლები და თავისებურებანი.

ნაშრომი სრულდება სამართლებრივი დასკვნით და გამოყენებული ლიტერატურის სიით.

თავი 1

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ადგილი კერძო სამართლის ობიექტების სისტემაში

1.1. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია, როგორც კერძო სამართლის ობიექტი

კვლევის მიზნებისთვის საინტერესოა განვიხილოთ როგორია საქმიან რეპუტაციაზე, როგორც კერძო სამართლის ობიექტზე იურიდიული ზემოქმედების შინაარსი: იგი უფლების ობიექტია თუ სამართლებრივი დაცვის ობიექტი? სხვანაირად რომ ვთქვათ, საქმიანი რეპუტაცია წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების ობიექტს თუ სამოქალაქო სამართლის დაცვის ობიექტს?

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია, როგორც სიკეთე, კერძო სამართლის ობიექტია, მაგრამ კერძო სამართლის ობიექტების რომელ კატეგორიას განეკუთვნება საქმიანი რეპუტაცია? მატერიალურს თუ არამატერიალურს? ქონებრივი თუ არაქონებრივი ღირებულების სიკეთეებს?

დებულება, რომ საქმიანი რეპუტაცია არის პირის საქმიანობის საზოგადოებრივი შეფასება ანუ საზოგადოებრივი აზრი, რომელიც არ არსებობს რაიმე მატერიალური სახით და განეკუთვნება იდეალური მოვლენების კატეგორიას, ეჭვს არ იწვევს იურიდიულ ლიტერატურაში. აზრთა სხვადასხვაობა არსებობს მხოლოდ იმის შესახებ საქმიანი რეპუტაცია არაქონებრივი სიკეთეა თუ ქონებრივი, თუ მას ასეთი ღირებულება საერთოდ არ აქვს.¹⁹

კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი ქონებრივთან ერთად არაქონებრივი, არამატერიალური ღირებულების სიკეთეებიცაა. კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულებების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული.²⁰ „ცნებები „ქონებრივი“–„არაქონებრივი“ სამართალში გამოიყენებოდა ზოგადად სამართლის ნორმებით რეგულირებული ურთიერთობების დიქტომიის გადმოსაცემად. ამასთან, ტერმინი „არაქონებრივი“ არის „ქონებრივის“ საპირისპირო ნეგატიური ცნების ამსახველი ტერმინი, რომელიც მოვლენას ახასიათებს მასში ქონებრივი ელემენტის არარსებობით, თუმცა საკუთრივ შესაბამისი მოვლენის შინაარსს არ ასახავს. ტერმინი „არაქონებრივი“ თავის დროზე შემოღებული იქნა, როგორც „პირადი ქონებრივი უფლებების“ საპირისპირო შინაარსის აღნიშნული ტერმინი“.²¹

¹⁹ Дьяченко Е.М., Деловая репутация юридических лиц, Дис. Краснодар, 2005, 196.

²⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997., მუხლი 7. www.matsne.gov.ge. [05.02.2018].

²¹ ნინიძე თ., სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის სტრუქტურა, კრებული, აკაკი ლაბარტყავა, 80 წელი, თბ, გამომც., „სამართალი“, 2013, 167-169.

სამართალი პირად არაქონებრივ უფლებებს ქონებრივი უფლებებისგან, პირველ რიგში, მათი ბრუნვაუნარიანობის ხასიათიდან გამომდინარე განასხვავებს.²² ზოგადი წესის მიხედვით არამატერიალური სიკეთეების მახასიათებელია ეკონომიკური შინაარსის უქონლობა და ფულადი ერთეულით გამოხატვის შეუძლებლობა, პირთან უწყვეტი კავშირი, რის გამოც მათი გადაცემა და გასხვისება დაუშვებელია.²³

„პირადი უფლებების“ ცნების დენოტატი არის უფლებები, რომელთა ობიექტია არამატერიალური სიკეთეები, რომლებიც ორი სახისაა-სიკეთეები, რომელიც განუყოფელია ადამიანისაგან და არამატერიალური სიკეთეები, რომელთა სუბიექტისაგან ჩამოცილება, ობიექტიზაცია შესაძლებელია. პირველს განეკუთვნება ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი, ღირსება, მეორეს-სახელი, გამოსახულება, პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის შემცველი მასალა და სხვა“.²⁴

„აღნიშნული არამატერიალური სიკეთეების სამართლებრივ გაშუალებას სამოქალაქო სამართალი ახორციელებს ორი ურთიერთგანსხვავებული ფორმით: ადამიანისაგან განუყოფელი სიკეთეები სამოქალაქო-სამართლებრივი წესით დაცულია მხოლოდ მათი ხელყოფის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, მოცემული სიკეთეები წარმოადგენენ სამოქალაქო კანონმდებლობით დაცულ სიკეთეებს. ადამიანის განუყოფელი სიკეთეები არ შეადგენენ არც კერძო უფლებას, არც პირადი ურთიერთობის ობიექტს. არამატერიალური სიკეთეები, რომელთა ადამიანისაგან განცალკევება, ობიექტიზაცია შესაძლებელია, შესაბამისი ურთიერთობების გაშუალებით არა მარტო დაცულია, არამედ რეგულირებულია სამოქალაქო კანონმდებლობით. ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, ისინი უნდა წარმოადგენდნენ კერძო უფლების ობიექტებს. სამოქალაქო კოდექსი უნდა განსაზღვრავდეს ამ უფლებების წარმოშობის, შეცვლის, შეწყვეტის პირობებს და წესს, მათი დარღვევის შემთხვევებისათვის-დაცვის საშუალებებს“.²⁵

„მართალია, არაქონებრივი უფლება ქონებრივის მსგავსად შეიძლება კერძო სამართლის ობიექტს წარმოადგენს, თუმცა ქონებრივისგან განსხვავებით, პირადი არაქონებრივი უფლებების გასხვისება ან სხვა სახის (სახელშეკრულებო სამართლის) ობიექტად ქცევა დაუშვებელია“²⁶ „სწორედ ამაში მდგომარეობს მათი აბსოლუტური ხასიათი. აღნიშნული დაყოფა უფლების ქონებრივი და არამატერიალური ხასიათიდან გამომდინარეობს. კერძოდ, არამატერიალური სიკეთის გასხვისება შესაძლებელია ზოგ

²² ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 107.

²³ Ульянова О.А., Деловая репутация юридического лица в российском гражданском праве: понятие и отличительные черты, Молодой ученый, 2015, №9, 891-896, <https://moluch.ru/archive/89/17830>[19.12.2017].

²⁴ ნინიძე თ., სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის სტრუქტურა, აკაკი ლაბარტყავა, 80 წელი, მამულიშვილი, პედაგოგი, მეცნიერი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2013, 167-169.

²⁵ იქვე, 167-169.

²⁶ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 133.

შემთხვევაში, თუ მას ქონებრივი ხასიათი გააჩნია, რაც არაქონებრივი უფლების შემთხვევაში გამორიცხულია“.²⁷

„პიროვნული უფლებების სამართლის ობიექტად განხილვა დაუშვებელია. მასზე არ შეიძლება არსებობდეს პირის უფლებები. ამ გაგებით „პიროვნული“ უფლებები გაუსხვისებელი და შეუზღუდავია. მათზე შეზღუდვის დაწესება შეზღუდავს ადამიანს თავის უმნიშვნელოვანეს თვისებაში – იყოს ადამიანი. სწორედ ამიტომ პიროვნული უფლებების დაცვა კერძოსამართლებრივად ხორციელდება იმ კუთხით, რომ არ მოხდეს ადამიანის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის, შეზღუდვა და არა როგორც უფლებებისა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტზე“.²⁸

„სსკ-ის მე-7 მუხლში სამოქალაქო სამართლის ობიექტის დეფინიციის განსაზღვრისას კანონმდებელი მიუთითებს „ქონებრივი და არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთის“ შესახებ. შესაბამისად, მე-7 მუხლის გაგებით, უნდა არსებობდეს „არაქონებრივი ღირებულების მატერიალური სიკეთე“ და „არაქონებრივი ღირებულების არამატერიალური სიკეთე“ და ისინი კერძო სამართლის ობიექტად განიხილებოდნენ. ამ დეფინიციაში, ერთი შეხედვით, შეიძლება მოექცეს ადამიანის ღირსებაც – როგორც „არაქონებრივი ღირებულების არამატერიალური სიკეთე“ – რაც წარმოუდგენელია!“²⁹

ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, მართალია, მე-7 მუხლის დეფინიციაში საუბარია „არაქონებრივი ღირებულების სიკეთეზე“, რაშიც შეიძლება არაქონებრივი პირადი უფლებებიც იგულისხმება, მაგრამ „ობიექტად“ მათ მიჩნევას ხელს უშლის მათი ბრუნვაუნარობა, რომელიც ობიექტის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. **პირადი არაქონებრივი უფლებები კი ბრუნვიდან ამოღებულია და მათი მიჩნევა ობიექტად საეჭვოა.** პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, საკუთარი გამოსახულება და მათი მსგავსი არაქონებრივი სიკეთეები წარმოადგენენ სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის ობიექტს, მაგრამ არა სამოქალაქო ბრუნვის ობიექტებს.³⁰

შესაბამისად, მათი კვალიფიკაცია მე-7 და 147-ე მუხლებით არ არის მართებული.³¹

რუსულ დოქტრინაში მყარადაა ჩამოყალიბებული პოზიცია, რომ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია არამატერიალური სიკეთეა, რომლის ნებისმიერი ფორმით გასხვისება და ფულით შეფასება შეუძლებელია.³² სამართლებრივი რეგულირება

²⁷ კერესელიძე დ., დასახელებული ნაშრომი, 133.

²⁸ იქვე, 133.

²⁹ იქვე, 133.

³⁰ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 139.

³¹ იქვე, 139.

³² Гражданское право: Учебник: Под ред. д-ра юрид. наук, проф. О.Н. Садикова, М., 2006, Т. 1. 169.

მოცემულია რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში: რფსკ) 150-ე მუხლში.

დოქტრინაში ასევე დომინირებს პოზიცია, რომ არამატერიალურ სიკეთეებს არა აქვთ ეკონომიკური შინაარსი, უშუალოდ დაკავშირებულნი არიან პიროვნებასთან და ხაზს უსვამენ პიროვნების უნიკალურობას და განუმეორებლობას.³³

აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში არ არის ცალსახა პოზიცია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის მისი სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე არამატერიალურ სიკეთეთათვის მიკუთვნების თაობაზე. ცალკეული მკვლევარები აღიარებენ, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია განსაკუთრებული არამატერიალური სიკეთეა, რომელიც შეიძლება გასხვისდეს და შეფასდეს.³⁴ ზოგიერთი ავტორის აზრით, არამატერიალური სიკეთის კვლევისას კანონი და მკვლევრები არ ითვალისწინებენ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის სპეციფიკურ არსს. სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციას აქვს ქონებრივი შინაარსი და გამოიყენება მოგების მისაღებად. ამ გარემოების გათვალისწინებით შესაძლებელია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ფულადი შეფასება და საწარმოს ბალანსში ასახვა.³⁵

საქმიანი რეპუტაცია აბსოლუტური სამოქალაქო სამართალურთიერთობის ობიექტია, რომლის შინაარსს საქმიან რეპუტაციაზე აბსოლუტური სუბიექტური უფლება და მესამე პირთა ვალდებულებები შეადგენს, რაც უფლების მფლობელისთვის უფლების განხორციელების ხელშეშლის აკრძალვაში გამოიხატება. აბსოლუტური სამართალურთიერთობა საქმიან რეპუტაციასთან მიმართებით ქონებრივი ხასიათისაა, ვინაიდან, რეპუტაციის წარმოშობას, სარგებლობასა და განკარგვას ქონებრივი ხასიათის ფაქტობრივი და იურიდიული მოქმედებები უდევს საფუძვლად.³⁶

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაზიარებულია მოსაზრება, რომ ზოგიერთ არამატერიალურ სიკეთეს აქვს, როგორც არაქონებრივი, ისე ქონებრივი ღირებულება. ლ. ჭანტურია სახელის უფლებას განიხილავს, როგორც ორგვარი ბუნების მქონე უფლებას. ავტორის აზრით, „სახელის უფლების განხილვამ პირად არაქონებრივ უფლებად არ უნდა შეუშალოს ხელი მის აღიარებას არამატერიალურ ქონებრივ უფლებადაც განსაკუთრებით მაშინ, როცა სახელი კომერციულ ურთიერთობაში გამოიყენება“.³⁷ ამ თვალსაზრისს იზიარებს დ. კერესელიძე.³⁸

³³ Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации: В 3 т. Под ред. Т. Е. Абовой и др. М., 2005, 195.

³⁴ Никуличева, Н.Ю., Право юридических лиц на деловую репутацию и ее гражданско-правовая защита: автореф. Дис., Новосибирск, 2004, 10-11.

³⁵ Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 41.

³⁶ Дьяченко Е.М., დასახელებული ნაშრომი, 196.

³⁷ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 168.

კომერციულ ურთიერთობებში არის შემთხვევები, როცა ადამიანის სახელი გადაცემაუნარიანია, ე.ი. იგი შეიძლება გადაეცეს სხვა პირს. „ამ დროს სამოქალაქო სახელი გარდაიქმნება სავაჭრო (კომერციულ) სახელად, საწარმოს ქონების ნაწილად და შეიძლება მისი განხილვა არამატერიალურ ქონებრივ უფლებად“.³⁹

მიგვაჩნია, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია, როგორც არაქონებრივი უფლება (სიკეთე) ასევე ორგვარი სამართლებრივი ბუნებისაა. იგი ზოგჯერ ბრუნვაუნარიანია სახელის მსგავსად, კერძოდ, მისი გასხვისება იურიდიულ პირთან ერთად შესაძლებელია.

სახელის მსგავსად მარტოდენ საქმიანი რეპუტაცია არ შეიძლება დამოუკიდებლად გადაეცეს მესამე პირებს. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ განავითარა წესი, რომლის თანახმად, „სახელის უფლება და სახელის მსგავსი უფლებები არ შეიძლება დამოუკიდებლად გადაეცეს სხვა პირებს სანივთო სამართლებრივი შედეგებით“.⁴⁰

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელისა და სახელის მსგავსი უფლებების (სხვა პირადი არაქონებრივი უფლებების, მათ შორის საქმიანი რეპუტაციის) გადაცემა მისი ქონებრივი შინაარსის გამო შესაძლებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, ქონებრივ ღირებულებაში შეიძლება აისახოს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც შეიძლება დადგეს საქმიანი რეპუტაციის ხელყოფის შედეგად.⁴¹ მითითებას უშუალოდ საქმიანი რეპუტაციის ქონებრივი ღირებულების თაობაზე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება არ შეიცავს.

იურიდიულ ლიტერატურაში, მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნების იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად არაქონებრივი უფლებების არამატერიალურ ხასიათზე მინიშნება არ უნდა გავიგოთ ისე, რომ მათ არ გააჩნიათ ეკონომიკური ღირებულება. საქმიანი რეპუტაცია წარმოადგენს სხვაობას საწარმოს მყიდველობით ღირებულებასა და მისი აქტივისა და ვალდებულების საბალანსო ღირებულებას შორის.⁴²

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, საქმიანი რეპუტაცია მიჩნეულია სამეწარმეო საზოგადოების კაპიტალში შეტანაუნარიან ობიექტად. პროფ. ი. ბურდული მართებულად აღნიშნავს: „ფრენშაიზინგის საგანი შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს შეტანაუნარიან ობიექტად, რადგანაც ამ ხელშეკრულების ძირითადი დანიშნულება სწორედ მატერიალური სარგებლის მიღებაა“.⁴³ აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ

³⁸ კერესელიძე დ., დასახელებული ნაშრომი, 143.

³⁹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 201.

⁴⁰ იქვე, 201.

⁴¹ სუს გადაწყვეტილება, 18 ივლისი 2001, 3კ/376-01.

⁴² Зикрацкий С., Понятие деловой репутации. <http://www.ziz.by/publications/23-p6> [01.02.2018].

⁴³ ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2010, 207-208.

მართალია ფრენშიაზინგის ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებში პირდაპირი წესით საქმიანი რეპუტაცია მოხსენიებული არ არის, მაგრამ სსკ-ის 608-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ ფრენშიაზინგის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს საქმიანი რეპუტაციის გამოყენებასაც. ე.ი. საქმიანი რეპუტაცია შეიძლება იყოს ფრენშიაზინგის ხელშეკრულების საგანიც.⁴⁴ სსკ-ის 932-ე მუხლის მე-2 ნაწილის ანალიზიც ცხადყოფს, რომ ამხანაგობაში შენატანის სახით შეიძლება განხორციელდეს საქმიანი რეპუტაციაც. თუმცა, არც ამაზეა პირდაპირი მითითება ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ – საქმიანი რეპუტაცია გადაცემადი და გასხვისებადია სამეწარმეო სფეროში.⁴⁵ აღიარებული შეხედულების თანახმად, „საწარმო არის პირთა და ქონების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ერთიანობა. საწარმოს მიეკუთვნება ასევე საწარმოსა და მუშა-მოსამსახურეთა საქმიანობაც. გარდა ამისა, მას განეკუთვნება არამატერიალური ფასეულობანი“.⁴⁶ ამასთან, „საწარმო ურთიერთობებში გამოდის როგორც პირთა, ნივთებისა და უფლებების ორგანიზაციული ერთიანობა, რომელიც შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად გასხვისდეს, იჯარით გაიცეს და ა.შ.“⁴⁷ რადგან საწარმო წარმოადგენს ქონებრივ კომპლექსს, საქმიანი რეპუტაციის გასხვისება ხდება საწარმოს, როგორც ქონებრივი კომპლექსის გასხვისებასთან ერთად. საქმიანი რეპუტაციის გადასვლა სხვა პირზე ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რამეთუ საწარმოს შემადგენლობაში შედის კომერციული აღნიშვნა. საქმიანი რეპუტაციის გასხვისება ხორციელდება აგრეთვე სასაქონლო ნიშნის გასხვისებასთან ერთად. ამრიგად, საქმიანი რეპუტაციის გასხვისება ხორციელდება იურიდიული პირის ინდივიდუალიზაციის საშუალებებთან, საქონელთან, სამუშაოსთან, მომსახურებასთან და საწარმოსთან ერთად. ამდენად, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია,

⁴⁴ ფრენშიაზინგის ხელშეკრულების საგნის განმარტებისას პროფ. ზ. ახვლედიანს ძირითადად, აქცენტი გაკეთებული აქვს არამატერიალურ ქონებრივ უფლებებზე. იგი აღნიშნავს: „ფრენშიაზინგის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს არამატერიალური ქონებრივი უფლებები – სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნები, ნიშნუბები, შეფუთვა, საქონლის წარმოების, შექმნის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფცია, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა გასაღების ხელშესაწყობად“. იხ: ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომც. „სამართალი“, თბ., 1998, 124. თუმცა, გათვალისწინებული უნდა იქნეს იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია, რომელიც როგორც არაქონებრივი უფლება, ასევე შეიძლება გახდეს ფრენშიაზინგის ხელშეკრულების საგანი. ამიტომ, ფრენშიაზინგის ხელშეკრულების საგანი ფართოდ უნდა იქნეს განმარტებული. იგი მოიაზრებს როგორც ქონებრივ, ისე არაქონებრივ უფლებებსაც. მითითებულია: ქურდაძე გ., იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებები, სასემინარო ნაშრომი, თბ., 2014, 4.

⁴⁵ ქურდაძე გ., იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებები, სასემინარო ნაშრომი, თბ., 2014, 4.

⁴⁶ ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, 2002, 12.

⁴⁷ იქვე, 13.

როგორც არაქონებრივი მოვლენა, უდიდეს გავლენას ახდენს იურიდიული პირის ქონებრივ უფლებებზე.⁴⁸

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსულ ცივილისტურ დოქტრინაში აღიარებული შეხედულებით იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია გასხვისებადია.^{49/50} იურიდიულმა პირმა შეიძლება გააფორმოს გარიგებები როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი უფლებების ფარგლებში. მაგ. საქმიანი რეპუტაცია შეიძლება გასხვისდეს მესამე პირზე ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე⁵¹. გარდა აღნიშნულისა, საქმიანი რეპუტაცია შეიძლება შეტანილ იქნეს წილის სახით ამხანაგობაში. შესაბამისად, იგი ამხანაგობის სხვა ქონებასთან ერთად წარმოადგენს მის წევრთა საერთო საკუთრებას.⁵² ამხანაგობის წევრმა, რომელმაც წილის სახით შეიტანა ამხანაგობაში თავისი საქმიანი რეპუტაცია, განახორციელა მისი გასხვისება მესამე პირის (ამხანაგობის) სასარგებლოდ და ამ მომენტიდან მისი საქმიანი რეპუტაცია გახდა ამხანაგობის არამატერიალური აქტივი. გასხვისების უნარი მიუთითებს იმაზე, რომ საქმიანი რეპუტაცია ექვემდებარება შეფასებას ანუ მისი ღირებულება შეიძლება განისაზღვროს. კანონი ადგენს, რომ ამხანაგობის წევრის წილად ჩაითვლება ყველაფერი, რაც მას შეაქვს საერთო საქმეში, მათ შორის საქმიანი რეპუტაცია და საქმიანი კავშირები.⁵³ მითითებული ნიშნები – მესამე პირებზე გასხვისება და ფულადი თანხით გამოხატვის შესაძლებლობა – ფიზიკური პირის არაქონებრივ არამატერიალურ სიკეთეებს არ ახასიათებს.⁵⁴

საქმიანი რეპუტაცია იქმნება იურიდიული პირის საქმიანობის პროცესში. ამიტომ კომპანიის არსებობის მანძილზე რეპუტაცია ერთი და იგივე არ არის.⁵⁵ საქმიანობის განსაზღვრულ სფეროში საქმიანმა რეპუტაციამ შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს. მაგალითად, იმ ორგანიზაციის საქმიანი რეპუტაციის ხელყოფამ, რომელიც ახორციელებს იურიდიულ, სადაზღვევო ან სამედიცინო მომსახურებას, შეიძლება გამოიწვიოს მისი ლიკვიდაცია.⁵⁶

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის არამატერიალურ ქონებრივ ხასიათს ადასტურებს საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკაც⁵⁷, რომლის

⁴⁸ ქურდაძე გ., დასახელებული ნაშრომი, 5.

⁴⁹ Ульянова О.А., დასახელებული ნაშრომი, გვ, 891-896.

⁵⁰ რფსკ, მუხლი 150.1. <<http://stgkrf.ru/>> [17.12.2017].

⁵¹ რფსკ., მუხლი 1032. <<http://stgkrf.ru/>> [17.12.2017].

⁵² რფსკ., მუხლი 1042.1., რფსკ., მუხ., 1043.1. <<http://stgkrf.ru/>> [17.12.2017].

⁵³ რფსკ., მუხლი 1042.1 <<http://stgkrf.ru/>> [17.12.2017].

⁵⁴ Ульянова О. А. დასახელებული ნაშრომი, გვ, 891-896.

⁵⁵ იქვე, 891-896.

⁵⁶ იქვე, 891-896.

⁵⁷ იატრიდის საბერძნეთის წინააღმდეგ, Iatridis v. Greece [GC], no. 31107/96, ECHR 1999-II, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22docname%22:%7B%22Iatridis%20v.%20Greece%22%22documentcollectionid%22:%7B%22GRANDCHAMBER%22.%22CHAMBER%22%22itemid%22:%7B%22001-58227%22%22%7D> [05.02.2018].

მიხედვით საწარმოს საქმიანი რეპუტაცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის⁵⁸ გაგებით საკუთრებადაა აღიარებული. აღნიშნული მუხლი კონვენციაში ერთადერთი მუხლია, სადაც პირდაპირ არის ნახსენები „იურიდიული პირი“.⁵⁹

პირველი ოქმის პირველი მუხლი აგრეთვე იცავს საწარმოს, რომელიც განიხილება, როგორც მრავალი უფლებისა და ინტერესის, აგრეთვე ურთიერთობების ერთობლიობა, რომელსაც აქვს განსაზღვრული მიზნები და მეწარმის მიერ ორგანიზებულია, როგორც ეკონომიკური ერთეული. საწარმო მოიცავს ინტერესებსა და ურთიერთობებს, როგორცაა კლიენტურა, რეპუტაცია, ბიზნესის საიდუმლო და შემოსავლების პოტენციური წყაროები, ორგანიზებისა და რეკლამის ჩათვლით. ფაქტობრივად, პირველი ოქმის პირველი მუხლის გამოყენება ბიზნესის (ანუ საწარმოს) საქმიანობაზე ვრცელდება მხოლოდ მათ კლიენტურასა და რეპუტაციაზე, რამეთუ ისინი გარკვეული ღირებულების მქონე ერთეულებს წარმოადგენენ, რომლებსაც მრავალი თვალსაზრისით კერძო უფლების ხასიათი აქვთ და ამიტომ წარმოადგენენ „საკუთრების საშუალებას“, ხოლო აქედან გამომდინარე „საკუთრებას“ მუხლის პირველი წინადადების მნიშვნელობით.⁶⁰

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიიჩნია,⁶¹ რომ კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის მოქმედება ვრცელდება საადვოკატო პრაქტიკაზე და საადვოკატო საქმიანობის არამატერიალურ აქტივებზე, როგორცაა კლიენტურა, საქმიანი კავშირები, რეპუტაცია და ა.შ. ვინაიდან საადვოკატო საქმიანობა კერძოსამართლებრივი საქმიანობაა და ამით ქონებრივ აქტივებს მოიპოვებს. სასამართლოს მიერ საადვოკატო საქმიანობის შეზღუდვა შეფასდა საკუთარი ქონებით სარგებლობის უფლებაში ჩარევად.

საქმიანი რეპუტაცია, ისე როგორც პატივი და ღირსება წარმოადგენს სიკეთეს, რომელიც არ წარმოიქმნება სამართლებრივ საფუძველზე. პირთა საქმიანი რეპუტაციის, ისე როგორც პატივისა და ღირსების, წარმომობასა და ფორმირებაში სამართალი უშუალოდ არ მონაწილეობს.⁶²

⁵⁸ ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში“.

⁵⁹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 4 ნომბერი, 1950. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi5>[9.02.2018].

⁶⁰ „საკუთრების უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე“, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების იმპლემენტაციისათვის. ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო, #10, ევროპის საბჭო, თბ., 2007, 10.

⁶¹ Buzescu v. Romania,

<<https://hudoc.echr.coe.int/eng#f%22documentcollectionid2%22:%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22>> [15.02.2019]

⁶² Никуличева Н.Ю., დასახელებული ნაშრომი, 94-103.

გავრცელებული მოსაზრებების მიხედვით საქმიანი რეპუტაცია წარმოიშობა და ყალიბდება ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში. შესაბამისად, საქმიანი რეპუტაციის წარმოშობის პირობები და შინაარსი განისაზღვრება ეკონომიკური კრიტერიუმებით. ეკონომიკურ მეცნიერებაში აღიარებულია, რომ ფირმის საქმიანი რეპუტაცია არის ფირმის შეფასება მისი კონტრაგენტის, მომხმარებლის მიერ. ჩვეულებრივ, ფირმის საქმიანი რეპუტაცია ფასდება ხარისხობრივი მაჩვენებლით, მაგრამ მიღებულია რაოდენობრივი მაჩვენებლის გამოყენებაც.⁶³

მიგვაჩნია, რომ არასამეწარმეო იურიდიულ პირებსაც გააჩნიათ საქმიანი რეპუტაცია, რომელიც მათი იდეალური მიზნების შესაბამის საქმიანობას უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ საერთო სამართლის ქვეყნების დოქტრინაში გუდვილი, პირველ რიგში, განიხილება საკუთრებად (property). ამრიგად, იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციაზე გუდვილის შემადგენლობაში ვრცელდება საკუთრებისა და მისი დაცვის სამართლებრივი რეჟიმი. არსებითაა, რომ გუდვილი და იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია, როგორც მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილი ეკონომიკური კატეგორიაა, აქტივია და უზრუნველყოფს მოგების მიღებას. ამიტომ გუდვილისა და იურიდიული პირის რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანი ფასდება ფულადი გამოხატულებით. ითვლება, რომ სამართლიანი და სრულყოფილი ფულადი კომპენსაცია გუდვილისა და საქმიანი რეპუტაციის აღდგენას უზრუნველყოფს.⁶⁴

გუდვილისა და საქმიანი რეპუტაციის ურთიერთმიმართებაზე ქვემოთ, ცალკე პარაგრაფში, გვექნება მსჯელობა.

საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციაზე ვრცელდება საკუთრების უფლების ობიექტის სამართლებრივი რეჟიმი.⁶⁵

რეპუტაცია განსაზღვრავს ხარისხობრივ განსხვავებას სხვა ორგანიზაციებისაგან, ის სიმდიდრეა, „არანაკლებ ფასეული აქტივია, ვიდრე ფიზიკური, ინტელექტუალური თუ მარკეტინგული“.⁶⁶

⁶³ ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2005, 537.

⁶⁴ California Civil Jury Instruction 21.06.2012, Westlaw Electronic Legal Database, 42. <<https://store.legal.thomsonreuters.com/law-products/jury-instructions/california-jury-instructionsmdashcivil-caci/p/100003586>> [12.03.2019]

⁶⁵ Закон Японии о товарных знаках. М.: ВНИИПЭ, 1982; Закон США о товарных знаках. М.: ВНИИПЭ, 1982; Закон Австралии о товарных знаках. М.: ВНИИПЭ, 1985; Le Nouveau Code Civil Et Vous. Les Editions LIGIQUES inc., 1994; Depot legal, 2^e trimestre 1994, 33; Points de droit familial: rencontres universitaires notariales belgo-quebecoises d un colloque tenu a la Faculté de droit de T'Universite csthologique de Louvain-la-Neuve? Belgique, le 20 mars 1996.<<https://wipolex.wipo.int/ru/legislation/details/6957>>[12.03.2019]

მითითებულია: Тимержанова А.А., დასახელებული ნაშრომი, 42.

⁶⁶ Saidov D., Damages: TheNeedforUniformity, „JournalofLawandCommerce“, 25, 2005-06, 393-403, მითითებულია: ბაბუნაშვილი ა, იმიჯი თუ რეპუტაცია, ჟურნ., „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“, №4,2007.

არამედ, სხვა საშუალებები არამატერიალური აქტივების სახით, მათ შორის საქმიანი რეპუტაცია.⁷²

რუსულ დოქტრინაში არსებული პოზიციის მიხედვით არამატერიალური სიკეთე, იმიტომაც არამატერიალური, რომ მას ეკონომიკური შინაარსი არ გააჩნია.⁷³

მიგვაჩნია, რომ სამოქალაქო ბრუნვის ინტერესების გათვალისწინებით, ასეთი დამოკიდებულება მართებული არ უნდა იყოს. ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუტის განვითარებამ ნათლად აჩვენა არამატერიალური ობიექტების ფულადი შეფასების შესაძლებლობა.

რუსულ ლიტერატურაში ავტორთა ნაწილი (ეგოროვი) არამატერიალურ სიკეთეებს ფართოდ განმარტავს და მას პირად არამატერიალურ (რფსკ 150 მუხლი) და სხვა არამატერიალურ სიკეთეებად ყოფს (ლიტერატურული ნაწარმოებები, სამრეწველო ნიმუშები და სხვ.)⁷⁴.

რფსკ-ის 150-ე მუხლით რეგულირებული ფიზიკური პირის პირად არამატერიალურ სიკეთეთაგან მხოლოდ რეპუტაცია აქვს, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს. რუსი ავტორები პრობლემად თვლიან იმ გარემოებას, რომ რუსული სამოქალაქო კანონმდებლობა არ ანსხვავებს ფიზიკური პირის რეპუტაციას იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციისაგან, მიუხედავად მათი სხვადასხვა სამართლებრივი ბუნებისა.

სსკ-ის 27.5. მუხლი მიუთითებს რა მე-18 მუხლის დანაწესზე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იურიდიულ პირს პირად უფლებათაგან გააჩნია მხოლოდ საქმიანი რეპუტაცია, თუმცა ფიზიკური პირისა და იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დიფერენციაციაზე კანონში არაფერია ნათქვამი. სასამართლო პრაქტიკაც მათ შორის დიფერენცირებას არ ახდენს.

პოკროვსკის აზრით, კომერსანტის ცნობილ რეპუტაციას დამოუკიდებელი მატერიალური ღირებულება გააჩნია.⁷⁵ ანალოგიური მოსაზრება აქვს, არაერთ მეცნიერს. იურიდიული პირი საქმიან რეპუტაციას სარგებლის მისაღებად იყენებს, რაც მისი შეფასებისა და სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობას განაპირობებს.⁷⁶ იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციას აქვს არა მხოლოდ არამატერიალური ღირებულება, არამედ, ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ რეალურ შემოსავალთან დაკავშირებული მკვეთრად გამოხატული ქონებრივი შინაარსი. საქმიანი რეპუტაცია საწარმოს ქონებრივი კომპლექსის ნაწილია.⁷⁷ ზოგიერთი ავტორი, არ გამორიცხავს სამეურნეო ამხანაგობის საწესდებო კაპიტალში საქმიანი რეპუტაციის შეტანის

⁷² Эннексерус Л., Курс германского гражданского права: В 2 т. М., 1950. Т. 1, полутом 2., 66-68.

⁷³ Ромовская З.П., Личные неимущественные права граждан СССР: Автореф. Дис., Киев, 1968, 8.

⁷⁴ Гражданское право: Учебник: В 3 т. 7-е изд., перераб. и доп. В.В. Байбак, Н.Д. Егоров, И.В. Елисеев [и др.]; под ред. Ю.К. Толстого. М., 2009. Т. 1, 372-373.

⁷⁵ Покровский И. А. დასახელებული ნაშრომი, 123.

⁷⁶ Даулинг Г., Репутация фирмы: создание, управление и оценка эффективности. М., 2003, 368.

⁷⁷ Панченко Т., Отражение деловой репутации при приобретении предприятия как имущественного комплекса, Финансовая газета, №21, 2005, 50.

შესაძლებლობას.⁷⁸ საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქმიანი რეპუტაცია დაბეგვრის ობიექტია. მაგალითად, ეკონომისტი ბორზუნოვა აღნიშნავს, რომ „კარგ რეპუტაციას ვერ შეეხები, მაგრამ შეიძლება დაბეგრო გადასახადებით.“⁷⁹

კომერციული იურიდიული პირების საქმიანი რეპუტაცია ბრუნვაუნარიანია, გასხვისებადია. იგი იყიდება საწარმოსთან ერთად, შეიტანება ამხანაგობის საწესდებო კაპიტალში (რფსკ-ის 1042-ე მუხლი), გადაეცემა კომერციული კონცესიის ხელშეკრულებით (რფსკ-ის 1012-1040-ე მუხლები). საქმიანი რეპუტაცია (კომერციული რეპუტაცია) იქმნება ქონებრივი მიზნების მისაღწევად, ზოგჯერ აღირიცხება ბალანსზე და ფულადი ექვივალენტით ფასდება. ამის გამო კომერციული იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია არ არის არამატერიალური სიკეთე, რფსკ-ის 150-ე მუხლის გაგებით, არამედ, უფლების არამატერიალური, ბრუნვაუნარიანი, შეფასებადი ობიექტია, რომელიც მოიცავს, როგორც არაქონებრივ, ისე ქონებრივ კომპონენტებს.⁸⁰

იურიდიული პირებისა და სასამართლოს მიერ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრად საქმიანი რეპუტაციის შეფასების ყველაზე პრაქტიკული და ობიექტური მეთოდია კომპანიის სუფთა აქტივებზე კომპანიის ღირებულების გადაჭარბების გამოთვლის მეთოდი. თითოეული იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია უნიკალურია. თუმცა ეს არ უშლის ხელს ეკონომიკურად დასაბუთებული მეთოდებით მის შეფასებას, მათ შორის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად გონივრული და სამართლიანი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის მიზნით.⁸¹ საერთო სამართლის ქვეყნების, კერძოდ, აშშ პრეცედენტული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით გუდვილისა და საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის სრული და სამართლიანი კომპენსაციის საფუძვლად გუდვილის შეფასებაა მიღებული.⁸²

მეწარმე იურიდიული პირისა და არასამეწარმეო იურიდიული პირის რეპუტაცია სხვადასხვა შინაარსის სამართლებრივი ცნებებია. კომერციული იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია-მოგების მიღების მიზნით შეფასებადი ეკონომიკური აქტივია, ხოლო არაკომერციული იურიდიული პირის რეპუტაცია (კარგი სახელი) მისი საქმიანობის შედეგი, რომლის ფულადი ექვივალენტით გამოხატვის საჭიროება არც არსებობს, ვინაიდან არაკომერციული იურიდიული პირი მოგების მისაღებად არ იქმნება.⁸³

⁷⁸Килинкар В.В., Право на деловую репутацию субъектов предпринимательской деятельности: Дис. СПб, 2011, 138.

⁷⁹ Борзунова О.А., Гудвилл, Налоговый вестник, 2009, №6, 115-118.

⁸⁰ Дьяченко Е.М., დასახელებული ნაშრომი, 196.

⁸¹ Никуличева Н.Ю., დასახელებული ნაშრომი, 94-103.

⁸² California Civil Jury Instruction, Westlaw Electronic Legal Database. <<https://store.legal.thomsonreuters.com/law-products/Jury-Instructions/California-JuryInstructionsmdashCivil-CACI/p/100003586>> [12.03.2019]

⁸³ Дьяченко Е.М., დასახელებული ნაშრომი, 196.

სამართლის მეცნიერებაში მსჯელობის საგანია არის თუ არა საქმიანი რეპუტაცია განუყოფელი იურიდიული პირისაგან?

რფსკ-ის 1042-ე მუხლის მიხედვით ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობაში წილი შეიძლება განისაზღვროს საქმიანი რეპუტაციით. რფსკ-ის 1027.2. მუხლით დადგენილია, რომ კომერციული კონცესიის ხელშეკრულებით იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის გამოყენების უფლება შეიძლება გადაეცეს სხვა პირს. განუყოფლობა არ ნიშნავს განუსხვისებლობას.⁸⁴

პირადი უფლების (ამ შემთხვევაში საქმიანი რეპუტაციის) გასხვისება გულისხმობს უფლების მფლობელის ნებართვით, ამ უკანასკნელის შეხედულებით და მისივე ინტერესებში, სხვა პირის მიერ უფლების მფლობელის საზოგადოებრივი იდენტიფიკაციის საშუალებებით სარგებლობას.⁸⁵

ანალოგიური მიდგომაა საზღვარგარეთის ქვეყნებში. კერძოდ, აშშ, დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკის პრეცედენტულ სამართალში მე-19 საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბებული, დღემდე უცვლელი, შეხედულების მიხედვით, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია და გუდვილი არ შეიძლება გამოიყოს (განცალკევდეს) მისი მფლობელი იურიდიული პირისგან.⁸⁶ თუმცა საერთო სამართლის ქვეყნებში იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის გამოყენების უფლების მინიჭება შესაძლებელია. ფინანსური მომსახურების შესახებ დიდი ბრიტანეთის 1986 წლის კანონით დაშვებულია საქმიანი რეპუტაციის გამოყენება კომერციული კონცესიის ხელშეკრულების საფუძველზე.⁸⁷ კალიფორნიის სამოქალაქო კანონმდებლობით აღიარებულია პირის უფლება თავისი ცნობადობით მიიღოს სამეწარმეო შემოსავალი, რომელიც თავისი მნიშვნელობით ახლოა საქმიან რეპუტაციასთან.⁸⁸

გასაზიარებელია კრასავჩიკოვას მოსაზრება, რომ რფსკ-ის 1027-ე მუხლის დანაწესი გაგებულ უნდა იქნეს არა იმგვარად, რომ შესაძლებელია საქმიანი რეპუტაციის როგორც არამატერიალური სიკეთის გადაცემა, არამედ, აღნიშნული ნორმით შესაძლებელია საქმიანი რეპუტაციის მფლობელის მიერ განსაკუთრებული უფლებების კომპლექსის გამოყენებისა და გამოყენების უფლების გადაცემის შინაარსის განსაზღვრა.⁸⁹ მოცემულ შემთხვევაში,

⁸⁴ Флейшиц Е.А., Личные права, Ученые труды ВЮИИ. Вып. VI. М., 1941. VI., 5-10.

⁸⁵ Гражданское право: актуальные проблемы теории и практики, Под общ. ред. В.А. Белова. М., 2008, 640-641.

⁸⁶ IRC V Muller & CoMargarine Limited, (1901) AC 217; Wedderburn v Wedderburn (no 4) (1856) Beav. 84; Robertson v Quiddington (1860) 28 Beav.529; Star Industrial Company Ltd v Yap Kwee Kor (1976) FSR 256 (P.C.).<https://library.cronerico.uk/cch_uk/svhcases/1901-svc-25> [25.01.2019]

⁸⁷ Financial Services Act 1986, Westlaw Electronic Legal Database.

⁸⁸ California Civil Jury Instruction, §1820; Gionfriddo v. Major League Baseball (2001) 94 Cal.App.4th 400, 409 [114 Cal.Rptr.2d 307].

⁸⁹ Красавчикова Л.О., Институт коммерческой концессии в гражданском законодательстве РФ, Цивилистические записки: Межвузовский сборник научных трудов. Вып. 2. М., 2002, 107-109.

არამატერიალური სიკეთის გადასვლა კი არ ხდება, არამედ, უფლების გადაცემის საფუძველზე მისი ტრანსფორმაცია. აღნიშნულის დამადასტურებელია ავტორთა მტკიცება, რომ მფლობელისგან საქმიანი რეპუტაციის გამოყოფის შეუძლებლობა, არ ეწინააღმდეგება იურიდიულად გაფორმებულ მის პირობით გადაცემას.⁹⁰ სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლების გადაცემისას ახალ მფლობელზე გადადის დადებითი საზოგადოებრივი შეფასება (აზრი), ტექნოლოგიებისა და კომერციული კონცესიის ხელშეკრულების პირობები იდენტური საქონლისა და მომსახურების გარანტიაა. მფლობელის საქმიანი რეპუტაცია ტრანსფორმაციის შედეგად არ გაუარესდება, თუ ხელშეკრულება შესაბამისად სრულდება. მაგრამ თუ მოსარგებლის მიერ ხელშეკრულება არსებითი დარღვევებით სრულდება, მფლობელის საქმიანი რეპუტაცია ზიანდება. კომერციული კონცესიის ხელშეკრულებით მფლობელის დადებითი საქმიანი რეპუტაციის გამოყენებას დამატებითი მოგება მოაქვს. ამ ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს მოსარგებლის საქმიანი რეპუტაციის გამოყენების უფლებამოსილების ფარგლები.⁹¹ განსაზღვრული პირობებით კომერციული კონცესიის გამოყენება შეიძლება გახდეს მოსარგებლის მიერ ტრანსფორმირებული საქმიანი რეპუტაციის შენარჩუნების წინაპირობა⁹² კომერციული კონცესიის შეწყვეტის, მათ შორის ხელშეკრულებით საქმიანი რეპუტაციის გამოყენების უფლების შეწყვეტისას.

საქმიანი რეპუტაციის, როგორც ქონებრივი შინაარსის ობიექტის სტატუსს განამტკიცებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV², რომლითაც მოწესრიგებულია აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვის წესი.

ამ თავის 309¹⁴-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით სასამართლომ აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დადგენისას უნდა გაითვალისწინოს:

- ა) ამ აქციების ღირებულება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე;
- ბ) საზოგადოების მიერ მომავალში მისაღები სავარაუდო შემოსავლები;
- გ) საზოგადოების აქტივები (მათ შორის, საწარმოს რეზერვები, საწარმოს საქმიანი რეპუტაცია, გამოცდილება, პერსპექტივები და საქმიანი კავშირები) და პასივები. აღნიშნული რეგულაცია ხაზგასმით მიუთითებს საქმიანი რეპუტაციის, როგორც საწარმოს არამატერიალური აქტივის შეფასების შესაძლებლობაზე.

⁹⁰ Ермолова О.Н., Трофименко А.В., Проблемы теории нематериальных благ: Научная монография, М., 2008, 90. 56.

⁹¹ Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право. Т. 3. М., 2011, 1010 - 1011.

⁹² პრაქტიკამ აჩვენა, რომ კომერციული კონცესიის ხელშეკრულების არასათანადო შესრულება ზიანს აყენებს მფლობელის საქმიან რეპუტაციას. მაგ. პერმთან ეკიპაჟის არასათანადო კვალიფიკაციისა და შეცდომის გამო ავიაკატასტროფა განიცადა ავიაკომპანია „აეროფლოტ-ნორდის“ თვითმფრინავმა, რომელმაც დარტყმა მიაყენა სს „აეროფლოტს“. სს „აეროფლოტის“ გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, რომ „ხვალედან „აეროფლოტ-ნორდი“ არ იფრენს ამ სახელით. ჩვენ ძალიან ძვირი დაგვიჯდა ამ კომპანიისთვის საფირმო სახელწოდების (ნიშნის) გადაცემა. მითითებულია: Тимерханов А. А., დასახელებული ნაშრომი, 57.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია ემსგავსება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს იდეალური და ინფორმაციული სამართლებრივი ბუნებით. მათ შორის მსგავსება იმაშიც გამოიხატება, რომ როგორც ერთი, ისე მეორე ფართოდ გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობაში და იდეალური ბუნების მიუხედავად შეფასებადია.⁹³

რა კავშირია იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციასა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან გათანაბრებული ინდივიდუალიზაციის ისეთ საშუალებებს შორის, როგორცაა საფირმო სახელწოდება, სასაქონლო ნიშანი, მომსახურების ნიშანი და კომერციული აღნიშვნა. აღნიშნული საშუალებები გარკვეულწილად „ატარებენ“ ინფორმაციას იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შესახებ და ამით წარმოადგენენ ამ რეპუტაციის სავიზიტო ბარათს.⁹⁴

საფირმო სახელწოდება იურიდიული პირის ინდივიდუალიზაციის ძირითადი საშუალებაა. არსებობს მოსაზრება, რომ საქმიანი რეპუტაცია საფირმო სახელწოდებიდან ნაწარმოები იურიდიული პირის იდენტიფიკაციის მეორეხარისხოვანი საშუალებაა.⁹⁵

სასაქონლო ნიშანი იურიდიული პირისა და ინდემწარმის საქონლის იდენტიფიკაციას ემსახურება იმით, რომ მეწარმისა და მის მიერ ნაწარმოები საქონლის ურთიერთკავშირს ასახავს და საქმიან რეპუტაციას გამოხატავს.⁹⁶ მაღალხარისხიანი საქონლის მწარმოებლები იყენებენ რა თავის სასაქონლო ნიშანს, მოპოვებული რეპუტაციის საფუძველზე ზრდიან საქონლის ფასს, მყიდველი ენდობა საქონელს სწორედ კონკრეტული მწარმოებლის რეპუტაციის გამო.⁹⁷ იდენტიფიკაციის საშუალებები ნდობასთან დაკავშირებული დამოუკიდებელი კატეგორიაა, რომელიც წარმატებული ბიზნესის ფუნდამენტი და საქმიანი რეპუტაციის რეიტინგის განმსაზღვრელი კრიტერიუმია.⁹⁸

აღსანიშნავია, რომ მსგავსი დასკვნის საშუალებას იძლევა დიდი ბრიტანეთისა და აშშ კანონმდებლობა. დიდი ბრიტანეთის 1986 წლის კანონით „ფინანსური მომსახურების“ შესახებ ფრენშაიზინგის ხელშეკრულება მოგებისა და შემოსავლის მომტანი შეთანხმებაა, რომლის მიხედვით პირი სარგებლობს სავაჭრო მარკით, დიზაინით ან სხვა

⁹³ Степанов С.А., Предприятие как имущественный комплекс по Гражданскому кодексу Российской Федерации, Актуальные проблемы гражданского права, Под ред. С.С. Алексеева; Исследовательский центр частного права Уральский филиал. Российская школа частного права. Уральское отделение. М., 2000, 63-67. Сухенко А.П., Деловая репутация как фактор капитализации промышленной компании: Автореф. Дис., М., 2006, 12-14.

⁹⁴ Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 59.

⁹⁵ იქვე, 60.

⁹⁶ იქვე, 60.

⁹⁷ Мэггс П.Б., Сергеев А.П., Интеллектуальная собственность. М., 2000, 8.

⁹⁸ Карунная Я.А., Правовая природа средств индивидуализации коммерческих организаций: Автореф. Дис., Новосибирск, 2004, 61.

ინტელექტუალური საკუთრებით, მათ შორის მასთან ასოცირებული რეპუტაციით.⁹⁹

პირის მიერ საქმიანი რეპუტაციისა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების (სასაქონლო ნიშნის ან სასაქონლო მარკის) უკანონო გამოყენება, რაც რეგისტრირებულ თუ არარეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებზე უფლების დარღვევასა და არაკეთილსინდისიერ კონკურენციაში ვლინდება სასამართლომ უნდა აღკვეთოს მხარეთა პირდაპირი კონკურენციის ან ნივთებისა და მომსახურების სახეების აღრევის არარსებობის მიუხედავად.¹⁰⁰ ანალოგიური რეგულაციაა მოცემული ტეხასის სამეწარმეო და კომერციული კოდექსის 2005 წლის 16.29. მუხლში.¹⁰¹

არსებობს მოსაზრება, რომ საქმიანი რეპუტაციის ქონებრივი შინაარსის, მესამე პირთათვის მისი გამოყენების გადაცემის უფლების, ინდივიდუალიზაციის საშუალებებთან მსგავსებისა და ურთიერთკავშირის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საქმიანი რეპუტაცია ინდივიდუალიზაციის საშუალებების მსგავსად ინტელექტუალური საკუთრების ობიექტად ჩაითვალოს.¹⁰²

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ქონებრივი შინაარსის მქონე სამოქალაქო სამართლის ობიექტი, ასევე არამატერიალური აქტივი, რომელიც დასაბუთებული ეკონომიკური მეთოდებით ფულადი ექვივალენტით ფასდება.¹⁰³

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მართალია, აღიარებული მოსაზრებების თანახმად, სამართალი არ არეგულირებს საქმიანი რეპუტაციის წარმოშობასა და გამოყენებასთან (სარგებლობასთან) დაკავშირებულ ურთიერთობებს, არამედ, აწესრიგებს მხოლოდ მის დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, მაგრამ გამონაკლისი ალბათ ამ შემთხვევაშიც დასაშვებია. ვინაიდან, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია სახელის მსგავსად, ზოგჯერ, ორგვარი სამართლებრივი ბუნებისაა. როგორც აღინიშნა, კომერციულ ურთიერთობებში იგი ბრუნვაუნარიანი, ქონებრივი შინაარსის მქონე სიკეთეა. აღნიშნული ურთიერთობები კი სამართლებრივი რეგულირების სფეროში შედის. მაშასადამე, ამ კონტექსტში სამართალი არა მხოლოდ იცავს, არამედ,

⁹⁹ Сосна С.А., Васильева Е.Н., Франчайзинг. Коммерческая концессия. М., 2005, 167.

¹⁰⁰ New York General Business Law 2006, ნიუ-იორკის შტატის ძირითადი სამეწარმეო კანონი, 360-L მუხლი.

¹⁰¹ Texas Business & Commerce Code 2005, Westlaw Electronic Legal Database.

¹⁰² Килинкаров В.В., Право на деловую репутацию субъектов предпринимательской деятельности: Дис., СПб, 2011, 35. Малеина М.Н., Защита чести, достоинства, деловой репутации предпринимателя, Законодательство и экономика, №24, 1993, 18. Никуличева Н.Ю., Право юридических лиц на деловую репутацию и ее гражданско-правовая защита: Дис., Новосибирск, 2004, 18. Рясинцев В.А., Неимущественный интерес в советском гражданском праве, Ученые записки МЮИ. М., 1939, 26-27.

¹⁰³ Решетникова А.А., Гражданско-правовой режим средств индивидуализации субъектов предпринимательской деятельности и производимой ими продукции (товаров, работ, услуг): Автореф. Дис., Архангельск, 2005, 19.

არეგულირებს კიდევ იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

1.2. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ცნება

1.2.1. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ცნება სამართლის მეცნიერებაში

ძველ კანონმდებლობასთან შედარებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა გააფართოვა როგორც პირად არაქონებრივ უფლებათა კატალოგი, ისე იმ უფლებათა სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ფორმები, რომლებსაც ძველი კანონმდებლობაც აღიარებდა. თუ ძველი კანონმდებლობა უზრუნველყოფდა მხოლოდ პატივისა და ღირსების დაცვას, სამოქალაქო კოდექსმა განსაზღვრული ადგილი დაუთმო ისეთი არაქონებრივი სიკეთეების დაცვას, როგორცაა პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა და საქმიანი რეპუტაცია.¹⁰⁴

სსკ-ის მე-18 მუხლით მოწესრიგებულია პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლის მეორე ნაწილის მიხედვით, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. არაქონებრივ უფლებებს პიროვნულ უფლებებადაც მოიხსენიებენ,¹⁰⁵ რომლებიც ღირსების პატივისცემისა და ინდივიდის განვითარების უფლებისგან წარმოშობილ უფლებას წარმოადგენენ და თითოეულ პირს (მათ შორის, სახელმწიფოსაც) პიროვნების პატივისცემის მოვალეობას აკისრებს.¹⁰⁶

მე-18 მუხლი ეფუძნება კონსტიტუციასა¹⁰⁷ და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.¹⁰⁸ „ისეთი პირადი არაქონებრივი უფლებების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა, როგორცაა პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, საკუთარი გამოსახულება და ა.შ. ფრანგულ და გერმანულ სამართალში მხოლოდ სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდა და სამოქალაქო სამართლის ბუნებრივ ინსტიტუტებად იქცნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სამოქალაქო კოდექსებში არაა განმტკიცებული.“

¹⁰⁴ ნინიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 1999, მუხლი 18, 60.

¹⁰⁵ კერესელიძე დ., დასახელებული ნაშრომი, 132.

¹⁰⁶ ბიჭია მ., კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი“, 1/2011, 78.

¹⁰⁷ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 18, თბ., 2017, 109.

საქართველოს კონსტიტუცია, მე-17, მე-18, მე-19, მე-20 და 24-ე მუხლები, 1995, www.matsne.gov.ge [16.02.2018].

¹⁰⁸ იქვე, 109.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა ეს გამოცდილება და პირადი უფლებები ზოგად ნაწილში განამტკიცა“.¹⁰⁹

„არაქონებრივი უფლებების უმეტესობა ფიზიკური პირის უფლებებია.

დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთან ყველა იმ უფლებით, რომელიც თვისობრივად არ უკავშირდება ადამიანს. პიროვნულ უფლებათა ნაწილი კი, იურიდიულ პირს შეიძლება მხოლოდ მოდიფიცირებული ფორმით ჰქონდეს“.¹¹⁰

სსკ-ის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება ამავე კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესები. იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების არსი უწინარესად ამ მუხლიდან გამომდინარეობს, რომლის საფუძველზეც ასეთ უფლებას საქმიანი რეპუტაცია წარმოადგენს.¹¹¹

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ცნება ნორმატიულად განსაზღვრული არ არის არც ქართული და არც უცხოური კანონმდებლობით, დოქტრინაში კი მას სხვადასხვაგვარად განმარტავენ. გამონაკლისად, შეიძლება მივიჩნიოთ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი, რომლის თანახმად, რეპუტაცია შეხედულებაა საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე.¹¹²

სსკ-ის მე-18 მუხლი, ერთი მხრივ, საქმიან რეპუტაციას მოიხსენიებს ფიზიკური და იურიდიული პირების ისეთი არამატერიალური სიკეთეების გვერდით, როგორცაა სახელი, პატივი და ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, პირადი გამოსახულება; მეორე მხრივ, იძლევა პატივისა და ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის ერთიან წესს.

ცნებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „საქმიანი რეპუტაცია“ შედარებით ახალია საერთაშორისო სამართლისთვისაც. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია¹¹³ იცავს რა პირთა, მათ შორის იურიდიულ პირთა რეპუტაციას, მოიხსენიებს ტერმინს რეპუტაცია, მაგრამ არ განმარტავს მას. უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით ეტიმოლოგიურად ტერმინი „რეპუტაცია“ ლათინური „reputatio“ (მოფიქრება, განსჯა) და ფრანგული „reputation“ (რეპუტაცია, კეთილი სახელი, ცნობადობა) წარმოდგება და ნიშნავს საზოგადო აზრს, საზოგადოების შეფასებას ვინმეს ან რაიმეს ღირსებასა და ნაკლზე.^{114/115}

¹⁰⁹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 74.

¹¹⁰ კერესელიძე დ., დასახელებული ნაშრომი, 166.

¹¹¹ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 18, თბ., 2017, 108.

¹¹² კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 11³.

¹¹³ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია, რომი, 1950, 4 ნოემბერი, მუხლი 10, გამოხატვის თავისუფლება.

¹¹⁴ Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 31.

¹¹⁵ ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 2000, 50.

რეპუტაცია ასევე განიმარტება, როგორც „არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ერთ-ერთი სახე. ადამიანის გონებაში პიროვნების, ორგანიზაციის, ავტორის, ფირმის, სასაქონლო ნიშნების და ა.შ. ღირსებათა და ნაკლოვანებათა შესახებ შექმნილი საერთო აზრი, შეხედულება. რეპუტაცია წარმოადგენს რეკლამის ერთ-ერთ ამოცანას ხელსაყრელი შთაბეჭდილების შესაქმნელად ან არახელსაყრელი შთაბეჭდილების გასაუმჯობესებლად. იმიჯი. რენომე. გუდვილი“.¹¹⁶

„რეპუტაციაა ხალხის აზრი ვინმეს ან რაიმეს შესახებ. Company with a reputashion for quality-კარგი ხარისხის, რეპუტაციის მქონე კომპანია“.¹¹⁷ ამდენად, ლექსიკური მნიშვნელობით, რეპუტაცია არის ზოგადად ვინმეს ან რაიმეს შესახებ შექმნილი საერთო აზრი, საზოგადოებრივი შეფასება. ამ შეფასებაში იგულისხმება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი აზრი; ეს აზრი შეიძლება შეეხებოდეს როგორც ადამიანს, ისე ნივთს ან სხვა მოვლენას, როგორც ინდივიდს, ისე კოლექტივს. ამდენად, ლექსიკურად რეპუტაციის ქვეშ მოიაზრება ინდივიდის, კოლექტივის, საგნის, მოვლენის ნებისმიერი თვისების დადებითი ან უარყოფითი შეფასება.

იმის გამო, რომ „რეპუტაცია“ თავისი ლექსიკური შინაარსით, არაფრით განსხვავდება სიტყვა „პატივის“ მნიშვნელობისაგან, სამეწარმეო პრაქტიკა და იურიდიული ლიტერატურა „რეპუტაციისათვის“ სპეციალური შინაარსის მინიჭების მიზნით იყენებს სიტყვით შეთანხმებას „საქმიანი რეპუტაცია“.¹¹⁸

იურიდიულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ავტორები „საქმიანი რეპუტაციაში“ მოიაზრებენ პირის საქმიანი თვისებების შეფასებას საზოგადოებრივი აზრის მიერ. ამ მნიშვნელობით განიმარტება მოცემული ტერმინი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც. სსკ-ის პირველი კომენტარების მიხედვით, საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება, რასაც ემყარება საზოგადოების დამოკიდებულება მოცემული ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიმართ.¹¹⁹ ხოლო მის შელახვას პირის აღნიშნული თვისებების დისკრედიტაცია წარმოადგენს.¹²⁰ საქმიანი რეპუტაციის ასეთი დეფინიცია კერძო პირის საქმიანობის საკითხს ეხება.¹²¹

პ. მონიავას აზრით, „იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია იურიდიული პირის პროფესიული და საქმიანი თვისებების ის საზოგადოებრივი შეფასებაა, რომლითაც იურიდიული პირი ასოცირდება გარშემომყოფთა შეგნებაში და საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე

¹¹⁶ ჯორბენაძე ს., ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1998, 249.

¹¹⁷ ქოლინი პ., ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, თბილისი, 2002, 474.

¹¹⁸ ნინიძე თ., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 1999, 61.

¹¹⁹ იქვე, 61.

¹²⁰ სუს გადაწყვეტილება, 18 ივლისი, 2001, №3კ/376-01.

¹²¹ ჯორბენაძეს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 121.

პერსონიფიცირდება სხვა იურიდიულ პირთა შორის^{.122} მ. თოდუას მითითებით, „რეპუტაცია მოპოვებული საზოგადოებრივი შეფასებაა, შექმნილი საერთო აზრია ვინმეს ან რაიმეს თვისებების, ღირსებათა და ნაკლის შესახებ, რომელიც ყალიბდება ობიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე. რა თქმა უნდა, რეპუტაცია შეიძლება იყოს როგორც კარგი, ისე ცუდი, შესაფასებელი ობიექტის დადებით და უარყოფით თვისებათა (ღირსებათა) პროპორციის მიხედვით“^{.123}

„რეპუტაცია (იგულისხმება სამეწარმეო) არის საწარმოსადმი (ასევე სასაქონლო ნიშნისადმი) პატივისცემა, აღებული მთლიანობაში მისი საქმიანობისა და ხარისხის გათვალისწინებით. პატივს, ბუნებრივია შეიძლება მიაგებდეს ის პირი, რომელიც იცნობს საწარმოს ან მის სასაქონლო ნიშანს“^{.124}

„იურიდიულ პირებთან მიმართებაში შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ ორგანიზაციის საქმიანი რეპუტაციის, როგორც საზოგადოების მიერ მისი საქმიანობის თავისებური შეფასების შესახებ, რომელიც ეფუძნება ასეთი საქმიანობის შესახებ არსებულ ცნობებს. ნებისმიერი იურიდიული პირისათვის მისი შეფასება, საზოგადოების აზრი მისი თვისებების, ღირსებათა და ნაკლის შესახებ ყოველთვის ატარებს გარეგან ხასიათს, რამდენადაც თვითშეფასების შესაძლებლობა (უნარი) მხოლოდ კონკრეტულ ფიზიკურ პირებს აქვთ. იურიდიული პირის საქმიანობის ასეთი გარეგანი შეფასება ასევე ექვემდებარება სრული მოცულობით დაცვას, მათ შორის, სასამართლო წესით დაცვას“^{.125}

არაერთი მსგავსი განმარტების მოტანა შეიძლება რუსული იურიდიული ლიტერატურიდან. მაგალითად, ბულოვიჩის მიხედვით „საქმიანი რეპუტაცია წარმოადგენს საქმიანი (საწარმოო, პროფესიული) ღირსებების შეფასებას“^{.126} ზინგილევსკის აზრით, საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს შეფასებას საქმიანი ბრუნვის სფეროში.¹²⁷ ანისიმოვის განმარტებით კი – ჩამოყალიბებულ აზრს საქმიანი ბრუნვის, მათ შორის მეწარმეობის სფეროში.¹²⁸ როჟკოვა მიიჩნევს, რომ საქმიანი რეპუტაცია ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრია ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე, რომელიც მათ პროფესიულ მოღვაწეობასა და საქმიანობის ხარისხს ეფუძნება.¹²⁹ ფროლოვსკის განმარტებით, ორგანიზაციის საქმიანი რეპუტაცია იურიდიული პირის პროფესიულ (საქმიან) თვისებებზე მესამე პირთა

¹²² მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 344.

¹²³ თოდუა მ., ქურდაძე შ., ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, სმა, თბ., 2005, 48.

¹²⁴ ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი, თბ. 2014, 145.

¹²⁵ თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 50.

¹²⁶ Зикрацкий С., დასახელებული ნაშრომი, <http://www.ziz.by/publications/23-p6> [01.02.2018].

¹²⁷ იქვე, 3.

¹²⁸ იქვე, 3.

¹²⁹ Рожкова М.А., Судебная практика по делам о защите деловой репутации юридических лиц и предпринимателей, Приложение к журналу «Хозяйство и право», 2010. №2, 3–80.

ჩამოყალიბებული მოსაზრებაა.¹³⁰ მალეინას მოსაზრებით, საქმიანი რეპუტაცია იმ თვისებებისა და შეფასებების ერთობლიობაა, რომლითაც მათი მატარებელი პირი ასოცირდება კონტრაგენტებთან, კლიენტებთან, მომხმარებლებთან, კოლეგებთან, თაყვანისმცემლებთან (შოუ-ბიზნესში), ამომრჩევლებთან და ამით გამოირჩევა (პერსონიფიცირდება) მოღვაწეობის კონკრეტულ სფეროში მოღვაწე სხვა პროფესიონალთაგან.¹³¹ ერდელევსკი¹³² ინგლისურ-ამერიკულ სამართალზე დაყრდნობით მიზანშეწონილად მიიჩნევს რეპუტაციის სხვადასხვა სახის აღმნიშვნელად ზოგადი ტერმინის რეპუტაციის გამოყენებას და შესაძლებლად მიიჩნევს სასამართლოს მიერ რეპუტაციის კონკრეტული სახის იდენტიფიცირებას იმის მიხედვით თუ რომელი სუბიექტი მიმართავს უფლების დაცვის მოთხოვნით. ულიანოვას მოსაზრებით, აღნიშნული მიდგომა არ არის გამართლებული¹³³, ვინაიდან ფიზიკური პირისა და იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ბუნება განსხვავებულია და აღნიშნული საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს და არ უნდა იყოს დამოკიდებული სასამართლოს მიხედულებაზე.

იმ ფიზიკური პირის პროფესიული რეპუტაცია, რომელიც არ არის სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტი, განსხვავდება იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციისგან. ამ უკანასკნელს ახასიათებს საქმიანი აქტივობა და შესაბამისად აქვს საქმიანი რეპუტაცია. მიზანშეწონილია ტერმინის „საქმიანი რეპუტაცია“ გამოყენება იურიდიული პირების (მათ შორის სამეწარმეო საქმიანობის შემსრულებელი არაკომერციული იურიდიული პირების), ასევე, ფიზიკური პირების-ინდივიდუალური მეწარმეების მიმართ. სხვა ფიზიკური პირების მიმართ უფრო მისაღებია ტერმინი „კეთილი სახელი“ (доброе имя), ვინაიდან აღნიშნული ტერმინი ფართო გაგებით სრულად მოიცავს იმ ურთიერთობებს რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებაში ფიზიკური პირების მიმართ მათი პროფესიული ჩვევებისა და უნარების გამოყენებასა და დაცვასთან.¹³⁴ როჟკოვას აზრით, დაუსაბუთებელია იურიდიული პირისა და იმ ფიზიკური პირის საქმიანი რეპუტაციის გაიგივება, რომელიც არ მისდევს მეწარმეობას. ამასთან, ცნება „კეთილი სახელი“ ადეკვატურად ვერ ასახავს ფიზიკური პირის პროფესიულ უნარზე საზოგადოებაში არსებულ წარმოდგენას. „კეთილი სახელი“ ურთიერთობის უფრო ფართო წრეს მოიცავს. მაგალითად, პირის წარმოდგენებს პირად და მეგობრულ ურთიერთობებზე. პროფესიული საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული წარმოდგენები შეიძლება პროფესიულ რეპუტაციად იწოდოს. იურიდიული

¹³⁰ Фроловский Н.Г., Защита деловой репутации юридического лица, Законы России: опыт, анализ. Практика, 2012, №4, <http://lexandbusiness.ru/view-article.php?id=493> [20.03.2015].

¹³¹ Фроловский Н.Г., დასახელებული ნაშრომი, <http://lexandbusiness.ru/view-article.php?id=493> [20.03.2015].

¹³² Эрделевский А.М., Компенсация морального вреда: анализ и комментарий законодательства и судебной практики, 3-е изд., испр. и доп., Волтерс Клувер, М., 2004, 197.

¹³³ Ульянова О.А., დასახელებული ნაშრომი, 891-896.

¹³⁴ Рожкова М.А., დასახელებული ნაშრომი, 5-6.

პირის საქმიანი რეპუტაცია განისაზღვრება მის არამატერიალურ აქტივად, რომელიც ეფუძნება წარმოდგენებს მეწარმე სუბიექტზე და იქმნება სამეწარმეო საქმიანობის პროცესში. კუდრიავეცვასა და ოლეფირენკოს მოსაზრებით, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია დინამიური კატეგორიაა, რომელიც ყალიბდება იურიდიული პირის საქმიანობის პროცესში. მითითებული ავტორები ორგანიზაციის საქმიანობის წარმატების საწინდრად საქმიან თვისებებს მიიჩნევენ. მათ შორის გამოყოფენ: წარმოებული პროდუქციის ან გაწეული მომსახურების ხარისხს, სახელშეკრულებო ურთიერთობებში პარტნიორის საიმედოობას, გადახდისუნარიანობასა და კეთილსინდისიერებას.¹³⁵ ულიანოვა მიიჩნევს, რომ საქმიანი რეპუტაცია შეიძლება მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტს გააჩნდეს, ვინაიდან საქმიანი რეპუტაცია წარმოიშობა და არსებობს მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის სფეროში. შესაბამისად, თუ არაკომერციული იურიდიული პირი ახორციელებს თავისი მიზნების შესაბამის სამეწარმეო საქმიანობას, ამ საქმიანობის პროცესში მასაც წარმოეშობა საქმიანი რეპუტაცია¹³⁶ არაკომერციული იურიდიული პირის ძირითადი საქმიანობის პროცესში წარმოშობილ წარმოდგენებს მიზანშეწონილია პროფესიული რეპუტაცია ეწოდოს. საქმიანი რეპუტაცია შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.¹³⁷ სერგეევსა და ტოლსტოის განმარტებით რეპუტაცია პირის შესახებ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თვისებებზე, ხოლო საქმიანი რეპუტაცია-პროფესიულ თვისებებზე ჩამოყალიბებული აზრია. ნიკულიჩევა მიიჩნევს, რომ საქმიანი რეპუტაცია პირის საქმიანი თვისებების საზოგადოებრივი შეფასებაა.¹³⁸ ტარასენკოს დასკვნით, კი საქმიანი რეპუტაცია კონკრეტული პირის საქმიანი და პროფესიული პოზიტიური თვისებების საზოგადოებრივ შეფასებას წარმოადგენს.¹³⁹ გაცილებით კორექტულ განმარტებას იძლევა მალეინა რომელიც საქმიან რეპუტაციას განსაზღვრავს, როგორც იმ თვისებებისა და შეფასებების ერთობლიობას რომლითაც მისი მფლობელი ასოცირდება კონტრაგენტების, კლიენტების, მომხმარებლების თვალში და ინდივიდუალიზდება ამ სფეროში სხვა პროფესიონალებს შორის.¹⁴⁰ დიაჩენკოს აზრით, საქმიან რეპუტაციაში ფართო გაგებით იგულისხმება ჩამოყალიბებული დადებითი საზოგადოებრივი აზრი ვინმეს მიმართ მისი საზოგადოებრივი,

¹³⁵ Кудрявцева А.В., Олефиренко С.П., Доказывание морального вреда в уголовном судопроизводстве. Юрлитинформ, М., 2011, 126-127.

¹³⁶ Гражданский кодекс Российской Федерации (часть первая) от 30.11.1994, N51-ФЗ, <http://stgkrf.ru/> [17.12.2017].

¹³⁷ Ульянова О.А., დასახელებილი ნაშრომი, 891-896.

¹³⁸ Никуличева, Н.Ю., დასახელებული ნაშრომი, 13.

¹³⁹ Гражданское право: актуальные проблемы теории и практики, Под общ. ред. В.А. Белова. М., 2008, 903.

¹⁴⁰ Малеина М.Н., Защита чести, достоинства, деловой репутации предпринимателя, Законодательство и экономика. 1993, №24, 18.

პროფესიული, სამსახურებრივი საქმიანობის, სამუშაოს შესახებ. მათ შორის ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც დასაქმებულნი არიან საზოგადოებრივი წარმოების ნებისმიერ სფეროში და იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ნებისმიერ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას, მათ შორის მონაწილეობენ ან არ მონაწილეობენ სამეწარმეო ურთიერთობებში.¹⁴¹ ამავე ავტორის აზრით, ვიწრო გაგებით საქმიანი რეპუტაცია მხოლოდ კომერციული, სამეწარმეო ურთიერთობის მონაწილე არაკომერციული იურიდიული პირებისა და მეწარმე ფიზიკური პირების საქმიანი თვისებების დადებით შეფასებას მოიცავს. რადგან კანონმდებელი ფართოდ იყენებს ტერმინს საქმიანი რეპუტაცია მისი ტრანსფორმირება და მხოლოდ კომერციული საქმიანობის განმხორციელებელი სუბიექტების მიმართ გამოყენება მიზანშეწონილი არ არის. ამასთან, ვინაიდან საქმიანი ბრუნვის მონაწილეთა რეპუტაცია არსებითად განსხვავდება სამოქალაქო სამართლის სხვა სუბიექტთა საქმიანი რეპუტაციისგან მიზანშეწონილია საქმიანი რეპუტაცია შეიცვალოს ტერმინით კომერციული რეპუტაცია.¹⁴²

საკითხი იმის თაობაზე გააჩნიათ თუ არა საქმიანი რეპუტაცია მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის განმხორციელებელ სუბიექტებს საკამათოა უცხოურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში. საკმაოდ დასაბუთებულია საერთო სამართლის ქვეყნების პრეცედენტულ სამართალში დამკვიდრებული მოსაზრება, რომ საქმიანი რეპუტაცია მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის განმხორციელებელ იურიდიულ პირებს გააჩნიათ, ხოლო არაკომერციული იურიდიული პირები, რომლებიც არ ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას ფლობენ „საზოგადოებრივ“ რეპუტაციას, როგორც ფიზიკური პირები.¹⁴³ ამასთან, უცხოელი მკვლევარების აზრით, **საქმიანი რეპუტაცია, „საზოგადოებრივი“ რეპუტაციისგან განსხვავებით, არამატერიალური ქონებაა.**¹⁴⁴ ზოგიერთი რუსი ავტორის აზრით, საქმიანი რეპუტაცია მხოლოდ მეწარმე იურიდიულ პირებს გააჩნიათ.¹⁴⁵ ვინაიდან ამ იურიდიული პირების შექმნის მიზანი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება და მოგების მიღებაა, ისინი საქმიანობის პროცესში იძენენ საქმიან რეპუტაციას, რომელიც მათ კონკურენციისას უპირატესობას ანიჭებს.

¹⁴¹ Дьяченко Е.М., *დასახელებული ნაშრომი*, 193.

¹⁴² იქვე, 194.

¹⁴³ Herzfeld P. *Corporations, Defamation and General Damages: Back To First Principles*, *Media and Arts Law Review*. (2005) 10,137-140.

¹⁴⁴ მოსაზრებას ასაბუთებს საქმე *Church of Scientology of California Inc v Readers Digest Services*, [1980] 1 NSWLR344, ეკლესიის საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ. სასამართლომ დააკმაყოფილა რა ეკლესიის სარჩელი, აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია არაკომერციული ორგანიზაციაა, ის საკუთარი მიზნების მისაღწევად ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას. ამ საქმიანობისას კი ქონებრივი ხასიათის საქმიანი რეპუტაცია გააჩნია. მითითებულია: Тимерханов А.А., *დასახელებული ნაშრომი*, 29.

¹⁴⁵ Трубников П.Я., *Применение судами законодательства о защите чести, достоинства и деловой репутации*, *Законность*, №5, 1995, 7. 27, მითითებულია Тимерханов А.А., *Деловая репутация юридического лица*, *Дис.*, М., 2012, 28.

არაკომერციული იურიდიული პირების მიზანი არ არის მოგების მიღება, ისინი იდეალური მიზნების შესასრულებლად იქმნება, საქმიანობა როგორც წესი, მიმართულია მათი წევრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ან საერთო-სასარგებლო საქმიანობის განხორციელებაზე¹⁴⁶. არაკომერციული იურიდიული პირი საქმიან რეპუტაციას მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის პროცესში იძენს, რომელსაც საწესდებო მიზნების შესასრულებლად ახორციელებს. ზოგადი წესით, არაკომერციულ იურიდიული პირის, ისევე როგორც ფიზიკური პირის საქმიან რეპუტაციას ქონებრივი შინაარსი არ გააჩნია.¹⁴⁷ არსებობს მოსაზრება, რომ საქმიანი რეპუტაციის უფლების სუბიექტებია კომერციული იურიდიული პირები, არაკომერციული იურიდიული პირები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებენ და ინდივიდუალური მეწარმეები.¹⁴⁸

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია საქმიანობის ობიექტური შედეგია, რომელიც კლიენტების, კონტრაგენტებისა და პარტნიორების წარმოდგენაში უნიკალურ ინდივიდუალურ სახეს ქმნის,¹⁴⁹ ამასთან არამატერიალური სიკეთეების მსგავსად, ზოგადად „ხაზს უსვამს პირის ინდივიდუალობას და უნიკალურობას“.¹⁵⁰

თანამედროვე მკვლევარები მიიჩნევენ, რომ საქმიანი რეპუტაცია მრავალმხრივი და კომპლექსური კონცეფციაა, რომელიც შეიძლება ერთდროულად გულისხმობდეს უფლებაუნარიანობის ელემენტს, კანონით დაცულ სოციალურ სიკეთეს, ბიზნესის ინტერესს და უფლებას.¹⁵¹ ამავე დროს, მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ბიზნესის რეპუტაცია არა მხოლოდ იურიდიული, არამედ ეკონომიკური კატეგორიაა. ამდენად, ეკონომიკაში, საქმიანი რეპუტაცია განიხილება როგორც მისი თანამშრომლების, მომხმარებლების, პარტნიორების, კონკურენტების, მედიისა და საზოგადოების მიერ კომპანიის მიერ წარმოებული ფასეულობების, მისიის, ბიზნეს-სტრატეგიის, წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ყოვლისმომცველი აღქმა.¹⁵²

იურიდიულ პირს ეკუთვნის იურიდიული პირის ინდივიდუალიზაციის უფლება (უფლება საფირმო სახელწოდებაზე,

¹⁴⁶ Сахапов Ю.З., Деловая репутация субъектов предпринимательской деятельности в системе объектов гражданских прав и особенности ее гражданско-правовой защиты: Дис., Казань, 2007, 69-70.

¹⁴⁷ Килинкаров В.В., Право на деловую репутацию субъектов предпринимательской деятельности: Дис., СПб, 2011, 30. 29.

¹⁴⁸ Дьяченко Е.М., დასახელებული ნაშრომი, 197.

¹⁴⁹ Рясинцев В.А., Неимущественный интерес в советском гражданском праве, Ученые записки МЮИ. М., 1939. Вып. 1, 26-27; Никуличева Н.Ю., Право юридических лиц на деловую репутацию и ее гражданско-правовая защита: Дис., Новосибирск, 2004, 18.

¹⁵⁰ Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации: В 3 т., Под ред. Т.Е. Абовой и др. М., 2005. Т. 1, 150.

¹⁵¹ Никуличева, Н.Ю., დასახელებული ნაშრომი, 15.

¹⁵² Сухенко А.П., Деловая репутация как фактор капитализации промышленной компании: Автореф. Дис., М., 2006, 8.

სასაქონლო ნიშანზე, საქმიან რეპუტაციაზე). უფლება, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული პირის ავტონომიას (უფლება კომერციულ, სამსახურებრივ, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრების საიდუმლოებაზე, უფლება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე (გამოგონებები, პატენტები, სამრეწველო ნიმუშები და ა.შ.) ყველა ეს უფლება იურიდიული პირის არაქონებრივი სფეროს ხელშეუხებლობას უზრუნველყოფს, რომელსაც საქმიანი ურთიერთქმედების სფერო ეწოდება. ამ სფეროში შედის კონტაქტები საქმიან პარტნიორებთან, არსებულ და პოტენციურ ინვესტორებთან, კრედიტორებთან, პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების მომხმარებლებთან და ა.შ. საქმიანი რეპუტაცია, რომელიც მის საქმიან თვისებებზე საზოგადოების აზრს გამოხატავს ამ სფეროში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.¹⁵³

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია, იმ მნიშვნელობით, როგორც რუსულ და ქართულ კანონმდებლობაშია, ევროპულ ქვეყნებში არ არსებობს. ინგლისში საწარმოს არამატერიალური აქტივები გუდვილის ცნებაშია გაერთიანებული.¹⁵⁴

უკვე აღვნიშნეთ, რომ გუდვილისა და საქმიანი რეპუტაციის მიმართებაზე ქვემოთ, ცალკე პარაგრაფში, გვექნება მსჯელობა.

საფრანგეთში საწარმოს არამატერიალური ელემენტები აღინიშნება ტერმინით „achalandage“ (მომხმარებლის მოზიდვა), რომელიც უფრო ფართო ცნებაა ვიდრე, განსაკუთრებული უფლებები ან სამრეწველო საკუთრება და მოიცავს საწარმოს ფაქტიურ მდგომარეობას ბაზარზე, საწარმოს „შანსებს“-მიწოდების წყაროებს, საქონლის გასაღების შესაძლებლობებს, კლიენტურას ანუ საწარმოს საქმიან კონტაქტებს, მის რეპუტაციას.¹⁵⁵

ანგლო-ამერიკულ სამართალში ტერმინი „რეპუტაცია“ გამოიყენება ზოგადი მნიშვნელობით, აღნიშნულ გვარეობით ცნებაში შედის სამი სახის რეპუტაცია: ზოგადი (გენერალური), პროფესიული და საქმიანი (კომერციული სამეწარმეო). დიფამაციური სამართლის კონტექსტის შესაბამისად ტერმინის „რეპუტაცია“ და „კარგი სახელი“ გამოიყენება სინონიმური მნიშვნელობით. ამგვარად, ზოგადი (გენერალური) რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების კეთილგანწყობილი წარმოდგენა კონკრეტულ პირზე, მისი „კარგი სახელი“ ცნობილია საზოგადოებისთვის.¹⁵⁶ ზოგადი რეპუტაციის განმარტება ვრცელდება საქმიან რეპუტაციაზე, როგორც პროფესიული საზოგადოების კეთილგანწყობის გამოვლენა პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელი კარგი სახელის მქონე პირის მიმართ. Restatement (2nd) Torts 561-ე პარაგრაფის (ბ) ქვეპუნქტის თანახმად საქმიანი რეპუტაციის ზიანის არსი მდგომარეობის მისი მფლობელის უნარის დაზიანებაში, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ისარგებლოს

¹⁵³ Дьяченко Е.М., დასახელებული ნაშრომი, 198.

¹⁵⁴ Генкин Н.М., Гражданское и торговое право капиталистических государств, М., Госюриздат, 1949, 106-130.

¹⁵⁵ Арисов Н.Н., Французский гражданский кодекс 1804, М., Мысль, 1972, 31.

¹⁵⁶ ოსაკვე კ., დასახელებული ნაშრომი, 66.

ამავე საზოგადოების კეთილგანწყობით (interference with its activities by prejudicing its public estimation). საქმიანი რეპუტაცია არის საქმიან სფეროში მუდმივი მომხმარებლისა და მთლიანად საზოგადოების კეთილგანწყობა.¹⁵⁷

1.2.2. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ცნება სასამართლო პრაქტიკაში

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით „ზოგადი პრინციპების მიხედვით, კომერციული თუ არაკომერციული ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან აღძრან ცილისწამების სარჩელი თავიანთი კორპორაციული რეპუტაციის დასაცავად, რომელიც დიფამაციური განცხადებების შედეგად შეიძლება დაზარალდეს“.¹⁵⁸

როგორც აღინიშნა, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ცნება კანონმდებლობაში არ არსებობს, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში განიმარტება.

ერთ-ერთ საქმეზე¹⁵⁹ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ „საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება. პროფესია არის ხელობა, საქმიანობა, სპეციალობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება და რომლითაც ადამიანი თავს ირჩენს, ხოლო საქმიანი თვისებები, რომელთაც საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს, გააჩნია მათ, ვინც მონაწილეობს ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, საქმიანი რეპუტაციის შელახვა, რასაც მე-18 მუხლი ითვალისწინებს, მიმართული უნდა იყოს პირის მიერ განხორციელებულ (ან განსახორციელებელ) საქმიან ოპერაციებზე. ასეთი ხელყოფით პირს შეიძლება მიადგეს მატერიალური ზიანიც, ე.ი ხელიდან გაუშვას მოგება, დაეკარგოს კლიენტი და სხვა“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნულ განმარტებაში განვითარებული მსჯელობით საქმიან რეპუტაციაში იგულისხმება საქმიანი თვისება, რომელიც ვლინდება ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში, რაც არ გამორიცხავს როგორც კომერციული, ისე არაკომერციული იურიდიული პირების, სხვა სოციალური მახასიათებლების არსებობას.

სხვა საქმეზე¹⁶⁰ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქმიანი რეპუტაციის შელახვა სახეუა მაშინ, თუ გავრცელებული ცნობები ზეგავლენას ახდენს და ეწინააღმდეგება პირის მიერ შერჩეულ საკუთარ

¹⁵⁷ ოსაკვე კ., დასახელებული ნაშრომი, 66.

¹⁵⁸ სტილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, Steel and Morris v. the United Kingdom no. 68416/01, 17, &32.-<http://hudoc.echr.coe.int> > [07.02.2018].

¹⁵⁹ სუს გადაწყვეტილება, 18 ივლისი, 2001, №3კ/376-01.

¹⁶⁰ სუს გადაწყვეტილება, 30 სექტემბერი, 2015, ას-1052-1007-2014.

„საბაზრო სახეს“, ანუ კომერციულ შეხედულებას, რომლის დამკვიდრებაც იურიდიულ პირს სურს საზოგადოებაში და გავრცელებული ინფორმაცია მესამე პირებთან საქმიან ურთიერთობებში მას მარცხს განაცდევინებს“.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლით აღიარებულია გამოხატვის თავისუფლება.¹⁶¹ „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით დასტურდება, რომ ამ ნორმის მიხედვით, სუბიექტად აღიარებულია არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ იურიდიული პირებიც. ევროპული სასამართლოს განმარტებით, მე-10 მუხლი ვრცელდება „ყველაზე“, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე.¹⁶²

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე,¹⁶³ რომელიც შეეხებოდა გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე დავას ფიზიკურ პირებსა და იურიდიულ პირს შორის, არ გაიზიარა მოდავე მხარის მტკიცება, რომ ისეთ ძლიერ მრავალეროვნულ კომპანიას, როგორც „მაკდონალდსია“, პრინციპულად უნდა ჩამორთმეოდა დიფამაციური ბრალდებებისაგან თავდაცვის საშუალება, ანდა მოპასუხეებს არ უნდა დაკისრებოდათ გაკეთებული განცხადებების სიმართლის დამტკიცების ვალდებულება. სიმართლეა ის, რომ ძლიერი კომპანიები შეგნებულად და აუცდენლად იყენებენ თავს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მათი ქმედებები ღიაა ყოველმხრივი კრიტიკული განხილვისათვის... დასაშვები კრიტიკის ფარგლები ასეთ კომპანიებთან მიმართებით გაცილებით უფრო ფართოა.¹⁶⁴ თუმცა, სამეწარმეო პრაქტიკის თაობაზე ღია დებატების საზოგადოებრივ ინტერესთან ერთად, არსებობს კომპანიების კომერციული წარმატებისა და სიცოცხლისუნარიანობის დაცვის კონკურენტული ინტერესიც, ამასთან, არა მარტო ამ კომპანიების აქციონერებისა და თანამშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ფართო ეკონომიკური სიკეთის თვალსაზრისითაც. შესაბამისად, სახელმწიფო სარგებლობს შეფასების თავისუფლებით შიდა კანონმდებლობის საფუძველზე დაცვის საშუალებების უზრუნველყოფისას, რომელიც კომპანიას შესაძლებლობას ანიჭებს საკამათოდ გახადოს იმ განცხადებების სიმართლე, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებს მის

¹⁶¹ „ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება“. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 4 ნომბერი, მუხლი 10, 1950. <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi5>> [9.02.2018].

¹⁶² Autronic AG v Switzerland, 1990, §47. <<http://hudoc.echr.coe.int>> [07.02.2018].

¹⁶³ სტილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, Steel and Morris v. the United Kingdom no. 68416/01,&32. <<http://hudoc.echr.coe.int>> [07.02.2018].

¹⁶⁴ Fayed v. the United Kingdom, 1994. <<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-57890%22%5D%7D>> [07.02.2018].

რეპუტაციას, და შეამციროს ზიანი.¹⁶⁵ ამდენად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილია, რომ ცილისწამებასთან დაკავშირებით რეპუტაციის დაცვაზე სათანადო მხარედ შეიძლება მოგვევლინოს იურიდიული პირიც, თუმცა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ თავისუფლება, შიდა კანონმდებლობით დაარეგულირონ სამართლის სუბიექტის რეპუტაციის დაცვის საკითხი, როდესაც სადავო ხდება ცილისწამებიდან გამომდინარე ზიანი“.¹⁶⁶

ევროპულმა სასამართლომ ზემოთ მითითებულ ერთ-ერთ პრეცედენტულ საქმეზე,¹⁶⁷ სადაც მოსარჩელე-მრავალეროვნული კორპორაცია თავს იცავდა დიფამაციური ბრალდებებისგან საზოგადოებრივი საზრუნავის ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორც არის გასაკიცხი და ამორალური სამეურნეო საქმიანობა თუ დასაქმების პრაქტიკა, ტყეების გაჩეხვა, ბავშვებისა და მათი მშობლების ექსპლოატაცია აგრესიული რეკლამირების მეშვეობით და არაჯანმრთელი საკვების გაყიდვა, მიუთითა, რომ მოსარჩელე კორპორაცია, რომელიც დაამტკიცებდა, რომ მას შესაბამისი იურისდიქციის საფუძველზე ჰქონდა რეპუტაცია და დიფამაციურ პუბლიკაციას შეემლო ზიანი მიეყენებინა მისი პრესტიჟისათვის, ჰქონდა სრული საფუძველი წარედგინა სარჩელი, რაც მისთვის ზიანის ანაზღაურებას უზრუნველყოფდა. აღნიშნული მიუთითებს, რომ სასამართლომ რეპუტაციად კორპორაციის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული პრესტიჟი აღიარა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში¹⁶⁸ განმარტა, რომ პირის საქმიანი რეპუტაცია არის საქმიანი ბრუნვის სფეროში კონკრეტული პირის საქმიანი თვისებების, უნარების შესახებ შექმნილი აზრი. ასეთი აზრი საზოგადოებაში, სოციუმში ყალიბდება, რამაც შესაძლებელია განაპირობოს როგორც მისი სამომავლო წარმატება, ისე წარუმატებლობა.¹⁶⁹ ამდენად, ფიზიკური პირის საქმიან რეპუტაციაში შესაძლებელია მისი პატივი და ღირსება მოიაზრებოდეს,¹⁷⁰ ვინაიდან საქმიანი რეპუტაცია გათანაბრებულია კონკრეტული პროფესიის მქონე პირის ავტორიტეტთან.¹⁷¹

¹⁶⁵ markt intern Verlag GmbH and Klaus Beermann v. Germany, 1989. <<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22docname%22:%5B%22markt%20intern%20Verlag%20GmbH%20and%20Klaus%20Beermann%20v.%20Germany%22%5D,%22documentcollectionid%22:%5B%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-57648%22%5D%7D>> [07.02.2018].

¹⁶⁶ სუს გადაწყვეტილება, 30 სექტემბერი, 2015, ას-1052-1007-2014.

¹⁶⁷ სტილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, Steel and Morris v. the United Kingdom no. 68416/01,&32.<<http://hudoc.echr.coe.int>> [07.02.2018].

¹⁶⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 25 ივნისი, 2013, 28/696-13.

¹⁶⁹ ძლიერიშვილი ზ., სვანაძე გ., ცერცვაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., რობაქიძე ი., სახელმწიფოებრივი სამართალი, თბ., 2014, 669, მითითებულია: ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 121.

¹⁷⁰ სუს განჩინება, 1 დეკემბერი, 2005, ას-448-775-05, მითითებულია: ჯორბენაძე ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 121.

¹⁷¹ სუს განჩინება, 15 ნოემბერი, 2013, ას-378-359-2013, მითითებულია: ჯორბენაძე ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 121.

რუსეთის სასამართლო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში გადმოცემული ცნება სხვადასხვაგვარად განიმარტება. ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ საქმიანი რეპუტაცია არის მეწარმე სუბიექტის საქმიანი თვისებების, კეთილსინდისიერებისა და ლეგიტიმურობის შეფასება მასთან სამეწარმეო ურთიერთობებში მყოფი, ასევე პოტენციური კონტრაგენტების მიერ.¹⁷² სხვა საქმეში სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმიანი რეპუტაცია პირთა განუსაზღვრელი წრის დარწმუნებაა მეწარმის მიერ პარტნიორებთან გამოჩენილ საიმედოობაში, წესიერებასა და კომპეტენტურობაში.¹⁷³ ვფიქრობთ, მითითებული განმარტებები არ არის უნაკლო, რამეთუ ისეთი კატეგორიები როგორცაა შეფასება და დარწმუნება მეტად აბსტრაქტული და განუსაზღვრელი ცნებებია, ამასთან არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომ საქმიანი რეპუტაცია მხოლოდ პოზიტიური შინაარსისაა.

იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში ასევე მკვიდრდება საქმიანი რეპუტაციის, როგორც საზოგადოების მიერ ამა თუ იმ სამეურნეო სუბიექტის თვისებების მხოლოდ პოზიტიური ნიშნებით შეფასების ტენდენცია. მართალია საქმიანი რეპუტაციის ცნების შესახებ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ განმარტებაში საქმიანი თვისებების დადებითი შეფასების, როგორც აუცილებელი ელემენტის, შესახებ ხაზგასმული არ არის, მაგრამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოხსენებული განმარტების ზოგადი შინაარსიდან იკვეთება, რომ საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს ფასეულობებს, რომლის შელახვა ზიანის მომტანია სამეურნეო სუბიექტისათვის.¹⁷⁴ თუმცა საზოგადოებრივი აზრის მიერ დადებითი შეფასების, როგორც საქმიანი რეპუტაციის ცნებისა უცილებელი ელემენტის შესახებ, პოსტსაბჭოთა ქვეყნების იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც: მაგ. იგივე ანისიმოვის აზრით, საქმიანი რეპუტაცია არის პირის თვისებების (დადებითი თუ უარყოფითი) შესახებ საზოგადოებრივი აზრი.¹⁷⁵ ზინგილევსკი მიიჩნევს, რომ საქმიანი რეპუტაციაში მოიაზრება კეთილსინდისიერ მეწარმედ დადებითი შეფასება ქონებრივი ბრუნვის სხვა მონაწილეთა მიერ.¹⁷⁶

მე-18 მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტების მიხედვით საქმიანი რეპუტაცია წარმოადგენს სიკეთეს, რომლის დაცვის უფლება ეკუთვნის პირებს. ამ უკანასკნელში, როგორც აღვნიშნეთ, მოიაზრება პირი, როგორც გვარობითი კერძოსამართლებრივი ცნება, რომლის შინაარსში იგულისხმება, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.¹⁷⁷

¹⁷² Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 32.

¹⁷³ იქვე, 32.

¹⁷⁴ სუს გადაწყვეტილება, 18 ივლისი, 2001, 3კ/376-01.

¹⁷⁵ Зикрацкий С., დასახელებული ნაშრომი, 3.

¹⁷⁶ იქვე, 3.

¹⁷⁷ იქვე, 2.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია სამეწარმეო საქმიანობით იქმნება. საქმიანი რეპუტაცია ცვალებადია. დადებითი საქმიანი რეპუტაცია წლობით იქმნება, მაგრამ შეიძლება მოკლე დროში დაიკარგოს თავისივე ან მესამე პირების მიერ არასწორი მენეჯმენტით ან ყალბი ინფორმაციის გავრცელების გამო დისკრედიტაციით.¹⁷⁸

იურიდიული პირის საქმიანობის შეფასება შეიძლება დადებითი ან უარყოფითი იყოს. ამიტომ, ლოგიკურია, რომ დადებითი ან უარყოფითი საქმიანი რეპუტაციაც. აღნიშნულ დასკვნას ეკონომიკური საფუძველი აქვს. გავრცელებული თვალსაზრისით, იურიდიულ პირს აქვს პოზიტიური საქმიანი რეპუტაცია, როდესაც მისი აქტივების საბაზრო ღირებულება აღემატება საბალანსო ღირებულებას და უარყოფითი, როცა, პირიქით, აქტივების საბალანსო ღირებულება აღემატება საბაზრო ღირებულებას.¹⁷⁹

საქმიანი რეპუტაციის ჩამოყალიბებაზე სხვადასხვა ფაქტორები ახდენს გავლენას, რაც მათი საქმიანობის შეფასებას და საბოლოოდ საქმიან რეპუტაციას განსაზღვრავს. ეს ფაქტორები პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს.

- ა. წარმოება და არეალიზაცია. რაც ეფუძნება წარმოებულ და რეალიზებულ საქონელს და გაწეულ მომსახურებას, რადგან სწორედ წარმოებული და გაყიდული პროდუქტის შეფასება მომხმარებლის მიერ განაპირობებს ამ უკანასკნელის დამოკიდებულებას მწარმოებელთან ან მიმწოდებელთან.
- ბ. ორგანიზაციული. მას მიეკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება,¹⁸⁰ იურიდიული პირის დამფუძნებლის, აქციონერის, მონაწილის, ხელმძღვანელის რეპუტაცია.¹⁸¹

¹⁷⁸ Зикрацкий С., დასახელებული ნაშრომი, 3.

¹⁷⁹ იქვე, 3.

¹⁸⁰ ქონებრივი ვალდებულებები ხშირად იმის გამო კი არ სრულდება, რომ მოვალეს სასამართლო აღმასრულებლის ემინია, არამედ, არ სურს საქმიანი რეპუტაციის დაკარგვა. Покровский И.А., Основные проблемы гражданского права, Глава VII: Проблема нематериальных интересов, М., 2001.

¹⁸¹ Ломакин Д.В., Очерки теории акционерного права и практики применения акционерного законодательства. М., 2005, 70. ვერსალის 1919 წლის სამშვიდობო შეთანხმებით გერმანელ მეწარმე კრუპს აკრძალა იარაღის წარმოება. კომპანიის საქმიანობისა და მისი, როგორც მთავარი აქციონერის მიმართ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი ჩამოყალიბდა. აკრძალვის თავიდან აცილებისა და უარყოფითი რეპუტაციის განეიტრალების მიზნით კრუპმა შეისყიდა შვედური სამხედრო-მეტალურგიული კომპანია „ბოფოსის“ აქციები, რაც შვედეთის პარლამენტის მიერ მისი საქმიანობის გამოძიების საბაზი გახდა. როგორც ჩანს, კომპანიის აქციონერის რეპუტაცია, რომელიც კორპორატიული მართვის მეშვეობით ზემოქმედებს კომპანიის საქმიანობაზე, გავლენას ახდენს კომპანიის რეპუტაციაზე. მითითებულია: Тимерханов А.А., Деловая репутация юридического лица, Дис., М., 2012, 37.

გ. საზოგადოებრივ-სოციალური. მასში იგულისხმება იურიდიული პირის მონაწილეობა საქველმოქმედო საქმიანობაში, სოციალურ პროექტებში და ა.შ.¹⁸²

მითითებული ფაქტორების გამოყენებით შესაძლებელია საქმიანი რეპუტაციის ხელმყოფი არასწორი ინფორმაციის დიფერენცირება და განსაზღვრა რა შემთხვევაშია ასეთი ქმედებები სამართალდარღვევა.

სხვადასხვა სფეროში საქმიანობის შედეგად საქმიანი რეპუტაციის შექმნით იურიდიულ პირს აქვს დე-ფაქტო შესაძლებლობა გამოიყენოს იგი საკუთარი ინტერესებისათვის ყველაზე მისაღები საშუალებით. ერთ-ერთი ასეთი საშუალება მის მიერვე ან მესამე პირების მეშვეობით საკუთარი საქმიანობისა და ამ საქმიანობის შედეგების რეკლამირებაა. მოგების მისაღებად საქმიანი რეპუტაციის შექმნისა და გამოყენების მიზნით იურიდიული პირი მნიშვნელოვან ინვესტიციას ახორციელებს.¹⁸³

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დოქტრინაში არსებული მოსაზრებებისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით საქმიანი რეპუტაციის ცნება გულისხმობს იურიდიული პირის საქმიანი, საწარმოო, კომერციული თვისებების შესახებ დამკვიდრებულ საზოგადოებრივ აზრს.

1.3. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია და გუდვილი

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ცნების ჩამოყალიბება შეუძლებელია გუდვილზე მსჯელობის გარეშე, ვინაიდან საქმიანი რეპუტაცია და გუდვილი მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული.

უკვე აღინიშნა, რომ საქმიანი რეპუტაციის საკანონმდებლო განმარტება არ არსებობს, ასევე არ არის ნორმატიულად განმტკიცებული გუდვილის ცნება, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში ისინი მოიხსენიება.

ლიტერატურაში არსებული განმარტებით, „**გუდვილი** არის პრესტიჟი, რეპუტაცია, კეთილგანწყობა, კავშირები და სხვა აქტივები, რომლებიც არახელშესახები ღირებულების შეფასებას წარმოადგენს და რომლებსაც დამოუკიდებელი საბაზრო ღირებულება არ გააჩნია. სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს საქონლის „გუდვილის“ ნაწილს“.¹⁸⁴ სხვა განმარტებით, „**გუდვილი** ბიზნესის და მის კლიენტებთან კონტაქტების კარგი რეპუტაციაა (მაგ. იმ პროდუქციის სახელწოდება, რომელსაც იგი ჰყიდის ან კლიენტებისადმი თავაზიანი მიმართვა), პრესტიჟი, გუდვილი. პრესტიჟში შეიძლება შედიოდეს სავაჭრო რეპუტაცია, პატენტები, გამოყენებული სავაჭრო სახელწოდებები. „პრესტიჟული ადგილმდებარეობის“ ღირებულება

¹⁸² Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 37.

¹⁸³ Борзунова О.А., Хорошую репутацию нельзя потрогать, но можно обложить налогами, Налоговый вестник. 2009. №6, 115-118.

¹⁸⁴ ჯორბენაძე ს., ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1998, 71.

და სხვა. ეს არახელშესახები კაპიტალია და ამიტომ კომპანიის ანგარიშებში არ არის ნაჩვენები, თუკი არ ფიგურირებს, როგორც შექმნისას გადახდილი ფასის ნაწილი, როდესაც სხვა კომპანიას ყიდულობენ“.¹⁸⁵

„გუდვილი – არამატერიალური ქონებრივი სიკეთეა, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენციულ უპირატესობას ძლიერი ბრენდის, კარგი რეპუტაციის, ან თანამშრომელთა (საწარმოს მუშაკთა) საკუთარი საქმიანობისადმი მაღალი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებით. მფლობელი მას ასახავს საწარმოს საბალანსო მონაცემებში იმ თანხით, რომლითაც გუდვილის შექმნის ფასი აღემატება საწარმოს მატერიალურ აქტივებს“.¹⁸⁶ ამ განმარტებიდან ნიშანდობლივია, რომ გუდვილი განისაზღვრება სხვა არანაკლებ რთულად განსამარტავი კატეგორიების „ბრენდი“ და „კარგი რეპუტაცია“ მეშვეობით. მათ გარდა გუდვილს განაპირობებს საწარმოს მუშაკთა საკუთარი საქმიანობისადმი მაღალი პასუხისმგებლობა. აქ, უპირველესად, იგულისხმება მაღალი კვალიფიკაცია და ტექნოლოგიური დისციპლინა.¹⁸⁷ ბრენდის აღმნიშვნელი სამართლებრივი ტერმინი „სასაქონლო ნიშანია“, გუდვილის წარმოქმნაში დიდი ადგილი ბრენდს უკავია, რასაც მიზნად კარგი სახელის (რეპუტაციის) შექმნა აქვს.¹⁸⁸

„გუდვილი არის საწარმოს მიერ ხანგრძლივი საქმიანობის შედეგად შექმნილი დადებითი მახასიათებლების მეშვეობით, მოპოვებული უპირატესობა, რომელიც ყოველთვის არის ქონებრივი ღირებულების მატარებელი და რომელიც განუყოფელია თავად საწარმოსა და მისი ინდივიდუალიზაციის საშუალებებისაგან“.¹⁸⁹

„გუდვილი არის უპირატესობა და სარგებელი, რომელსაც მოიპოვებს საწარმო და რომლის მეშვეობითაც საწარმოს ღირებულება მისი კაპიტალის, აქციების, ფულადი სახსრების ანდა მთლიანად მისი ქონების ერთიან ღირებულებაზე უფრო მაღალია. ყოველივე ზემოაღნიშნული მუდმივი კლიენტების მხარდაჭერის შედეგია.

კარგი სახელი, რეპუტაცია, გამოცდილება, ნიჭი, ფასების კეთილგონივრულობა, სტაბილური და გავლენიანი პოზიცია ბაზარზე ხელს უწყობს დადებითი მახასიათებლების კომპლექსურ ჩამოყალიბებას. გუდვილი მოიცავს ყველაფერს, რაც ხელს უწყობს საწარმოს ღირებულების ზრდას“.¹⁹⁰

გუდვილში შედის ისეთი ობიექტები, როგორცაა: კომპანიის ფაქტიური მდგომარეობა ბაზარზე, საქმიანი კონტაქტები, კლიენტურა, თანამშრომელთა საქმიანი თვისებები, ინტელექტი, განათლება,

¹⁸⁵ ქოლინი პ., ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, თბილისი, 2002, 251.

¹⁸⁶ Business Dictionary.com, მითითებულია: მამუკაშვილი დ., ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი, თბ. 2014, 145.

¹⁸⁷ მამუკაშვილი დ., ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი, თბ., 2014, 145.

¹⁸⁸ იქვე, 145.

¹⁸⁹ გუგუშვილი გ., გუდვილი როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი და მისი ადგილი კონკურენტულ ურთიერთობებში, თბ., 2010, 173.

¹⁹⁰ იქვე, 36-37.

კვალიფიკაცია, სამუშაო პროცესის ორგანიზაციის უნარი, ასევე, ბიზნესის ადგილწარმოშობა, კომპანიის სახელწოდება, კონტრაქტები და ა.შ.¹⁹¹

„საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში მიიჩნევა, რომ რეპუტაცია წარმოადგენს გუდვილის მოპოვების ერთ-ერთ წინაპირობას. სწორედ ამიტომ, როდესაც საწარმოს მოპოვებული აქვს რეპუტაცია, ეს ავტომატურად არ გულისხმობს იმას, რომ საწარმოს გუდვილიც აქვს მოპოვებული. ერთ-ერთი ავტორის მოსაზრებით, თავისუფლად არის შესაძლებელი, რომ საწარმოს გააჩნდეს რეპუტაცია, მაგრამ არ ჰქონდეს მოპოვებული გუდვილი“.¹⁹²

„საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში სასამართლო პრაქტიკისა თუ ლიტერატურის ანალიზის შესაბამისად, შეუძლებელია გუდვილისა და რეპუტაციის ცნებებს შორის არსებული განსხვავებების სრულყოფილად გადმოცემა. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ არც სასამართლო გადაწყვეტილებებში და არც იურიდიული ლიტერატურაში არ არის მოცემული რეპუტაციის განსაზღვრება. გაურკვეველია, თუ რას მოიაზრებს ამ ტერმინში საერთო სამართალი. რაც შეეხება გუდვილს, საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში იგი ასოცირდება ყოველგვარ უპირატესობასა და სარგებელთან, რაც შეიძლება საწარმოს გააჩნდეს როგორც საკუთრივ ამ საწარმოს დადებითი მახასიათებლებიდან ისე მომხმარებელთა მხარდაჭერიდან გამომდინარე“.¹⁹³

ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში, პოზიტიური საქმიანი რეპუტაცია არის „goodwill“-ის (კეთილგანწყობის) ნაწილი და უარყოფითი საქმიანი რეპუტაცია ქმნის „bad will“-ს (ცუდი ნება). ეს უკანასკნელი მაშინ ყალიბდება, როდესაც კომპანიის (მისი აქციების 100%) საბაზრო ღირებულება რეალურ აქტივებზე დაბალია.¹⁹⁴

არსებობს მოსაზრება, რომ კომპანიის საქმიანი რეპუტაცია, „გუდვილის“ მსგავსად, მოიცავს ყველაფერს, რაც ბიზნესს ღირებულებას მატებს და მის ხარისხს განაპირობებს. კერძოდ, ადგილმდებარეობა, წარმოებული საქონლის ან გაწეული მომსახურების სახეები და ხარისხი, მომხმარებლების არსებობა, მესაკუთრის სახელი და სხვა ფაქტორები.¹⁹⁵

საქმიანი რეპუტაციისა და გუდვილის ცნებათა თანაფარდობის საკითხი არაერთგვაროვანია. ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ დოქტრინაშიც არ არსებობს ერთიანი მიდგომა გუდვილის განსაზღვრებისა განსასაზღვრი ობიექტი, სარგებელი (უპირატესობა) და შემოსავალი კარგი

¹⁹¹ Генкин Н.М., დასახელებული ნაშრომი, 106-130.

¹⁹² Bainbridge D., Intellectual property, Harlow, 2002, 640, მითითებულია: გუგეშაშვილი გ., დასახელებული ნაშრომი, 136.

¹⁹³ გუგეშაშვილი გ., დასახელებული ნაშრომი, 135.

¹⁹⁴ Charles J. Fombrun. Reputation: realizing value from the corporate image. Harvard. 1996,80.

¹⁹⁵ Гражданское право: Учебник: В 4 т. Том 3: Обязательственное право, Отв. ред. Е.А. Суханов. 3-е изд., перераб. и доп. М., 2005, 393-394.

სახელისა და რეპუტაციისაგან, კლიენტების მიმზიდველი ძალა, ერთადერთი რამ, რაც შემდგომ ბიზნესს ახალი ბიზნესისაგან განასხვავებს.¹⁹⁶

მესამე პირის მიერ შეძენილი საქმიანი რეპუტაცია აღირიცხება ბუღალტრულად, როგორც კომპანიის არამატერიალური აქტივი. კომპანიის საქმიანი რეპუტაციის მიჩნევა არამატერიალურ აქტივად ფართოდაა გავრცელებული როგორც ანგლო-ამერიკულ, ასევე, კონტინენტურ სამართლებრივ სისტემაში, კერძოდ, გერმანულ და ფრანგულ სამართალში.

საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში მიიჩნევა, რომ როდესაც სასაქონლო ნიშნის მფლობელი ითხოვს საკუთარი ნიშნის დაცვას, ქონება რომლის დაცვაც უნდა მოხდეს, არის არა ნიშანი, არამედ მის უკან მდგარი გუდვილი. სასაქონლო ნიშანი მხოლოდ და მხოლოდ მის სიმბოლოს წარმოადგენს.¹⁹⁷

„ევროგაერთიანების კანონმდებლობაში ტერმინს „რეპუტაცია“ ფაქტიურად იგივე მნიშვნელობას ანიჭებენ, რა მნიშვნელობითაც ტერმინი „გუდვილი“ გამოიყენება საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში. გამოდის, რომ რეპუტაცია აერთიანებს ყველა იმ მახასიათებელს, რაც გააჩნია გუდვილს საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში“.¹⁹⁸ ამიტომ ზოგიერთი ავტორის აზრით, საქმიანი რეპუტაციის ინგლისურენოვანი შესატყვისია გუდვილი, რომლის ერთგვაროვანი, საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია სამეცნიერო ლიტერატურაში არ გვხვდება.¹⁹⁹

კომპანიის არამატერიალური აქტივები, რომელიც ფინანსურ ანგარიშებში აისახება, იწოდება ტერმინით „გუდვილი“ (Goodwill). ეს უკანასკნელი განიმარტება, როგორც კომპანიის პრესტიჟი, საქმიანი რეპუტაცია, კონტაქტები, კლიენტები და კადრები, როგორც კომპანიის აქტივი, შეფასებული და შეტანილი სპეციალურ ანგარიშზე. მას დამოუკიდებელი საბაზრო ღირებულება არ აქვს.²⁰⁰ აღსანიშნავია, რომ გუდვილი უცხოურ მართლწესრიგში საქმიან რეპუტაციასთან ერთად მოიცავს სხვა კატეგორიებსაც, რომელიც კომპანიის სამეწარმეო საქმიანობის სავიზიტო ბარათია (მაგ. განათლება, კვალიფიკაცია, თანამშრომელთა პროფესიული უნარები, მათი შესაძლებლობები აითვისონ ახალი და დაწინაურდნის საშუალებები).²⁰¹

„გუდვილი“ საბუღალტრო ტერმინია, რომელიც ასახავს სიტუაციას, რომლის დროსაც ფირმა ყიდულობს სხვა კომპანიას მის წმინდა საბალანსო ღირებულებაზე მეტი ოდენობის ფასით. აღნიშნულ შემთხვევაში

¹⁹⁶ Griffiths A.W., Trade Mark Law and practice. London, 1930.

¹⁹⁷ Nims H.D., The Law of unfair competition and trade marks with chapters on goodwill, trade secrets..., New York, 1947, 81.

¹⁹⁸ გუგუშვილი გ., დასახელებული ნაშრომი, 141.

¹⁹⁹ პეპანაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ., წიგნი 1, მეორე გამოცემა, 2015, 250.

²⁰⁰ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები #38 (IFRS 2017), www.saras.gov.ge [2.02.2018].

²⁰¹ Ульянова О.А., დასახელებული ნაშრომი, 891-896.

ნებაყოფლობით გადახდილ დამატებით თანხას ეწოდება გუდვილი. როცა შესყიდვის ფასი ნაკლებია აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულებაზე გუდვილის ოდენობა უარყოფითი მნიშვნელობისაა. გუდვილი მიეკუთვნება არამატერიალურ აქტივებს, რომელიც აისახება საბალანსო ანგარიშგებაში. უარყოფითი გუდვილის ოდენობა საბუღალტრო ანგარიშგების შედგენისას შესაძლებელია მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწეროს მოგებიდან.²⁰²

ტერმინი „გუდვილი“ ეკონომიკური და საფინანსო ურთიერთობების მარეგულირებელ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში ბევრ ქვეყანაშია დამკვიდრებული. საწარმოს, როგორც ქონებრივი კომპლექსის, შეძენისას საქმიანი რეპუტაცია აისახება ბუღალტრული აღრიცხვისას არამატერიალურ აქტივებში. ამასთან, შეძენილი საქმიანი რეპუტაციის ღირებულება შეძენის თარიღის ბუღალტრული ბალანსის მიხედვით განისაზღვრება, როგორც სხვაობა შეძენის ფასსა და კომპანიის ვალდებულებებს შორის.²⁰³

ამერიკული პრაქტიკის მიხედვით, კომპანიის საქმიანი რეპუტაცია გუდვილის შემადგენლობაში, მისი ხარისხი და შეფასება აქციათა ნასყიდობის, ასევე კომპანიათა გაერთიანებისას ხელშეკრულებათა ნაწილია.²⁰⁴

გუდვილსა და რეპუტაციას ძალიან ხშირად სინონიმებად მიიჩნევენ. ამგვარი დამოკიდებულება შესაძლებელია აიხსნას იმით, რომ აღნიშნული ტერმინები ასახვას ჰპოვებენ სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში, თუმცა,

მათი გამოყენება ხდება ინტელექტუალური საკუთრების ერთსა და იმავე ობიექტებთან მიმართებაში, როგორცაა მაგ, სასაქონლო ნიშანი, გეოგრაფიული აღნიშვნა და სხვ. საქმიანი რეპუტაცია გუდვილის მოპოვების ხელშემწყობი ფაქტორია, თუმცა რეპუტაციისა და გუდვილის მოპოვების დრო, როგორც წესი არ არის დიდი ინტერვალით დაცილებული და მათი შემდგომი არსებობაც ერთდროულად გრძელდება. საერთოდ, ძალიან რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა მომენტიდან მოიპოვა საწარმომ თუ მისი ინდივიდუალიზაციის ამა თუ იმ საშუალებამ რეპუტაცია და როდის გახდა იგი გუდვილის მფლობელი.²⁰⁵

შესაბამისად, რთულია ამომწურავი პასუხი გაცემა იმაზე არის თუ არა გუდვილი და რეპუტაცია ერთი და იგივე ობიექტი, თუ მათ შორის არსებობს განსხვავება. საკმაოდ, პრობლემატურია იმის გარკვევა, გუდვილი და რეპუტაცია ერთდროულად არსებული ორი სხვადასხვა ობიექტია თუ ერთი და იგივე ობიექტის ორი განსხვავებული დასახელება.²⁰⁶

„საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში გუდვილი და რეპუტაცია სინონიმებად არ ითვლება“.²⁰⁷ „გუდვილი არამატერიალური ქონებრივი

²⁰² ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები #38(IFRS 2017), www.saras.gov.ge [2.02.2018].

²⁰³ Ульянова О.А., დასახელებული ნაშრომი, 891-896.

²⁰⁴ Martin. D. Ginsburg, Jack. S. Levin. Mergers, Acquisitions and Buyouts. NY, 2000. Vol. 3,275.

²⁰⁵ გუგუშვილი გ., დასახელებული ნაშრომი, 142, 174.

²⁰⁶ იქვე, 135, 175.

²⁰⁷ იქვე, 135.

სიკეთეა, ხოლო რეპუტაცია პირადი არაქონებრივი უფლება. შესაბამისად, გუდვილი გასხვისების საგანია, საქმიანი რეპუტაცია კი არა“.²⁰⁸

„გუდვილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტია, რომელიც ხელს უწყობს ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტების ეკონომიკურ სარგებლიანობას კონკურენტულ ურთიერთობათა პროცესში“.²⁰⁹

„გუდვილი ინტელექტუალურ უფლებათა მეტად თავისებური ობიექტია. ის ყველაზე უფრო არამატერიალური ხასიათისაა და დამოუკიდებლად არ არსებობს. ამასთანავე, გუდვილი არის ის, რასაც ინტელექტუალურ უფლებათა ნებისმიერი ობიექტი ქმნის, თუ ის სამოქალაქო ურთიერთობებში ირთვის, მაგრამ ყველაზე მეტად სასაქონლო ნიშანია ამ ობიექტის წარმომადგენელი. სასაქონლო ნიშნის გუდვილი ის საშუალებაა, რაც მეწარმეს უქმნის ხელსაყრელ საბაზრო მდგომარეობას, მათ შორის, ფასთა სხვაობით მიიღოს კონკურენტებზე მეტი შემოსავალი. სწორედ გუდვილია ის „რადაც“, რაც მომხმარებელს უბიძგებს, წარმოებული საქონელი გაცილებით უფრო მაღალ ფასად შეიძინოს, ვიდრე გაყალბებული ან მიმსგავსებული ნაწარმი“.²¹⁰

გუდვილი, როგორც ობიექტი, მოხსენიებულია არამარტო ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით, არამედ ზოგადი ხასიათის კანონებითაც. კერძოდ, როგორც საკუთარი ღირებულების აქტივი მისი აღრიცხვისა და ანგარიშგების წესს ადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსი.²¹¹

1.4. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის გამიჯვნა პატივის, ღირსებისა და სხვა არაქონებრივი სიკეთეებისაგან

„პირადი არაქონებრივი უფლების განმარტებას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა, მაგრამ იმ შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, რაც მას გააჩნია, შეიძლება ითქვას, რომ პირადი არაქონებრივი უფლება ისეთი სიკეთეა, რომელიც უზრუნველყოფს პირის ინდივიდუალურ თვითმყოფადობას და თავისუფლებას, არ გადაეცემა სხვას და არ არის გამოზნული საიმისოდ, რომ მის მფლობელს შეუქმნას მატერიალური კეთილდღეობა“.²¹² „არაქონებრივი სიკეთე მრავალგვარია. მაგ. ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე პირადი არაქონებრივი ფასეულობებია. პირადი არაქონებრივი უფლებებია ასევე: გადაადგილების თავისუფლების,

²⁰⁸ გუგუშვილი გ., დასახელებული ნაშრომი, 135.

²⁰⁹ იქვე, 36-37.

²¹⁰ მამუკაშვილი დ., დასახელებული ნაშრომი, 144.

²¹¹ იქვე, 144.

²¹² მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 184.

ადგილსამყოფელის ან საცხოვრებელი ადგილის არჩევის, სახელის ტარების, პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, საავტორო, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის, საკუთარი გამოსახულების დაცვის უფლება და ა.შ.²¹³

„ჯანმრთელობა ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობასთანაა დაკავშირებული და ამ უკანასკნელს მისი დაცვის მოთხოვნის უფლება კანონით მინიჭებული აქვს დაბადებისთანავე. სიცოცხლეს რაც შეეხება, იგი ისეთი ძირითადი არაქონებრივი ფასეულობაა, რომელიც განაპირობებს პიროვნებასთან დაკავშირებით ყველა სხვა უფლების არსებობას“.²¹⁴

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი §823 I იცავს სხეულს, სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, როგორც პიროვნებასთან უახლოესად მყოფ სფეროს. სხეული, სიცოცხლე და ჯანმრთელობა – ეს ის სიკეთეებია, რომლებიც გააჩნია იურიდიულ პირთა წევრებს, როგორც ცალკეულ ადამიანებს და არა როგორც გაერთიანების წევრებს ერთობლივად. სხეულთან, სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან კავშირი მხოლოდ მის წევრებს გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იურიდიულ პირებს გააჩნდეთ უფლება სხეულზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე.²¹⁵

სსკ-ის მე-18.2. მუხლში საქმიანი რეპუტაცია მოიხსენიება ისეთი არამატერიალური სიკეთეების გვერდით, რომლებსაც აქვთ როგორც წმინდა არაქონებრივი (პატივი და ღირსება, პირადი საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა), ისე არაქონებრივი და ქონებრივი ღირებულება (მაგ. პირის სახელი).

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს პატივისა და ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის საერთო წესს, მოცემულ სიკეთეებს განიხილავს ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოვლენებად.

ნაშრომის წინა პარაგრაფში საქმიანი რეპუტაცია განვმარტეთ, როგორც იურიდიული პირის საქმიანი, საწარმოო, კომერციული თვისებების შესახებ დამკვიდრებული საზოგადოებრივი აზრი და შეიძლება ითქვას, რომ ცნების ეს გაგება ერთმნიშვნელოვანია. შესაბამისად, საქმიანი რეპუტაციის ცნებას ამჟამად არ განვიხილავთ. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ საქმიანი რეპუტაციის ცნების შინაარსი განასხვავებს მას პატივისა და ღირსების ცნებისაგან, რომელიც მოიცავს, უპირველესყოვლისა პირის, როგორც სოციალური ურთიერთობების მონაწილის მორალურ თვისებებს.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ისმის კითხვა –რა ნიშნებით განსხვავდება ერთმანეთისაგან საქმიანი რეპუტაცია და პატივი და ღირსება და სამართლით დაცული სხვა არაქონებრივი სიკეთეები?

„ადამიანის ღირსება თანაარსია ადამიანისათვის, როგორც გონიერი, თავისუფალი ნებისა და პასუხისმგებლობის მქონე არსებისათვის.

²¹³ მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 184.

²¹⁴ იქვე, 184.

²¹⁵ Herbert L., დასახელებული ნაშრომი, 266-294.

შესაბამისად, ყველას უნდა გააჩნდეს სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, უსაფრთხოების, შესაძლებლობების გამოყენების, საქმიანობისა და სხვა უფლებები და ისინი არ ექვემდებარება პოზიტიური სამართლით გაუქმებას“.216 ცნება „ღირსება“ წარმოადგება ლათინური სიტყვისაგან „decus“, რაც ნიშნავს სიამაყეს, განსაკუთრებულობას, პატივისცემას, ზოგადი გაგებით, კი – ინდივიდუალობის პატივისცემის მზაობას.217

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. „ადამიანი სღირსების“ საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრება არ არსებობს. მას განიხილავენ ფილოსოფიურ, რელიგიურ, სამედიცინო და სამართლებრივ კონტექსტებში, თუმცა იგი ყოველთვის ეფუძნება ადამიანის, როგორც უმთავრესი ღირებულების, აღიარებას.218 „ტრადიციული გაგებით, ღირსება სხვადასხვა თვისებების ერთობლიობაა, თავად პირის მიერ ამ თვისებათა პატივისცემაა, ე.ი. ინდივიდის მიერ საკუთარი შესაძლებლობების, თვისებების (ღირსებათა) და ნაკლის, თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვითშეფასებაა (შინაგანი შეფასება)“.219 „ყოველ ადამიანს აქვს ღირსება. ეს ღირსება გამომდინარეობს ადამიანად ყოფნისაგან. იგი იმანენტურია ადამიანად ყოფნისათვის“.220 „ადამიანის ღირსება გააჩნია უკლებლივ ყველა ადამიანს. „ღირსება“ არ გააჩნიათ იურიდიულ პირებს. ადამიანის ღირსების ძირითადი უფლებით გარანტირებული დაცვა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე.221 მათ აქვთ რეპუტაციის დაცვის უფლება“.222

გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლი იცავს ადამიანის ღირსებას. ღირსების საფუძველს ფიზიკურ პირში წარმოადგენს ადამიანურობა, იგი არის მორალური ფასეულობა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანური არსების ცნებასთან. იურიდიულ პირთათვის ასეთი ფასეულობა არადაამახასიათებელია და ამ შემთხვევაში აღიქმება

²¹⁶ გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 108.

²¹⁷ Lebech M., What is Human Dignity? Maynooth Philosophical Papers, Maynooth, 2004, მითითებულია: ბიჭია მ., ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის რამდენიმე ასპექტი, საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“, მოხსენებები, თსუ, თბ., 2014, 81.

²¹⁸ გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 109.

²¹⁹ თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 48.

²²⁰ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., 2008, 93.

²²¹ იქვე, 93.

²²² გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 109.

როგორც მხოლოდ სამართლებრივი ტექნიკის განსახიერება.²²³ იურიდიული პირი არც ცოცხალი არსებაა თავისი ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე და არც პიროვნება ეთიკური გაგებით. მას არ გააჩნია ცნობიერება, მითუმეტეს თვითდაჯერებულობა, აგრეთვე სურვილი როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ეთიკური გაგებით და პიროვნებისათვის დამახასიათებელი ის თვისება, რომლითაც იგი თვითონ განსაზღვრავს ქმედების პასუხისმგებლობას მისკენ მიმართულ ბრძანებებში. ეს თვისება გააჩნია მხოლოდ ერთეულ ადამიანს.²²⁴

„ღირსების ქვეშ იგულისხმება პიროვნების მიერ საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, უნარის, საზოგადოების წინაშე მისი ვალის მოხდის, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება თავად პიროვნების მიერ. ამასთან, ეს თვითშეფასება ემყარება მორალური თუ სხვა თვისებების შეფასების საზოგადოების მიერ აღიარებულ კრიტერიუმებს. როგორც პატივი, ისე ღირსება უნდა ემყარებოდეს ფაქტებს, რომლებიც სინამდვილეს შეესაბამება“²²⁵.

„ღირსება პიროვნების იმანენტური თვისებაა-პიროვნების პატივის სუბიექტური შეგნება“.²²⁶

ამასთან, „შესაძლებელია პიროვნული უფლებების გავრცელება იურიდიულ პირებზეც, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კონკრეტული უფლების არსს. კერძოდ, თუ შესაბამისი უფლება უშუალოდ ადამიანის თვისებებიდან არ გამომდინარეობს. მაგალითად, „ადამიანის ღირსება“ განუყოფელი კატეგორიაა. ადამიანს სწორედ იმიტომ აქვს ღირსება, რომ ის ადამიანია. ასევე შეუძლებელია, მის გარდა სხვას, თუნდაც იურიდიულ პირს, ჰქონდეს ღირსება“.²²⁷

„ყოველ ადამიანს აქვს ესა თუ ის თვითშეფასება, ასე თუ ისე წარმოუდგენია თავისი ადგილი, მდგომარეობა საზოგადოებაში. მას აქვს საკუთარი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორი რეპუტაციით სარგებლობს. ამასთან, თავისებურად ესმის თავისი ღირსებები და ნაკლი და ის, თუ როგორ შეიძლება შეფასდეს ეს ღირსებები და ნაკლი სხვა ადამიანის, საზოგადოების მიერ. ეს არის სწორედ ადამიანის ღირსება, ე.ი. საკუთარი თვისებების (ღირსების) შინაგანი თვითშეფასება“.²²⁸

„სამართლის სისტემა ერთი მხრივ, უნდა შეეხოს გადაწყვეტილების მიღებას, რათა ადამიანის დაცვამ აბსოლუტური ხასიათი შეიძინოს. მეორე მხრივ, სამართლის სისტემით დადგენილია უკიდურეს შემთხვევებში, პირთა მიერ ეთიკური თვალსაზრისით საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა, რომელიც შეიძლება გარკვეულ გარემოებებში

²²³ Herbert L., დასახელებული ნაშრომი, 266-294,

²²⁴ იქვე, 266-294.

²²⁵ ნინიძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 18, წიგნი პირველი, თბ., 1999, 60.

²²⁶ ნინიძე თ., ცოცხალი ხატი ღირსებისა, ჟურნ. ეკონომიკისა და სამართლის სერია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., #3, 1987, 67.

²²⁷ კერესელიძე დ., დასახელებული ნაშრომი, 132.

²²⁸ თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 49.

სამართლის სისტემის საწინააღმდეგო ხასიათის იყოს“.²²⁹ „სამართალს შეუძლია ადამიანის ღირსება ექსტრემალურ შემთხვევებში განმარტოს, როგორც სავალდებულოდ დასაცავი“.²³⁰

ღირსებაზე საუბრისას მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ პიროვნებამ თვითონვე უნდა გააცნობიეროს თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ღირებულება, აქედან გამომდინარე ღირსების აღქმა დაკავშირებულია: მის აღზრდაზე, წარმომავლობაზე, რელიგიურ აღმსარებლობაზე, განათლებაზე, სოციალურ და სამსახურებრივ მდგომარეობაზე, გარემომცველ გარემოზე, სულიერი განცდების თავისებურებაზე და ა.შ. ანუ ყველაფერ იმაზე, რაც ხელს უწყობს პირს რეალურად შეაფასოს საზოგადოებაში მის მიმართ შექმნილი წარმოდგენა.²³¹

ადამიანის „პატივი“, თავისი შინაარსითა და ფასეულობით, განსხვავებულია ადამიანის ღირსებისაგან. „პატივი“ გულისხმობს საზოგადოების მხრიდან ადამიანის მორალური თუ სხვა კრიტერიუმებით შეფასებას. პატივი პიროვნების თვისებათა ღირსეული პატივისცემაა, უმწიკვლო რეპუტაციაა, კარგი სახელია, ე.ი. საზოგადოების, გარშემომყოფი ადამიანების მიერ ინდივიდის სოციალური შეფასება (გარეგანი შეფასება).²³²

„ადამიანის ღირსება“, როგორც ფასეულობა, მნიშვნელოვნად აღემატება „პატივის“ უფლებას, რომელიც, ფაქტობრივად, საზოგადოების თვალში ადამიანის რეპუტაციის დაცვას გულისხმობს. „პატივი“, ღირსებისაგან განსხვავებით, საქმიანი და მორალური რეპუტაციის გაგებით, გააჩნიათ იურიდიულ პირებსაც“.²³³

„ეთიკის მეცნიერებაში დამკვიდრებული განმარტების მიხედვით, პიროვნების პატივის ქვეშ იგულისხმება პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების საზოგადოებრივი შეფასება. პატივი პიროვნების ობიექტური შეფასებაა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნების მიმართ. პატივის დაცვა გულისხმობს ადამიანის უფლებას, უსამართლოდ არ იქნეს წარმოდგენილი საზოგადოებაში უარყოფით ჭრილში. პატივის პიროვნული უფლების ხელყოფის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია „უსამართლობა“. პირი ასეთ შეფასებას ობიექტურად არ უნდა იმსახურებდეს, ანუ საპირისპირო სურათი არ უნდა დასტურდებოდეს“.^{234/235}

²²⁹ პოშერი რ., ადამიანის ღირსება, როგორც ტაბუ, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #2(41) 14, 64. თარგმნა მ. ბიჭიამ.

²³⁰ იქვე, 14, 64.

²³¹ მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 198.

²³² თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 48.

²³³ გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 114.

²³⁴ კერესელიძე დ., დასახელებული ნაშრომი, 146.

²³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 18 ივლისის 3კ/376-01 გადაწყვეტილება.

„ფაქტობრივ-სოციალური თვალსაზრისით პატივი გვარეობითი ხასიათისაა და განიხილება, როგორც სოციალური პრესტიჟი, პატივისცემა, იმიჯი, რენომე, ანუ სოციალური მოვლენაა, რომელიც უკავშირდება პირის აღიარებას საზოგადოებაში. რაც შეეხება პატივის ნორმატიულ გაგებას, მასში მოიაზრება პიროვნულ ღირსებაზე დაფუძნებული ადამიანის შინაგანი ღირსება“.²³⁶

გერმანიაში განსხვავებული მიდგომა ჩამოყალიბდა პატივთან მიმართებით. მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ აღიარა იურიდიული პირის პატივი და, შესაბამისად, დასაშვებად მიიჩნია მისი სამართლებრივი დაცვა.²³⁷

პატივში იგულისხმება პიროვნების სოციალური და მორალური ფასეულობებიდან აღმოცენებული მოთხოვნა შესაბამის, ამ ფასეულობის შესატყვის ქმედებაზე. გასაკვირი არ არის, რომ ფიქციის თეორიის მიმდევრები იურიდიულ პირებს პატივის უფლებას ართმევდნენ: არ შეიძლება პატივი დაიმსახუროს რაღაც არარსებულმა და მხოლოდ ფიქციურმა.²³⁸

„საზოგადოებრივი დავალების“ მოთხოვნიდან გამომდინარე, პატივის დაცვის უფლებით რეალურად მხოლოდ ის პირთა გაერთიანებები სარგებლობდნენ, რომელთაც გააჩნდათ მეტ-ნაკლებად გამოხატული პოლიტიკური წონა ან საჯარო-სამართლებრივი ხასიათი. კერძომესაკუთრებრივი მიზნები გაერთიანების პატივისუნარიანობას არ გამორიცხავს. თუკი პატივის საფუძველს სოციალური ღირებულებების დაცვა წარმოადგენს, მაშინ შეუძლებელია კერძო და საზოგადოებრივი სტრუქტურების ერთმანეთისგან განსხვავება.²³⁹ ისევე როგორც საჯარო, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირები წარმოადგენენ სოციალურ ერთეულებს, რომელთაც გააჩნია თავიანთი ორგანიზაციის მიერ ჩამოყალიბებული საერთო სურვილები და ასრულებენ სამართლებრივად აღიარებულ საზოგადოებრივ ფუნქციას. გაერთიანება თავისი წევრების საერთო სულიერ მდგომარეობასთან დამოკიდებულებით მოიპოვებს ისეთ პატივს მესამე პირის თვალში, რომელიც დამოუკიდებელია მისი შემქმნელი ცალკეული პირების მოქმედებისგან. იურიდიული პირის პატივი მდგომარეობს სოციალურ მნიშვნელობაში, რომელიც ცალკეულმა წევრმა დამოუკიდებლად მოიპოვა გარემოში აღნიშნული სამართლებრივი და მორალური მოვალეობების აღსრულებით.²⁴⁰ საყვედურები, რომელიც ეხება იმ ქმედებას, რომელზეც პასუხისმგებელია გაერთიანების ნება, მათ მსგავსად მიმართულია წევრებისადმი, ანუ გაერთიანებისადმი. აქედან გამომდინარე,

²³⁶ ბიჭია მ., ღირსების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის რამდენიმე ასპექტი, საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“, მოხსენებები, თსუ, თბ., 2014, 83.

²³⁷ კერესელიძე დ., დასახელებული ნაშრომი, 132.

²³⁸ Herbert L., დასახელებული ნაშრომი, 266-294.

²³⁹ იქვე, 266-294.

²⁴⁰ იქვე, 266-294.

იურიდიული პირები იმსახურებენ როგორც ზოგად მორალურ, აგრეთვე განსაკუთრებულ პროფესიულ და საქმიანობრივ პატივს. გერმანელი ავტორების აზრით, შესაძლებელია და აუცილებელია სამოქალაქო კოდექსის §824-სა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონის §14-ის იურიდიულ პირებზე მორგება. იურიდიულ პირთა შემთხვევაში სოციალური მნიშვნელობა ხშირად ზეგავლენას ახდენს მათ ეკონომიკურ რეპუტაციაზე.²⁴¹ ამდენად, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებებისაგან განსხვავებით, გერმანელი ავტორი მიიჩნევს, რომ პატივის იურიდიული ცნება არის ზოგადი ცნება, რომლის შინაარსი მოიცავს სუბიექტის როგორც ზნეობრივ, ისე საქმიან მახასიათებლებს და იგი შეიძლება იურიდიულ პირსაც გააჩნდეს.²⁴²

ცნობილი ქართველი კრიმინალისტები თ. წერეთელი, ვ. მაყაშვილი და თ. შავგულიძე მიიჩნევენ რომ, პატივი და ღირსება ადამიანის მნიშვნელოვანი, თანაც მეტად სათუთი სიკეთეა. პატივი წარმოადგენს პიროვნების ინტელექტუალური მორალურ-პოლიტიკური თვისებების შეფასებას განსაზღვრულ საზოგადოებრივ წრეში, რომელშიც მიმდინარეობს ამ ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა. ღირსება კი წარმოადგენს ადამიანის მიერ მისი საკუთარი ინტელექტუალური და ზნეობრივ-პოლიტიკური თვისებების შეგნებას.²⁴³ რუსი ცივილისტის მალეინას აზრით, დასახელებულ ფასეულობათა შინაარსი მოიცავს პატივისა და ღირსების ფლობისა და შეცვლის უფლებამოსილებათა ერთობლიობას, რაც გულისხმობს პირის შესაძლებლობას, მესამე პირის დახმარების გარეშე, საზოგადოების თითოეული წევრისაგან მოითხოვოს არ დაარღვიონ კანონით დაცული მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.²⁴⁴

კ. იაროშენკო მიიჩნევს, რომ პატივი და ღირსება მონათესავე ცნებებია და მათ შორის სხვაობა განპირობებულია მათდამი სუბიექტური ან ობიექტური მიდგომით.²⁴⁵

პატივზე წარმოდგენა ყალიბდება ფიზიკურ პირთა ერთმანეთთან შედარების პროცესში, რის გამოც საზოგადოებრივი შეფასება არ არის დამოკიდებული შესაფასებელი პირის ნებაზე, რადგან პატივი საზოგადოების კონტროლქვეშ ყალიბდება და თვით საზოგადოება ქმნის წარმოდგენას პიროვნებაზე; პატივისგან განსხვავებით, ღირსება საზოგადოებრივ შეფასებაზე დაფუძნებული თვითშეფასებაა. ორივე მათგანს საფუძვლად უდევს სოციალურ, მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმები და ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ, თუმცა მათი გაიგივება არ შეიძლება, ვინაიდან თუ პატივი პირის საზოგადოებრივი შეფასებაა და ამდენად მეტი

²⁴¹ Herbert L., დასახელებული ნაშრომი, 266-294.

²⁴² იქვე, 266-294.

²⁴³ მაყაშვილი მ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე თ., „დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ“, თბ., 1980, 168.

²⁴⁴ Маленина М., Личные неимущественные права граждан., М., 2001, 137.

²⁴⁵ Ярошенко К.Б., Гражданско-правовая защита чести и достоинства граждан. Проблемы совершенствовання советского законодательства. М., 1989, 83.

პრეტენზია გააჩნია ობიექტურობაზე, ამას ვერ ვიტყვით ღირსებაზე, რომელშიც მთავარია სუბიექტური მომენტი, ანუ თვითშეფასება.²⁴⁶

„პატივი, ფიზიკური პირის სოციალური მდგომარეობისა და მორალური თვისებების საზოგადოებრივი შეფასებაა, ხოლო ღირსება მათი საზომი. ისინი ერთმანეთთან ახლო მდგომი, კონსტიტუციით დაცული ხელშეუვალი სიკეთეებია. განსხვავება მდგომარეობს მათდამი სუბიექტურ ან ობიექტურ მიდგომაში, კერძოდ გარშემომყოფთა დადებითი შეფასების შემთხვევაში სახეზეა პატივი, თვითშეფასებისას კი ღირსება“.²⁴⁷

„სამართლისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, რას ფიქრობს ადამიანი საკუთარ თავზე, როგორ აფასებს საკუთარ თავს, ვიდრე არ დადგინდება საზოგადოების შეფასებასთან თვითშეფასების შესაბამისობა. სამართლისათვის მნიშვნელობა აქვს ინდივიდის იმ თვითშეფასებას, რომელიც ასე თუ ისე ემთხვევა მის საზოგადოებრივი შეფასებას. სწორედ თანხვედრის ეს ხარისხი ექვემდებარება დაცვას, მათ შორის, სასამართლო წესით დაცვას“.²⁴⁸

„ფაქტობრივად გამოდის, რომ ინდივიდის სოციალური (გარეგანი) შეფასება დაცვას ექვემდებარება სრული მოცულობით, შინაგანი შეფასების დაცვა კი ხდება იმ დოზით (იმ ხარისხით), რითაც ის ემთხვევა გარეგან შეფასებას, რადგან მისი დაცვა ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სწორედ ასევე აფასებს ადამიანის თვისებებს (ღირსებას) საზოგადოება“.²⁴⁹

საქმიანი რეპუტაცია ზოგადი ცნების „რეპუტაცია“ კერძო შემთხვევაა, რომელიც მეტად ემსგავსება პატივის ცნებას. რამეთუ ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, განიმარტება როგორც საზოგადოებრივი აზრი ადამიანის დადებით თვისებებზე. თუმცა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ამ საკითხის განსხვავებული ინტერპრეტაცია. **კერძოდ, პ. მონიავა მიიჩნევს, რომ საქმიანი რეპუტაციის ცნება იურიდიულ პირებთან მიმართებით უფრო ფართო ცნებაა და იურიდიული პირის პატივისა და ღირსების ცნებასაც მოიცავს.**²⁵⁰ ავტორი თავის ამ მოსაზრებას ადასტურებს სსკ-ის 27-ემუხლის მე-5 ნაწილზე მითითებით, სადაც ნათქვამია, რომ იურიდიული პირის რეპუტაციის შელახვის შემთხვევა უნდა მოწესრიგდეს სსკ-ის მე-18 მუხლით.

მიგვაჩნია, რომ ავტორისეული ინტერპრეტაცია არ გამომდინარეობს მე-18 და 27-ე მუხლების იურიდიული შინაარსიდან შემდეგი გარემოებების გამო: ჯერ ერთი, მე-18 მუხლი მიუთითებს პატივისა და ღირსებაზე და საქმიან რეპუტაციაზე, როგორც ერთმანეთისაგან შინაარსობრივად დამოუკიდებელ ცნებებზე, სამართლით დაცულ სხვადასხვა ობიექტზე, რაც გამოიხატება ერთმანეთისაგან განსხვავებული ტერმინებით. მეორე, სსკ-ის 27-ე მუხლი

²⁴⁶ მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 198.

²⁴⁷ იქვე, 198.

²⁴⁸ თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 49.

²⁴⁹ იქვე, 49.

²⁵⁰ მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 345.

განსაზღვრავს კერძო სამართლის იურიდიული პირის ერთ-ერთი სახის-არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორი პირადი არაქონებრივი სიკეთის-სახელწოდების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლებებს. ამასთან, სახელწოდების დაცვასთან დაკავშირებით მიუთითებს სსკ-ის მე-17 მუხლით გათვალისწინებული სახელის უფლების დაცვისაგან განსხვავებულ წესზე. რაც შეეხება საქმიანი რეპუტაციის დაცვას, სსკ-ის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტი შეიცავს მითითებით ნორმას, რომლის თანახმად იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესები.²⁵¹ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ერთი არამატერიალური სიკეთის, მოცემულ შემთხვევაში-საქმიანი რეპუტაციის, შელახვის შემთხვევაში გამოიყენება სხვა არაქონებრივი, არამატერიალური სიკეთეების (პატივის, ღირსების, სახელის, პირადი ხელშეუხებლობის) დაცვის წესები. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქმიანი რეპუტაციის დარღვევის შედეგად წარმოშობილი ურთიერთობის მიმართ გამოიყენება მოცემული კანონით გათვალისწინებული წესები, რომლითაც უშუალოდ მოწესრიგებულია სხვა სიკეთეთა ხელყოფის შედეგად წარმოშობილი ურთიერთობები. სსკ-ის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილში მოცემულია პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის ამკრძალავი, უფრო სწორედ, ასეთი შელახვის შედეგად გამოწვეული თანმდევი ქმედების განეიტრალებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.²⁵²

ზემოთ აღინიშნა, რომ „გარკვეული უფლებები იურიდიულ პირს მხოლოდ მოდიფიცირებული სახით აქვს. კერძოდ, ფიზიკური პირის პატივისა და საზოგადოებრივი „იმიჯის“ დაცვა ცალკე აღებული ინდივიდის პიროვნებას უკავშირდება. იურიდიული პირის შემთხვევაში კი ხდება მასში გაერთიანებული ინდივიდების პატივისა თუ საზოგადოებრივი სახის დაცვა ერთობლიობაში, ანუ ყველა მათგანისა ერთობლივად და არა ცალკეული მათგანისა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად“.²⁵³

²⁵¹ 27-ე მუხლის მეხუთე ნაწილი იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით კრიტიკას ვერ უძლებს. ჯერ ერთი, აღნიშნული ნორმის შინაარსი არ შეესაბამება სსკ-ის 27-ე მუხლის სათაურს. (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება). მეორე, განსაზღვრავს ზოგადად იურიდიული პირის ერთ-ერთ უფლებას, მაშინ როცა მუხლი, რომლის ნაწილსაც იგი შეადგენს, წარმოადგენს სპეციალურ ნორმას იურიდიული პირის მხოლოდ ერთ-ერთი სახეობის-არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესახებ; ამდენად, 27-ე მუხლის მე-5 ნაწილში გათვალისწინებული ნორმის ადგილი კოდექსის ტექსტში არასწორადაა განსაზღვრული. გარდა აღნიშნულისა მითითებული ნორმა არსებითადაც ზედმეტია, რადგან ახალს არაფერს შეიცავს მე-18 მუხლის შინაარსთან შედარებით. მითითებულია: ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2012, 242-244.

²⁵² ბურდული ი., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 27, წიგნი პირველი, თბ., 2017, 211.

²⁵³ კერესელიძე დ., დასახელებული ნაშრომი, 166. (იურიდიული პირის პატივის დაცვასთან დაკავშირებით, შემდგომი მითითებით იხ. 1974, 1762 და BGH, NJW 1975, 1882, 1883).

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში²⁵⁴ დაუსაბუთებლად მიიჩნია სააკველაციო სასამართლოს დასკვნა იურიდიული პირის პატივის შელახვის თაობაზე საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით.²⁵⁵ საკასაციო პალატამ ამ საქმეში განმარტა, რომ იურიდიულ პირს არ გააჩნია მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორცაა პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ასევე, მორალურ განცდებთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

საკონსტიტუციო სასამართლომ მე-17 მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უფლება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია, როდესაც განიხილავდა სსკ-ის მე-18 მუხლის კონსტიტუციურობას.²⁵⁶

ამავე საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 1999 წლის კომენტარებზე და განმარტა კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული პატივისა და ღირსების არი: „პატივის“ ქვეშ იგულისხმება პიროვნების მორალური და სხვა თვისებების ობიექტური შეფასება საზოგადოების მიერ, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნების მიმართ. ხოლო „ღირსების“ ქვეშ იგულისხმება პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების შეფასება თავად პიროვნების მიერ“.²⁵⁷ პატივისა და ღირსების ცნებების განმარტების აღნიშნული სამოქალაქო-სამართლებრივი საფუძველი უარყოფილია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე „მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.²⁵⁸

საქმეში „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ღირსება არის არა მხოლოდ უფლება, არამედ ამავე დროს ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება სხვა ძირითადი კონსტიტუციური უფლებები. სასამართლომ განაცხადა, რომ „ღირსების ხელყოფა, ფაქტიურად, ყოველთვის უკავშირდება სხვა ძირითადი უფლების ან უფლებების

²⁵⁴ სუს გადაწყვეტილება, 30 სექტემბერი, 2015, ას-1052-1007-2014.

²⁵⁵ სუს გადაწყვეტილება, 21 დეკემბერი, 2001, 3კ/924-01.

²⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.3.

²⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.3.

²⁵⁸ ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბ., 2013, 87.

დარღვევას“.²⁵⁹ „ღირსებას „შესწევს უნარი“ მოიცვას სხვა პიროვნული უფლებაც.²⁶⁰ ასე, მაგალითად, ღირსების შელახვით შესაძლებელია პირს შეელახოს საქმიანი რეპუტაცია და სასარჩელო მოთხოვნა სწორედ ამ ორი უფლების ერთდროულად დაცვის მიზნით დააყენოს“. „აღნიშნული მოსაზრება შესაძლებელია მსჯელობის საგნად იქცეს, თუმცა ის, რომ ღირსების უფლება ასეთ ხარისხშია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აყვანილი, მის სამართლებრივ მნიშვნელობასა და სტატუსზე უთითებს, ვინაიდან სწორედ ამ გადაწყვეტილებით მოხდა სამოქალაქოსამართლებრივ დონეზე ღირსების უფლების განმარტების გამიჯვნა საკონსტიტუციო-სამართლებრივი მოწესრიგებისგან“.²⁶¹

„ეთიკური გაგებით, ღირსება თვითშეფასების მოთხოვნის უფლებაა, რომელიც ფულადი ფორმით ვერ გამოითვლება. ამასთან, ღირსებას უნივერსალობის გამო შესწევს უნარი მოიცვას სხვა პიროვნული უფლება, რის გამოც სამოქალაქოსამართლებრივი დაცვისას, გარდა ღირსების დამცავი ნორმისა, ამოქმედდება იმ პიროვნული უფლების უზრუნველყოფი ნორმაც, რომელიც ასევე შეილახა. ეს შეიძლება შეეხოს, მაგალითად პატივის, საქმიანი რეპუტაციის, სახელის, გამოსახულების, პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებებს. თუმცა ეს არ ნიშნავს ამ სიკეთეების სამართლებრივი დაცვის უფლებელყოფას“.²⁶²

ღირსებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი მიდგომა არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული „ღირსება“ გამორიცხულია კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული სფეროდან.²⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ კონსტიტუციით დაცულია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული პატივისა და ღირსების უფლებაც, რადგან შეუძლებელია ღირსების უფლების ამომწურავად განმარტება თავად „ღირსების“ ცნების ფართო შინაარსის გამო. თუმცა, სასამართლომ აქ კიდევ ერთხელ მიუთითა ღირსების უფლების შინაარსის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაგების შესახებ, რომელიც განსხვავდება ამ ცნების სამოქალაქო-სამართლებრივი გაგებისაგან. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: „ღირსება ვერ იქნება გაგებული როგორც

²⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ. II.3.4.

²⁶⁰ ბიჭია მ., ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის რამდენიმე ასპექტი, საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“, მოხსენებები, თსუ, თბ., 2014, 84.

²⁶¹ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, I ნაწილი, მე-18 მუხლი, 2017, 119.

²⁶² ბიჭია მ., ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის რამდენიმე ასპექტი, საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“, მოხსენებები, თსუ, თბ., 2014, 84.

²⁶³ ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., დასახელებული ნაშრომი, 87.

სუბიექტური სიკეთე, რომელიც განსხვავდება ყოველი ადამიანისთვის. ღირსების უფლების ასეთი გაგება წინააღმდეგობაში მოვიდოდა თავად უფლების ცნებასთან, რადგან „უფლებად“ ვერ ჩაითვლება ის სიკეთე, რომლის ფარგლები განსხვავდება სხვადასხვა ადამიანისთვის მათი სუბიექტური შეხედულებების გამო. უფლება თავისთავად გულისხმობს ადამიანის იმ ინტერესს, რომელიც გარკვეული ხარისხით უნივერსალობისა და ობიექტურობის კრიტერიუმს აკმაყოფილებს“.²⁶⁴

საქმეში „საქართველოს მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არის აბსოლუტური უფლებები, რომლებიც შეზღუდვას არ ექვემდებარება. ზუსტად ასეთ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის უფლება. ამ უფლების უზრუნველმყოფელი მე-17 მუხლი, სხვა მუხლებისგან განსხვავებით, არ მოიცავს დათქმას მისი შესაძლო შეზღუდვის თაობაზე. ეს უფლება არ არის ასევე მოხსენიებული საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებებს შორის, რომელთა შეზღუდვა დაიშვება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.²⁶⁵

„ღირსებას შეუძლია სხვა პიროვნული უფლება მოიცვას და უზრუნველყოს დაცვით, რაც განსაკუთრებით ფართო ხასიათს ატარებს კერძო სამართალში, მით უფრო თუ დაცვის კერძო სამართლებრივი ხერხები იქნება გათვალისწინებული (სსკ-ის მე-18 და 992-ე მუხლები). ამდენად, ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა, კონსტიტუციურ სამართლებრივთან შედარებით, ფართო ხასიათისაა“.²⁶⁶

„გერმანიისა და საქართველოს სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე დადგინდა, რომ ადამიანის ღირსებასთან აზრის გამოხატვის თავისუფლების კონფლიქტის დროს აზრის გამოხატვის თავისუფლებამ ყოველთვის უკან უნდა დაიხიოს (შეიზღუდოს)“.²⁶⁷

„ღირსების დაცვის უფლება არის პირადი უფლება, ხოლო ღირსება უნდა განიხილებოდეს სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის ობიექტად“.²⁶⁸

²⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის 1/3/421.422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.3.4.

²⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.I.

²⁶⁶ ბიჭია მ., ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის რამდენიმე ასპექტი, საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“, მოხსენებები, თსუ, თბ., 2014, 89

²⁶⁷ გოცირიძე ე. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 28-29.

²⁶⁸ ბიჭია მ., ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის რამდენიმე ასპექტი, საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“, მოხსენებები, თსუ, თბ., 2014, 86

„სსკ-ის მე-17 მუხლის მიხედვით სახელის უფლება, ამ ნორმის მიზნებისათვის, არის ისეთი უფლება, რომელიც იძლევა პიროვნების ინდივიდუალიზაციის უზრუნველყოფის საშუალებას“.²⁶⁹

განსხვავებით სახელისგან, იურიდიული პირის იდენტიფიკაციის საშუალებას სახელწოდება წარმოადგენს.²⁷⁰ იგი განხილულ უნდა იქნეს იურიდიული პირის დასახელების ან კონკრეტული ბრუნვაუნარიანი პროდუქტის, ასევე კონკრეტულ სფეროში არსებული ობიექტის გამიჯვნის საშუალებად.²⁷¹

სახელის უმთავრესი ფუნქციაა მოქალაქის ან ორგანიზაციის ინდივიდუალიზაცია. ამით იგი შეუძვლელ სამსახურს უწევს საზოგადოებას. სახელი სოციალური მოვლენაა, საზოგადოება კარნახობს ადამიანს მისი არჩევის აუცილებლობას.²⁷²

იურიდიული პირის სახელწოდებას მოქმედი კანონმდებლობა საფირმო სახელწოდებად მიიჩნევს და მოწესრიგებულია როგორც სსკ-ის 27-ე მუხლით, ისე მეწარმეთა შესახებ კანონის მე-6 მუხლით. საფირმო სახელწოდება იურიდიული პირების იდენტიფიკაციის, მათი თავისთავადობის დადგენის საშუალებაა.²⁷³

სამოქალაქო სახელისაგან განსხვავდება ე.წ. სავაჭრო ანუ კომერციული სახელი, რომელსაც მეწარმეები თავიანთი საწარმოს აღსანიშნავად იყენებენ. მას სამეწარმეო სახელი ან ფირმაც ეწოდება.²⁷⁴ ფირმის მნიშვნელობა დიდია ორგანიზაციის საზოგადოებრივი შეფასების ინდივიდუალიზაციაში, ე.ი. საწარმოს რეპუტაციის, ღირსების ჩამოყალიბება-განმტკიცებაში.²⁷⁵

თანამედროვე სამოქალაქო სამართალში გავრცელებული შეხედულების თანახმად, სახელის უფლება პირადი და აბსოლუტური უფლებაა.²⁷⁶

სამოქალაქო სამართლის მეცნიერებისთვის არც სხვა შეხედულებაა უცხო. კერძოდ, ბოლო პერიოდის კვლევებში გავრცელებულია აზრი, რომ სახელის უფლება არამატერიალურ ქონებრივ უფლებებს განეკუთვნება, განსაკუთრებით კი კომერციული ურთიერთობების სფეროში.²⁷⁷ არსებობს

²⁶⁹ მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 186.

²⁷⁰ ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მუხ. 6, 2003, 98.

²⁷¹ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, მე-17 მუხლის კომენტარი, თბ., 2017, 93.

²⁷² ნინიძე თ., სახელის უფლების შინაარსი, ჟურნ. საბჭოთა სამართალი., #1, 1976, 29.

²⁷³ ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, მე-6 მუხლის კომენტარი, 2003, 98.

²⁷⁴ ნინიძე თ., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 17, 2001, 53.

²⁷⁵ ნინიძე თ., სახელის უფლების შინაარსი, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, თბ., #1, 1976, 36-39.

²⁷⁶ ნინიძე თ., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 17, 2001, 52.

²⁷⁷ Hopt in Baumbach Adolf, Hopt Klaus J., Kurzkommentar zum Handelsgesetzbuch, 33. Aufl. Beck: München, 2008, § 17, Rn. 5. (Baumbach/Hopt Kurzkommentar zum HGB), მითითებულია: ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 199.

ასევე სახელის უფლების დიფერენცირების მცდელობა. კერძოდ, ერთ შემთხვევაში სახელის უფლება არის წმინდა პირადი არაქონებრივი უფლება, ხოლო სხვა შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი საქმიან (კომერციულ) ურთიერთობებში გამოიყენება, არამატერიალური ქონებრივი უფლება, ე.ი. ხაზს უსვამენ სახელის შესაძლო ორგვარ ბუნებას.²⁷⁸

„სახელის უფლების განხილვამ პირად არაქონებრივ უფლებად არ უნდა შეუშალოს ხელი მის აღიარებას არამატერიალურ ქონებრივ უფლებადაც განსაკუთრებით მაშინ, როცა სახელი კომერციულ ურთიერთობაში გამოიყენება“.²⁷⁹

კომერციულ ურთიერთობებში არის შემთხვევები, როცა ადამიანის სახელი გადაცემაუნარიანია, ე.ი. იგი შეიძლება გადაეცეს სხვა პირს. ამ დროს სამოქალაქო სახელი გარდაიქმნება სავაჭრო (კომერციულ) სახელად, საწარმოს ქონების ნაწილად და შეიძლება მისი განხილვა არამატერიალურ ქონებრივ უფლებად.²⁸⁰

სამოქალაქო სახელი ყოველთვის არის პირადი არაქონებრივი სიკეთე, რომლის გასხვისება და სხვა პირებზე გადაცემა დაუშვებელია, ხოლო სავაჭრო, კომერციული სახელი შეიძლება იყოს არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის გადაცემა სხვა პირებზე კანონით დადგენილი წესით დასაშვებია.²⁸¹

სასაქონლო ნიშნის სახით რეგისტრირებული სახელის უფლების გადაცემა სხვა პირისთვის დასაშვებია. ასეთ შემთხვევაში პირის მიერ სხვა პირისადმი ხდება არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გადაცემა, რომელიც სავაჭრო ურთიერთობებისთვის იქნება შესაბამისი გამოყენების მნიშვნელობის მქონე.²⁸² სამოქალაქო ბრუნვაში სახელის გამოყენება ხდება მხოლოდ იმ ასპექტში, რითაც სახელის, როგორც საფირმო სახელწოდების ან სასაქონლო ნიშნის საკუთრების უფლების საფუძველზე განკარგვის შესაძლებლობა გააჩნია პირს.²⁸³

ზოგი ავტორი არაორაზროვნად მიუთითებს, რომ სახელწოდება იურიდიული პირის ქონებას წარმოადგენს,²⁸⁴ ხოლო სახელი – ფიზიკური პირის ქონებად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული.²⁸⁵

²⁷⁸ Baumbach/Hopt Kurzkommentar zum HGB, § 17, Rn. 5; Schwerdtner in Münchener Kommentar zum BGB (2001), § 12, Rn. 19 ff. მითითებულია: ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 199.

²⁷⁹ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 168.

²⁸⁰ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 201.

²⁸¹ იქვე, 201.

²⁸² ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, მე-17 მუხლის კომენტარი, თბ., 2017, 99.

²⁸³ იქვე, 99.

²⁸⁴ ხუბაშვილი თ., არაკეთილსინდისიერი კონკურენცია საფირმო სახელწოდებასთან მიმართებით ბესარიონ ზოიძე 60, საიუბილეო კრებული, 2013, 79. მითითებულია: ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, მე-17 მუხლის კომენტარი, თბ., 2017, 93.

²⁸⁵ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, მე-17 მუხლის კომენტარი, თბ., 2017, 93

მარტოდენ სახელის გადაცემა მესამე პირებზე დაუშვებლად არის მიჩნეული მაშინაც კი, როცა ეს სავაჭრო, კომერციული, საფირმო სახელია. საფირმო სახელწოდება შეიძლება მხოლოდ იმ საწარმოსთან ერთად გასხვისდეს, რომლის სახელწოდების აღმნიშვნელიც ის არის.²⁸⁶ როდესაც საწარმოს სახელი ფიზიკური პირის სხელია, სახელის გადაცემით სახელის მატერებელი ფიზიკური პირი არ კარგავს მასზე უფლებას. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ განავითარა წესი, რომლის თანახმად, „სახელის უფლება და სახელის მსგავსი უფლებები არ შეიძლება დამოუკიდებლად გადაეცეს სხვა პირებს სანივთო სამართლებრივი შედეგებით“.²⁸⁷

იურიდიული პირის სახელი წარმოადგენს სამართლებრივ სიკეთეს, რომელიც წარმოიქმნება გაერთიანებასთან კავშირში, ანუ უშუალოდ არის დაკავშირებული გაერთიანებასთან. იურისდიქციამ სამოქალაქო კოდექსის §12-ის ანალოგიურად სახელის დაცვის უფლება თავდაპირველად მიანიჭა ქმედუნარიან არაკომერციულ გაერთიანებებს, შემდეგ არაქმედუნარიან გაერთიანებებს და ბოლოს ქმედუნარიან კაპიტალურ გაერთიანებებს, განსაკუთრებით კი სააქციო საზოგადოებებსა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს.²⁸⁸

მიუხედავად იმისა, რომ სახელის უფლება უმეტეს შემთხვევაში პირადი არაქონებრივი უფლებაა, მისი ხელყოფის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნა სსკ-ის 18.6. მუხლის თანახმად შეიძლება ქონებრივი ხასიათის იყოს.

იურიდიული პირი რეგისტრაციისთანავე სარგებლობს სახელით. სახელი მისი საზოგადოებრივი შეფასებისა და ინდივიდუალიზაციის მანიშნებელი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია იურიდიული პირის კერძო ცხოვრების უფლების არსებობა.²⁸⁹ კერძო სამართლის იურიდიულ პირთან დაკავშირებით პირადი ცხოვრების უფლება არ არსებობს, მაგრამ მას შეიძლება ჰქონდეს კერძო საიდუმლოება, რომელიც ფართო მნიშვნელობისაა, ვიდრე პირადი საიდუმლოება ფიზიკურ პირთან დაკავშირებით. აქ მნიშვნელოვანია კომერციული საიდუმლოების, **საქმიანი რეპუტაციის დაცვა...**²⁹⁰

იურიდიულ პირს არ შეიძლება ჰქონდეს პირადი ცხოვრების უფლება, ვინაიდან ის მხოლოდ ფიზიკურ პირს აქვს; იურიდიულ პირს აქვს კერძო ცხოვრების საიდუმლოების დაცვის უფლება.²⁹¹

იურიდიულ პირებს ზოგადად უარყოფილი აქვთ პირადი სფერო. მათთვის პირად ცხოვრებაზე ყურადღების მიქცევის უფლების აღიარება

²⁸⁶ ჭანტურია ლ., დასახელებული ნაშრომი, თბ., 2011, 202.

²⁸⁷ იქვე, 201.

²⁸⁸ Herbert L., დასახელებული ნაშრომი, Westf.274.18.

²⁸⁹ ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 244.

²⁹⁰ იქვე, 246.

²⁹¹ იქვე, 247.

ვიწრო გაგებითაც კი შეუძლებელია. მაგრამ იურიდიულ პირთა შიდა ცხოვრებაში მაინც ვხვდებით მალულ სიტუაციებს, სადაც მათ სჭირდებათ დაცვა. ეს, უპირველესად, მოქმედია სამსახურებრივ და კომერციულ მდგომარეობებთან კავშირში. მაგრამ იურიდიულ პირებს დაცვა შეიძლება სხვა სფეროებშიც დასჭირდეთ. მაგალითად, თუკი საზოგადოებაში გავრცელდება ინფორმაცია სპირიტუალური გაერთიანების ცხოვრებიდან, ამის გამო შეიძლება დაზარალდეს ცალკეული წევრი არა მხოლოდ ინდივიდუალურად, არამედ გაერთიანებასთან კავშირშიც, რაც ნიშნავს იმას, რომ ზარალდება გაერთიანება. ამ შემთხვევაში საჩივრით მიმართვის უფლება აქვთ არა მხოლოდ ცალკეულ წევრებს, არამედ მთლიან გაერთიანებასაც.²⁹²

იურიდიული პირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საიდუმლო სფეროს. საყურადღებოა როგორც ეკონომიკური, ასევე არაეკონომიკური საიდუმლოებები. იურიდიული პირის საიდუმლო სფეროს, ეკონომიკური თვალსაზრისით, შეიძლება წარმოადგენდეს მაგ. საწარმოო საქმიანობის ორგანიზაცია, მომწოდებლები, კლიენტთა სია, ფაბრიკაციის საიდუმლოებები. ამ საიდუმლოებებს იცავს კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ §§17 ff. აქვე მოქმედებს პირადი უფლების დაცვა.²⁹³

კონსტიტუციის მე-20 მუხლში მოცემული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება ვრცელდება სამუშაო ოფისებზე („პირადი საქმიანობის ადგილი“) ანუ ამ ძირითადი უფლების გამოყენება შეუზღუდავად შეუძლიათ იურიდიულ პირებსაც.²⁹⁴

კანონმდებლობა და ლიტერატურა პირადი საიდუმლოების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს შორის შედარებით უფრო ფართო ადგილს უთმობს მიწერ-მოწერის საიდუმლოების დაცვის საკითხს,²⁹⁵ რომელიც იურიდიულ პირზეც შეიძლება გავრცელდეს.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §823 I დაცვის შემდგომ სფეროს წარმოადგენს იურიდიული პირის მოქმედების თავისუფლება, რომელსაც მიეკუთვნება ეკონომიკური აქტივობის თავისუფლება. ძირითადი კანონის მე-2 მუხლი არა მხოლოდ ზოგადად წარმოგვიდგენს მასთან კავშირში მყოფ ან დამოუკიდებლად განხორციელებულ ეკონომიკურ თავისუფლებებს, არამედ უზრუნველყოფს იმ ეკონომიკურ თავისუფლებათა ჩამონათვალს, რომელიც ძირითად კანონში ნათლად არ არის წარმოდგენილი, ასეთია მაგალითად, კონკურენციის და ხელშეკრულების თავისუფლება, გასხვისება-შეძენის თავისუფლება, პროდუქციისა და მომხმარებლის თავისუფლება; ეკონომიკური განვითარების თავისუფლება გულისხმობს საწარმოო თავისუფლებას. კომერციული საქმიანობის უფლება, როგორც არაქონებრივი უფლება იცავს მხოლოდ საწარმოს, როგორც კომერციული საქმიანობის

²⁹² Herbert L., დასახელებული ნაშრომი, 266-294.

²⁹³ იქვე, 266-294.

²⁹⁴ კუბლაშვილი კ., დასახელებული ნაშრომი, 69.

²⁹⁵ ნინიძე თ., პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები, ჟურნ., საბჭოთა სამართალი, #1, 1977, 19.

შედეგს.²⁹⁶ პირადი უფლებების დაცვის სხვა მოტივებს მოიცავენ კანონი საავტორო უფლებების შესახებ §§141 №5 და კანონი ხელოვანთა საავტორო უფლებების შესახებ.²⁹⁷

1.5. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის უფლების შინაარსი

მოქალაქის ინდივიდუალური თავისუფლების უზრუნველყოფას განაპირობებს პირადი არაქონებრივი უფლებების არა მხოლოდ მინიჭება, არამედ მისი დაცვის შესაძლებლობა გარეშე პირთა მიერ ხელყოფისაგან.

უფლება იმისათვის როდი არსებობს, რომ აბსტრაქტული ნება განახორციელოს, არამედ იმისათვის, რომ საზოგადოების მოთხოვნებს და მიზნებს ემსახუროს. საზოგადოების არსებობის გათვალისწინება, ინდივიდის მოთხოვნების შეზღუდვა საზოგადოების სხვა წევრების მოთხოვნებით აუცილებელი მომენტია უფლების ცნებაში. ინტერესი – საზოგადოებრივი და პირადი – უფლების მატერიალური ნიშანია. იგი როდი გულისხმობს მარტოოდენ მატერიალურ სიკეთეს. ინტერესი ისეთ ღირებულებებსაც მოიცავს, რომელთა ეკონომიკური კრიტერიუმებით შეფასება შეუძლებელია: პიროვნება, ღირსება, პატივი და სხვა. უფლებას მეორე აუცილებელი ნიშანიც გააჩნია – ინტერესის დაცვა. პირველისაგან განსხვავებით, მეორე – წმინდა იურიდიული, ფორმალური ნიშანია.²⁹⁸

უფლების ორი ნიშანი – მატერიალური ნიშანი ანუ სოციალური ინტერესი და ფორმალური ნიშანი ანუ იურიდიული ინტერესი. სამართლის მიზანია სოციალურ ინტერესს შეუსაბამოს იურიდიული, ფორმალური ინტერესი და გზა გაუხსნას პოზიტიურ ქმედებებს. ეს იქნება საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგება. იურიდიული ინტერესებიც სოციალურია, მაგრამ მათ დამხმარე „ინსტრუმენტალური“ ხასიათი აქვთ და წარმოადგენენ მარტოოდენ დამხმარე საშუალებებს სოციალური მიზნის მისაღწევად.²⁹⁹

სამოქალაქო უფლება არის სამოქალაქო კანონმდებლობით სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილისთვის მინიჭებული ძალაუფლება დაიცვას საკუთარი ინტერესები, მათ შორის სასამართლოს მეშვეობით.³⁰⁰ პირადი

²⁹⁶ Herbert L., დასახელებული ნაშრომი, 266-294.

²⁹⁷ იმ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომ იურიდიული პირები არ შეიძლება იყვნენ საავტორო უფლებათა მატარებლები, განვითარებულია მოსაზრება, რომ მინიმუმ ჯგუფური ნამუშევრებისთვის მაინც იმსახურებენ იურიდიული პირები საავტორო პირადი უფლების მინიჭებას. მაგრამ შეგნებულად განუხორციელებელი კანონისმიერი რეგულირების გამო შეუძლებელია ასეთი რამ აღიარებულ იქნას მოქმედ სამართალში. მითითებულია: Herbert L., დასახელებული ნაშრომი, Westf.274.19.

²⁹⁸ ნინიძე თ., ცოცხალი ხატი ღირსებისა, ჟურნ. ეკონომიკისა და სამართლის სერია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., #3, 1987, 64.

²⁹⁹ იქვე, 69.

³⁰⁰ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2011, 98.

უფლებები აბსოლუტურ უფლებებს განეკუთვნება. აბსოლუტური უფლების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის მოქმედებს ნებისმიერი იმ მესამე პირის მიმართ, ვინც ამ უფლებას ხელყოფს.³⁰¹

„მიუხედავად იმისა, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ტერმინი „სუბიექტური უფლება“ ტავტოლოგიაა, განსაზღვრული გაგებით უფლება შეიძლება იყოს ობიექტური და სუბიექტური. ობიექტური უფლება კანონით (ობიექტურად) აღიარებული უფლებაა. იგი აბსტრაქტულია იმ გაგებით, რომ კონკრეტულ სუბიექტთან დაკავშირებული არ არის. „სუბიექტურ“ უფლებას მოიპოვებს კონკრეტული ინდივიდი. იგი წარმოიშობა ინდივიდის ნების გამოვლენის და/ან კანონით განსაზღვრული სხვა გარემოებების დადგომის საფუძველზე“.³⁰² „სუბიექტური უფლება“ გულისხმობს უფლებამოსილი პირის შესაძლო ქცევის სამართლებრივად უზრუნველყოფილ საშუალებას, ხოლო „სუბიექტური ვალდებულება“ – ვალდებული პირის სამართლებრივად განპირობებული აუცილებელი ქცევა კონკრეტული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში“.³⁰³

„სუბიექტური უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული მოთხოვნასთან. მოთხოვნის არსებობის წინაპირობაა სუბიექტური უფლების არსებობა“.³⁰⁴ მოთხოვნა წარმოიშობა ნებისმიერი სუბიექტური უფლებისაგან, მათ შორის, იგი შესაძლოა გამომდინარეობდეს აბსოლუტური ბატონობის უფლებიდან, ან წარმოიშვას დამფუძნებელი უფლების განხორციელების შედეგად.³⁰⁵ სუბიექტური უფლების განხორციელება ხდება ინდივიდის მოთხოვნის საფუძველზე.³⁰⁶ „მოთხოვნა – არის უფლება, მოითხოვო სხვა პირისაგან მოქმედება ან მოქმედებისგან თავის შეკავება“.³⁰⁷

„პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ინდივიდის ობიექტური უფლებაა, საიდანაც გამომდინარეობს მოქმედების თავისუფლება. ინდივიდი თავისი ნების გამოვლენით მოიპოვებს ცალკეულ უფლებებს, რომელთა რეალიზებას ამ „სუბიექტური უფლებებიდან“ გამომდინარე მოთხოვნის განხორციელებით აღწევს“.³⁰⁸ „უფლების რეალიზება დამყარებულია სუბიექტის ნებაზე – მოითხოვოს მისი სუბიექტური უფლებიდან გამომდინარე შედეგის დადგომა იმავე ურთიერთობის მონაწილე მოთხოვნის ადრესატისგან. შესაბამისად, სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ინდივიდი

³⁰¹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2011, 98.

³⁰² კერესელიძე დ, დასახელებული ნაშრომი, 76.

³⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის ანგარიში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ, თბ., 2018, 12.

³⁰⁴ კერესელიძე დ, დასახელებული ნაშრომი, 76.

³⁰⁵ Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 15, RdNr. 56.

³⁰⁶ კერესელიძე დ, დასახელებული ნაშრომი, 76.

³⁰⁷ ბერეკაშვილი დ., თოდუა მ., ჩაჩავა ს., ძლიერიშვილი ზ., კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში, თბ., 2015. 20, 21.

³⁰⁸ კერესელიძე დ, დასახელებული ნაშრომი, 77.

სუბიექტური უფლებებით, რომელთა რეალიზებასაც ის ახდენს ამ უფლების შესატყვისი მოთხოვნით. მოთხოვნის განხორციელების ბოლო, უკიდურესი საშუალება არის სასამართლოსთვის მიმართვა“.³⁰⁹

იმისათვის, რომ რეალურ შესაძლებლობებს მიეცეს სამართლებრივი ფორმა, აუცილებელია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია განვიხილოთ, არა როგორც სამართლით დაცული ინტერესი, არამედ, დავადგინოთ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის სამოქალაქო უფლების შინაარსი, მისი განხორციელებისა და დაცვის ფარგლები. განვსაზღვროთ მისი ბუნებისთვის შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმი. სამართლებრივ რეჟიმში მოიაზრება იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციასთან მიმართებით უფლებებისა და ვალდებულებების, აკრძალვების ერთობლიობა, როგორც ობიექტური სინამდვილის გამოხატულება.³¹⁰ სამოქალაქო უფლების კონსტრუქცია იძლევა შესაძლებლობას სამოქალაქო სამართლის ობიექტი დაუკავშირდეს სუბიექტს, მათ შორის პიროვნებისგან განუყოფელი არამატერიალური სიკეთეები, რომლებიც სამართლებრივ მოწესრიგებას და დაცვას საჭიროებს. სამოქალაქო უფლება ერთადერთი საშუალებაა, ამა თუ იმ სიკეთის გამოყენების უზრუნველსაყოფად, მაგრამ ეს სიკეთეები ისევე მიეკუთვნებიან უფლების შინაარსს, როგორც ბაღი ბაღის ღობეს.³¹¹

მკვლევართა აზრით, კანონით დაცული ინტერესი და სამოქალაქო უფლება მსგავსი სამართლებრივი შინაარსის ცნებებია, ვინაიდან სუბიექტური უფლების საფუძველი ესა თუ ის ინტერესია, ხოლო პირველის დაცვა მეორის დაცვას გულისხმობს.³¹² უფლება პიროვნების ან იურიდიული პირის კუთვნილი პირადი, არსებული უფლებაა (საკუთრების უფლება, მოთხოვნის უფლება და ა. შ.).³¹³

უფლების თეორია გერმანული იურისპრუდენციის ინტერესის თეორიაზეა დამყარებული. ა. ბლეკმანი მიუთითებდა, რომ, იერინგის აზრით, უფლება იურიდიულად დაცული ინტერესია. სამართლის ნორმის დარღვევისას სარჩელის აღძვრის უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, ვის ინტერესსაც უშუალოდ იცავს მოცემული ნორმა ანუ უფლების მქონე პირს.³¹⁴ უფლება იცავს სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან, არსებით, საჭირო ინტერესს, რომელიც სამართალდარღვევის შემთხვევაში კონკრეტულ სუბიექტს აძლევს უფლების განხორციელებისა და დაცვის შესაძლებლობას. სამართლის ნორმა იქმნება იმათ ინტერესთა დასაცავად,

³⁰⁹ კერესელიძე დ, დასახელებული ნაშრომი, 77.

³¹⁰ Сенчищев В.И., Объект гражданского правоотношения, Актуальные вопросы гражданского права, Под ред. М. И. Брагинского: Сборник статей. М., 1998, 139-140.

³¹¹ Шершеневич Г.Ф., Общая теория права, М., 1912, 613, მითითებულია: Тимерханов А.А., Деловая репутация юридического лица, М., 2012, 66.

³¹² Сергеев А.П., Толстой Ю.К., Гражданское право: учебник: в 3 т, Т. 1., М., 2003, 252-253.

³¹³ Братусь С.Н., Субъекты гражданских прав. М., 1950, 2-3.

³¹⁴ Bleckmann A., The Subjective Right in Public International Law, German Yearbook of International Law. 1985. Vol. 28.147-149.

ვინც რეალურად ზარალდება მისი დარღვევით.³¹⁵ იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციაზე ვრცელდება კანონით დაცული ინტერესის სამართლებრივი რეჟიმი. სსკ-ის მე-18.2. და 27.5. მუხლები იცავს იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციას შელახვისაგან. რფსკ-ის 152-ე მუხლის ანალიზი ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით ცხადყოფს, რომ საქმიანი რეპუტაციის დაცვა მხოლოდ ცრუ, მადისკრედიტირებელი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაშია შესაძლებელი. სხვა შემთხვევაში, აუცილებლობის მიუხედავად კანონი ასეთ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

უფლებზე მოთხოვნილება ჩნდება მაშინ, როდესაც შეუძლებელია ამ პირისთვის ნებადართული ქმედებების შესრულება სხვა პირთა, რეალური ან შესაძლო, საპირისპირო მოქმედების თავიდან აცილების გარეშე. უფლება განისაზღვრება, როგორც უფლებამოსილი პირის უფლება ვალდებული პირის ქცევაზე.³¹⁶

საქმიანი რეპუტაციის აბსოლუტური უფლების შინაარსი მოიცავს საქმიანი რეპუტაციის წარმოშობის, ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებას, და ასევე, პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მოთხოვნის უფლებას არ დაარღვიოს მისი უფლება მოცემულ არამატერიალურ ობიექტზე.³¹⁷ აბსოლუტური უფლება საქმიან რეპუტაციაზე სუბიექტის შესაძლებლობაა შექმნას, ფლობდეს და განკარგოს მისი საქმიანი რეპუტაცია საკუთარი შეხედულებისამებრ და მოთხოვოს სხვა პირებს არ დაარღვიონ მისი საქმიანი რეპუტაციის უფლება.

სამოქალაქო უფლება უფლებამოსილი პირის იურიდიულად გარანტირებული უფლებაა ვალდებული პირისგან მოითხოვოს ისეთი მოქმედება, რომლითაც შეძლებს მატერიალური ან სულიერი სიკეთის ხარჯზე დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები. ამასთან, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობები, უნდა მოწესრიგდეს ამ ურთიერთობის სუბიექტებისთვის უფლებებისა და ვალდებულებების მინიჭებით.³¹⁸

სამოქალაქო სამართალი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად უნდა განვითარდეს და მოაწესრიგოს ის ურთიერთობები, რომლებსაც ობიექტურად ესაჭიროება რეგულაცია.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ქონებრივი შინაარსის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია უფლებაა, თავისი შინაარსით, განხორციელების ფარგლებით და დაცვით.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის უფლების საფუძველია არა მარტო კონსტიტუციის (საქართველოს კონსტიტუციის 45-ე, რუსეთის კონსტიტუციის 15.4. მუხლები), არამედ საერთაშორისო სამართლის ნორმები.

³¹⁵ Bleckmann A., დასახელებული ნაშრომი, 149.

³¹⁶ Иоффе О.С., Избранные труды. СПб., Т., 1., 2003, 83.

³¹⁷ Дьяченко Е.М., დასახელებული ნაშრომი, 197.

³¹⁸ Гражданское право: Учебник: В 3 т. под ред. Ю.К. Толстого. М., Т. 1, 2009, 96-98.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლი, რომლითაც განმტკიცებულია საქმიანი რეპუტაციის უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომელიც შეიცავს დებულებას საქმიანი რეპუტაციის შესახებ, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის მე-17 მუხლი, რომლითაც დაუშვებელია პატივისა და რეპუტაციის ხელყოფა.³¹⁹

ამრიგად, უფლება საქმიან რეპუტაციაზე კანონით გარანტირებული ქცევის და ამავე დროს სოციალური კეთილდღეობის ფლობის საზომია, იურიდიული გარანტიაა, რომელსაც კანონი სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების შესაბამისად, სამართლის სუბიექტებს ანიჭებს.³²⁰

ნებისმიერი უფლების სწორი, სრულყოფილი რეალიზაციისათვის და ეფექტური დაცვისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრას. წინააღმდეგ შემთხვევაში ცდუნება და რისკი, როგორც უფლებაში გადამეტებული ჩარევისა, ისე თავად უფლებით ბოროტად სარგებლობისა, ერთნაირია, რაც საბოლოო ჯამში არღვევს ინტერესთა შორის გონივრულ ბალანსს და ერთნაირად უქმნის საფრთხეს როგორც კერძო, ისე საჯარო ინტერესებს.³²¹

ლიტერატურაში იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის უფლების შინაარსის განხილვისას გამახვილებულია ყურადღება იურიდიული პირის სამართალსუბიექტობისა და საქმიანი რეპუტაციის უფლების ურთიერთმიმართებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი სამართალსუბიექტობა ნორმატიულად არ არის მოცემული კანონმდებლობაში დოქტრინაში მიღებულია, რომ უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ერთიანობა აყალიბებს სამართალსუბიექტობას. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია ყალიბდება იურიდიული პირის საქმიანობის პროცესში. იგი უნიკალურია და იურიდიული პირის ინდივიდუალიზაციის საშუალებას იძლევა.

გამოიყენებს თუ არა იურიდიული პირი საქმიანი რეპუტაციის უფლებას და დაიცავს თუ არა მას თავად იურიდიული პირის გადასაწყვეტია, რამდენადაც უფლებაუნარიანობა თავისთავად არ იწვევს სუბიექტური უფლების წარმოშობას. ცნობილი ცივილისტის კრასავჩიკოვის აზრით, უფლებაუნარიანობის ცნების არსისთვის განმსაზღვრელია უფლება და არა

³¹⁹ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948 წლის 10 დეკემბერი (საქართველოს უზენაესი საბჭოს უწყებები N9, სექტემბერი 1991. მუხ.655), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №14, იანვარი, 1994, მუხ. 270). ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია (საქართველოში ძალაში შევიდა 20.05.1999), <www.matsne.gov.ge> [03.04.2019], საქართველოს კონსტიტუცია (მიღების თარიღი 24.08.1995), <www.matsne.gov.ge> [03.04.2019].

³²⁰ Матузов Н.И., Теоретические проблемы субъективного права: Автореф. Дис., Харьков, 1973, 21.

³²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.3.

შესაძლებლობა (უნარიანობა),³²² ვინაიდან იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა იურიდიული პირის შესაძლებლობაა ჰქონდეს კანონით აუკრძალავი და მისი „ხელოვნური“ ბუნებისთვის შესაბამისი უფლებები და იკისროს ვალდებულებები.

უფლება საქმიან რეპუტაციაზე უფლებაუნარიანობის ელემენტია, რომელიც შედის სამართალსუბიექტობის შემადგენლობაში.³²³ სხვა მოსაზრება აქვს ნიკულიჩევას, რომლის პოზიციით, საქმიანი რეპუტაციის უფლება სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან წარმოიშობა, რაც ეწინააღმდეგება საქმიანი რეპუტაციის შინაარსს, რომლის წარმოშობისა და გამოყენებისთვის რეგისტრაციის ფაქტი საკმარისი არ არის.³²⁴ მალეინას აზრით, საქმიან რეპუტაციაზე უფლება იურიდიული პირის სამეწარმეო საქმიანობის დაწყების მომენტიდან წარმოიშობა.³²⁵ მიგვაჩნია, რომ ეს უკანასკნელი მოსაზრება გასაზიარებელია და შესაბამისად, ბუნებრივია დასკვნა, რომ საქმიანი რეპუტაციის წარმოშობასთან ერთად ჩნდება მასზე უფლებაც.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის მიმართებაზე სხვა არამატერიალურ სიკეთებთან ნაშრომში უკვე იყო საუბარი. „უფლებათა გადაცემა არ შეეხება პირად უფლებებს, რომლებიც კონკრეტულ პირთან ისე არიან დაკავშირებულნი, რომ მის გარეშე წყვეტენ არსებობას“.³²⁶ მართალია, თავად სიკეთე არ შეიძლება გამოიყოს (განცალკევდეს) მფლობელისგან, მაგრამ მისი გამოყენების უფლება შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს. სხვანაირად რომ ვთქვათ **იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია ტრანსფორმირდება მისი გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემით.**

გასაზიარებელია ასევე მალეინას მოსაზრება, რომ საქმიანი რეპუტაციის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, მასზე უფლების არსებობისთვის გადამწყვეტი არაა იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის განუყოფლობა მისი მფლობელისგან. ამასთან, ფიზიკური პირისა და არასამეწარმეო იურიდიული პირის (რომელიც არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას) საქმიან რეპუტაციაზე უფლება აზრს კარგავს, რადგან მისი გამოყოფა მფლობელთაგან შეუძლებელია, ხოლო მართლსაწინააღმდეგო გამოყენება პრაქტიკულად გამორიცხული. ამიტომ კანონით დაცული ინტერესის სამართლებრივი რეჟიმი მათთვის სავსებით საკმარისია.³²⁷

³²² Красавчиков О.А., Социальное содержание правоспособности советских граждан, Правоведение. 1960, №1, 22.

³²³ Малеин Н.С., Правонарушение: понятие, причины, ответственность. М., 1985, 62-63.; Гражданское право: актуальные проблемы теории и практики, Под общ. ред. В.А. Белова. М., 2008, 628-629.

³²⁴ Никуличева Н.Ю., დასახელებული ნაშრომი, 36.

³²⁵ Малеина М.Н., დასახელებული ნაშრომი, 138.

³²⁶ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2011, 103.

³²⁷ Сахапов Ю.З., Деловая репутация субъектов предпринимательской деятельности в системе объектов гражданских прав и особенности ее гражданско-правовой защиты: Дис., Казань, 2007, 23.

საქმიანი რეპუტაციის სამართლებრივი ბუნების ანალიზი და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ინტერესი განაპირობებს მასზე უფლების არსებობას. გრიბანოვის აზრით, სამოქალაქო უფლება უფლებამოსილი პირის ქცევის საზომია, რომელიც ამ უკანასკნელს შესაძლებლობას აძლევს: ა) განახორციელოს განსაზღვრული პოზიტიური მოქმედებები თავისი უფლების განსახორციელებლად. ბ) მოთხოვოს ვალდებულ პირს განსაზღვრული მოქმედების შესრულება. გ) უფლების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს უფლების დასაცავად.³²⁸

სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით საქმიანი რეპუტაცია აბსოლუტური უფლებაა. თუმცა დოქტრინაში არაა ერთმნიშვნელოვანი პოზიცია, მაინც როგორი შინაარსისაა საქმიანი რეპუტაციის უფლება: ქონებრივია, განსაკუთრებული თუ არაქონებრივი.

ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია უშუალო კავშირშია ქონებრივ ინტერესებთან, ამიტომ არ შეიძლება არაქონებრივი იყოს³²⁹, სხვათა აზრით, საქმიანი რეპუტაციის უფლება არაქონებრივი ხასიათისაა, თუმცა მჭიდროდ უკავშირდება ქონებრივ სამართალურთიერთობებს.³³⁰

უცხოურ დოქტრინაში, საერთო სამართლის ქვეყნებში, გუდვილი, განიხილება ქონებრივ უფლებად,³³¹ კონტინენტური სამართლის სისტემაში იურიდიული პირის უფლებას საქმიან რეპუტაციაზე ქონებრივს არ უწოდებენ, მაგრამ საქმიანი რეპუტაცია, როგორც სამართლის ობიექტი „უსხეულო ქონებად“ იწოდება.³³²

გასაზიარებელია ვ.ა. დოზორცევას აზრი, რომ სამართლის ობიექტთან მიმართებით ხშირად დგინდება უფლება, რომელიც ზუსტად არ შეესაბამება ობიექტის ბუნებას, მაგრამ ერთგვარი ფიქციაა იმ სამართლებრივი რეჟიმის დასადგენად, რომელიც სამოქალაქო სამართლის სუბიექტების მოთხოვნებს შეესაბამება.³³³

ამიტომ, უფლებისა და სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია, ობიექტის სამართლებრივი ბუნებისა და სპეციფიკის, ხოლო მეორე მხრივ, სამოქალაქო სამართლის სუბიექტთა ინტერესების გათვალისწინება.

³²⁸ Гражданское право: актуальные проблемы теории и практики, Под общ. ред. В.А. Белова. М., 2008, 574.

³²⁹ Российское гражданское право. Т. 1, Отв. ред. Е.А. Суханов. М., 2010, 887.

³³⁰ Килинкаров В.В., Право на деловую репутацию субъектов предпринимательской деятельности: Дис., СПб, 2011, 141.; Сахапов Ю.З., Деловая репутация субъектов предпринимательской деятельности в системе объектов гражданских прав и особенности ее гражданско-правовой защиты: Дис., Казань, 2007, 33.

³³¹ HPBulmer Ltd. v. Bollinger SA. See D. Bainbridge. Intellectual property. 4th edition. Financial Times Management. London, San Francisco, Kuala Lumpur, Johannesburg, First published in Great Britain, 1999, 598.

³³² JürgenF. Baur, RolfSturner. Проблемы гражданского и предпринимательского права Германии, пер. с нем. М., 2001, 164.

³³³ Дозорцев В.А., Интеллектуальные права: Понятие. Система. Задачи кодификации. М., 2003, 224-227.

ვერ იქნება გაზიარებული მოსაზრება, რომ საქმიანი რეპუტაცია მხოლოდ მეწარმე იურიდიულ პირებს გააჩნიათ და ამიტომ უფლება საქმიან რეპუტაციაზე არ შეიძლება არამატერიალური იყოს.³³⁴

იურიდიული პირი დადებითი საქმიანი რეპუტაციის შესაქმნელად და გამოსაყენებლად კეთილსინდისიერად საქმიანობს, ხარჯავს თანხას რეკლამის, იმიჯის გაუმჯობესების, ბრენდის განვითარებისთვის. რა თქმა უნდა უსამართლოა წლებით ნაგროვები რეპუტაციის გამოყენება ან მისთვის ზიანის მიყენება სხვა პირების მიერ. ამიტომ ბუნებრივია, რომ საკუთარ საქმიან რეპუტაციაზე პირს აქვს მონოპოლიის ობიექტური მოთხოვნილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება შეიქმნას იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმი მასზე განსაკუთრებული უფლებით.³³⁵

განსაკუთრებული უფლება აბსოლუტური და ქონებრივი ხასიათის უფლებაა, რომელიც არამატერიალურ ობიექტებზე დგინდება და უზრუნველყოფს უფლების მფლობელის მონოპოლიას აღნიშნულ სიკეთეზე. აღნიშნულს ადასტურებს საქმიანი რეპუტაციის კავშირი და მსგავსება იდენტიფიკაციის საშუალებებთან და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან,³³⁶ ასევე არაკეთილსინდისიერი კონკურენციისგან დაცვის უფლებასთან.³³⁷

ნიკულიჩევას აზრით, საქმიანი რეპუტაცია სამოქალაქო ბრუნვაში სხვა ობიექტებთან ერთად ასრულებს პირის ინდივიდუალიზაციის ფუნქციას. ასეთია: საფირმო სახელწოდება, სასაქონლო ნიშანი, სავაჭრო მარკა. ერთ-ერთი მათგანის სხვა პირზე გადაცემით მფლობელი თავის კონტრაგენტს გადასცემს (უყოფს, უწილადებს) საქმიან რეპუტაციასაც, ისე რომ რეპუტაცია რჩება მის სარგებლობაში.³³⁸

„განსაკუთრებული უფლებების დანიშნულებაა მის მფლობელს მიანიჭოს საკუთრებითი უფლების მსგავსი უფლებამოსილებანი, რომელთა ძალითაც ასარგებლებს სხვა პირებს საკუთარი ქმნილებით ან აკრძალავს“.³³⁹

განსაკუთრებული უფლების ობიექტები პირველ რიგში არამატერიალური სიკეთეებია. ინტელექტუალური საკუთრება განიხილება, როგორც საკუთრება ცოდნასა და ინფორმაციაზე, ინტელექტუალურ კაპიტალზე. საქმიანი რეპუტაცია მითითებულ სიკეთეებს მიეკუთვნება.³⁴⁰

სტოკჰოლმის კონვენცია, რომელმაც დააფუძნა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია 1967 წელს, ადგენს, რომ ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს შეფარდებით უფლებებს, მათ შორის არაკეთილსინდისიერი კონკურენციისგან დაცვის უფლებას. უკვე აღინიშნა,

³³⁴ Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 77.

³³⁵ იქვე, 77.

³³⁶ Никуличева Н.Ю., დასახელებული ნაშრომი, 42.

³³⁷ იქვე, 42.

³³⁸ იქვე, 42.

³³⁹ დამუკაშვილი დ., დასახელებული ნაშრომი, 253.

³⁴⁰ Орехов А.М., Интеллектуальная собственность: опыт социально-философского исследования. Автореф. Дис., М., 2009, 16.

რომ საქმიანი რეპუტაცია კონკურენტული უპირატესობაა და განუწყვეტლივ დაკავშირებულია კონკურენციასთან. სამრეწველო საკუთრების შესახებ პარიზის 1883 წლის კონვენცია კრძალავს არა მარტო ცრუ შემლახავი ინფორმაციის გავრცელებას, არამედ ნებისმიერი ცრუ ინფორმაციის გავრცელებას.³⁴¹

პარიზის კონვენციის 10-ე მუხლით განსაკუთრებული უფლების მაგალითია ავტორობის უფლება. ავტორს ნაწარმოების შექმნისას ამ ნაწარმოებზე აბსოლუტური უფლება წარმოეშობა. ამასთან, ავტორი ნაწარმოებზე ნაწარმოების გამოყენების უფლების გადაცემით, გამომცემლობასთან ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაშია. ვითარება მსგავსია საქმიანი რეპუტაციის შემთხვევაში. პირს საქმიანი რეპუტაციაზე აბსოლუტური უფლება აქვს, ამასთან, კომერციული კონცესიის ხელშეკრულების საფუძველზე საქმიანი რეპუტაციის გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემით ამ უკანასკნელთან ვალდებულებით ურთიერთობას ამყარებს.³⁴²

რუსულ დოქტრინაში არსებული მოსაზრებით იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია გათანაბრებულია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან მასზე არსებული განსაკუთრებული უფლებებით.³⁴³

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ზოგიერთი ცივილისტის აზრით, საქმიანი რეპუტაცია ინტელექტუალურ ობიექტებს მიეკუთვნება, ხოლო სხვები ფიქრობენ, რომ იგი ამ უკანასკნელთ უნდა გაუთანაბრდეს.

საყურადღებოა საქმიანი რეპუტაციის განკარგვის შესაძლებლობა. განკარგვა შეიძლება მხოლოდ მესამე პირთათვის გამოყენების უფლების გადაცემით განხორციელდეს. საქმიანი რეპუტაციის განსაკუთრებული უფლების გასხვისება დაუშვებელია, იგი იურიდიული პირისგან ისევე განუყოფელია, როგორც საფირმო სახელწოდება.

აღიარებული სტანდარტია, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის უფლება გონივრულად და კეთილსინდისიერად უნდა განხორციელდეს. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავისი უფლებები და მოვალეობანი. ეს ურთიერთობის მონაწილეთა ზნეობრივ მოვალეობადაც მიიჩნევა.³⁴⁴ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი დიდწილად

³⁴¹ ძამუკაშვილი დ., დასახელებული ნაშრომი, 253.

³⁴² Гражданское право: Учебник: В 3 т. 4-е изд., перераб. и доп., под ред. А.П. Сергеева, Ю.К. Толстого. М., 2008, 736.

³⁴³ იქვე, 736.

³⁴⁴ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2011, 106.

დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ობიექტურობას, მიუკერძოებლობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება.³⁴⁵ აღნიშნული ნორმა საშუალებას იძლევა ნებისმიერი ურთიერთობა სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასდეს. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების არა დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა, რაც ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა და გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.³⁴⁶

კომერციული კონცესიის ხელშეკრულების საფუძველზე მოსარგებლე ვალდებულია გააფრთხილოს მყიდველი (შემკვეთი) მათთვის თვალსაჩინო საშუალებით, რომ იყენებს კომერციულ აღნიშვნას, სასაქონლო ნიშანს, მომსახურების ნიშანს ან სხვა ინდივიდუალიზაციის საშუალებებს.³⁴⁷

არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა იურიდიული პირი საქმიან რეპუტაციაზე თავის უფლებას არაკეთილსინდისიერად ახორციელებს. იურიდიული პირი თავისი საქმიანობისა და თავის შესახებ ავრცელებს არასწორ ინფორმაციას, რითაც შეცდომაში შეჰყავს პოტენციური კონტრაგენტები. (მაგ. სამშენებლო კომპანიის მიერ არასწორი ინფორმაციის გავრცელება მის მიერ აშენებული ისეთი ობიექტების შესახებ, რომელიც რეალურად არ აშენებულა). საყურადღებოა, რომ გერმანიის 1897 წლის სავაჭრო სჯულდების მე-18 პარაგრაფი ფირმას უკრძალავდა საკუთარ თავზე ყალბი ქების გავრცელებას.³⁴⁸

იურიდიული პირის მიერ საქმიან რეპუტაციაზე უფლების არაკეთილსინდისიერი განხორციელება ზოგჯერ არაკეთილსინდისიერ კონკურენციაში ვლინდება, რაც დამრღვევის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას იწვევს. სასურველია კანონმდებლობით აიკრძალოს იურიდიული პირის მიერ საკუთარი საქმიანობის შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელება.³⁴⁹

ამ მხრივ შეიძლება გასაზიარებელი იყოს რუსეთის ფედერაციის მაგალითი.³⁵⁰

³⁴⁵ სუსგ საქმე №ას-1338-1376-2014, სუსგ საქმე №ას-570-541-2015.

³⁴⁶ სუსგ საქმე №ას-1338-1376-2014, სუსგ საქმე №ას-570-541-2015.

³⁴⁷ რფსკ-ის 1032-ე მუხლი.

³⁴⁸ Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 83.

³⁴⁹ იქვე, 84.

³⁵⁰ რუსეთში მოქმედებს მოსკოვის მთავრობის დადგენილება „მოსკოვის მთავრობის პარტნიორების საქმიანი რეპუტაციის რეესტრის შექმნის შესახებ“, სახელმწიფო შეკვეთების მიღების პრეტენდენტთა საქმიანი რეპუტაციის ობიექტურად შესაფასებლად.

ამრიგად, საქმიანი რეპუტაციის განხორციელებას თავისი ფარგლები აქვს. სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად, რაც იმას ნიშნავს, რომ უფლებამოსილმა პირმა უნდა დაიცვას უფლების განხორციელებისთვის კანონით დადგენილი წესი.³⁵¹ უფლების მფლობელმა უნდა დაიცვას უფლების განხორციელების ფარგლები. აბსოლუტური უფლების შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მხოლოდ იმ მოქმედების განხორციელება, რომელიც ამ უფლებით არის დადგენილი. მართალია, უფლების გამოყენება ამ უფლების მატარებლის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, მაგრამ სამოქალაქო კოდექსი კრძალავს ამ უფლების ბოროტად გამოყენებას.³⁵²

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის უფლების შინაარსი შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს.

- ა. იურიდიულ პირს უფლება აქვს დამოუკიდებლად შექმნას და გამოიყენოს თავისი საქმიანი რეპუტაცია სარგებლის მისაღებად, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში გადასცეს სხვა პირებს საკუთარი საქმიანი რეპუტაციის გამოყენების უფლება. ამ მოქმედებების ჩამონათვალი ამომწურავი არ არის.
- ბ. იურიდიულ პირს შეუძლია ვალდებულ პირს მოთხოვოს არ გაავრცელოს საქმიანი რეპუტაციის შემლახავი, ცილისმწამებლური ინფორმაცია მასზე, გამოიყენოს საქმიანი რეპუტაცია მფლობელის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში, თავი შეიკავოს საქმიანი რეპუტაციის ხელმყოფი ნებისმიერი ქმედებისაგან.
- გ. იურიდიულ პირს აქვს საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება მესამე პირთა მიერ საქმიანი რეპუტაციის უფლების ნებისმიერი ხელყოფის (დარღვევის) შემთხვევაში. უფლების დაცვის მიზანია დაავალდებულოს სამართალდამრღვევი შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება მისი უფლების აღსადგენად: უარყოს საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაცია, აანაზღაუროს სამართალდარღვევით მიყენებული ზიანი.³⁵³

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის უფლების დაცვის შესახებ ნაშრომის სხვა პარაგრაფში იქნება საუბარი.

მეორე მხრივ, სახელშეკრულებო ვალდებულებების არაკეთილსინდისიერი შესრულების გამო უარყოფითი საქმიანი რეპუტაციის მქონე პირები სპეციალურ ფედერალურ რეესტრში აღირიცხებიან და ჩამორთმეული აქვთ სახელმწიფო შეკვეთების მისაღებად აუქციონში მონაწილეობის უფლება. მითითებულია: Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 84.

³⁵¹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2011, 108.

³⁵² იქვე, 108.

³⁵³ Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 74.

თავი 2

იურიდიული პირის უფლება საქმიანი რეპუტაციის დაცვაზე

2.1. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი საფუძვლები

სამოქალაქო ბრუნვის განხორციელება გულისხმობს არა მხოლოდ სუბიექტების გარკვეული სამოქალაქო უფლებების აღიარებას, არამედ მათი საიმედო სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფასაც.³⁵⁴

სამართლის ნორმებით რეგულირდება მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის დარღვევის შედეგად წარმოშობილი ურთიერთობები, რომლებიც იურიდიულ მეცნიერებაში აღიარებული სამართლებრივი ურთიერთობების ერთ-ერთი კლასიფიკაციის მიხედვით, წარმოადგენენ დაცვითი ხასიათის ურთიერთობებს. ჯერ კიდევ, გასული საუკუნის 60-იან წლებში, როცა საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობაში განვითარება დაიწყო არაქონებრივი ინტერესების აღიარებისა და დაცვის ტენდენციამ, ცნობილმა ცივილისტმა იოფემ მიუთითა რომ, ერთადერთი არაქონებრივი უფლება, რომლის წარმოშობას, შეცვლასა და შეწყვეტასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს სამოქალაქო სამართალი, არის უფლება პირის სახელზე; რაც შეეხება სხვა არაქონებრივ სიკეთეებს, **სამართალი აღიარებს არა უფლებებს მათზე, არამედ უფლებებს მათ დაცვაზე.** თანამედროვე პოსტსაბჭოთა ცივილისტურ ლიტერატურაში აღიარებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმად არამატერიალურ სიკეთეებთან დაკავშირებით სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები წარმოადგენს რეგულირებით და დაცვითი ხასიათის ურთიერთობებს.³⁵⁵

„სამოქალაქო ურთიერთობა გარდა იმისა, რომ ძირითადი, რეგულაციური სამოქალაქო უფლებების უზრუნველყოფის საშუალებაა, გამონაკლის შემთხვევებში ხელყოფის შემდეგაც არსებობს და გულისხმობს დაცვით მატერიალურ სამართლებრივ ურთიერთობას. ეს შეეხება ისეთ პირად უფლებებს, რომლებიც არაა ქონებრივთან დაკავშირებული. აღნიშნული გამყარებულია აბსოლუტური ურთიერთობის შინაარსში არსებული შესაძლებლობის სახით, რომელსაც უპირისპირდება ყველა მესამე პირის ზოგადი მოვალეობა, არ ჩაერიოს უფლებამოსილი პირის „სამფლობელოში“. აბსოლუტური უფლებები სამართლებრივი ურთიერთობის გარეთ არსებობს და სამართალი მათ კი არ არეგულირებს, არამედ მათი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფს დაცვით“.³⁵⁶

³⁵⁴ გალდავა გ., სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, თსუ, #1, 2009, 122.

³⁵⁵ Сергеева А.П., Толстой Ю.К., Гражданское Право, Т.1, М., 1998, 100.

³⁵⁶ ბიჭია მ., ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის რამდენიმე ასპექტი, საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“, მოხსენებები, თსუ, თბ., 2014, 85.

საქმიანი რეპუტაციის დაცვას სამოქალაქო კანონმდებლობა უკავშირებს იმავე წესებს, რაც გათვალისწინებულია ფიზიკური და იურიდიული პირების პატივისა და ღირსების დაცვისათვის. კერძოდ, მოცემული არამატერიალური სიკეთეების დაცვის უფლებები წარმოიშობა ერთნაირი საფუძვლების არსებობისას და სრულდება ერთნაირი სამართლებრივი ფორმებით.

საქმიან რეპუტაციაზე უფლება მოიცავს უფლებამოსილი პირის შესაძლებლობას დარღვევის შემთხვევაში დაიცვას იგი კანონით ნებადართული საშუალებებით. აღნიშნულ უფლებას შეესაბამება ნებისმიერი პირის ვალდებულება არამართლობიერად არ ისარგებლოს სხვისი რეპუტაციით, არ გაავრცელოს უფლების დამრღვევი ზიანის მომტანი ყალბი ინფორმაცია.

იურიდიული პირის უფლება დაიცვას საქმიანი რეპუტაცია, არის კანონით იურიდიული პირისათვის უზრუნველყოფილი შესაძლებლობა მოითხოვოს სხვა პირებისაგან, რათა მისი საქმიანობის შეფასება არ შეილახოს არასწორი და სახელის გამტეხი საშუალებებით.³⁵⁷

„გამოიყენებს თუ არა იურიდიული პირი საქმიანი რეპუტაციის უფლებას, დაიცავს თუ არა ხელყოფილ უფლებას თავად იურიდიული პირის გადასაწყვეტია. ხშირად უფლება წარმოადგენს ზნეობრივი არსებობის პირობას. უფლების დაცვით ადამიანი იცავს საკუთარი ზნეობრივი არსებობის პირობებს. საკუთარი უფლების დაცვა პიროვნების მოვალეობაა საკუთარი თავის წინაშე“.³⁵⁸

ნაშრომში უკვე აღინიშნა, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის უფლების შინაარსი გულისხმობს ამ უფლების დაცვის უფლებამოსილებას. კერძოდ, იურიდიულ პირი საქმიან რეპუტაციას დამოუკიდებლად ქმნის და იყენებს სარგებლის მისაღებად, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში გადასცემს მესამე პირებს მისი გამოყენების უფლებას, ასევე ახორციელებს სხვა მოქმედებებს გონიერებისა და კეთილსინდისიერების ფარგლებში. იურიდიულ პირს უფლება აქვს დაიცვას თავისი რეპუტაცია მისი უფლებამოსილების დარღვევის, საქმიანი რეპუტაციის შელახვის ნებისმიერ შემთხვევაში.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება მოიცავს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის შესაბამისი სამართლებრივი წანამდგვრების საფუძველზე დაცვის კონკრეტული საშუალებების გამოყენებით ვალდებული პირისთვის მოქმედების ან მოქმედებისგან თავის შეკავების დავალდებულებას.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის ასევე, საერთაშორისო სამართლის ნორმები. კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო

³⁵⁷ Смолина Л.В. Защита деловой репутации организации. М. Издательско-торговая корпорация «Дашков и К». 2014, 66.

³⁵⁸ ნინიძე თ., ცოცხალი ხატი ღირსებისა, ჟურნ. ეკონომიკისა და სამართლის სერია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., #3, 1987, 67.

დეკლარაციის მე-12 მუხლი, რომლითაც განმტკიცებულია საქმიანი რეპუტაციის უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომელიც შეიცავს დებულებას საქმიანი რეპუტაციის შესახებ, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის მე-17 მუხლი, რომლითაც დაუშვებელია პატივისა და რეპუტაციის ხელყოფა.³⁵⁹ ასევე კერძოსამართლებრივი და საჯაროსამართლებრივი კანონები.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვისას მოთხოვნის დამფუძნებელი კერძოსამართლებრივი ნორმებია სსკ-ის მე-18, 27.5.-ე, 992-ე, 993-ე, 408-ე, 411-ე, 413-ე მუხლები.³⁶⁰

„მოთხოვნის საფუძველია სამართლის ისეთი ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას, ანუ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს“.³⁶¹

„მოთხოვნის საფუძველი სხვა კერძოსამართლებრივი ხასიათის ნორმებისაგან იმიჯნება სამართლებრივი შედეგით. კერძოდ, სხვა ნორმათათვის გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგებისაგან განსხვავებით, მოთხოვნის საფუძველის სამართლებრივი შედეგი აფუძნებს პირთა შორის კონკრეტულად განსაზღვრულ უფლება-მოვალეობას“.³⁶²

სსკ-ის მე-18 II მუხლი ითვალისწინებს პირის პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფისაგან „კანონით დადგენილი წესით“ დაცვას.

თავდაპირველად, ამ ნორმაში დაკონკრეტებული იყო, რომ ჩამოთვლილ სიკეთეთა ხელყოფის შემთხვევაში პირს ენიჭებოდა სასამართლოს მეშვეობით გავრცელებული ცნობების უარყოფის მოთხოვნის უფლება. ამავე ნაწილის მე-2 წინადადება მოიცავდა პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვას ფაქტობრივი მონაცემების არასრული გამოქვეყნებისას.³⁶³

მას შემდეგ, რაც ეს დაკონკრეტებები კანონიდან ამოღებულ იქნა, სსკ-ის მე-18 II მუხლი იქცა ზოგად, ჩარჩოდებულებად. თუმცა, ცალკეული

³⁵⁹ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948 წლის 10 დეკემბერი (საქართველოს უზენაესი საბჭოს უწყებები N9, სექტემბერი 1991. მუხ. 655). სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №14, იანვარი, 1994, მუხ. 270). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (საქართველოში ძალაში შევიდა 20.05.1999), <www.matsne.gov.ge> [03.04.2019]. საქართველოს კონსტიტუცია (მიღების თარიღი 24.08.1995), <www.matsne.gov.ge> [03.04.2019].

³⁶⁰ მუხლი 18 (პირადი არაქონებრივი უფლებები), მუხლი 408(პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა), მუხლი 411 (ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის), მუხლი 413 (ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის), მუხლი 992(დელიქტური ვალდებულების ცნება), მუხლი 993(ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების შედეგები).

³⁶¹ ბოელინგი ჰ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2004, 38-39. მითითებულია: ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., 2010, 11.

³⁶² ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., 2010, 11.

³⁶³ კერესელიძე დ., დასახელებული ნაშრომი, 155.

მოსამართლის შეხედულებაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ფართოდ განმარტავს „კანონით დადგენილ წესს“. კერძოდ, მნიშვნელოვანია, მოსამართლე არ შეიზღუდოს იმ შემთხვევებით, რომლებშიც კანონი პირდაპირ მიუთითებს ამა თუ იმ პიროვნული უფლების ხელყოფის შემთხვევაში გათვალისწინებულ სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. ასეთ შემთხვევაში სსკ-ის მე-18 II მუხლი უფუნქციო იქნება, ვინაიდან შესაბამისი შედეგი დადგება უშუალოდ იმ კონკრეტული ნორმიდან გამომდინარე.³⁶⁴

18 II მუხლში განსაზღვრულ დანაწესში მითითებულ სპეციალურ კანონში ცალკეულ კანონებთან ერთად, უპირატესად იგულისხმება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც 2004 წელს იქნა მიღებული.³⁶⁵ მე-18 მუხლიდან გამომდინარე, სპეციალური კანონის გამოყენება, განსაკუთრებით მორალურ ზიანთან მიმართებით, ხშირადაა გამოსადეგი, თუმცა არაქონებრივი უფლებების დაცვის ყველაზე გავრცელებული სპეციალური მოწესრიგების მქონე აქტი სწორედ დასახელებული კანონია, რომელშიც განსაზღვრულია ცილისწამების, როგორც არაქონებრივი უფლების დარღვევის ერთ-ერთი შემთხვევის, სამართლებრივი ინსტიტუტი.³⁶⁶

„უმჯობესია, პიროვნული უფლებების „კანონით დადგენილი წესით“ დაცვა ჩაითვალოს მითითებად ამ უფლებების დაცვის ფართო სპექტრზე, რომელიც ასახულია როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, ისე დაკონკრეტებულია სხვა კანონებში, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსში. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კი უნდა განისაზღვროს ცალკეულ შემთხვევაში, მაგალითად, ან იმავე სსკ-ის მე-18 მუხლის სხვა ნაწილების (ანალოგიით), ან დელიქტური ვალდებულებების მომწესრიგებელი უზოგადესი ნორმის, სსკ-ის 992-ე მუხლის გამოყენებით. სსკ-ის მე-18 II მუხლი კი შეიძლება ჩაითვალოს სწორედ დამაკავშირებელ ხიდად შესაბამის კანონში დაცულ პიროვნულ უფლებასა და მის სამოქალაქოსამართლებრივ დაცვას შორის“.³⁶⁷

თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს (სსკ-ის 18.3. მუხლი.) აღნიშნული ნორმით კანონმდებელმა დააკონკრეტა 18.2. მუხლის რეგულირების სფერო. მედიაში საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებისას დაცვის

³⁶⁴ კერესელიძე დ., დასახელებული ნაშრომი, 156.

³⁶⁵ კაკუშაძე, ზიანის ანაზღაურება ცილისწამებისთვის ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თანამედროვე სამართლის აქტუალური პრობლემები, 2016, 95, მითითებულია: ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017, 123.

³⁶⁶ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017, 123.

³⁶⁷ კერესელიძე დ., დასახელებული ნაშრომი, 156.

ადეკვატური საშუალებებია: უარყოფა და საბუთის შეცვლა, უფლებაშელახულ პირს ასევე შეუძლია ინფორმაციის იმავე საშუალებებში გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები (სსკ-ის 18.4. მუხლი).

მითითებული დაცვის არაქონებრივ საშუალებებთან ერთად ბრალეული დარღვევის შემთხვევაში ხელმყოფს შეიძლება დაეკისროს ზიანის (როგორც მატერიალური, ასევე არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება. მათ შორის ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს (18.6. მუხლი).

სსკ-ის 992-ე მუხლით (გენერალური დელიქტი) დადგენილია ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ერთი პირის მიერ მეორე პირისთვის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით ზიანის მიყენების შემთხვევაში. დელიქტური სამართლის ფუნქციას, ზიანის მიყენების შემთხვევაში, დაზარალებულისათვის ისეთი სამართლებრივი გარანტიების შექმნა წარმოადგენს, რომ მან, შეძლოს მიყენებული ზიანის სიმძიმის მესამე პირისათვის დაკისრება და სამართლიანი კომპენსაციის მიღება.³⁶⁸

არაქონებრივი ზიანისთვის პასუხისმგებლობის საკითხს ეხება სსკ-ის 413-ე მუხლი. კერძოდ, არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სსკ-ის მე-18 მუხლით რეგულირებული დარღვევა ზოგადად დელიქტის (სამართალდარღვევის) ერთ-ერთი სახეა. ამიტომ ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაციისთვის ნორმათა ერთობლიობა საჭირო არ არის. მოთხოვნა სსკ-ის მე-18 მუხლს უნდა დაეფუძნოს ამავე ნორმით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში, ხოლო კონკრეტული კანონის დარღვევისას (უწინარეს ყოვლისა მხედველობაშია სიტყვისა და გამოხატვის შესახებ კანონი) სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი სსკ-ის მე-18 მუხლთან ერთად შესაბამისი კანონის ნორმის საფუძველზე გადაწყდება.

სსკ-ის მე-8, მე-10 და 115-ე მუხლებში³⁶⁹ მოცემული პრინციპები იძლევა იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის საშუალებას იმ შემთხვევაში, როცა კონკურენციის შეზღუდვის ან ზიანის მიყენების მიზნით იურიდიული პირის მიმართ საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაცია ვრცელდება.

³⁶⁸ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში“, თარგმანი ეკატერინე სუმბათაშვილის, ტ., II, გამომც. ჯისიაი, თბ., 2001, 287.

³⁶⁹ მუხლი 8.3. (კერძო სამართლის სუბიექტები, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი). მუხლი 10. (სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება.) მუხლი 115 (სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მართლოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას).

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის უფლება, მართალია, პირდაპირ არ ასახულა, მაგრამ პირადი არაქონებრივი უფლებების, როგორც სამოქალაქო სამართლით დაცული სიკეთის ხელყოფა იწვევს დელიქტური ვალდებულების წარმოქმნას.³⁷⁰ სამოქალაქო სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენციას განეკუთვნება ის გარემოება, რომ ზოგადი პირადი უფლებები სამოქალაქო კოდექსების ზოგად ნაწილშია მოთავსებული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმაც გაიზიარა ეს გამოცდილება, თუმცა ყველა პირადი უფლების კატალოგის მოცემა მან ვერ შეძლო და ვერც შეძლებდა. ამიტომ დელიქტურ სამართალში განმტკიცებულია ფუძემდებლური ნორმები, რომლებიც პირადი უფლებების დაცვის განვითარების ფართო შესაძლებლობას ქმნიან. ესაა 992-ე და 993-ე მუხლები.³⁷¹

გსკ-ის 823.1.-ე მუხლით (პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით აყენებს ზიანს სხვა პირის სიცოცხლეს, სხეულს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, საკუთრების უფლებას ან სხვა უფლებას, ვალდებულია, აუნაზღაუროს ამ პირს ამით გამოწვეული ზიანი) დაცულ სიკეთეს წარმოადგენს ე.წ. „ზოგადი პიროვნული უფლებები.“

ზოგადი პიროვნული უფლებების დაცვის მიზნით სსკ-ის 992-ე მუხლის, ე.წ. გენერალური დელიქტის გამოყენებისას ნორმის შემადგენლობა განხორციელებულად ითვლება თუ სახეზეა სამართლებრივი წანამძღვრები: ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიზეზობრივი კავშირი და ხელმყოფის ბრალი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ პირად არაქონებრივ უფლებათა დასაცავად ამ უკანასკნელი ნორმის რეგულაცია უფრო კომფორტულია, ვინაიდან დაცვის შესაძლებლობას იძლევა ზიანისა და ხელმყოფის ბრალის არარსებობის პირობებშიც.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის სრულყოფილი დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია დაცვის პირობების, კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი წანამძღვრების არსებობა და ასევე, უფლებამოსილი პირის მიერ მისთვის მისაღები კანონით გათვალისწინებული საშუალების შერჩევა, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს დარღვეული უფლების დაცვას. კვლევის მიზნებისთვის უმნიშვნელოვანესია ცალკეული საშუალებებისა და დაცვის პირობების ანალიზი, რომელიც ნაშრომის ცალკეულ პარაგრაფებში დეტალურად იქნება განხილული.

³⁷⁰ პეპანაშვილი ნ., დასახელებული ნაშრომი, 180.

³⁷¹ ჭანტურია ლ., შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 202.

2.2. საქართველოს კონსტიტუცია იურიდიული პირის უფლებების შესახებ და იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება

საზოგადოების, როგორც იურიდიული სუბიექტის, ჩამოყალიბება წარმოადგენს ადამიანურ ინტერესთა მიზნების მიღწევის საშუალებას და ემსახურება ადამიანის მორალურ ვალდებულებათა დაცვას, სამართლებრივი წესრიგი მას აღიარებს რეალიზებული ღირებულებების საფუძველზე და იურიდიულ პირებს ძირითადად იგივე სამართალსუბიექტურობას ანიჭებს, როგორსაც ფიზიკურ პირებს.³⁷²

იურიდიული პირის კონსტრუქცია შექმნილია ქონებრივი (სამოქალაქო) ბრუნვის მოთხოვნილებების საფუძველზე და სამოქალაქო-სამართლებრივ კატეგორიას წარმოადგენს. იურიდიული პირის საყოველთაოდ ცნობილი დანიშნულებაა დამფუძნებლების მიერ თავიანთი საქმიანობის შედეგებზე შესაძლო პასუხისმგებლობის იურიდიულ პირზე გადანაწილებით ქონებრივი რისკების შემცირება.³⁷³

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის მიხედვით, კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39.1.ა. მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ პირებს და საქართველოს იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი.

ამავე კანონის 89.ა.-ე მუხლის შესაბამისად, ძირითადი უფლებებით სახელმწიფოსაგან თავის დაცვის შესაძლებლობა აქვთ, ანუ ძირითადი უფლებების მფლობელი სუბიექტები არიან: ნებისმიერი ფიზიკური პირი და იურიდიული პირები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მათ კონსტიტუციური სარჩელის შეტანა შეუძლიათ არა მხოლოდ მათი ძირითადი უფლებების უშუალოდ დარღვევის შემთხვევაში, არამედ მაშინაც, როცა ჯერ არ დარღვეულა, მაგრამ არსებობს აშკარა საფრთხე და პირობები, რომ ეს უფლებები „შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს“.³⁷⁴

კონსტიტუციის 45-ე მუხლი მხოლოდ აღიარებს, რომ ძირითადი უფლებები ვრცელდება „აგრეთვე იურიდიულ პირებზე“ მხოლოდ მათი (ძირითადი უფლებების) შინაარსის გათვალისწინებით, ანუ აქ დადგენილია

³⁷² Herbert L., დასახელებული ნაშრომი, 266-294.

³⁷³ Авиллов В.Е., Суханов Е.А., Юридические лица в современном российском гражданском праве, журнал вестник гражданского права, #1, 2006, 15.

³⁷⁴ კუბლაშვილი კ., დასახელებული ნაშრომი, 61.

გარკვეული პირობა, რომლის თანახმადაც კონკრეტული ძირითადი უფლება, მისი შინაარსის მიხედვით, შეიძლება გავრცელდეს იურიდიულ პირზეც.

სამართალსუბიექტობის მინიჭებას მოსდევს პირადი უფლებების დაცვის აუცილებლობა, მაგრამ რადგანაც განსხვავებულია იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საქმიანობის სფეროები და წრეები, შეუძლებელია ფიზიკურ პირთა პირადი უფლებების დაცვა ასე ერთი ხელისმოსმით გამოყენებულ იქნას იურიდიულ პირთათვისაც. როცა დადგინდება, თუ რა დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან რეალიზებული ღირებულებები არსებულ შემთხვევებსა და ორგანიზაციულ პირობებში, მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი ფიზიკურ პირთა პირადი უფლებების დაცვის საფუძველზე გაკეთდეს დასკვნა იურიდიულ პირთა პირადი უფლებების დაცვის შესახებ. პირადი უფლებების დაცვის საკითხი უკვე დიდი ხანია აღარ მოითხოვს აღიარებასა და გავრცელებას, არამედ მხოლოდ შინაარსობრივ შეზღუდვასა და დაკონკრეტებას.³⁷⁵

ძირითადი უფლებები, პირველ რიგში, ინდივიდუალური უფლებებია, რომლებიც იცავს სახელმწიფო ჩარევის საფრთხის ქვეშ მყოფ ადამიანის თავისუფლების კონკრეტულ სფეროს. დაცვის ამ ფარდის ქვეშ იურიდიული პირების შეყვანა მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი და გონივრული, როცა მათი შექმნა და საქმიანობა ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების გამოხატულებაა, ანუ როცა ფიზიკური პირების დაცვა იურიდიული პირების დაცვასაც საჭიროდ და მიზანშეწონილად წარმოაჩენს.³⁷⁶ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძირითადი უფლება თავისი შინაარსის მიხედვით შესაძლოა გავრცელდეს იურიდიულ პირზე იმ შემთხვევაში, თუ ამ უფლებით დაცული ფიზიკური პირის საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს იურიდიული პირის მიერაც, ანუ თუკი იურიდიული პირის საქმიანობა შეიძლება დადგეს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის ისეთივე საფრთხის ქვეშ, როგორც ფიზიკური პირის საქმიანობის ესა თუ ის სფერო.³⁷⁷

იურიდიულ პირებზე ვერ გავრცელდება ისეთი ძირითადი უფლებები, რომლებიც მხოლოდ ფიზიკურმა პირმა, ინდივიდმა შეიძლება გამოიყენოს. კონსტიტუციით აღიარებული ასეთი ძირითადი უფლებებია: (მ. 13) მოქალაქეობა, მოქალაქეობის ჩამორთმევისა და საქართველოს მოქალაქის საქართველოდან გაძევების დაუშვებლობა; (მ. 14) კანონის წინაშე თანასწორობა, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა; მ. 15, პ. 1-სიცოცხლის უფლება; მ. 17, პ. 1- ღირსება; მ. 17. პ. 2, მ. 18 – ადამიანის თავისუფლება და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება; მ. 28 – საარჩევნო უფლება; მ. 29 – სახელმწიფო თანამდებობის დაკავების თანასწორი უფლება; მ. 35 – განათლების უფლება; მ. 36 – ოჯახი და ქორწინება, დედათა და

³⁷⁵ Herbert L., დასახელებული ნაშრომი, 274.7.

³⁷⁶ კუბლაშვილი კ., დასახელებული ნაშრომი, 61.

³⁷⁷ იქვე, 61.

ბავშვთა უფლებები; მ. 37 – ჯანმრთელობის დაცვის უფლება; მ. 47 – თავშესაფრის უფლება.³⁷⁸

„ყველა სხვა ძირითადი უფლება შესაძლებელია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გავრცელდეს (კერძო სამართლის) იურიდიულ პირებზე.

ძირითადი უფლებები, რომლებიც შეზღუდვის გარეშე შეიძლება გავრცელდეს (კერძო სამართლის) იურიდიულ პირებზე, არის მრავალი. მათ შორის აღსანიშნავია ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება (კონსტიტუციის მე-16 მუხლი), ასევე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება ვრცელდება სამუშაო ოფისებზე („პირადი საქმიანობის ადგილი“).³⁷⁹

„ეს ძირითადი უფლებები იურიდიულ პირებზე, კონსტიტუციის 45-ე მუხლის თანახმად, მათი შინაარსის გათვალისწინებით ვრცელდება. ამდენად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება (რომელიც შეიცავს პიროვნულ უფლებებსაც) თავისი სპეციფიკის მიხედვით შეეხება კერძო სამართლის იურიდიულ პირს. **იურიდიულ პირებს შეუძლიათ თავიანთ უფლებათა დასაცავად გამოიყენონ კონსტიტუციის მე-16 მუხლით აღიარებული საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება**“.³⁸⁰

გერმანელ მეცნიერთა მოსაზრებით, პრობლემატურია გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის მისადაგება იურიდიულ პირებზე. თუკი პიროვნულობის თავისუფალი განვითარების ქვეშ იგულისხმება სულიერად, გონებრივ-ზნეობრივად განვითარებული პიროვნებების თავისუფალი რეალიზება ადამიანურობის თვალსაზრისით, მაშინ იურიდიულ პირებს უარი უნდა ეთქვას მთავარი კანონის მე-2 მუხლში შეყვანაზე. პიროვნულობის თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს მოქმედების ყველა შესაძლებლობას, იქნება ეს იურიდიული საქმიანობა, ან სხვა ნებადართული ქმედება, განსაკუთრებით კი სამეურნეო საქმიანობისა და ადამიანურ ურთიერთობაში არსებული დამოკიდებულების თავისუფლება. შეიძლება არასულიერ-ზნეობრივ სფეროში მყოფი იურიდიული პირების დაცვა განხორციელდეს მთავარი კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად. მათაც შეუძლიათ ფიზიკურ პირთა მსგავსად განავითარონ საქმიანობა. საპირისპირო შეხედულების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანს ერთმევა უფლება იმისა, რომ თავისი პიროვნულობა განავითაროს მნიშვნელოვან სასიცოცხლო სფეროებში.³⁸¹

ადამიანებმა საკუთარი პიროვნება შესაძლოა სწორედ იურიდიული პირის დაფუძნებითა და მის მიერ განხორციელებული კომერციული თუ არაკომერციული საქმიანობით განავითარონ. საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება გაცილებით უფრო ფართო და ბევრისმომცველია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ეს ძირითადი უფლება ფაქტობრივად უზრუნველყოფს საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებას

³⁷⁸ კუბლაშვილი კ., დასახელებული ნაშრომი, 67.

³⁷⁹ იქვე, 62-63, 66, 68.

³⁸⁰ იქვე, 67.

³⁸¹ Herbert L., დასახელებული ნაშრომი, 266-294.

ფიზიკური პირებისათვის, რომლებსაც სრული უფლება აქვთ და შეუძლიათ, იურიდიული პირების დაფუძნებით განახორციელონ კონკრეტული სამეურნეო საქმიანობა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ თავად იურიდიულმა პირმა, როგორც ასეთმა, საჭიროების შემთხვევაში (სახელმწიფო მხრიდან მის საქმიანობაში ჩარევის დროს) შესაძლოა დაიცვას თავისი უფლებები სწორედ მე-16 მუხლზე მითითებით – საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების გარანტიის საფუძველზე.³⁸²

ის ფაქტი, რომ იურიდიულ პირთა შემთხვევაში საყოველთაო პიროვნული უფლების გამოყენება ისევე არ ხდება, როგორც ეს ფიზიკურ პირთა შემთხვევაში არის შესაძლებელი, არ ნიშნავს იმას, რომ იურიდიულ პირებს არანაირი სახით არ შეუძლიათ მოითხოვონ პირადი უფლებების დაცვა.³⁸³ რადგანაც ძირითადი კანონის დებულებები გამოყენებადია იურიდიულ პირთა შემთხვევაში, ჩნდება მეთოდური შესაძლებლობა იმისა, რომ მათ საფუძველზე განისაზღვროს ცალკეული პიროვნული უფლებები ან კიდევ დაცული სამართლებრივი პოზიციები, რითაც შესაძლებელი იქნება იურიდიულ პირთა უფლებების დაცვა. როგორც ფიზიკურ პირთა შემთხვევაში მოხდა ცალკეული პიროვნული უფლებების შემუშავება საყოველთაო პიროვნულ უფლებებზე დაყრდნობით, იურიდიულ პირთა შემთხვევაშიც შესაძლებელია ისეთი პიროვნული უფლებების არსებობა, რომლებიც მათ დაიცავთ მათი პირადული ინტერესებიდან და სარგებელიდან გამომდინარე. ამოსავალ წერტილს წარმოადგენს არსებული კანონისმიერი ნორმები, რომლებიც იცავენ პიროვნულობის ცალკეულ სფეროებს, სადაც შესაძლებელია კონსტიტუციურ პრინციპთა განვითარება იურიდიულ პირებზე მისადაგებით.³⁸⁴

„იურიდიულ პირებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ კონსტიტუციის მე-19 მუხლით უზრუნველყოფილი სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებები. მათ შეუძლიათ, თავიანთ წევრთა რწმენის გავრცელება და ხელშეწყობა, ასევე რელიგიური მიზნების მიღწევისაკენ სწრაფვა და ამისთვის საჭირო საქმიანობის განხორციელება“.³⁸⁵

„საქართველოს კონსტიტუციის მე-19, 23-ე და 24-ე მუხლებში მოცემული სიტყვის, აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებები, ინტელექტუალური შემოქმედებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს იურიდიული პირების მიერ. მას შეუძლია გაავრცელოს თავის წევრთა ან სხვათა აზრები და ხელი შეუწყოს ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებას, ამ გზით კი იგი ხვდება ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში და შესაბამისად, შეუძლია მათი გამოყენება“.³⁸⁶

³⁸² კუბლაშვილი კ., დასახელებული ნაშრომი, 67.

³⁸³ Herbert L., დასახელებული ნაშრომი, 266-294.

³⁸⁴ იქვე, 266-294 .

³⁸⁵ კუბლაშვილი კ., დასახელებული ნაშრომი, 68.

³⁸⁶ იქვე, 68.

იურიდიულ პირებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ კონსტიტუციის 25-ე მუხლით აღიარებული შეკრებებისა და მანიფესტაციების ძირითადი უფლება. ყველა იურიდიულ პირს შეუძლია საკუთარი სახელით მოაწიოს შეკრებები ან მანიფესტაციები, და შესაბამისად, ამ უფლების სახელმწიფო მიერ დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს 25-ე მუხლის საფუძველზე.³⁸⁷

„კონსტიტუციის 22-ე მუხლით გათვალისწინებული თავისუფალი გადაადგილების ძირითადი უფლება იურიდიული პირებისათვის ნიშნავს უფლებას თავისი ადგილსამყოფელის თავისუფალ არჩევასა და შეცვლას.“³⁸⁸

„კონსტიტუციის მე-20 მუხლში მოცემული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება ვრცელდება აგრეთვე სამუშაო ოფისებზე („პირადი საქმიანობის ადგილი“), ანუ ამ ძირითადი უფლების გამოყენება შეუზღუდავად შეუძლიათ იურიდიულ პირებსაც.“³⁸⁹

„იგივე ეხება კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებულ საკუთრების უფლებასაც. ბუნებრივია, ყველა იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს საკუთრება და შესაბამისად, ამ საკუთრების დაცვის უფლებაც (აქ შეგვიძლია მოვიხმოთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-17 მუხლი, რომლის მიხედვითაც „Everyone has the right to own property alone as well as on association with others“). იურიდიულ პირებზე ვრცელდება აგრეთვე ამავე მუხლით აღიარებული მემკვიდრეობის უფლება.“³⁹⁰ სკ-ის 1308-ე მუხლის შესაბამისად, ანდერძით მემკვიდრე შეიძლება იყოს იურიდიული პირი, რომელიც შექმნილი იყო სამკვიდროს გახსნის მომენტში.

„ძირითადი უფლებების ფლობისა და გამოყენების იურიდიული შესაძლებლობა კერძო სამართლის იურიდიულ პირებს აქვთ. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ნაწილობრივ შეიძლება გავრცელდეს კერძო სამართლის იურიდიულ პირზეც. მაგალითად, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების სუბიექტი სავსებით დასაშვებია იყოს იურიდიული პირი.“³⁹¹ „ამ ძირითად უფლებებს ვერ ფლობენ და ვერ იყენებენ კერძო სამართლის ის იურიდიული პირები, რომლებიც ასრულებენ საჯარო ხელისუფლების ამოცანებსა და ფუნქციებს.“³⁹²

„კონსტიტუციის 45-ე მუხლის დებულება არ იზღუდება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირებით. ამ დებულების მიხედვით, ძირითადი უფლებები მათი შინაარსის გათვალისწინებით ვრცელდება ზოგადად იურიდიულ პირებზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, ძირითადი უფლებები, მათი არსიდან გამომდინარე, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს

³⁸⁷ კუბლაშვილი კ., დასახელებული ნაშრომი, 69.

³⁸⁸ იქვე, 69. (აღნიშნული უფლების თაობაზე მივუთითებ ზემოთ საქმიანი რეპუტაციისა და სხვა არაქონებრივი უფლებების გამოიჯვანის შესახებ პარაგრაფში).

³⁸⁹ იქვე, 69.

³⁹⁰ იქვე, 69.

³⁹¹ ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 245.

³⁹² კუბლაშვილი კ., დასახელებული ნაშრომი, 63.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ“;³⁹³ „ვინაიდან იგი ვერ იქნება პიროვნების თავისუფალი განვითარების სუბიექტი, რამდენადაც ავითარებს არა „საკუთარ პიროვნებას“, არამედ ახორციელებს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს“.³⁹⁴

ძირითადი უფლებები თავისი არსით წარმოადგენს ადამიანის დამცავ უფლებებს, მიმართულს სახელმწიფოს (შესაბამისად სახელმწიფოს ყველა ორგანოსა თუ საჯარო-სახელმწიფოებრივი ფუნქციის განმახორციელებელი დაწესებულებების) მხრიდან მათი (ფიზიკური პირების) ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევის წინააღმდეგ. ამ პრინციპთან შეუსაბამო იქნებოდა, რომ სახელმწიფო ყოფილიყო ამ უფლებების მფლობელიც და ადრესატიც.³⁹⁵ თუმცა, აქაც არსებობს გამონაკლისები. მათი არსებობა შეიძლება დასაბუთდეს იმით, რომ ზოგიერთი, განსაკუთრებით სპეციფიკური ტიპის საჯარო სამართლის იურიდიულ პირი საქმიანობას ახორციელებს კონკრეტული ძირითადი უფლების დაცულ სფეროში. ეს იურიდიული პირები ემსახურება ფიზიკურ პირებს და ეხმარება მათ ინდივიდუალური უფლებების განხორციელებაში.³⁹⁶ ეს გამონაკლისებია: უნივერსიტეტები, ანუ ზოგადად უმაღლესი სასწავლებლები, რელიგიის სფერო და ამ სფეროში მოქმედი რელიგიური გაერთიანებები – საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საჯარო-სამართლებრივი სატელევიზიო და რადიოსადგურები, სახელოვნებო, მუსიკალური უმაღლესი სასწავლებლები, ანსამბლები, ორკესტრები, გალერეები, მუზეუმები, თეატრები და ა.შ.³⁹⁷

„სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის რეალური განხორციელება დაკავშირებულია ისეთი სამართლებრივი მექანიზმის შექმნასთან, რომელიც ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას აღკვეთს. ამ მექანიზმის ძირითადი მამოძრავებელი ძალა ადამიანის ე.წ. „საჯარო უფლებებია“, რომლებიც გულისხმობს ადამიანის უფლებას, მოსთხოვს და პასუხი აგებინოს თანამდებობის პირს“.³⁹⁸

საჯარო უფლებების გვერდითაა კერძო უფლებებიც, რომლებიც ორიენტირებულია ადამიანის ინდივიდუალობაზე, განუმეორებლობაზე. ეს წარმოაჩენს სახელმწიფოსა და პიროვნების თანაარსებობის საჯარო და კერძო

³⁹³ კუბლაშვილი კ., დასახელებული ნაშრომი, 63.

³⁹⁴ იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., მერიდიანი, 2005, 64.

³⁹⁵ კუბლაშვილი კ., დასახელებული ნაშრომი, 63.

³⁹⁶ ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 245.

³⁹⁷ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., ჯისიაი, 2008, 66.

³⁹⁸ სავანელი ბ., ხელისუფლებათა განაწილების პრინციპი და ადამიანის უფლებების კონსტიტუციური გარანტიები (ბრძოლა უფლებებისთვის) კრებულში: „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თბ., (1994 წლის 23-25 მაისს თბილისში გამართული საერთაშორისო კონვენციის მასალები), 1994, 25-27. მითითებულია: ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 246.

ასპექტებს. კერძო უფლებები პიროვნების სოციალური აქტიურობის შესაძლებლობასა და საზოგადოებაში გარკვეული უთანასწორობის სარგებლიანობასაც ასაბუთებს.³⁹⁹ „საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს კერძო საიდუმლოების დაცვის უფლება, მაგრამ ეს საჯაროსამართლებრივი უფლებაა და არა ზოგადი პიროვნული უფლება, მაგრამ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს არა აქვს პირადი საიდუმლოების უფლება, როგორც პიროვნული უფლება (კერძო უფლება). ეს უფლება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს, ისიც გარკვეული სპეციფიკური თავისებურებებით. ამასთან, იურიდიულ პირს არ შეიძლება ჰქონდეს პირადი ცხოვრების უფლება, ვინაიდან ის მხოლოდ ფიზიკურ პირს აქვს; იურიდიულ პირს აქვს კერძო ცხოვრების საიდუმლოების დაცვის უფლება“.⁴⁰⁰

საქმიანი რეპუტაცია ზოგადად და იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია კერძოდ, ზოგადი პიროვნული უფლებების ერთ-ერთი სფეროდ უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ძირითადად ზოგადი პიროვნული უფლების დაცვის უნივერსალურ ფორმას ეფუძნება. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლში გათვალისწინებულია საკუთარი პიროვნების განვითარების თავისუფლება, რომელშიც შედის ზოგადი პიროვნული უფლება და საყოველთაო თავისუფლება. ზოგადი პიროვნული უფლების გამოვლინებანი – განსაკუთრებული პიროვნული უფლებები არის სსკ-ით ან სხვა კანონებით უზრუნველყოფილი.⁴⁰¹ „ზოგადი პიროვნული უფლება“ სამართლებრივ უსაფრთხოებას იცავს და მისი უარყოფა დაუშვებელია, რადგან არსებობს მასზე კიდევ უფრო ზოგადი და ზოგადი პიროვნული უფლების ცალკეული გამოვლინებანი. შესაბამისად, იგულისხმება, რომ მათ შორის არსებული კატეგორიაც არის საქართველოს კანონმდებლობით დაცული. ამდენად, ზოგჯერ შეიძლება პიროვნული უფლებები ყოველმხრივ არ იყოს დაცული და ახალი პიროვნული უფლებების წარმოშობამ სამართლებრივი ნორმები უსაზღვროდ გაზარდოს. სწორედ ამ შემთხვევაში საქართველოსთვის (და არა მხოლოდ) აუცილებელია ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება, რაც მიიღწევა ღირსების, კერძო ავტონომიისა და დელიქტური ვალდებულებების შესახებ ნორმებით (სსკ-ის 992-ე მუხლი). შესაბამისად, ჩვენი კანონმდებლობით ზოგადი პიროვნული უფლება არის გათვალისწინებული. მის დასაცავად პირად არაქონებრივ უფლებებზე დაყრდნობით აუცილებელია შემოქმედებითი უნარის

³⁹⁹ სვანელი ბ., დასახელებული სტატია, 29-30. მითითებულია: ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბ., 2012, 246.

⁴⁰⁰ ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2012, 247.

⁴⁰¹ იქვე, 329.

გაფართოება (აბსტრაგირება). ამ პროცესში კი სამოსამართლო სამართალმა უნდა ითამაშოს დიდი როლი.⁴⁰²

ზემოაღნიშნულ პარაგრაფში განხორციელებული კვლევიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად რეპუტაცია და კერძოდ, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებში მოხსენიებული არ არის, მისი დაცვის კონსტიტუციური საფუძველი ღირსების ასპექტზე დაყრდნობით და ზოგადი პიროვნული უფლების დაცვის საფუძველით არის რეალიზებული. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვას კონსტიტუციური ნორმები უზრუნველყოფს.

2.3. თეორიები იურიდიული პირის არსის შესახებ და იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სამართლებრივ ურთიერთობაში სუბიექტებად ადამიანთა, ანუ ბუნებრივ პირებთან ერთად ხელოვნური პირებიც, ორგანიზაციული წარმონაქმნებიც, ე.ი. იურიდიული პირებიც⁴⁰³ მონაწილეობენ (სკ-ის 1, 8.I. მუხლები). გამოთქმა „იურიდიული პირი“ გერმანული წარმოშობისაა და პირველად გამოიყენა გუსტავ ჰუგომ. ივარაუდება რომ, ეს ტერმინი სწორედ მისი დამკვიდრებულია. „პირი შეიძლება იყოს იურიდიულიც – რამდენიმე ადამიანი, რომლებიც სამართლებრივი გაგებით მიიჩნევა ერთ კონკრეტულ ინდივიდად“.⁴⁰⁴

⁴⁰² ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბ., 2012, 329.

⁴⁰³ ქართულ სამართლებრივ ენაში ტერმინი იურიდიული პირი, საფიქრებელია, რუსულენოვანი ანალოგის юридическое лицо გავლენით უნდა დამკვიდრებულიყო, გერმანულენოვან სამართლებრივ ტერმინს Juristische Person ინგლისურად juristic person შეესაბამება მაშინ, როცა ინგლისური სახელი legal person ზოგადად სამართლებრივად უფლებაუნარიან სუბიექტს, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს გულისხმობს, ზოგიერთი მართლწესრიგისათვის, მაგალითად, ფრანგული, ავსტრიული სამართლის სისტემისათვის ეს მოვლენა ცნობილია სახელწოდებით მორალური პირი – personne morale (moralische Person). მითითებულია: ბურდული ი., ეგნატაშვილი დ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 24, წიგნი პირველი, თბ., 2017, 184.

⁴⁰⁴ Hugo, Lehrbuch des Naturrechts, als einer Philosophie des positive Rechts, Berlin, 1798. მითითებულია: ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, 206.

იურიდიული პირის მნიშვნელობის გაფართოება და გამოყენება ნებისმიერ უფლებაუნარიან პირთა გაერთიანებასა თუ „ორგანიზაციულ წარმონაქმნთან მიმართებით ჰაიზეს კვლევას⁴⁰⁵ უკავშირდება.⁴⁰⁶

ინსტიტუციური თვალსაზრისით თეორიები იურიდიული პირის წარმოშობის თაობაზე არსებითად გერმანული სამართლის მეცნიერებაში წარმოიშვა. გერმანული სამართალმცოდნეობა სამ ძირითად თეორიას იცნობს: ფიქციის თეორია, რეალური კავშირის თეორია და მიზნობრივი ქონების თეორია. დღეს მათ ზოგიერთი შეხედულება მხოლოდ ისტორიულ მნიშვნელობასდა ანიჭებს, ვინაიდან იურიდიული პირი, როგორც სამართლის სუბიექტი, დავას არ იწვევს,⁴⁰⁷ თუმცა სხვა მოსაზრებით, კერძოდ, ჩვენი კვლევის მიზნებისთვის, მსჯელობა მათ შესახებ შესაძლოა კვლავაც აქტუალური იყოს.⁴⁰⁸

სამართლის მეცნიერების განვითარების გარკვეულ ეტაპზე მეცნიერთა ნაწილი ამტკიცებდა, რომ სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, თუმცა ამავდროულად იქმნებოდა ნაშრომები, რომლებიც **იურიდიული პირის რეალურად არსებობის** დასაბუთებას ეძღვნებოდა.⁴⁰⁹ 1871 წელს ლასონი წერდა – მორალური პიროვნება იმავე აზრით არსებობს, როგორც ფიზიკური პიროვნება.⁴¹⁰ მარტენი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ მორალურ პირს იურიდიულ (ან სამოქალაქო) პირს უწოდებენ, რაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ფიზიკური პირი არ არის იურიდიული პირი. ეს უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ფიზიკური პირი რეალურია. იგი მეორედ ამ სახით შემოდის სამართალში, ისე რომ არ სჭირდება იურიდიულ პირად ქცევა, ხოლო მორალური პირი მხოლოდ იურიდიული წარმონაქმნი ან სამართლებრივი ფიქციაა. მოცემული წარმონაქმნის მოდელია ფიზიკური პირი, მისი იმიტაცია როგორც რობოტისა, ანთროპომორფული გამოსახულება, რომელიც სამართლებრივი მეტყველების წყალობით სამართლის სუბიექტამდე მალდება.⁴¹¹ ლასონის იდეა დამუშავებულ იქნა

⁴⁰⁵ Heise, Grundriss eines Systems des gemeinen Civilrechts zum Behuf von Pandecten Vorlesungen, Heidelberg, 1807, (3. Aufl., 1819, 98). მითითებულია: ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი“, 1997, 206.

⁴⁰⁶ Coing, Europäisches Privatrecht II, 19. Jahrhundert, 1985, 59 III, 338. მითითებულია: კვიციანი ქ, იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლებებისა და ქონებრივი უფლებების დაცვის სამართლებრივი საშუალებების ურთიერთმიმართება, სასემინარო ნაშრომი, თბ., 2013.

⁴⁰⁷ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 229.

⁴⁰⁸ ბურდული ი., ეგნატაშვილი დ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 24, წიგნი პირველი, თბ., 2017, 185.

⁴⁰⁹ პეპანაშვილი ნ., დასახელებული ნაშრომი, 225.

⁴¹⁰ Lasson A., Prinzip und Zukunft des Völkerrecht, Berlin, 1871, S. 128, მითითებულია: სურგულაძე ი., ხელისუფლება და სამართალი, თბ. 2002, 83.

⁴¹¹ მარტენი რ., პირი და სამართლის სუბიექტი, კრებული რ. შენგელია-70, თბ., 2012, 182.

რეალური ზოგადი პირის თეორიის შემოქმედის, პროფესორ გირკეს ნაშრომებში (მისი მტკიცებით, თეორიის საწყის პუნქტს ქმნის „persona fictia-ს ფანტომის საპირისპიროდ წამოყენებული თვალსაზრისი კორპორაციის როგორც რეალური ზოგადი პირისა“ reale Gesamtperson)⁴¹² რომლის მიხედვით თანამედროვე მართლშეგნების თვალსაზრისის საფუძველზე სამართლის სუბიექტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ადამიანური ინდივიდი და ადამიანური კავშირები⁴¹³.

რეალური კავშირის თეორიის წარმომადგენლის გირკეს თანახმად, ადამიანური გაერთიანებები (კავშირები) რეალურად არსებობენ. ამ კავშირებს თეორიის ავტორი მიიჩნევს „ორგანიზმებად“ – ნებისა და მოქმედების სუბიექტებად, რომლებიც თვითონ ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას და არა წარმომადგენლების მეშვეობით.⁴¹⁴

ამკარაა, რომ ეს „უხილავი კავშირი-პირი განმხორციელებელი და შერაცხადი, სურვილების მქონე და მოქმედი ერთეულია“.⁴¹⁵

ფიქციის თეორია იურიდიული პირის სრულიად განსხვავებულ კონსტრუქციას ქმნის, რომელიც ასევე ემყარება მტკიცებას, რომ სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ რეალური ინდივიდი. სამოქალაქო სამართალში ე.წ. ფიქციის თეორია, დაკავშირებულია სავინის სახელთან. იურიდიული პიროვნულობა ნიშნავს უფლებაუნარიანობას კერძო სამართლის ფარგლებში. მაგრამ ასეთი უნარი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ადამიანს-ფიზიკურ პირს. მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს პირი. მაგრამ სამართალს აქვს შესაძლებლობა ეს უნარი განსაზღვრულ სოციალურ წარმონაქმნებზე გაავრცელოს და ეს ხდება იმისთვის, რომ მათ გაუადვილოს „თავისუფალი საქმიანობა“, დაეხმაროს დასახული მიზნების მიღწევაში.⁴¹⁶ იურიდიული პირი არის „ქონებაუნარიანი, ხელოვნური სუბიექტი“.⁴¹⁷ ეს ხელოვნური სუბიექტი-იურიდიული პირი ადამიანისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი არ არის ქმედუნარიანი. მას სჭირდება

⁴¹² Gierke O., Die Genossenschaftstheorie und die deutsche Rechtsprechung, Berlin, 1887, მითითებულია: სურგულაძე ი., დასახელებული ნაშრომი, 83.

⁴¹³ სურგულაძე ი. დასახელებული ნაშრომი, 85.

⁴¹⁴ Conig, Bd. II, S. 341; Flume, Savigny und die Lehre von der juristischen Person, S. 355, მითითებულია: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც., სამართალი, 2011, 227.

⁴¹⁵ Gierke, Otto von, Das Wesen der menschlichen Verbände. Rektoratsrede von der Universität Berlin am 15. Oktober 1902, Darmstadt, 1954, S. 30, მითითებულია: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც., სამართალი, 2011, 228.

⁴¹⁶ Savigny, Friedrich Carl von, System des heutigen römischen Rechts. Bd. II, Berlin: Veit, 1840-1849, S. 239, მითითებულია: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბ., 2011, 224.

⁴¹⁷ Savigny, System des heutigen römischen Rechts, Bd. II, S. 239, მითითებულია: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბ., 2011, 224.

წარმომადგენელი ისევე, როგორც არასრულწლოვან ბავშვს, რადგანაც ბუნებრივი გაგებით იურიდიული პირი არაა ქმედუნარიანი, ის არც დელიქტუნარიანია.⁴¹⁸ „ფიქცია არის ის, რომ მხოლოდ ადამიანის უნარი, იყოს პიროვნება გადაგვაქვს სხვა სოციალურ წარმონაქმნებზე, რომლებიც თავისი ბუნებით არ არიან პიროვნებები და უფლებაუნარიანი არსებები, ე.ი. ხელოვნურად ვქმნით მათ. სოციალური წარმონაქმნები რეალურად არსებობენ (ისინი არ არის ფიქცია), მხოლოდ მათთვის პირად (პიროვნებად) ყოფნის სტატუსის მინიჭებაა ფიქცია“.⁴¹⁹ სავინის თეორიისგან განსხვავებით, ასევე ფიქციის თეორიის მომხრეები ორგანიზაციების, სოციალური წარმონაქმნების რეალურ არსებობას მიიჩნევენ ფიქციად. პუხტას აზრით, იურიდიული პირის დროს თვით სუბიექტს აკლია ბუნებრივი ყოფიერება,⁴²⁰ ვინდშიაიდის აზრით, იურიდიული პირი არის მოჩვენებითი სუბიექტი, რომლის არსებობაა ფიქცია.⁴²¹ იგი სამართლებრივი ფიქციის ცნების მნიშვნელობას უკავშირებდა ბუნებრივი და მიზანშეწონილი მოვლენის ცნებას. მსჯელობდა რა იმგვარი სამართლებრივი წარმონაქმნის იურიდიული კონსტრუქციის შესაძლებლობაზე, რომელშიც სამართლის სუბიექტი არ არის ფიზიკური ინდივიდი, ამგვარი პირის აღიარებით ჭვრეტდა „უსუბიექტო უფლებების სუბიექტს, როგორც რაღაც ბუნებრივსა და მიზანშეწონილს,⁴²² თუმცა ი. სურგულაძის აზრით, ბუნებრივის და მიზანშეწონილის ცნებებით ფიქციის უპირატესობის გამოხატვა ვერ ჩაითვლება სამართლის მეცნიერებისთვის ღირებულ მოვლენად.⁴²³

სავინი⁴²⁴ და ვინდშიაიდი იურიდიულ პირს ხელოვნურ სუბიექტად მიიჩნევენ, რომელსაც კანონმა რეალურად მისი მონაწილე, კონკრეტული ფიზიკური პირების კუთვნილი უფლებები და მოვალეობები, პირობითად დაუკავშირა ან დატოვა „უსუბიექტოდ“.⁴²⁵ ფიქციის თეორიის წარმომადგენელი იერიინგი აღნიშნავდა რომ, სამართლის სუბიექტი არის ის,

⁴¹⁸ Conig, Bd. II, S. 340; Savigny, System des heutigen römischen Rechts, Bd. II, S. 318.

მითითებულია: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბ., 2011, 225.

⁴¹⁹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბ., 2011, 226.

⁴²⁰ Conig, Bd. II, S. 340, მითითებულია: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც., სამართალი, 2011, 226.

⁴²¹ Flume, Savigny und die Lehre von der juristischen Person, S. 354, მითითებულია: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც., სამართალი, 2011, 226.

⁴²² Windscheid, B., Lehrbuch des Pandektenrechts, 4-te Aufl. I, S. 124, Anm. 5, მითითებულია: სურგულაძე ი. დასახელებული ნაშრომი, 90.

⁴²³ სურგულაძე ი. დასახელებული ნაშრომი, 90.

⁴²⁴ Savigny F.C. v. System des heutigen romischen Rechts. Bd. II. Berlin, 1840; Windscheid B., Lehrbuch des Pandektenrechts. Bd. I. 8. Aufl. Frankfurt, 1900. მითითებულია: Архиепеев Н.В., დასახელებული ნაშრომი, 59.

⁴²⁵ Архиепеев Н.В., დასახელებული ნაშრომი, 59.

ვისაც კანონით მისივე სარგებლობა მიეწერება.⁴²⁶ შესაბამისად, სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური და არა იურიდიული პირი. დერნბურგი ფიქციას განარჩევდა წარმოდგენისგან. რაც შეეხება წარმოდგენას იურიდიული პირის შესახებ ის სინამდვილეში რაღაც არსებულს სათანადო ცნების ქვეშ მიიყვანს. წარმოდგენა, როგორც წესი, „საგნის რეალობას ეთანასწორება, წარმოადგენს არა ფანტაზიის, არამედ გონების ნაყოფს.⁴²⁷

მეცნიერთა ნაწილი (არლტსი, ნოინერი, ვიტე) ფიქციის მეცნიერულ მნიშვნელობას ასაბუთებდნენ მისი გამოყენების ლოგიკური აუცილებლობით.⁴²⁸ იუნგერის სიტყვით, ფიქციის თეორიული ფუნქცია მდგომარეობს „ცნობილ სამართლებრივ სიდიდესთან“ გათანაბრებაში⁴²⁹. ბირლინგის აზრით, გათანაბრება მხოლოდ მაშინ არის ფიქცია, როცა მასში ამავე დროს დევს მოთხოვნა რაღაც როგორღაც სხვაგვარად იქნეს გააზრებული ვიდრე ის სინამდვილეში არის.⁴³⁰ ამგვარად ფიქცია გვევლინება ხელსაყრელ დამხმარე საშუალებად იურიდიული აზროვნებისათვის.⁴³¹

ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვასთან წარმოშობილი ურთიერთობების მოუწესრიგებლობა დოქტრინაში იურიდიული პირის, როგორც ფიქციის დომინირებამ განაპირობა.⁴³²

1997 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სარედაქციო კომისიის წევრები კოდექსის 24.1. მუხლთან⁴³³ დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ იურიდიული პირების ეს განმარტება ფიქციის თეორიას მიესადაგება⁴³⁴, თუმცა კი იძლევა იურიდიული პირის ლეგალურ დეფინიციას, მაგრამ ეს არ არის ამომწურავი სამართლის ამ სუბიექტის სრულად დახასიათებისათვის.⁴³⁵

⁴²⁶ Ihering, Geist des römischen Rechts, III, S. 325, 2-te Auflage, მითითებულია: სურგულაძე ი., დასახელებული ნაშრომი, 87.

⁴²⁷ დერნბურგი ჰ., პანდექტები, 1, ტფილისი, 1928, 148.

⁴²⁸ პეპანაშვილი ნ. დასახელებული ნაშრომი, 229.

⁴²⁹ Unger J., die Verträge zugunsten Dritter, Jena, 1869, S. 11; Demelius G., Die Rechtsfiktion in ihrer geschichtlichen und dogmatischen Bedeutung, 1858, S. 82 ff, მითითებულია სურგულაძე ი. დასახელებული ნაშრომი, 90.

⁴³⁰ Bierling E.R., Zur Kritik der juristischen Grundbegriffe, II, S. 85-86, მითითებულია: სურგულაძე ი. დასახელებული ნაშრომი, 90.

⁴³¹ სურგულაძე ი. დასახელებული ნაშრომი, 91.

⁴³² Архиепеев Н.В., დასახელებული ნაშრომი, 59.

⁴³³ იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

⁴³⁴ ზოიძე ბ. ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში. თბ., 2005, 214-215.

⁴³⁵ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, 1999, 98.

მიზნობრივი ქონების თეორიის მიხედვით, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა პირთა გაერთიანებას, არამედ განსაზღვრული მიზნისთვის გათვალისწინებულ ქონებას ენიჭება.⁴³⁶

ქართული სამოქალაქო კოდექსის თანახმად, იურიდიული პირის სახელით გამოდიან მისი ორგანოები. კოდექსმა გაიზიარა ორგანული თეორია და არა წარმომადგენლობის ფრანგული თეორია. ამ უკანასკნელის თანახმად, წარმომადგენლობა ხორციელდება იურიდიულ პირსა და წარმომადგენელს შორის დადებული ხელშეკრულებით (მანდატით), ორგანული თეორიის მიხედვით, კი ესა თუ ის პირი წარმომადგენელი ხდება არა ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ, კანონის ძალით. ორგანული თეორიის უპირატესობა ისიცაა, რომ წარმომადგენელთა პასუხისმგებლობაც კანონით განისაზღვრება.⁴³⁷ ლ. ჭანტურიას თქმით, „ქართული კერძო სამართალი ამ მხრივაც შეესაბამება თანამედროვე სამართლის სტანდარტებს და იურიდიული პირის ხელმძღვანელებს აკისრებს პასუხისმგებლობას, თუკი მათმა მოქმედებამ ან უმოქმედობამ (მაგალითად, ვალაუვალობის განუცხადებლობამ) ზიანი მოუტანა იურიდიულ პირს“.⁴³⁸

ორგანული თეორიის ღირსება იმაშია, რომ იგი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იურიდიული პირის სამართალსუბიექტობის სრულფასოვნებას. თუ იურიდიული პირი სამართლის სუბიექტია, მაშინ მის ორგანიზმში უნდა მოინახებოდეს მისივე წარმოდგენის კანონისმიერი გზა. ორგანულ თეორიაში ეს აშკარად ჩანს. იურიდიულ პირს წარმოადგენს მისი ორგანოები.⁴³⁹ სახელშეკრულებო წარმომადგენლობა იურიდიული პირის სამართალსუბიექტობას საეჭვოს ხდის.

ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობაში იურიდიული პირისათვის არამატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხი განსხვავებულად წყდება. ამ განსხვავებას საფუძველად იურიდიული პირის არსის შესახებ განსხვავებული თეორიების არსებობა განაპირობებს. (ფიქციისა და რეალისტური თეორიები). ზემოთ აღინიშნა, რომ ფიქციის თეორიის თანახმად, იურიდიული პირი კანონის მიერ შექმნილი ხელოვნური სუბიექტია,⁴⁴⁰ რეალისტური თეორია კი იურიდიულ პირს დამოუკიდებელ ცოცხალ ორგანიზმად მიიჩნევს.⁴⁴¹

⁴³⁶ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 228.

⁴³⁷ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბ., 2005, 219.

⁴³⁸ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 240-241.

⁴³⁹ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბ., 2005, 219.

⁴⁴⁰ Суворов Н.С., Об юридических лицах по римскому праву, М., 2000, 64-65.

⁴⁴¹ Суворов Н.С., დასახელებული ნაშრომი, 67, Козлова Н.В., Понятие и сущность юридического лица. Очерк истории и теории, М., 2003, 107.

დასახელებული თეორიების შინაარსიდან გამომდინარე ევროკავშირის ქვეყნები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს.

პირველი ჯგუფის ქვეყნებში იურიდიული პირი დამოუკიდებელ ორგანიზმად განიხილება და შესაბამისად, მისი საქმიანი რეპუტაციის დაცვა დელიქტური პასუხისმგებლობის ზოგად პრინციპზეა დაფუძნებული. ეს ქვეყნებია ბელგია, საფრანგეთი, საბერძნეთი, ესპანეთი, შვეიცარია, ნიდერლანდები და იტალია, სადაც იურიდიული პირისთვის მიყენებული არამატერიალური ზიანი ექვემდებარება კომპენსაციას.⁴⁴²

მეორე ჯგუფის ქვეყნებს შეადგენს გერმანია და ინგლისი, სადაც იურიდიული პირი „სულის არმქონე“ ცალკე სუბსტრატადაა მიჩნეული, რომელსაც ფიზიკური პირის მსგავსად, არა აქვს საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება, შესაბამისად, არამატერიალური ზიანის კომპენსაციის, ისევე როგორც დანაკარგების კომპენსაციის საკითხი განიხილება ფაქტიურად მიყენებული და მტკიცებას დაქვემდებარებული დანაკარგების შესაბამისად.⁴⁴³

⁴⁴²Архиереев Н.В., დასახელებული ნაშრომი, 86.

⁴⁴³ იქვე, 86.

თავი 3

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებები და პირობები

3.1. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამოქალაქო- სამართლებრივი დაცვის საშუალებების ზოგადი ცნების შესახებ

სამოქალაქო უფლებათა დაცვის საშუალებებში იგულისხმება კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებები, რომელთა დახმარებითაც შეიძლება მიღწეული ქნეს უფლების დარღვევის აღკვეთა, აღმოფხვრა ან დანაკარგების კომპენსაცია. სამოქალაქო უფლებების დაცვის უნივერსალურ საშუალებებს განეკუთვნება: უფლების აღიარება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება და კომპენსაცია, მორალური ზიანის ანაზღაურება და სხვა.⁴⁴⁴

დაცვის საშუალებებად კანონი მიიჩნევს ხელმყოფისათვის მოქმედების შეწყვეტის ან მასზე უარის თქმის, პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფის დაკისრებას ხელმყოფისათვის მისი ბრალის მიუხედავად, ხოლო ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას.⁴⁴⁵

„უფლების დაცვის საშუალებაში იგულისხმება კონკრეტული მოქმედება, რომელიც უნდა შესრულდეს მოცემულ მომენტში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფლების დაცვის საშუალებებში იგულისხმება კანონით გათვალისწინებული იძულებითი ხასიათის მატერიალურ-სამართლებრივი ღონისძიებები, რომელთა მეშვეობითაც ხდება დარღვეული ან სადავო უფლებების აღდგენა ან აღიარება და სამართალდამრღვევზე ზემოქმედება. უფლების დაცვის საშუალება მატერიალური (რეგულაციური) სამართლის კატეგორიაა“.⁴⁴⁶

პირმა, რომელსაც შეელახა საქმიანი რეპუტაციის უფლება, უნდა მიიღოს ზომები, რომელიც მოიცავს არა მარტო მატერიალურ დანაკარგებს, ასევე ინტელექტუალური ხასიათის მოქმედებებს.⁴⁴⁷ უფლების აღსადგენად ყოველთვის საკმარისი არაა დამრღვევისთვის მხოლოდ ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, აუცილებელია დაზარალებულის

⁴⁴⁴ გალდავა გ., სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, თსუ, №1, 2009, 122.

⁴⁴⁵ ბარაბაძე ნ., მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2011, 47.

⁴⁴⁶ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012, 17.

⁴⁴⁷ Гражданское право: актуальные проблемы теории и практики, Под общ. ред. В.А. Белова. М., 2008, 911.

ინტერესებში სამართალდამრღვევმა განახორციელოს არაქონებრივი ხასიათის ღონისძიებები.⁴⁴⁸ ყველაზე სრული კომპენსაციაც კი ვერ აღადგენს ცილისწამების გამო შელახულ რეპუტაციას.⁴⁴⁹

არაქონებრივი უფლებების დაცვის ფორმები რამდენიმე ასპექტში შეიძლება განვიხილოთ: მათი აღიარება, ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა ან გავრცელებული ცნობების/ინფორმაციის უარყოფა.⁴⁵⁰ განსხვავებით მორალური ზიანის ანაზღაურებისგან, ასეთ შემთხვევაში ხელმყოფის ბრალეულობა არ არის უპირატესი მნიშვნელობის.⁴⁵¹

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის მიზნით მოსარჩელეს (დაზარალებულს) შეუძლია მოითხოვოს: ხელყოფის თავიდან აცილება ან აღკვეთა. ამასთან, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის თანახმად, მოპასუხეს ეკისრება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გამოქვეყნების ვალდებულება თვით საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით იმ შემთხვევაშიც, როცა ცილისწამება არ გავრცელებულა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით. თუმცა, აკრძალულია, მოპასუხის იძულება, რომ მოიხადოს ბოდიში. ცილისწამების გავრცელებით მიყენებული ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურება კი დამოკიდებულია იმაზე, მოპასუხემ, მის მიერ გავრცელებულ ცილისწამებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, განახორციელა თუ არა შესწორება ან უარყოფა. დადებით შემთხვევაში ასეთი შესწორება (უარყოფა) განხორციელდა თუ არა კანონით დადგენილ ვადაში, დადებით შემთხვევაში არის თუ არა საკმარისი ცილისწამებით მიყენებული ზიანის ჯეროვანი კომპენსირებისთვის. თუ შესწორებას/უარყოფას არ ექნება ადგილი, ან/და სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი არ არის საკმარისი, სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ მხოლოდ ასეთ შემთხვევებში ექვემდებარება დაკმაყოფილებას.⁴⁵²

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის საშუალებებია:

1. სამოქალაქო სამართლებრივი

- ა. უარყოფა
- ა.ა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (სსკ-ის 18.3. მუხლი, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ 17.3.)

⁴⁴⁸ Гражданское право: Учебник: В 4 т. Том 1: Общая часть, Отв. ред. Е.А. Суханов. 3-е изд., перераб. и доп. М., 2008, 557.

⁴⁴⁹ Кархалев Д.Н., Соотношение мер защиты и мер ответственности в гражданском праве России: Дис., Екатеринбург, 2003, 79.

⁴⁵⁰ ნინიძე თ., სსკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 18, თბ., 1999, 70.

⁴⁵¹ ჯორბენაძე ს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მე-18 მუხლი, წიგნი პირველი, 2017, 133.

⁴⁵² მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 223.

- ა.ბ. საბუთის შეცვლა (გაუქმება) (სსკ-ის 18.3. მუხლი)
- ა.გ. შესწორება (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ 17.3.)
- ბ. სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ 17.1.)
- გ. საპასუხო ცნობების გამოქვეყნება (სსკ-ის 18.4. მუხლი)
- დ. ზიანის ანაზღაურება
 - დ.ა. ქონებრივი ზიანი (მიღებული მოგების ჩათვლით) (სსკ-ის 18.6., სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ 17.3. მუხლები.)
 - დ.ბ. არაქონებრივი (მორალური) ზიანი (სსკ-ის 18.6., სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ 17.3. მუხლები.)

1. სამრეწველო საკუთრების ობიექტების დაცვასთან კავშირში

- ა. უფლების დამრღვევი მოქმედების შეწყვეტა (სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 45.1.ა. მუხლი, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ კანონის 16.ა. მუხლი)
- ბ. საქონლის ამოღება (სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 45.1.ბ. მუხლი)
- გ. სასაქონლო ნიშნის განცალკევება (სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 45.1.გ. მუხლი)
- დ. საქონლის განადგურება (სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 45.1.გ. მუხლი, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ კანონის 16.ბ. მუხლი.)
- ე. გამოსახულების, ეტიკეტის, ანაბეჭდის, შეფუთვის, შესაფუთი ან სარეკლამო მასალის ან აბრის განადგურება (სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 45.1.დ. მუხლი, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ კანონის 16.დ. მუხლი.)
- ვ. ინტერნეტში განთავსებული მასალის ან გამოსახულების წაშლა (სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 45.1.დ. მუხლი)
- ზ. სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი საშუალებების განადგურება. (სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 45.1.ე. მუხლი)
- თ. ფულადი კომპენსაციის გადახდა. (სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 45.4. მუხლი)
- ი. ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება (მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით) (სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 45.5.ა. მუხლი, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ კანონის 16.ბ. მუხლი.)
- კ. მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა (სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 45.5.ბ. მუხლი)

ლ. ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდა.(სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 45.5.გ. მუხლი)

2. საჯაროსამართლებრივი საშუალებები

- ა. სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნება. (სიტყვის და გამოხატვის შესახებ კანონის 17.1. მუხლი.)
- ბ. ქმედების აღკვეთა და ზიანის ანაზღაურება. (კონკურენციის შესახებ კანონის 11³, 33² მუხლები)
- გ. არასათანადო რეკლამის უარყოფა და ზიანის ანაზღაურება. (რეკლამის შესახებ კანონის 21-ე მუხლი)
- დ. არასათანადო რეკლამის შეჩერება ან „კონტრერეკლამის“ განხორციელება. (რეკლამის შესახებ კანონის 171.ა. მუხლი).

კვლევაში მითითებული დაცვის საშუალებები ცალკე იქნება განხილული.

3.2. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის პირობები

ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წანამდგვრები ნორმატიულად სსკ-ის 992-ე მუხლითაა განსაზღვრული: „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“. შესაბამისად, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელია არსებობდეს:

ა. **ზიანი** ის ქონებრივი დანაკლისი, რაც პირმა მისი პიროვნული უფლებების ხელყოფით განიცადა და, მოგება, რომელიც ხელმყოფმა პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად მიიღო.⁴⁵³ ასეთი შეიძლება იყოს: პროფესიული საქმიანობის შეზღუდვა, კლიენტურის, პაციენტების დაკარგვა, პუბლიკაციის ტირაჟის გაზრდა, სხვადასხვა სახის ქონებრივი სარგებელი და სხვ.⁴⁵⁴ მოგების სახით ზიანის ანაზღაურებაში იგულისხმება ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, რომელიც შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს როგორც არაქონებრივ ზიანთან ერთად, ისე, მისგან დამოუკიდებლად.⁴⁵⁵ მოგებაში არ იგულისხმება მხოლოდ წმინდა ეკონომიკური ხასიათის მოგება.⁴⁵⁶ აქ მხედველობაშია მისაღები ნებისმიერი სარგებელი, რომელიც ხელმყოფმა ასეთი ქმედების შემდეგ მიიღო. მაგალითად, გაზარდა ტირაჟი,⁴⁵⁷ ასევე, განათავსა არასათანადო რეკლამა,⁴⁵⁸

⁴⁵³ ნინიძე თ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, 2002, 70.

⁴⁵⁴ იქვე, 71.

⁴⁵⁵ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017, 134.

⁴⁵⁶ ნინიძე თ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, 2002, 77.

⁴⁵⁷ იქვე, 78.

ხოლო, ხელმეოფი ასეთი რეკლამის განთავსებით გარკვეულ თანხას (მოგებას) მიიღებს.⁴⁵⁹

ბ. მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს: ა) ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების გავრცელებით; ბ) ზიანის მომტანი ფაქტების გახმაურებით; გ) თანხმობის გარეშე პირის გამოსახულების გავრცელებით (სსკ-ის 993-ე მუხლი).⁴⁶⁰ იგი თავის თავში გულისხმობს სამართლისადმი წინააღმდეგობას⁴⁶¹ და წარმოადგენს პასუხისმგებელი პირის არასწორ ქმედებას, ქმედების შეუსაბამობას კანონთან, ხელშეკრულებასთან, ზნეობის საფუძვლებთან, რაც იწვევს სამართლებრივი ურთიერთობის მეორე მხარის ქონებრივი ან არაქონებრივი სიკეთეების (უფლებების) და კანონიერი ინტერესების დარღვევას (დამცირებას, შეზღუდვას).⁴⁶² მისი არსი ისაა, რომ ქმედება არღვევს სამართლის ნორმით გამოხატული მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულებას.⁴⁶³

არაქონებრივი ზიანის არსებობისას მართლწინააღმდეგობა სახეზეა, როდესაც პირის ქმედება კანონს/მართლწესრიგს ეწინააღმდეგება, ხოლო ასეთი დარღვევისთვის კანონი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ითვალისწინებს (413 და ცალკეული სამართლებრივი აქტით მოწესრიგებული შესაბამისი მუხლები). მხოლოდ სუბიექტის მოსაზრება, რომ კონკრეტული ქმედებით/უმოქმედობით მას მიაღდა არაქონებრივი ზიანი და ამით განხორციელებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედება/უმოქმედობა, არ არის მართებული.⁴⁶⁴ ასეთ შემთხვევაში, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ნებისმიერ საკითხთან მიმართებით იქნებოდა შესაძლებელი და 413-ე მუხლის ფუნქცია თავის დანიშნულებას დაკარგავდა.⁴⁶⁵ მართლწინააღმდეგობა არ არის დამოკიდებული იმაზე, აცნობიერებდა თუ არა პირი (უფლების დამრღვევი) თავის ქმედებას (გარდა კანონით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა),⁴⁶⁶ არსებითად მნიშვნელობა აქვს დამდგარ შედეგს. მაგალითად, თუ არაქონებრივი ზიანი მიაღებდა პირს, მნიშვნელობა არ აქვს, სურდა თუ არა ზიანის მიმცემებელს ასეთი შედეგის

⁴⁵⁸ სუს განჩინება, 26 დეკემბერი, 2001, №3/კ, 924-01, მითითებულია: ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017, 134.

⁴⁵⁹ ნინიძე თ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, 1999, 78.

⁴⁶⁰ იქვე, 78.

⁴⁶¹ ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, 1/2009, 82.

⁴⁶² Ерделевский А.М., Компенсация морального вреда, М., 2000, 84.

⁴⁶³ Hens-Heinrich Jescheck, Thomas Weogend, Lehrbuch des strafrechts. Allg. Teil. Berlin, 1996, 233. მითითებულია: ქოჩაშვილი ქ., დასახელებული ნაშრომი, 82.

⁴⁶⁴ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017, 136.

⁴⁶⁵ იქვე, 136.

⁴⁶⁶ ქოჩაშვილი ქ., დასახელებული ნაშრომი, 82.

დადგომა. თუ კანონის დარღვევა იქნება სახეზე, ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს შესაბამისი წესით.⁴⁶⁷

არამატერიალური სიკეთეების და არაქონებრივი უფლებების დამრღვევი მართლსაწინააღმდეგო ქცევა ხშირად სახელის გამტეხ, სიმართლესთან შეუსაბამო განცხადების გავრცელებაში გამოიხატება.⁴⁶⁸

იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების შელახვის შემთხვევაში უნდა არსებობდეს საქმიანი რეპუტაციის შელახვის იმგვარი ფაქტი, რომ ეს უკანასკნელი ვეღარ ახორციელებდეს თავის საქმიანობას⁴⁶⁹, რადგან გავრცელებული ინფორმაცია იურიდიული პირის „საბაზრო სახეს“, კომერციულ შეხედულებას ეწინააღმდეგება⁴⁷⁰. ამასთან, კონკრეტულ შემთხვევაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, მაგალითად, თუ ვის მიმართ მოხდა განცხადების გაკეთება იურიდიული პირის თუ მისი დირექტორის⁴⁷¹ და სხვ.

პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვად ჩაითვლება ისეთი განცხადების ან ფაქტის გავრცელება, რომელიც მე-18 მუხლში ჩამოთვლილი არაქონებრივი უფლებებიდან ერთ-ერთის ან რამდენიმეს ერთად ხელმყოფია.⁴⁷²

უფლების შელახვა რეალურ სამართლებრივ საფუძველს უნდა ემყარებოდეს. აღნიშნულზე მიუთითებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც, ყოველგვარი ეჭვი, რაც უფლების დარღვევის ფაქტს არ ასაბუთებს, უფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ უნდა გადაწყდეს.⁴⁷³

რუსული კანონმდებლობით საქმიანი რეპუტაციის დაცვა მარტო ყალბი შემლახავი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაშია შესაძლებელი, რაც ცივილისტთა კრიტიკას იწვევს. ავტორები არგუმენტირებულად მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის მექანიზმი უფლების დაცვის შინაარსის ადეკვატური უნდა იყოს. შესაბამისად, კანონი უნდა ითვალისწინებდეს ყოველგვარი შელახვისაგან დაცვას, რომლითაც ხელყოფილია უფლების მფლობელის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელება. იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციას ზიანი შეიძლება

⁴⁶⁷ ქოჩაშვილი ქ., დასახელებული ნაშრომი, 82.

⁴⁶⁸ ბარაბაძე ნ., მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბ., სადისერტაციო ნაშრომი, 2011, 30.

⁴⁶⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 25 ივნისი, 2013, 28/696-13, მითითებულია: ჯორბენაძე ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 108.

⁴⁷⁰ სუს გადაწყვეტილება, 30 სექტემბერი 2015, ას-1052-1007-2014, მითითებულია: ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 109.

⁴⁷¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 25 ივნისი, 2013, 28/696-13, მითითებულია: ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 109.

⁴⁷² სუს განჩინება, 21 ივლისი, 2004, №ას-322-605-04, მითითებულია: ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 122.

⁴⁷³ სუს განჩინება, 3 აგვისტო, 2012, №ას-1739-1720-2011, მითითებულია: ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 123.

მიადგეს არა მარტო ყალბი ინფორმაციის გავრცელებით, არამედ, სხვა ფორმითაც. იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციასთან მიმართებით წარმოიშობა შეფარდებითი სამართალურთიერთობა, კომერციული კონცესიის საფუძველზე საქმიანი რეპუტაციის სხვა პირისათვის გადაცემის უფლების საფუძველზე.⁴⁷⁴

რუსი ცივილისტების აზრით, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებსა და მასთან გათანაბრებულ იდენტიფიკაციის საშუალებებზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევა შეიძლება და უნდა გახდეს კიდევ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით შელახული საქმიანი რეპუტაციის დაცვის საფუძველი.⁴⁷⁵

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შემლახავი არასწორი ცნობების გავრცელების ფაქტი საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლების წარმოშობის საფუძველია.⁴⁷⁶ ამგვარი ცნობების და ინფორმაციის ნებისმიერი ფორმის გავრცელება არის საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების უარყოფის მოთხოვნის საფუძველი. ამასთან, არ შეიძლება ცნობების უარყოფის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, თუ ასეთი ცნობები ასახულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში და განაჩენში ან სხვა ოფიციალურ დოკუმენტში, რომელთა გასაჩივრებისათვის გათვალისწინებულია კანონით დადგენილი სპეციალური წესი.⁴⁷⁷

გ. ზიანის მიმყენებლის ბრალი.⁴⁷⁸ მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთ-ერთი სამართლებრივი წანამდვარი ბრალის არსებობაა. ბრალის ცნება ქართულ სამოქალაქო მეცნიერებაში არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თუმცა გამოთქმულია მოსაზრება, რომლის საფუძველზეც განხორციელებულია ბრალის განსაზღვრება.⁴⁷⁹ ბრალი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის მნიშვნელოვან სუბიექტურ ელემენტს,⁴⁸⁰ რომელიც მართლწინააღმდეგობის არსებობას გულისხმობს.⁴⁸¹ სამოქალაქო სამართალში ბრალი პირის მიერ კონკრეტული ქმედებისა და მისი შედეგებისადმი დამოკიდებულებას გულისხმობს.⁴⁸²

ხშირად, ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი წარმოადგენს ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთ კრიტერიუმს.⁴⁸³ სამოქალაქო კანონმდებლობაში ბრალის სახეების განსაზღვრისათვის

⁴⁷⁴Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 95.

⁴⁷⁵ Кулишенко В.С., Защита от неправомерного использования деловой репутации субъекта хозяйствования в конкуренции (перевод с украинского): Дис., Одесса, 2003, 45-104.

⁴⁷⁶ თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 50.

⁴⁷⁷ იქვე, 50.

⁴⁷⁸ ნინიძე თ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 18, თბ., 1999, 78.

⁴⁷⁹ ქოჩაშვილი ქ., დასახელებული ნაშრომი, 89.

⁴⁸⁰ ზოიძე ბ., სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 394, თბ., 2001, 370.

⁴⁸¹ იქვე, 371.

⁴⁸² ცერცვაძე გ., ძლიერიშვილი ზ., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., რობაქიძე ი., დასახელებული ნაშრომი, 678.

⁴⁸³ იქვე, 678-679.

შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ბრალის ფორმების უფრო დეტალური კლასიფიკაცია, თუმცა სამოქალაქო სამართალში განსაზღვრული ბრალი განსხვავდება სისხლის სამართალში მოწესრიგებული ბრალისგან, რომლის საფუძველზეც არ არსებობს, მაგალითად, განზრახვის კლასიფიკაცია.⁴⁸⁴ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით განზრახვა და გაუფრთხილებლობა არ წარმოადგენს ბრალის ფორმებს, არამედ ისინი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია. ეს ნიშნავს, რომ ქმედების შემადგენლობის დადგენის დროს განზრახვა და გაუფრთხილებლობა დგინდება ფაქტობრივი გარემოებების ცოდნისა და სურვილის სახით, ხოლო რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის შეგნებას, რომელიც ასევე განზრახვის კომპონენტია, დგინდება ბრალის ეტაპზე.⁴⁸⁵

დ. მიზეზობრივი კავშირი ქმედებას და დამდგარ ზიანს შორის.^{486/487}(სკ-ის 412-ე მუხლი.) მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ზიანის ანაზღაურების მიზნით პასუხისმგებლობის დაკისრებისას ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის უნდა დადგინდეს.⁴⁸⁸ თავის მხრივ, მიზეზობრივი კავშირის საფუძველზე დგინდება, თუ როგორია ქმედება, რომელიც ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს წარმოადგენს (412).⁴⁸⁹

ზიანი მიიჩნევა უშუალოდ, როცა ის წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო ქმედების ბუნებრივ და აუცილებელ შედეგს, ირიბია, როცა – წარმოიქმნა განსაკუთრებული გარემოებების თანხვედრისას, შემთხვევითი – როცა მისი მიზეზი მდგომარეობს ისეთ მოვლენებში, რომელთა არც გათვალისწინება შეეძლო ადამიანის გონებას და არც აღკვეთა ადამიანის ძალას.⁴⁹⁰ მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა.⁴⁹¹

3.3. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების უარყოფა

⁴⁸⁴ცერცვაძე გ., ძლიერიშვილი ზ., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., რობაქიძე ი., დასახელებული ნაშრომი, 678-679.

⁴⁸⁵ ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2010, 53.

⁴⁸⁶ ნინიძე თ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, 1999, 72.

⁴⁸⁷ ზოიძე ბ., სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 378, თბ., 2001, 368.

⁴⁸⁸ ცერცვაძე გ., ძლიერიშვილი ზ., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., რობაქიძე ი., დასახელებული ნაშრომი, 688.

⁴⁸⁹ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 137.

⁴⁹⁰ Ерделевский А.М., Компенсация морального вреда 2-е изд. М., 2000, 85.

⁴⁹¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 8.2., თბ., 1999.

თუ საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ იურიდიულ პირს უფლება აქვს ამ ცნობების უარყოფა მოითხოვოს იმავე საშუალებებით. თუ ამგვარ ცნობებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი (დოკუმენტი), მაშინ იურიდიულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ამ საბუთის შეცვლა.⁴⁹² მართალია, სსკ-ის მე-18 მუხლში საუბარია საბუთის შეცვლაზე, მაგრამ იურიდიულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს საბუთის გაუქმებაც.⁴⁹³

ცნობა, რომელიც პირის არაქონებრივი უფლების შემლახავ ხასიათს ატარებს, უნდა იქნეს უარყოფილი იმავე საშუალებით, რომლითაც თავდაპირველად მისი გასაჯაროება მოხდა. გავრცელებული ცნობების უარყოფის წინაპირობაა ცნობების პატივისა და ღირსების შემლახველი ხასიათი.^{494/495}

კანონი ითვალისწინებს დაცვის სპეციალურ საშუალებას უარყოფის სახით. უარყოფა საკმაოდ ეფექტური საშუალებაა საზოგადოების თვალში იურიდიული პირის დადებითი საქმიანი რეპუტაციის აღსადგენად. თუმცა იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის აღდგენის პროცესი ხანგრძლივია და მის აღდგენას მხოლოდ უარყოფა ვერ უზრუნველყოფს.⁴⁹⁶ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საქმიანი რეპუტაციის შელახვისას ფაქტი ობიექტურად არსებობს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ უარყოფის შესახებ გაიგებს იგივე აუდიტორია.

უარყოფა სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის დამატებითი საშუალებაა. უარყოფა მხოლოდ ამცირებს უფლების დარღვევის შედეგებს, მაგრამ სრულყოფილად ვერ აღადგენს მას.⁴⁹⁷

18.3. მუხლი უარყოფის ორ საშუალებას განსაზღვრავს: ა) მასობრივი ინფორმაციის საშუალებითა და ბ) ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთით. თავის მხრივ, უარყოფა შესაძლებელია როგორც მონაცემების გავრცელებით, ისე გავრცელებული არასრული ცნობების სიმართლის შემცველი მონაცემების შევსებით.⁴⁹⁸ ამგვარად მოხდება პირველად გავრცელებული ინფორმაციის გაქარწყლება.⁴⁹⁹

⁴⁹² სსკ-ის 18.3. მუხლი.

⁴⁹³ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 130.

⁴⁹⁴ სუს გადაწყვეტილება, 24 აპრილი, 2003, №3კ-1240-02, მითითებულია: ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 130.

⁴⁹⁵ სუს განჩინება, 3 აგვისტო, 2012, №ას-208-201-2012, მითითებულია: ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 130.

⁴⁹⁶ Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 105.

⁴⁹⁷ Гражданское право: актуальные проблемы теории и практики, Под общ. ред. В.А. Белова. М., 2008, 910-911.

⁴⁹⁸ ჭანტურია ლ., პირადი არაქონებრივი უფლებები თანამედროვე სამოქალაქო სამართალში, სამართალი, 11-12/1997, 30.

⁴⁹⁹ ნინიძე თ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 18, 1999, 63.

3.3.1. გავრცელებული ცნობების უარყოფა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით

მასობრივი ინფორმაციის საშუალებით უარყოფას წინ უნდა უძღოდეს ასეთი ფაქტის იმავე საშუალებაში გავრცელება, რაც, მაგალითად, ბეჭდურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება იყოს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მხედველობაში მიიღება მოსარჩელის მოთხოვნა, გაავრცელოს ინფორმაცია იმავე გამოცემაში (იგულისხმება ბეჭდური მედიის სახეობა და დასახელება), იმავე შრიფტით, იმავე გვერდზე და ა.შ.⁵⁰⁰

სასამართლომ უნდა განსაჯოს, რამდენად საჭიროა ახალი ინფორმაციის გავრცელება. სასამართლოს მიერ შესაძლებელია პირს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნების ვალდებულება დაეკისროს. აღნიშნული უნდა გამომდინარეობდეს კონკრეტული დავის არსიდან. იმ შემთხვევაში, თუ ჩაითვლება, რომ ამგვარი გამოქვეყნებით მოსარჩელის ინტერესი მიღწეული იქნება, სასამართლო მიიღებს განსახილველი ნორმისა და სპეციალურ კანონზე დაყრდნობით შესაბამის გადაწყვეტილებას.⁵⁰¹

ინფორმაცია უნდა განვასხვაოთ შეფასებისგან. მაგალითად, ჟურნალისტის შეფასება სინამდვილესთან მტკიცების საკითხს სცდება და იგი არ ჩაითვლება უფლების დარღვევად.⁵⁰²

განსახილველი მუხლის რეალიზაციის შედეგია მედიის საქმიანობის კანონისმიერი შეზღუდვა. თუ სასამართლო მხარეს ავალეს გავრცელებული ინფორმაციის იმავე საშუალებაში უარყოფას,⁵⁰³ მედიის წარმომადგენელი ვალდებულია, აღასრულოს სასამართლო გადაწყვეტილება. აღნიშნული მისი საეთერო ბადის (ბეჭდურ მედიაში – გვერდის მოცულობის) თავისუფლების შეზღუდვას წარმოადგენს. მიუხედავად შეზღუდვის ამგვარი ხასიათისა, პირის უფლების დაცვისა და მედიის სტატუსის არსიდან გამომდინარე, ამგვარი ქმედება მედია საშუალების საქმიანობაში სახელმწიფოს მხრიდან უკანონო ჩარევად არ დაკვალიფიცირდება, ვინაიდან შეზღუდვა სამართლებრივ ფარგლებს არ სცდება.⁵⁰⁴

უარყოფის წესი დადგენილია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლით. უარყოფის ტექსტში უნდა მიეთითოს, თუ რომელი ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს, როდის და როგორ გავრცელდა ისინი მასობრივი ინფორმაციის მოცემული საშუალებით.⁵⁰⁵

⁵⁰⁰ ნინიძე თ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 18, 1999, 63.

⁵⁰¹ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 18, 2017, 129.

⁵⁰² სუს განჩინება, 27 ივლისი, 2005, №ას-627-903-04.

⁵⁰³ სუს განჩინება, 26 ივლისი, 2005, №ას-370-704-05. მითითებულია: ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, მე-18 მუხლის კომენტარი, 2017, 129.

⁵⁰⁴ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, მე-18 მუხლის კომენტარი, 2017, 129.

⁵⁰⁵ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი.

საყურადღებოა, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი, რომელიც ეხება ცნობების უარყოფის წესს და უარყოფაზე უარის თქმის საფუძვლებს, გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა იურიდიული პირი სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის გარეშე რედაქციისაგან მოითხოვს სინამდვილის შეუსაბამო და მისი საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფას, რომლებიც გავრცელდა მასობრივი ინფორმაციის მოცემულ საშუალებებში.⁵⁰⁶

პერიოდულ ბეჭდვით გამოცემაში უარყოფაც იმავე შრიფტით უნდა გამოქვეყნდეს, რა შრიფტითაც დაიბეჭდა საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაცია და განთავსდეს დასათაურებით „უარყოფა“, როგორც წესი, იმავე ადგილას, რომელზეც გამოქვეყნებული იყო საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაცია ან მასალა. რადიოთი და ტელევიზიით უარყოფა უნდა გადაიცეს დღე-ღამის იმავე დროს და, როგორც წესი, იმავე გადაცემაში, რომელშიც გადაიდა საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაცია ან მასალა.

სკ-ის მე-18 მუხლის შესაბამისად გავრცელებული უარყოფა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში შეიძლება გამოქვეყნდეს შეტყობინების ფორმით, როდესაც საზოგადოებას ეცნობება, რომ მოცემულ საქმეზე მიღებული იქნა სასამართლო გადაწყვეტილება, მათ შორის, შესაძლებელია, სასამართლო გადაწყვეტილების ტექსტის პუბლიკაციაც.

„უფლებათა დარღვევა დღეს ვლინდება რეკლამის მეთოდებშიც“.⁵⁰⁷ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პირებს, რომელთა უფლებები და ინტერესები დარღვეულია არასათანადო რეკლამის შედეგად, უფლება აქვთ დადგენილი წესით, სარჩელით მიმართონ სასამართლოს ჯანმრთელობისა და ქონებისათვის, სახელის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის თაობაზე და მოითხოვონ არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა.⁵⁰⁸

3.3.2. ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი

სსკ-ის 18.3. მუხლის თანახმად, თუ საქმიანი რეპუტაციის შემლახველ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს. ამრიგად, ამგვარი ცნობების შემცველი დოკუმენტის შეცვლის ვალდებულება ეკისრება საბუთის გამცემ ორგანიზაციას.⁵⁰⁹

⁵⁰⁶ ქურდაძე გ., დასახელებული ნაშრომი, 12.

⁵⁰⁷ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., დასახელებული ნაშრომი, 379.

⁵⁰⁸ ქურდაძე გ., დასახელებული ნაშრომი, 12.

⁵⁰⁹ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, მე-18 მუხლის კომენტარი, 2017, 130.

ამგვარი დოკუმენტები უნდა შეიცავდნენ რეკვიზიტებს: მითითებას, თუ ვინ გასცა იგი, ვინ შეადგინა, თარიღს, ხელმოწერას, ბეჭედს და ა.შ. ელექტრონული დოკუმენტი არის ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს.⁵¹⁰

სამოქალაქო სამართლებრივი გაგებით, „ორგანიზაციის“ ცნება გულისხმობს ქართულ და უცხოურ იურიდიულ პირებს (მაგალითად, კერძო სამართლის ნებისმიერ იურიდიულ პირს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს), ანდა ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს (სსკ-ის 930-ე მუხლი). „თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს (მათ კატეგორიას განეკუთვნებიან საჯარო სამართლის იურიდიული პირები, გარდა პოლიტიკური პარტიებისა, ასევე ნებისმიერი პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს (ზაკ-ის 2.1.ა. მუხლი). მიკუთვნებულ იურიდიულ პირებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, შეზღუდული აქვთ ცილისწამებით შელახული საქმიანი რეპუტაციის დაცვა⁵¹¹, რადგან დასახელებულ ნორმაში ნათქვამია, რომ „ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება სახელმწიფო ან ადმინისტრაციულ ორგანოს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას“. ორგანიზაციის მიერ გაცემული ისეთი საბუთი, რომელიც არაქონებრივი უფლებების შემლახავ შინაარსს შეიცავს, სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ახლიდან იქნეს გაცემული, რომელიც უნდა შეიცვალოს და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია ყველა დაინტერესებულ პირს მიეწოდოს. დაინტერესებული პირი, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს ნებისმიერი, ვისთვისაც თავდაპირველად ცნობილი გახდა უფლების შემლახავი ფაქტების შესახებ.⁵¹² მოსარჩელის პრეროგატივას წარმოადგენს დაინტერესებულ პირთა წრის განსაზღვრა, რომელიც შეიძლება შეიცავდეს როგორც კონკრეტიკას (პირთა იდენტიფიკაციას), ასევე, ზოგად მონაცემებს მათ შესახებ (მაგალითად, მხოლოდ ორგანიზაციის, საზოგადოების გაერთიანების დასახელება და სხვ).⁵¹³ თუ საქმიანი რეპუტაციის შემლახავ ცნობებს შეიცავს მესამე პირისათვის გაგზავნილი წერილი, მაშინ ამგვარი ცნობების უარყოფა უნდა მოხდეს წერილის ავტორისათვის ვალდებულების დაკისრებით, გაუგზავნოს

⁵¹⁰ 2008 წლის 14 მარტის საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ,“

https://matsne.gov.ge/index.php?option=com_Idmssearch&view=docView&id=20866&lang=ge.> [07.03.2019]

⁵¹¹ მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 341.

⁵¹² ნინიძე თ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 18, 63.

⁵¹³ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, მე-18 მუხლის კომენტარი, 2017, 130.

აღნიშნულ მესამე პირს ახალი წერილი, რომელშიც უარყოფილი იქნება მანამდე გაგზავნილ წერილში გადმოცემული ინფორმაცია.⁵¹⁴

3.4. საპასუხო ცნობების გამოქვეყნება

მნიშვნელოვანია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის ისეთი საშუალება, როგორცაა პასუხის გამოქვეყნება. ისიც უარყოფის მსგავსად, დამატებითი საშუალებაა.

უარყოფის მოთხოვნისგან განსხვავებით, სსკ-ის მე-18 IV მუხლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საპასუხო ინფორმაციის გავრცელების უფლებამოსილებას განსაზღვრავს.⁵¹⁵ **აღნიშნული დათქმა პირს ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობას სასამართლოს გარეშე ანიჭებს, ხოლო, თავის მხრივ, მედია-საშუალების მხრიდან უარის მიღების შემთხვევაში, პირს წარმოეშობა უფლება, სასამართლოს ასეთი ინფორმაციის გავრცელების იძულების მოთხოვნით მიმართოს.**⁵¹⁶ „საპასუხო ცნობებში“ მოიაზრება პირველად გავრცელებული ცნობების გამომრიცხველი, გამბათილებელი ან განსხვავებული შეხედულების მქონე ინფორმაცია, რომელიც ახსნა-განმარტების სახით, კონკრეტულ ფაქტებზე დაფუძნებით უნდა გამოქვეყნდეს.⁵¹⁷

იურიდიული პირის შესაძლებლობა გამოაქვეყნოს საპასუხო პუბლიკაცია, კომენტარი თუ რეპლიკა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რომელშიც მის მიმართ გავრცელდა არასწორი და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები, საქმიანი რეპუტაციის თავდაცვის საშუალებაა.⁵¹⁸

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილი ერთგვარ ხარვეზს შეიცავს. ასეთი უფლება პირს მხოლოდ მაშინ წარმოეშობა, როდესაც შელახული იქნება მისი **პატივი და ღირსება**. კანონი არ განსაზღვრავს საქმიანი რეპუტაციის, ასევე, **პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და პირადი ხელშეუხებლობის** შელახვის⁵¹⁹ შემთხვევაში პირის მიერ უფლების დაცვის დასახელებული საშუალების გამოყენების შესაძლებლობას.⁵²⁰ ამიტომ მართებული იქნება სსკ-ის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილის ფართოდ გაგება.

⁵¹⁴ ქურდაძე გ., დასახელებული ნაშრომი, 16.

⁵¹⁵ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, მე-18 მუხლი, თბ., 2017, 130.

⁵¹⁶ ნინიძე თ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 18, 1999, 63-64.

⁵¹⁷ ბიჭია, პატივის სამოქალაქო-სამართლებრივი ცნების მოცულობა (ქართულ-ევროპული მიდგომები), თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, №1(2), 2014, 24.

⁵¹⁸ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, მე-18 მუხლი, თბ., 2017, 130.

⁵¹⁹ ნინიძე თ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 18, 1999, 64-65.

⁵²⁰ კერესელიძე დ., დასახელებული ნაშრომი, 156.

3.5. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მე-18 მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

ზიანის ანაზღაურება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმაა. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ზიანის ანაზღაურების, პირგასამტეხლოს გადახდის, ბეს დაკარგვის ფორმით და სხვა.⁵²¹ ზიანის ანაზღაურებას საერთო მნიშვნელობა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის გამოიყენება ვალდებულების ყოველგვარი დარღვევის დროს (გარდა კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), თუნდაც კონკრეტული ვალდებულების მარეგულირებელი ნორმები არ მიუთითებდნენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე.⁵²²

ეკონომიკური თვალსაზრისით სამართალდარღვევების შედეგებს განსხვავებული ხასიათი გააჩნიათ. სამართალდარღვევათა ერთი ნაწილი იწვევს ეკონომიკურ შედეგებს, სხვა შედეგებს მატერიალური ხასიათი არ გააჩნიათ. ამისდა მიხედვით ზიანს, როგორც სამართალდარღვევის შედეგს შეიძლება ჰქონდეს ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათი.⁵²³

ქონებრივი ზიანის ცნებასთან დაკავშირებით როგორც წესი სირთულე არ წარმოიშობა. ყველა ავტორი ერთსულოვანია, რომ სამართალდარღვევის უარყოფითი შედეგი, რომელიც ღირებულების ხასიათს ატარებს და შეიძლება ფულით შეფასდეს, ქონებრივ ზიანს წარმოადგენს.⁵²⁴ „ზიანი – სოციალური ცნებაა. უფრო ფართო გაგებით ზიანი შეიძლება განიმარტოს როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების ხელყოფის, კანონით დაცული უფლებების და ინტერესების დარღვევის შედეგი“.⁵²⁵

⁵²¹ ბარაბაძე ნ., მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2011, 19.

⁵²² იქვე, 19.

⁵²³ იქვე, 19.

⁵²⁴ იქვე, 20.

⁵²⁵ იქვე, 20.

„ზიანი სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის არამართლზომიერი და ბრალეული ხელყოფა, განადგურება“.⁵²⁶

„სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც არის სამოქალაქო სამართალდარღვევის შედეგი, ეკისრება სამართალდამრღვევს უფლებადარღვეული პირის მდგომარეობის აღსადგენად და გამოიხატება სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმებით. სწორედ დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენაში ჩანს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკომპენსაციო ხასიათი, რაც ძირითადად მიყენებული ზიანის ანაზღაურებით ხორციელდება“.⁵²⁷

„სამოქალაქო სამართალში ზიანში იგულისხმება კანონით დაცული სიკეთეების ყოველგვარი ხელყოფა. პირის ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი“.⁵²⁸

„ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების გარეშე ხელყოფას, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წეს-ჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ზიანი არის კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის. („სხვაობის ჰიპოთეზა“).“⁵²⁹

„მატერიალური ზიანი ქონებრივია (მატერიალიზირებული), ხოლო არამატერიალიზირებული, არაქონებრივი ზიანი წარმოადგენს მოვალის ქმედებით მიყენებულ ტანჯვას და განცდებს, რომელსაც დაზარალებული განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, როგორც წესი, არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით“.⁵³⁰

„სამართალურთიერთობის დარღვევის მატერიალურ (ეკონომიკურ) შედეგს, რომელსაც გააჩნია ღირებულებითი ხასიათი, სამოქალაქო სამართალში ქონებრივი ზიანი ეწოდება, ხოლო სამართალდარღვევის ისეთ შედეგებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ეკონომიკური შინაარსი და ღირებულებითი ფორმა არაქონებრივი ზიანი. პირთა პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფას შედეგად შეიძლება მოჰყვეს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი (მორალური) ზიანი. ქონებრივ ზიანში იგულისხმება არა მხოლოდ დაზარალებულის ქონებრივი აქტივების შემცირება, არამედ პასივების გაზრდაც. მასში ერთიანდება მესამე პირთა მიმართ არსებულ

⁵²⁶ ჩიკვაშვილი შ., პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის, თბ., 2003, 23.

⁵²⁷ დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი, თსუ, №1, 2009, 54.

⁵²⁸ ქოჩაშვილი ქ., დასახელებული ნაშრომი, 82.

⁵²⁹ Mommsen, Lehre vom Interesse, (1855). მითითებულია: ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ., 2010, 193.

⁵³⁰ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., საია, 2006, 46.

მოთხოვნათა დაკარგვაც, თუ ეს მოთხოვნები ქონებრივი შედეგების დადგომაზე იყო მიმართული“.⁵³¹

მორალურისგან განსხვავებით, ქონებრივი ზიანი, როგორც წესი, გარკვეული ფულადი ღირებულების მქონე სიკეთის ხელყოფაა. მართალია, ორივე შემთხვევაში ეკვივალენტს ფული წარმოადგენს, მაგრამ, თუ ერთ შემთხვევაში მატერიალური ინტერესის გამოსწორება ხდება, სხვა დროს, ეს ემსახურება არამატერიალური ინტერესების დაცვას. ამიტომაცაა, რომ ქონებრივი ზიანი უფრო მატერიალიზებული ზიანია თავისი გარეგნული გამოხატულებით და მისი იდენტიფიკაცია – სიდიდის განსაზღვრა შედარებით ადვილიცაა. ეს იმიტომაც, რომ თვით ქონება წარმოადგენს შეფასების საზომს და ამდენად, ობიექტური მასშტაბები თვით დაზარალებული სუბიექტის გარეთაა. ცხადია, ცალკეულ შემთხვევებში ანგარიში ეწევა თვით სუბიექტის ინტერესებსაც, მაგრამ ეს შეფასებისთვის როგორც წესი, მეორეხარისხოვანია. არაქონებრივი ზიანის ვითარებაში ობიექტური მასშტაბები თვით დაზარალებულის სუბიექტშია, რაზედაც თვით ზიანის სახელწოდებაც მიგვანიშნებს.⁵³²

„არასახელმწიფოებო ზიანი წარმოიშობა უშუალოდ სამართალდარღვევიდან (დელიქტიდან). ამრიგად, თუკი სახელმწიფოებო ზიანი წარმოადგენს ადრე არსებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგს, არასახელმწიფოებო – წარმოადგენს ადრე არარსებული ურთიერთობების წარმოშობის მიზეზს. პასუხისმგებლობის დაყოფას სახელმწიფოებო და არასახელმწიფოებო პასუხისმგებლობად არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული ასეთ ურთიერთობათა მიმართ ამა თუ იმ ნორმის გამოყენება.“⁵³³ თუ საქმე ეხება იმ ზიანის ანაზღაურებას რომელიც დელიქტური ვალდებულებებიდან წარმოიშობა, გამოყენებულ უნდა იქნეს ამ ვალდებულების მარეგულირებელი ნორმები, ხოლო თუ პირს ზიანი მიადგა სახელმწიფოებო ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად, მაშინ ზიანისათვის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს მხარეთა შორის დადებული ხელმწიფოებო პირობებით და იმ ნორმათა წესებით, რომლებიც ასეთ ურთიერთობებს არეგულირებს“.⁵³⁴

პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივ საფუძვლედ ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების საერთო საფუძვლები. ამასთან, კანონი ითვალისწინებს გარემოებებს, რომლებიც სპეციფიურია არაქონებრივი უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებებისათვის.⁵³⁵

⁵³¹ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ., 2010, 46.

⁵³² ზოიძე ბ., სკ-ის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2001, 469.

⁵³³ დუნდუა მ., „დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელმწიფოებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა“. სამართლის ჟურნალი, თსუ, №1, 2009, 54.

⁵³⁴ იქვე, 54.

⁵³⁵ ნინიძე თ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, გამომც. „სამართალი“, 2002, 70.

სსკ-ის 18.6. მუხლი ითვალისწინებს იურიდიული პირისათვის საქმიანი რეპუტაციის შელახვისას მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

იურიდიული პირისათვის ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლიანობის დადასტურებისათვის მნიშვნელოვანია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის შინაარსის და გამოთვლის წესის განხილვა.

კომპენსაციის განსაზღვრისას ამერიკულ სასამართლო პრაქტიკაში საქმიანი რეპუტაცია გუდვილის შემადგენლობაში ფასდება. როგორც წესი, მოსარჩელე სასამართლოს წარუდგენს საკუთარი საქმიანი რეპუტაციის ინვესტირების მოცულობის, ცნობადობის ზრდისა და კომპანიის ბრენდის განვითარების საფუძველზე გაცემულ დამოუკიდებელ ავტორიტეტულ მარკეტინგულ და ეკონომიკურ საექსპერტო დასკვნას საქმიანი რეპუტაციის აღსადგენად საჭირო ოპერაციებისა და მათი ღირებულების, საქმიანი რეპუტაციის შელახვის შედეგად კომპანიის მიერ მიღებული ზიანისა და დიდი ალბათობით მომავალში მისაღები ზიანის ოდენობის შესახებ. საქმიანი რეპუტაციის აღდგენის ღირებულება არის იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ოდენობა.⁵³⁶

ამერიკული სასამართლოებისთვის ნორმად ითვლება წესი, რომლითაც დაკისრებას ექვემდებარება საქმიანი რეპუტაციის აღდგენისთვის საჭირო ხარჯები (კომპენსაცია საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანისთვის) და ბიზნესის ეკონომიკური დანაკარგები, ამასთან კომპენსაცია განისაზღვრება არამარტო არსებული დანაკარგების, არამედ იმ ხარჯებისა და დანაკარგების გათვალისწინებით რომელიც წარმოიშვება მომავალში.⁵³⁷ ვფიქრობთ, აღნიშნული მიდგომა გასაზიარებელია.

საინტერესოა, რომ აშშ ვალდებულებით სამართალში მხარეები შეიძლება ხელშეკრულებით შეთანხმდნენ ხელშეკრულების დარღვევის თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ზიანის წინასწარ შეთანხმებული ოდენობით ანაზღაურებაზე.⁵³⁸

რუსულ დოქტრინაში არსებობს მოსაზრება, რომ ხელშეკრულებით საქმიანი რეპუტაციის გამოყენების უფლების გადაცემისას უფლების დარღვევის პრევენციის მიზნით ხელშეკრულებაში მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ პირგასამტეხლო ფიქსირებული თანხით ან დაზარალებული იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ღირებულების განსაზღვრული პროცენტის ოდენობით.⁵³⁹

საქმიანი რეპუტაციის ხელყოფით მიყენებული ზიანის გამოთვლა ერთობ რთულია, რადგან ზიანის აბსოლუტურად ზუსტად გამოთვლა

⁵³⁶ Moseley Et Al DbA Victor's Little Secret v V. Secret Catalogue Inc. Et Al. 523 US. 418. 116.

⁵³⁷ Art.VF 1704 California Civil Jury Instruction 21.06.2012. Westlaw Electronic Legal Database, 21.06.2012.

⁵³⁸ Договорная ответственность по зарубежному праву, Журн. российского права, №2, 2000, 155.

⁵³⁹ Тиммерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 123.

შეუძლებელია. აშშ-ში მოსამართლეთა სამუშაოს გასამართლებლად სპეციალური ინსტრუქციები გამოიყენება.⁵⁴⁰

საქმიანი რეპუტაციის დასაცავად წარმოებულ ერთ-ერთ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით,⁵⁴¹ სასამართლომ მოსარჩელე – სამშენებლო კომპანიის სასარგებლოდ, 17 მლნ ოდენობით საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვის შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელების გამო, მოპასუხეს 10 მლნ მანეთი დააკისრა. სააპელაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა რა გადაწყვეტილება აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია მოსარჩელის, რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის შინაარსისა და საზოგადოებრივი საშიშროების, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი რეზონანსის გათვალისწინებით. მითითებული გადაწყვეტილება ეკონომიკურად არ არის დასაბუთებული და არცერთ მტკიცებულებას არ ეყრდნობა.

სხვა საქმეზე⁵⁴² სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეებს არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად სოლიდარულად 106 500 მანეთი დაეკისრათ. მოსარჩელემ ზიანის ოდენობა განსაზღვრა საქმიანი რეპუტაციის შემლახავი გამოცემის ერთი ეგზემპლარის ღირებულების – 1 მანეთის მიხედვით (გამოცემათა რაოდენობა 106 500-ს შეადგენდა). გადაწყვეტილებაში არ ჩანს რამ განაპირობა კომპენსაციის გამოთვლა გამოცემის ერთი ეგზემპლარის ღირებულების მიხედვით, რაც ეჭვქვეშ აყენებს მის კანონიერებას. მაგალითები აჩვენებს, რომ არსებული სამოქალაქოსამართლებრივი მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს სამოქალაქო სამართლის კომპენსატორულ ფუნქციას და საქმიანი რეპუტაციის დარღვეული უფლების სრულ აღდგენას.⁵⁴³

ამერიკის სასამართლოები საქმიანი რეპუტაციის დაცვის ყოველ კონკრეტულ საქმეზე კომპენსაციას განსაზღვრავენ ზიანის ოდენობით – exemplary damages ან punitive damages-ზიანის ანაზღაურებასთან ერთად იყენებენ საჯარიმო კომპენსაციას, კერძოდ, როცა ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა ბოროტი განზრახვით (malicious), მის ქმედებაში ადგილი ჰქონდა შევიწროებას (oppression) ან თაღლითობას (fraud). თუკი სამართალდარღვევა ჩადენილია კონკურენტისთვის ზიანის მიყენების განზრახვით, კომპენსაციის (punitive damages) ოდენობა გადააჭარბებს ზიანისა და სხვა ხარჯების ოდენობას, თუ ქმედება განზრახ არაა ჩადენილი, სასამართლო punitive damages არ დააკისრებს.⁵⁴⁴

⁵⁴⁰ California Civil Jury Instruction 21.06.2012. Westlaw Electronic Legal Database.

⁵⁴¹ Решение Арбитражного суда г. Москвы по объединенному делу №А40-61491/09-67-474 и №А40-61576/09-67-476 от 24.12.2009. Постановление Девятого арбитражного апелляционного суда №09АП-3401/2010-ГК и №09АП-3402/2010-ГК მოითითებულია: Тимерханов А.А., Деловая репутация юридического лица, Дис., М., 2012, 121.

⁵⁴² Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 121.

⁵⁴³ იქვე, 121.

⁵⁴⁴ იქვე, 122.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვა ყველაზე ხშირად დიფამაციით ხდება. საქმიანი რეპუტაციის შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელება – დიფამაცია საერთო და საეკლესიო სამართლის წიაღიდან მომდინარე ყველაზე გავრცელებული და ძველი დელიქტია.⁵⁴⁵

ცრუ ინფორმაციის გავრცელება, თავისთავად გავლენას ახდენს იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციაზე და უარყოფითად აისახება კონტრაგენტებსა და პარტნიორებთან ურთიერთობაზე, რაც ჰიპოთეტურად ზიანის მომტანია.⁵⁴⁶ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით მიზანშეწონილია კანონმდებლობამ გაითვალისწინოს იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესაძლებლობა არამართო ცრუ შემლახავი ინფორმაციის, არამედ, ისეთი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაშიც, როცა გავრცელებული ინფორმაცია ცრუა, თუმცა არ ლახავს, მაგრამ გავლენას ახდენს იურიდიული პირის ხელშეუხებლობაზე და შესაბამისად, მის საქმიან რეპუტაციაზე. ასეთ შემთხვევაში დაცვის ყველაზე მისაღები ფორმა გავრცელებული ინფორმაციის უარყოფაა ფულადი კომპენსაციის გარეშე. თუ ასეთი ინფორმაციის გავრცელებას ზიანი მოჰყვება, მაგალითად, კონტრაგენტი უარს განაცხადებს გარიგების გაფორმებაზე, მიყენებული ზიანი ბრალეულმა პირმა უნდა აანაზღაუროს.⁵⁴⁷ ცრუ სინამდვილის შეუსაბამო ინფორმაცია ზოგჯერ გარიგების „ჩაშლის“ მიზნით ვრცელდება. მაგ., სს-მ პრესით გაავრცელა ცრუ ინფორმაცია მის მიერ ერთ-ერთი მსხვილი რუსული სს-ის აქციათა საკონტროლო პაკეტის შესყიდვის თაობაზე გარკვეული გარიგებების ჩაშლის მიზნით. რუსულ კანონმდებლობაში ამ ქმედების აღკვეთის სამართლებრივი საშუალება ვერ მოიძებნა.⁵⁴⁸

პრობლემა წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც გავრცელებულია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ნამდვილი ინფორმაცია, რაც მოქმედი კანონმდებლობით დაცვას არ ექვემდებარება.

ერთ-ერთ საქმეზე⁵⁴⁹ სასამართლომ დააკმაყოფილა მეწარმის სარჩელი საქმიანი რეპუტაციის დაცვის თაობაზე სარეკლამო კომპანიის წინააღმდეგ. სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ მოპასუხე-სარეკლამო კომპანიამ განათავსა მაღაზიის სარეკლამო ბანერი, მაგრამ მოსარჩელემ სახელშეკრულებო ვალდებულება დაარღვია და მომსახურების თანხა არ გადაიხადა. პასუხად, სარეკლამო კომპანიამ ქალაქის ცენტრში განათავსა ბანერი წარწერით: „მაღაზია (სახელის მითითებით) არ აბრუნებს ვალს დროულად.“ სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სარეკლამო კომპანიის მიერ განთავსებულ ბანერზე დატანილი ინფორმაცია მაღაზიის

⁵⁴⁵ Schwartz G., Damages under US Law. Unification of Tort Law: Damages, U. Magnus (ed.). London–Boston, 2001, 181.

⁵⁴⁶ Herzfeld P., Corporations, Defamation And General Damages: Back To First Principles, Media and Arts Law Review. (2005) 10, 149.

⁵⁴⁷ Тимерханов А. А., დასახელებული ნაშრომი, 130.

⁵⁴⁸ <<http://www.rway.ru/nwsinf.asp?nws=12887>> მითითებულია: Тимерханов А. А., დასახელებული ნაშრომი, 130.

⁵⁴⁹ Тимерханов А. А., დასახელებული ნაშრომი, 133.

შესახებ **სინამდვილეს**, ინფორმაცია პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ მოვალის არაკეთილსინდისიერების შესახებ ლახავს მის საქმიან რეპუტაციას.

არ არის გამორიცხული იურიდიული პირის კონკურენტმა იურიდიული პირის დისკრედიტაციისა და კონკურენციის შეზღუდვის მიზნით გაავრცელოს ნამდვილი, მაგრამ კონკრეტული იურიდიული პირისათვის ზიანის მომტანი ინფორმაცია ბიზნესწარუმატებლობის თაობაზე. რუსი სამართალმცოდნეები სამართლიანად მიიჩნევენ ჯერ კიდევ რევოლუციამდელი ცივილისტების მოსაზრებას, რეპუტაციის „გაშავებისას“ ქმედების შეწყვეტის მოთხოვნით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობაზე.⁵⁵⁰

აღნიშნულ შემთხვევაში იკვეთება კონფლიქტი იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლებასა და გამოხატვის (ინფორმაციის გავრცელების) თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებას შორის, რაზეც ცალკე პარაგრაფში გვექნება საუბარი.

3.5.1. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 993-ე მუხლის საფუძველზე

სსკ-ის 993-ე მუხლი⁵⁵¹ განსხვავდება არაქონებრივი უფლებების ხელყოფის საერთო მოწესრიგებისგან, რომლის საფუძველზეც საჭიროა არსებობდეს ქონებრივი ზიანი.⁵⁵²

უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილებით⁵⁵³ ერთმანეთისაგან გამიჯნა საქმიანი რეპუტაცია და პატივისა და ღირსების შელახვა, მაგრამ საინტერესო იქნება სასამართლოს განმარტება სსკ-ის მე-18 მუხლით დაცული საქმიანი რეპუტაციისა და სსკ-ის 993-ე მუხლით დაცული ზიანის მომტანი ცნობების გახმაურებისგან დაცულ უფლებას შორის გამიჯვნაზე.⁵⁵⁴

გსგ-ის 824-ე პარაგრაფი, რომლის ანალოგია სსკ-ის 993-ე მუხლი, თავის თავში მოიაზრებს საქმიანი რეპუტაციის შელახვას, ხოლო გსგ-ის 823-ე პარაგრაფით ცალკე რეგულირდება პირადი რეპუტაცია (პატივი და ღირსება),

⁵⁵⁰ Шпретер В.Н., Недобросовестная конкуренция, Сборник памяти Г.Ф. Шершеневича. М., 1915, 57.

⁵⁵¹ „პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლად ავრცელებს ან ახმაურებს სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის მომტან ფაქტებს, ვალდებულია აანაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი, თუ ეს ფაქტები აშკარად არასწორია. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა ისეთი გამონათქვამებისას, რომლებიც ემსახურება კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას.“

⁵⁵² სტურუა ნ., ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, სამართლის ჟურნალი, №1, 2012,148.

⁵⁵³ სუს გადაწყვეტილება, 18 ივლისი, 2001, #3k/376—01.

⁵⁵⁴ სტურუა ნ., ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, სამართლის ჟურნალი, №1, 2012,156.

ცილისწამებისას კი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება, მაგრამ საქმიანი რეპუტაცია დაცულია მხოლოდ ერთი, 824-ე, პარაგრაფით.⁵⁵⁵

ცხადია, რომ სსკ-ის 993-ე მუხლით და სსკ-ის მე-18 მუხლით დაცული საქმიანი რეპუტაცია ერთი და იგივეა, მაშინ საინტერესოა, რამდენად ემთხვევა ერთმანეთს მათი პასუხისმგებლობის საფუძვლები.

განსასაზღვრია სსკ-ის მე-18 მუხლისა და სსკ-ის 993-ე მუხლის ურთიერთმიმართება, რადგან შედარებით სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით შეუძლებელია მათ შორის განსხვავების დადგენა. **არც გერმანიის და არც ინგლისის საკანონმდებლო ბაზა არ იცნობს საქმიანი რეპუტაციის სხვადასხვა წესით რეგულირებას.** ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ პატივისა და ღირსების დაცვის უფლება, რომელსაც დიფამაცია ეწოდება. განსხვავდება სახელის დაცვის უფლება და სხვა უფლებები, მაგრამ საქმიანი რეპუტაციის შელახვის შედეგად წარმოშობილი ზიანის მოთხოვნის წესი განისაზღვრება ცალკე დელიქტით.⁵⁵⁶

ქართულ სამართლებრივ დოქტრინაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით, ზიანის მომტანი ცნობების გახმაურებისაგან განსხვავებით, სსკ-ის მე-18 მუხლის მიხედვით საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის სამართლებრივი მოთხოვნის საფუძველი არ არის ბრალი, თუმცა სსკ იქვე უთითებს, რომ ინფორმაციის ბრალეულად გავრცელების შემთხვევაში, შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ხოლო ბრალის გარეშე მცდარი ინფორმაციის გავრცელებისათვის დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს მცდარი ინფორმაციის შემდგომი გავრცელებისგან თავის შეკავება და საპასუხო ცნობების გამოქვეყნება.⁵⁵⁷

ნ. სტურუას აზრით, სსკ-ის 993-ე მუხლი და სსკ-ის მე-18 მუხლი იცავს პირის საქმიან რეპუტაციას, მაგრამ სსკ-ის მე-18 მუხლით შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ბრალის გარეშე, სსკ-ის 993-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დადგომის წინაპირობა კი ბრალია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელეს ყოველთვის ურჩევნია, არ ეკისრობოდას მოპასუხის ბრალის მტკიცების ტვირთი, რაც გამოიწვევს სსკ-ის 993-ე მუხლის იგნორირებას. ყოველივე ზემოაღნიშნული კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სსკ-ის 993-ე მუხლის არსებობის საჭიროებას, რადგან იგივე უფლება უფრო მაღალი სტანდარტით დაცულია სსკ-ის მე-18 მუხლით.⁵⁵⁸

გ. ქურდაძის მითითებით, აღნიშნული მოსაზრება ყურადღების მიღმა ტოვებს საქმიანი რეპუტაციის შელახვისას იურიდიული პირისათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხს, ვინაიდან, მე-18 მუხლი გაანალიზებულია ამ მუხლის მე-6 ნაწილის იგნორირებით, რომლის თანახმადაც ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში პირს შეუძლია მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. ამდენად, მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადება პირს აძლევს უფლებას, მოითხოვოს

⁵⁵⁵ სტურუა ნ., დასახელებული ნაშრომი, 157.

⁵⁵⁶ იქვე, 160.

⁵⁵⁷ კერესელიძე დ., დასახელებული ნაშრომი, 150.

⁵⁵⁸ სტურუა ნ., დასახელებული ნაშრომი, 157.

როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, ხოლო სკ-ის 993-ე მუხლში საუბარია ქონებრივი ზიანის ანაზღაურების კონკრეტულ წინაპირობებზე (ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების ბრალეული გავრცელება, ფაქტების ამკარა უსწორობა და სხვა).⁵⁵⁹

„სსკ-ის 993-ე მუხლის ნაკლი ის კი არა არის, რომ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს ადგენს, არამედ ის, რომ მასში აქცენტი კეთდება ქონებრივი ზიანის მომტან ცნობებზე, მაშინ როცა უსწორო ცნობების გავრცელება ზიანს აყენებს არაქონებრივ სიკეთეს, რაც შედეგად განაპირობებს ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.⁵⁶⁰ თუ 993-ე მუხლში საუბარია საქმიანი რეპუტაციის დაცვაზე, როგორც ამას ავტორები სწორად უთითებენ, მაშინ ნორმაში მოხსენიებული სიტყვა „ქონებრივი“ უადგილოა, ვინაიდან საქმიანი რეპუტაცია განეკუთვნება არაქონებრივ სიკეთეთა კატეგორიას და მისი შელახვა იწვევს, როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობას და არა მხოლოდ ქონებრივისას, როგორც ეს 993-ე მუხლშია მითითებული“.⁵⁶¹

„მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც, თუ რატომ გახდა აუცილებელი კანონმდებელს შემოეღო სსკ-ის 993-ე მუხლი, მაშინ როცა სსკ-ის მე-18 და 27-ე მუხლებით ისედაც არის გათვალისწინებული არაქონებრივი უფლებების დაცვა და ამასთან, იურიდიულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც საქმიანი რეპუტაციის ხელყოფის შემთხვევაში. გასათვალისწინებელია თ. ნინიძის მოსაზრება, რომ „პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივ საფუძვლებად ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების საერთო საფუძვლები. ამასთან, კანონი ითვალისწინებს გარემოებებს, რომლებიც სპეციფიურია არაქონებრივი უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებებისათვის“.⁵⁶²

მე-18 და 993-ე მუხლების შინაარსის მიხედვით, პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფა შეიძლება განხორციელდეს სამი სხვადასხვა შინაარსის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით: ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების გავრცელებით, ამგვარი ზიანის მომტანი ფაქტების გახმაურებით, ფიზიკური პირის თანხმობის გარეშე მისი გამოსახულების გამოქვეყნებით. რადგან 993-ე მუხლი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების გავრცელების ან გახმაურებისათვის, უნდა ვიგულისხმოთ, რომ პირადი გამოსახულების უნებართვო გამოქვეყნებით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისათვის გამოიყენება ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ზოგადი, 992-ე მუხლით გათვალისწინებული წესები“.⁵⁶³ „გახმაურებაში“ ძირითადად „ისეთი ცნობების გავრცელება იგულისხმება, რომლებიც...უმეტესწილად,

⁵⁵⁹ ქურდაძე გ., დასახელებული ნაშრომი, 18.

⁵⁶⁰ იქვე, 19.

⁵⁶¹ იქვე, 19.

⁵⁶² ნინიძე თ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, გამომც., „სამართალი“, 2002, 70.

⁵⁶³ იქვე, 71.

სინამდვილეს შეესაბამება. „გავრცელება“ უნდა გულისხმობდეს პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებას“.⁵⁶⁴

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილისა და 993-ე მუხლის მოქმედების ფარგლების განსხვავებას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ დელიქტური პასუხისმგებლობის მახასიათებელია ზიანის სრულად ანაზღაურება, ე.ი. ანაზღაურდება, როგორც ნებისმიერი ქონებრივი დანაკლისი, ისე მიუღებელი სარგებელი. ზოგჯერ დასაშვებია ზიანის ოდენობის იმ დონემდე შემცირებაც, რომ მან ვერ დაფაროს მიყენებული ზიანი. კერძოდ, დაზარალებულის ბრალის არსებობის ან უკიდურესი აუცილებლობისას ზიანის მიყენების შემთხვევაში. ასევე მორალური ზიანის ანაზღაურებისას საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ მიყენებული ზიანის კომპენსაციაზე და არა ზიანის სრულად ანაზღაურებაზე, რადგან ასეთ შემთხვევაში ილახება არაქონებრივი სიკეთეები და შესაბამისად, მათი ზუსტად შეფასება შეუძლებელია.⁵⁶⁵

სსკ-ის 993-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა ისეთი ინფორმაციის გახმაურებისას, რომელიც კანონიერი ინტერესის დაცვას ემსახურება. საერთო სამართლის ქვეყნებში კანონით დადგენილია ცალკეული შემთხვევები, როცა ინფორმაციის გახმაურებისთვის არ დგება პასუხისმგებლობა. განმარტებულია, რომ სასამართლო პროცესისა და საგამოძიებო პროცედურების განმავლობაში გახმაურებული ინფორმაციისათვის არ დგება პასუხისმგებლობა.⁵⁶⁶

„სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ კანონით დადგენილი აბსოლუტური (კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) და კვალიფიციური პრივილეგიის (კანონის მე-15 მუხლი) ფარგლები ავტომატურად ვერ გავრცელდება ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების შემთხვევაში, რადგან კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს, რომ ცილისწამებისას ზიანი უშუალოდ მოსარჩელეს უნდა მიადგეს, ხოლო სსკ-ის 993-ე მუხლით დადგენილი გახმაურებული ინფორმაცია ქონებრივი ზიანის მომტანია და საქმიან რეპუტაციას ეხება. ცხადი ხდება, რომ ცილისწამებასა და ზიანის მომტანი ცნობების გახმაურებას შორის არსებობს არსებითი განსხვავება, სხვადასხვა სიკეთეა დაცული თითოეული მუხლით. მაგრამ სასამართლოს შეუძლია განმარტების გზით გამოიყენოს ცილისწამების შემთხვევაში დადგენილი პრივილეგიის ნორმები ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების შემთხვევაშიც.⁵⁶⁷

ზემოთ მითითებული მსჯელობა ცხადყოფს, რომ მიუხედავად, სსკ-ის მე-18 და 993-ე ნორმათა დიფერენციაციისა, მათ შორის მყარი „წყალგამყოფის“ გავლება რთულია. აღნიშნულ ნორმათა გავლენის სფეროები ნაწილობრივ

⁵⁶⁴ ნინიძე თ., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, გამომც., „სამართალი“, 2002, 71-72.

⁵⁶⁵ ქურდაძე გ., დასახელებული ნაშრომი, 21.

⁵⁶⁶ Wadloww *Ch.*, *The Law of Passing-off, Unfair Competition by Misrepresentation*, London, 2011, 457, მითითებულია: სტურუა ნ., დასახელებული ნაშრომი, 158.

⁵⁶⁷ სტურუა ნ., დასახელებული ნაშრომი, 159.

ფარავენ ერთმანეთს. ვფიქრობთ, მითითებული ნორმების გამოყენების სფეროების გამიჯვნის საკითხში მეტი „სინათლის შეტანა“, სასამართლო პრაქტიკამ უნდა უზრუნველყოს, რაც სამწუხაროდ ამ ეტაპზე არ არსებობს.

გარკვეულწილად გასაზიარებლად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, თუკი ხელყოფა აკმაყოფილებს სსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობებს, უმჯობესია სარჩელი აღიძრას აღნიშნული სამართლებრივი საფუძვლით, რადგან სსკ-ის 993-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლები მეტად რთული დასამტკიცებელია.⁵⁶⁸

3.6. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვისას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება

სასამართლო პრაქტიკასა და მეცნიერებაში იურიდიული პირის არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით ერთ-ერთი საკამათო საკითხია იურიდიული პირისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების პრობლემა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა.

სსკ-ის 18.6. და 27.5. მუხლების მიხედვით იურიდიული პირისათვის არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება დასაშვებია. სსკ-ის 413-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. კანონით ზუსტად განსაზღვრული ერთ-ერთი შემთხვევა სსკ-ის მე-18 მუხლია. როგორც ზემოთ უკვე მივუთითეთ, ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. ქართულ კანონმდებლობაში მორალური ზიანის ცნება მოცემული არ არის.

რფსკ-ის 152.7. მუხლის მიხედვით მორალური ზიანი განიმარტება, როგორც ფიზიკური და სულიერი ტანჯვა.

ამავე კოდექსის 152.11.-ე მუხლის ახალი რედაქციით (ძალაში შევიდა 2013 წლის 01 ოქტომბრიდან) იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ხელყოფისას მორალური ზიანის ანაზღაურება აკრძალულია.

მორალური ზიანი გსკ-ის 253-ე მუხლში შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

⁵⁶⁸ სტურუა ნ., დასახელებული ნაშრომი, 160.

- 1) ზიანის მიყენებისათვის, რომელიც არ წარმოადგენს მატერიალურს ფულადი კომპენსაცია შეიძლება მოთხოვნილ იქნას მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
- 2) თუ ფიზიკური ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული სხვაგვარი ზიანი, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა, სექსუალური თავისუფლების შეზღუდვა ექვემდებარება ანაზღაურებას, ამასთანავე ზიანისთვის, რომელიც არ წარმოადგენს ქონებრივს შეიძლება მოთხოვნილ იქნას სამართლიანი ანაზღაურება. თუმცა არც 823-ე, არც მანამდე მოქმედ 847-ე და ამჟამად მოქმედ 253-ე მუხლში არ არის კონკრეტული მითითება სხვა უფლებებსა თუ სიკეთეებზე, რომელთა დარღვევაც იძლევა შესაძლებლობას პირმა მოითხოვოს არაქონებრივი ზიანი. სასამართლო პრაქტიკა ამ შემთხვევაში გერმანიის კონსტიტუციის პირველი და მეორე მუხლების გამოყენებით აღიარებს სხვა უფლებების არსებობასაც, რომელთა დარღვევის შემთხვევაშიც შესაძლებელია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.⁵⁶⁹

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლების (მათ შორის საქმიანი რეპუტაციის) შელახვისას მორალური ზიანის ანაზღაურებას არ კრძალავს, ცივილისტურ დოქტრინაში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა, ხოლო სასამართლო პრაქტიკა იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვისას მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავს.

ჩვენი მოსაზრებით, იურიდიული პირის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი საქმიანი რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანის გამომხატველი არაქონებრივი ზიანია. საქმიანი რეპუტაციის შელახვა იწვევს იურიდიული პირისათვის არა მორალური, არამედ, არაქონებრივი ზიანის მიყენებას. ქვემოთ, შევეცდებით, კანონმდებლობის, დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, აღნიშნული მოსაზრების საფუძვლიანობის დასაბუთებას.

სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა არც ქონებრივი და არც არაქონებრივი ზიანის დეფინიციას. ეს საკითხი დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის პრობლემაა.⁵⁷⁰ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სსკ-ის მე-18.6. მუხლის დანაწესით ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. ზოგიერთი ავტორის აზრით, არაქონებრივი და მორალური ზიანი სინონიმებადაა მიჩნეული. ეტიმოლოგიურად არაქონებრივი ზიანი მორალური ზიანის იდენტურია. ეს უკანასკნელი გამოთქმა უფრო მისი შინაარსობრივი დატვირთვის გამომხატველია.⁵⁷¹

⁵⁶⁹ დოლონაძე ლ., მორალური ზიანის ანაზღაურება, თბ., 2010, 17.

⁵⁷⁰ ჭანტურია ლ., სკ-ის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ. 2001, 468.

⁵⁷¹ იქვე, 469.

სამართლის მეცნიერებაში ასევე აღიარებულია, რომ არაქონებრივი ზიანისა და მორალური ზიანის ცნებები ერთგვაროვანი არ არის და გამიჯვნა საკმაოდ რთულია. არაქონებრივი ზიანი – სამართალდარღვევის (დელიქტის) არამატერიალური შედეგია, ხოლო მორალური ზიანი – დელიქტის უარყოფითი შედეგი, რაც ზნეობრივ ტანჯვაში გამოიხატება და იძლევა კანონით საკმარის საფუძველს მისი ანაზღაურებისათვის.⁵⁷²

არამატერიალური ზიანი უფრო ფართო ცნებაა და მორალურ ზიანთან ერთად მოიცავს ფიზიკურ ზიანსაც. შესაბამისად თუკი შემოვიღებთ ტერმინს „არაქონებრივი ზიანი“ მან ფაქტიურად უნდა გააერთიანოს თავის თავში „ფიზიკური ზიანი“ და „მორალური ზიანი“.⁵⁷³ გამომდინარე აღნიშნულიდან, „მორალური ზიანის“ ცნების შეცვლა „არაქონებრივი ზიანის“ ცნებით, რომელიც მისი იდენტური კი არა, პირიქით, მისი მომცველია, ავტორთა ნაწილს მიზანშეწონილად არ მიაჩნია.⁵⁷⁴

ქართულ სამართლებრივ დოქტრინაში იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის კომპენსაცია განსხვავდება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან იმით, რომ ქონებრივი ზიანი ობიექტური, ხოლო საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანი სუბიექტური ხასიათისაა. ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან განსხვავებით, იგი არაპირდაპირ არის დაკავშირებული იურიდიული პირის კონკრეტულ ქონებრივ დანაკარგებთან.⁵⁷⁵

მორალური ზიანი უნდა გულისხმობდეს „ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას“, რასაც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად, არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით“.⁵⁷⁶

იმ განმარტებებზე უფრო სწორი, რომ არაქონებრივი ზიანი არის „ზნეობრივი და ფიზიკური ტანჯვა“ ან „სულიერი და ფიზიკური ტანჯვა“ არის განმარტება, რომ არაქონებრივი ზიანი არის პირის მიერ განცდილი ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა.⁵⁷⁷

მორალური ზიანია მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად კანონით დაცული სიკეთეების ხელყოფით გამოწვეული პირის სულიერი ტანჯვა.⁵⁷⁸

დოქტრინაში არსებული მოსაზრებით, მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება მხოლოდ ფიზიკურ პირებს აქვთ,

⁵⁷² ბარაბაძე ნ., მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2011, 20.

⁵⁷³ Малеина М.Н., «Личные неимущественные права граждан понятие, осуществление, защита», М., 2001, 45.

⁵⁷⁴ ბარაბაძე ნ., დასახელებული ნაშრომი, 21.

⁵⁷⁵ ქურდაძე გ., დასახელებული ნაშრომი, 21.

⁵⁷⁶ Эрделевский А.М., Компенсация морального вреда, 2-е изд. М., 2000. მითითებულია: ბარაბაძე ნ., დასახელებული ნაშრომი, 23.

⁵⁷⁷ დოლონაძე ლ., დასახელებული ნაშრომი, 136.

⁵⁷⁸ ბარაბაძე ნ., დასახელებული ნაშრომი, 24.

ვინაიდან მხოლოდ მათ შეუძლიათ განიცადონ ფიზიკური და სულიერი ტანჯვა, ხოლო რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს. ამიტომ უფლების დაცვის ამ ორ საშუალებას საერთო ნიშნებიც ახასიათებთ. შესაბამისად, მომავალში სასურველია ისინი გაერთიანდნენ და იქცნენ უფლების დაცვის ერთიან საშუალებად, რომელსაც უნდა ეწოდოს არაქონებრივი ზიანის კომპენსაცია, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების მიმართ.⁵⁷⁹

მორალური ზიანის ანაზღაურება, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახე წარმოადგენს ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის შემცირებისა და დაზარალებულის სულიერი წონასწორობის, ემოციურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღდგენის საშუალებას.⁵⁸⁰

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო საქმეებზე სახელმძღვანელო რეკომენდაციებში მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხზე განმარტა, რომ შეუძლებელია ანაზღაურების მიზანი იყოს ზიანის სრული კომპენსირება. ფულადი კომპენსაცია ამ შემთხვევაში უფრო უსიამოვნო განცხადების გაქარწყლებისკენაა მიმართული. ბუნებრივია, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კონკრეტული პირის დამოკიდებულება თავისი უფლების ხელყოფისადმი, მაგრამ ამასთან, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სხვა უფრო ობიექტური გარემოებები, როგორცაა, მაგალითად, ყალბი და სახელის გამტეხი ცნობების სიმძიმე და მისი გავრცელების ფარგლები.⁵⁸¹

საკორპორაციო სამართალი ზიანის სპეციალურ ცნებას არ იცნობს და იყენებს სამოქალაქო სამართალში განმტკიცებულ ზიანის განსაზღვრებას. ზიანის ანაზღაურების სახეებისა და მოცულობის მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის დებულებები და შესაბამისად, ზიანის გამოთვლის ზოგადი წესები. ლ. ჭანტურიას აზრით, ამ ნორმებში შეიძლება იგულისხმებოდეს, მაგალითად, გსკ-ის 249-ე და მომდევნო პარაგრაფების, სსკ-ის 408-ე და მომდევნო მუხლები და ა.შ.⁵⁸² ამასთან, სამოქალაქო სამართალში მოცემული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის შესახებ წესები, ასევე უნდა იყოს საკორპორაციო სამართალში გამოყენებული.⁵⁸³

⁵⁷⁹ ქურდაძე გ., დასახელებული ნაშრომი, 22.

⁵⁸⁰ ზოიძე ბ., სკ-ის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ. 2001, 473.

⁵⁸¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის პრობლემატურ საკითხებზე, თბ., 25.07.2007. <www.supremecourt.ge>

⁵⁸² ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., „სამართალი“, 2006, 400-401.

⁵⁸³ Schiemann, In I. Von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch. 13. Aufl. (1998) vorbem zum §§249ff. Rn. 43ff. მითითებულია: ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თბ., 2012, 240.

ლიტერატურაში სადავო გახდა საკითხი იმის თაობაზე იურიდიულ პირს აქვს თუ არა უფლება მოითხოვოს პატივისა და ღირსების ხელყოფის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება. ავტორთა ნაწილი თვლის, რომ იურიდიულ პირს სავსებით შესაძლებელია გააჩნდეს პატივი და ღირსება და მათი ხელყოფის შემთხვევაში აქვს დაცვის ღირსი ინტერესი.⁵⁸⁴ ავტორთა მეორე ჯგუფი, მიიჩნევს, რომ იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფისას მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დგება.⁵⁸⁵

მორალური ზიანის დახასიათებიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მორალური ზიანის მიყენება მხოლოდ ფიზიკური პირისთვის შეიძლება, ვინაიდან ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის განცდა მხოლოდ ფსიქო-ფიზიკურ პირს შეუძლია და არა ისეთ სოციალურ ერთობას, როგორც იურიდიული პირია.⁵⁸⁶ „იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია თავის თავში აერთიანებს პატივსა და ღირსებას იმ გაგებით, როგორც არის განმარტებული ფიზიკური პირების შემთხვევაში, ამიტომ არის, რომ ხაზი ესმება ანაზღაურების საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობას მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში. მორალური ზიანის კომპენსაციის შესახებ მოთხოვნის წამოყენება შეუძლიათ მხოლოდ კონკრეტულ მოქალაქეებს, რადგან იურიდიული პირები ფიზიკურ ან ზნეობრივ ტანჯვას არ განიცდიან“.⁵⁸⁷

იურიდიული პირისთვის საქმიანი რეპუტაციის დაცვასთან დაკავშირებით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მომხრე მეცნიერთა აზრით, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, კომერციული საიდუმლოების გამჟღავნება, სასაქონლო ნიშნით უკანონო სარგებლობა და სხვა იურიდიულ პირს არამატერიალურ ზიანს აყენებს. ამიტომ გამართლებულია კანონში იმის გათვალისწინება, რომ იურიდიული პირის სახელის გამტეხი და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელება ექვემდებარება ანაზღაურებას მოქალაქეებისთვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პირობებით.⁵⁸⁸

ამასთან, იურიდიული პირის მიმართ არამატერიალური ზიანის ანაზღაურება ვერ იქნება გამოყენებული, ვინაიდან იურიდიულ პირს არ შეუძლია ზნეობრივი ტანჯვის განცდა. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სხვა ობიექტსაც – იმ კონკრეტულ პირთა, იურიდიული პირის თანამშრომელთა, პატივსა და ღირსებას, საქმიან

⁵⁸⁴ ჩიკვაშვილი შ., პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის, თბ., 2003, 173.

⁵⁸⁵ ბარაბაძე ნ., დასახელებული ნაშრომი, 142.

⁵⁸⁶ Гражданское право, часть 1, Учебник под ред. Сергеева А.П. Толстого Ю.М., 1997, 309.

⁵⁸⁷ გალდავა გ., დასახელებული ნაშრომი, 129.

⁵⁸⁸ Шичанин А., Проблемы становления и перспективы развития института возмещения морального вреда. Автореф. дисс., М., 1955, 18. მითითებულია ბარაბაძე ნ., მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები, ჟურნ., „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 2006, 105.

რეპუტაციას, რომელთა ქმედებითაც ხორციელდება იურიდიული პირის საქმიანობა. იურიდიულ პირებს ფიზიკურ პირებთან შედარებით პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის ნაკლები შესაძლებლობები აქვთ.⁵⁸⁹

„იურიდიული პირი არამატერიალურ ზიანს განიცდის მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის შელახვისას. აქ უნდა გაფართოვდეს საქმიანი რეპუტაციის ცნება, რომელიც უკავშირდება მის სახელწოდებას, სასაქონლო ნიშანს, კომერციულ საიდუმლოებას და სხვა. ამასთან, ყალბი ცნობების გავრცელება შეიძლება ერთდროულად იყოს პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის საფუძველი. შესაძლებელია შეილახოს იმ მუშაკის ღირსებაც, რომელიც დაკავებულია პროდუქციის დამზადებით“.⁵⁹⁰ იაროშენკო აღნიშნავდა, რომ „ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვები“ სათანადოდ ვერ გამოხატავს ზიანის არსს იურიდიული პირის მიმართ, რადგან ასეთი ტანჯვები დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისთვის. მისი აზრით, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება იურიდიულ პირებსაც აქვთ.⁵⁹¹ მალეინას აზრით, აუცილებელია, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებულ იქნეს იურიდიული პირის უფლება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე, არა მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის, არამედ ნებისმიერი არაქონებრივი უფლების დარღვევის შემთხვევაში.⁵⁹²

შ. ჩიკვაშვილის მოსაზრებით, „ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა“ სათანადოდ ვერ წარმოაჩენს ზიანის არსს იურიდიული პირის მიმართ, რამეთუ ასეთი ტანჯვა დამახასიათებელია მხოლოდ ფიზიკური პირისათვის, მაგრამ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იურიდიულ პირსაც აქვს, როცა ხელყოფილია ის არაქონებრივი უფლებები, რომლებიც მათ გააჩნიათ.⁵⁹³ „მსგავსი შემთხვევებისათვის, მორალური ზიანის, ფიზიკური პირისათვის დამახასიათებელი შინაარსით დახასიათება სრულიად მიუღებელია“, რამეთუ იურიდიულ პირს არ ძალუძს განიცადოს „ზნეობრივი“ და მითუმეტეს, „ფიზიკური ტანჯვა“.⁵⁹⁴ იურიდიული პირის არაქონებრივი უფლების შელახვამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს იურიდიული პირის სამეწარმეო (კომერციული) ან სხვა სახის საქმიანობაზე. ამიტომ, იურიდიული პირისათვის მიყენებულ მორალურ ზიანში იგულისხმება იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლებების

⁵⁸⁹ ბარაბაძე ნ., მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები, ჟურნ., „ადამიანი და კონსტიტუცია“, #2, 2006, 106.

⁵⁹⁰ ჩიკვაშვილი შ., პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 174-175.

⁵⁹¹ Ярошенко К., Гражданско-правовая защита чести и достоинства Граждан, Проблемы совершенствования советского законодательства, Труды 43 (Всесоюзный, научно-исследовательский институт советского государственного строительства), М., 1998, 612, მითითებულია: ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 241.

⁵⁹² Малеина М.Н., Нематериальные блага и перспективы их развития, 103. მითითებულია: დოღონაძე ლ., დასახელებული ნაშრომი, 143.

⁵⁹³ ჩიკვაშვილი შ., პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 175.

⁵⁹⁴ ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანის ანაზღაურება იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების ხელყოფისათვის, ჟურნ. „სამართალი“, №1-2, 2004, 42-43.

დარღვევის ნებისმიერი უარყოფითი შედეგი, რომელიც ამ პირის ქონებრივი სფეროს ხელყოფას უკავშირდება.⁵⁹⁵ შ. ჩიკვაშვილის მოსაზრებითვე, „მორალური ზიანის კომპენსაციის საკითხი მთლიანად ეხმაურება იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი არაქონებრივი უფლების დაცვის შესაძლებლობასაც“.⁵⁹⁶ სხვა სიტყვებით რომ ითქვას, იურიდიული პირის სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაში იგულისხმება პირისათვის ზიანის გადახდის დაკისრება საქმიანი რეპუტაციის ხელყოფისათვის.⁵⁹⁷

სხვა ქართველი ავტორებიც მიიჩნევენ, რომ იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის მატერიალური ანაზღაურება.⁵⁹⁸ პ. მონიავა აღნიშნავს, რომ იურიდიული პირი მხოლოდ სახელი როდია, არამედ იურიდიული პირის მიღმა დგას საერთო ინტერესის მქონე ფიზიკური პირები და მის საქმიანობას წარმართავენ კანონით დადგენილი უფლებამოსილი პირები (ან პირი). ამიტომ მათი (ან მისი) იგნორირება დაუშვებელია. ამდენად, მისი გაგება, მხოლოდ როგორც აბსტრაქტული ცნების, დაუშვებელია. ღირსებაშემლახველი ცნობების გავრცელება ეხება იმ ადამიანებსაც, რომლებიც ამ ორგანიზაციაში, ასოციაციაში მუშაობენ. თუ იურიდიული პირის პატივისა და ღირსების შელახვა შეუძლებელია, აღნიშნულთან დაკავშირებით მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის ხელყოფაზე საუბარი არასწორია. ამასთან, არაქონებრივი ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქიკურ ტანჯვას. **იურიდიულ პირს არ შეუძლია ამ ტანჯვის განცდა, თუ არ მიიღება მხედველობაში მასში გაერთიანებული პირები და მისი წარმომადგენელი, რომელთა თავზეც გადადის ღირსებაშემლახველი ცნობების გავრცელების განცდა.**⁵⁹⁹

იურიდიულ პირში სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით გაერთიანებული არიან დამფუძნებლები, წევრები, მასში დასაქმებული სხვა ადამიანები და დესტინატურები (წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირები). ისინი იურიდიული პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვას მიიჩნევენ საზოგადოებაში წარმოჩენის პირობად. პირები, რომელთა პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია შეილახა იურიდიული პირის მიმართ გავრცელებული სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობებით, საზოგადოების თვალში ასოცირდებიან მოცემულ იურიდიულ პირთან.⁶⁰⁰

⁵⁹⁵ ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანის ანაზღაურება იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების ხელყოფისათვის, ჟურნ. „სამართალი“, №1-2, 2004, 42-43.

⁵⁹⁶ ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 1998, 24.

⁵⁹⁷ ქურდაძე გ., დასახელებული ნაშრომი, 30.

⁵⁹⁸ დოლონაძე ლ., დასახელებული ნაშრომი, 144.

⁵⁹⁹ მონიავა პ., პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი პრობლემები, თბ., 1999, 25, 93-94, მითითებულია: ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 242.

⁶⁰⁰ მონიავა პ., პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), თბ, „მერიდიანი“, 2005, 28-29. ჭანტურია ლ., ნინიძე თ., „მეწარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარი, თბ., 2002, 34.

მართალია, იურიდიული პირი შეიძლება ერთმა ადამიანმა შექმნას (მაგალითად, შპს), მაგრამ ამ შემთხვევაში მასზე ვრცელდება ყოველივე ზემოთ თქმული. შესაბამისად, საერთო ჯამში იურიდიულ პირს ზოგადად უნდა ჰქონდეს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება.⁶⁰¹

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია შეიძლება მართლაც არ გამოვლინდეს იმ სახით, როგორც ეს ფიზიკური პირების შემთხვევაშია, მაგრამ აღნიშნული სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იურიდიულ პირს არ აქვს ხელყოფილი საქმიანი რეპუტაციის დაცვის და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.⁶⁰² ვ. მონიავას აზრით, სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მეხუთე ნაწილის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე გამოიყენება მე-18 მუხლი. კანონმდებელი თუ მიიჩნევდა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე, ამის თაობაზე შესაბამისი დათქმა უნდა გაკეთებულიყო სსკ-ის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილში. ასეთი დათქმა ვინაიდან არ არსებობს, სახეზეა სასამართლოს მიერ სსკ-ის მე-18 და 27.5.-ე მუხლების არასწორი განმარტება და გამოყენება.⁶⁰³ იმ მოსაზრებების მომხრეებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იურიდიულ პირს საქმიანი რეპუტაციის ხელყოფისას არ გააჩნია მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, იურიდიული პირი წარმოდგენილი აქვს ადამიანებისაგან დაცლილ, უსიცოცხლო ორგანიზმად, რომლისთვისაც უცხოა სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდები და სხვა.⁶⁰⁴ მაშინ, როდესაც თვით იურიდიული პირის ცნების განმარტება იძლევა საწინააღმდეგო მტკიცების საფუძველს. კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლის შესაბამისად იურიდიული პირი განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნია, რომელიც საკუთარი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს, საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. აღნიშნული ცხადყოფს, რომ იურიდიული პირის არსებობისათვის, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ორგანიზაციული ერთიანობა, რაც ნიშნავს, რომ რამდენიმე ფიზიკური პირი ერთიანდება ან/და საერთო-საზოგადო სასარგებლო მიზნის მისაღწევად აერთიანებს რა ქონებას კერძო ურთიერთობებში გამოდის, როგორც ერთი მთლიანი კოლექტივი.

მითითებულია: ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012., 242.

⁶⁰¹ მონიავა ვ., პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი პრობლემები, თბ., 1999, 25, 93-94, მითითებულია: ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012., 242.

⁶⁰² მონიავა ვ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 343.

⁶⁰³ იქვე, 344.

⁶⁰⁴ იქვე, 343.

შესაბამისად, სახეზეა ხელოვნური გაერთიანება, რომელშიც პირთა ინტერესების ნაწილი შეზავებულია იმგვარად, რომ იგი გადადის ინტერესთა ერთიანობაში.⁶⁰⁵

„იურიდიულ პირთან მიმართებაში საქმიანი რეპუტაციის ხელყოფით მიყენებული მორალური ზიანი გაგებულ უნდა იქნეს, როგორც ორგანიზაციის პირად არაქონებრივ უფლებათა ხელყოფის ყველა ის უარყოფითი შედეგი, რომელიც პოტენციურადაა დაკავშირებული მისი ქონებრივი სფეროს შელახვასთან“.⁶⁰⁶

შესაბამისად, სსკ-ის 27.5. და 18.6. მუხლების დანაწესიდან გამომდინარე სსკ-ის 18.6. მუხლით დადგენილი წესი მოქალაქეების პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის შესახებ მიესადაგება იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის საქმეებს.⁶⁰⁷

ზოგიერთი ავტორის აზრით, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი საჭიროებს კანონმდებლობაში შესაბამის ცვლილებებს, კერძოდ, სსკ-ის მე-18.6. მუხლში უნდა მიეთითოს, რომ ფიზიკურ პირს უფლება აქვს მოითხოვოს მორალური, ხოლო იურიდიულ პირს არაქონებრივი (რეპუტაციური) ზიანის ანაზღაურება ან ფიზიკურ პირს არაქონებრივი (მორალური), ხოლო იურიდიულ პირს არაქონებრივი (რეპუტაციური) ზიანის ანაზღაურება.⁶⁰⁸

რფსკ-ის 151-ე მუხლისა და საყოველთაოდ მიღებული სამოქალაქო-სამართლებრივი დეფინიციის მიხედვით, მორალური ზიანი ფიზიკური და სულიერი ტანჯვაა. იურიდიული პირი აბსტრაქტული კატეგორიაა, ამიტომ, ფიზიკურ ტანჯვას და მითუმეტეს სულიერ ტანჯვას ვერ განიცდის. შესაბამისად, არ შეიძლება საუბარი ასეთი ზიანის ანალოგიით ანაზღაურებაზე.⁶⁰⁹ იურიდიული პირისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების იდეის მომხრე ცალკეულ ავტორთა მოსაზრებით იურიდიული პირის ტანჯვა გამოიხატება იმ პირების ტანჯვაში, ვინც იურიდიული პირის „ადამიანურ სუბსტრაქტს“ ქმნის და კოლექტიური ზნეობრივი ტანჯვა–იურიდიული პირის ტანჯვაა, მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიურად იგი ადამიანებმა განიცადეს.⁶¹⁰

⁶⁰⁵ მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 343.

⁶⁰⁶ იქვე, 345.

⁶⁰⁷ იქვე, 343.

⁶⁰⁸ ქურდაძე გ., დასახელებული ნაშრომი, 30.

⁶⁰⁹ Жуйков В.М., Возмещение морального вреда. Комментарий российского законодательства. Вып. 1. М., 1995, 53, Гражданское право: Учебник: В 3 т. 6-е изд., перераб. и доп., Отв. ред. А.П. Сергеев, Ю.К. Толстой. М., 2006. Т. 1., 346, Эрделевский А., Защита деловой репутации, Закон. 1998.№11/12. 103-104.

⁶¹⁰ Редько Е.П., Компенсация морального вреда как способ защиты деловой репутации юридического лица, Российская юстиция. 2009, №9, 11-12.

ავტორთა ნაწილი შესაძლებლად მიიჩნევს იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვისას, არა მორალური, არამედ, მორალურის ანალოგიური რეპუტაციური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, რომელიც კომპენსაციაა „გადატანილისათვის“.⁶¹¹ ამ მოსაზრების მოწინააღმდეგეთა აზრით, იურიდიული პირის კომპენსაცია „გადატანილისათვის“ ეწინააღმდეგება როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებს, ისე იურიდიული პირის ბუნებას,⁶¹² რის გამოც ასეთი კომპენსაციის დაკისრება არაკორექტულია.⁶¹³

არაქონებრივი უფლებების უმეტესი კატეგორია აქვს ფიზიკურ პირს. სსკ-ის 27-ე მუხლის შინაარსი შეესაბამება იურიდიული პირის სამართლებრივ ბუნებას, რომელსაც არ შეიძლება ჰქონდეს ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვა⁶¹⁴, მაგალითად, ღირსების საკითხის განხილვისას.⁶¹⁵

იურიდიული პირის კომერციული რეპუტაცია-ავტორიტეტი, „წონა“, საქმიან ურთიერთობებში მისი ადგილია. ასეთ შემთხვევაში ხელყოფის შედეგად ავტორიტეტის, საქმიან ურთიერთობებში „წონის“ დაკარგვა უფრო მეტია, ვიდრე მიყენებული ზიანი, ამიტომ იურიდიულ პირს უნდა აუნაზღაურდეს არა მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის ხელყოფით მიყენებული ზიანი, არამედ არაქონებრივი (რეპუტაციური) ზიანიც.⁶¹⁶

იურიდიული პირის სასარგებლოდ არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს აღიარებს სხვადასხვა უცხოური მართლწესრიგი.⁶¹⁷ პირველ რიგში, კონტინენტური სამართლის ქვეყნები: საფრანგეთი, შვეიცარია.⁶¹⁸ ანალოგიური კომპენსაციის დაკისრება უფრო ნაკლებადაა მიღებული აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში, სადაც სასამართლოები აკმაყოფილებენ დანაკარგების ანაზღაურების, მაგრამ არა არაქონებრივი ხასიათის მოთხოვნებს. ზოგჯერ ინგლისის სასამართლოები აკმაყოფილებენ მოთხოვნებს არამატერიალური ზიანის თაობაზე, როცა დანაკარგები ვერ მტკიცდება და ფულად კომპენსაციაზე უარი სასამართლოს უსამართლოდ მიაჩნია.⁶¹⁹

უცხოელი ავტორის აზრით, სხვადასხვა იურისდიქციაზე დაკვირვებით და ამ იურისდიქციების მიერ არამატერიალური ზიანის

⁶¹¹ Гражданское право: актуальные проблемы теории и практики, Под общ. ред. В.А., Белова. М., 2008, 911.

⁶¹² Российское гражданское право: Учебник, Отв. ред. Суханов Е.А., Т. 1. М., 2010, 726.

⁶¹³ Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 113.

⁶¹⁴ ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანის ანაზღაურება იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების ხელყოფისთვის, ჟურნ. „სამართალი“, თბ., 2004, №1-2, 42-43.

⁶¹⁵ კერესელიძე დ., დასახელებული ნაშრომი, 132.

⁶¹⁶ Дьяченко Е.М., დასახელებული ნაშრომი, 198.

⁶¹⁷ Dupont A., Non-Pecuniary loss in commercial contracts: with special emphasis on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG). Minor dissertation. University of Cape Town, 2014, 57.

⁶¹⁸ იქვე, 25.

⁶¹⁹ იქვე, 25.

განხილვის შედეგების მიხედვით შესაძლებელია ორი საკითხის დანახვა: პირველ რიგში, აღნიშნული წარმოადგენს პოლიტიკის ნაწილს, თუ რამდენად მიდრეკილია საზოგადოება აღიაროს ასეთი ზიანი და მეორე, არამატერიალური ზიანის მზარდი აღიარება შეინიშნება ყველა სისტემაში.⁶²⁰ ისტორიული თვალთახედვით ითვლება, რომ შეხედულებები შეიძლება შეიცვალოს გარკვეული დროის პერიოდში. ახალი იდეოლოგიებისა და საჭიროებების ფარგლებში, ძველი კანონი შეიძლება (და ხშირ შემთხვევაში) სხვაგვარად განიმარტოს. აღნიშნული შეიძლება ჭეშმარიტი აღმოჩნდეს „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ“ კონვენციასთან მიმართებაშიც. არამატერიალური ზიანის პრობლემა უფრო და უფრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს მსოფლიოს სამართლებრივ სისტემებში.⁶²¹

ამერიკისა და ევროპის ქვეყნების კანონმდებლობით არ ხდება კომერციული საწარმოს რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის დიფერენციაცია ქონებრივ და არაქონებრივ ზიანად. ზიანის მიყენების დროს მისი ანაზღაურების საკითხი განიხილება სასამართლო წესით და პირს ეკისრება ზიანის კომპენსაცია. მოსარჩელე კომერციულმა საწარმომ უნდა დაამტკიცოს მისთვის არა მხოლოდ ზიანის მიყენების ფაქტი, არამედ ზიანის მოცულობაც. თუ მიყენებული ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულების დოკუმენტურად დადასტურება შეუძლებელია, იურიდიულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია ამ ქვეყნების კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით. ბრალეულ პირს მოსარჩელის სასარგებლოდ ეკისრება კომპენსაციის გადახდა და თავისი არსით წარმოადგენს საწარმოსათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას.⁶²²

მარტივი არ არის კომერციულ გარემოში არამატერიალური ინტერესების წარმოდგენა. შემთხვევების ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფი აღმოჩნდა ბიზნეს-რეპუტაციის პრობლემისა და შესაბამისი ზიანის ზრდა. კომერციაში და კერძოდ საერთაშორისო გაყიდვებში, ბიზნეს-რეპუტაცია მზარდი მნიშვნელობისაა. არსებობს არგუმენტირებული მიზეზები მასზედ, რომ თვით რეპუტაციის ღირებულება იქნას აღიარებული.⁶²³

„ინგლისისა და აშშ-ს სამართლის თანახმად, „მორალური ზიანის“ ანალოგიურია „ფსიქიკური ზიანი“. ასეთად მიიჩნევა ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა“.⁶²⁴

ამერიკულ ანგლო-ამერიკულ სამართალში ზოგადი, პროფესიული და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფის დროს სახეზეა მორალური ზიანი. სხვა

⁶²⁰ Dupont A., დასახელებული ნაშრომი, 57.

⁶²¹ იქვე, 57.

⁶²² Смолина Л.В., Защита деловой репутации организации. М., Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2014, 41. მითითებულია: ქურდაძე გ., დასახელებული ნაშრომი, 24.

⁶²³ Dupont A., დასახელებული ნაშრომი, 57.

⁶²⁴ ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანის ანაზღაურება იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების ხელყოფისათვის, ჟურნ. „სამართალი“, №1-2, 2004, 42.

სიტყვებით რომ ვთქვათ, „ზოგადი რეპუტაცია“, „პროფესიული რეპუტაცია“ და „საქმიანი რეპუტაცია“ მიეკუთვნება არაქონებრივ სიკეთეთა კატეგორიას. შესაბამისად მორალური ზიანი ითვლება ქმედით მექანიზმად ფიზიკური პირის (მეწარმის) ან/და იურიდიული პირის (სავაჭრო კორპორაციის) საქმიანი რეპუტაციის ხელყოფით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად.⁶²⁵ რეპუტაციული ზიანის დაცვის ობიექტია – თითოეული ფიზიკური და იურიდიული პირის „კარგი სახელის“ უფლება. აღნიშნული ზიანის ობიექტად მიიჩნევა კანონით დაცული ინტერესის ხელყოფა.⁶²⁶

აღსანიშნავია, რომ ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობაში შეუძლებელია, იურიდიული პირისათვის არამატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხში, რაიმე საერთო კანონზომიერების გამოვლენა.⁶²⁷

იურიდიული პირისათვის არამატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხში გერმანიაში მყარი სასამართლო პრაქტიკაა, რომლის მიხედვით, იურიდიულ პირს არა აქვს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების უფლება. აღნიშნული პოზიცია იმითაა დასაბუთებული, რომ არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზანია დაზარალებულს მიანიჭოს დაკმაყოფილება, ხოლო იურიდიულ პირს დაკმაყოფილების განცდა არ შეუძლია, თუმცა ეს გრძნობა შეიძლება იურიდიული პირის მონაწილეებმა განიცადონ, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს საკუთარი უფლებებისა და სიკეთეების დასაცავად თავისი (და არა იურიდიული პირის) სახელით.⁶²⁸

იურიდიული პირების ეკონომიკური ინტერესების დაცვა გერმანიაში გსკ-ის 824-ე პარაგრაფის საფუძველზე მატერიალური ზიანის მოთხოვნით ხორციელდება. ამასთან, დაზარალებულმა უნდა დაამტკიცოს მატერიალური ზიანის ოდენობა და მიზეზობრივი კავშირის არსებობა შემლახავი ცნობების გავრცელებასა და დამდგარ ზიანს შორის, რაც საკმაოდ რთულია.⁶²⁹

გერმანიის ფედერალურ სასამართლოს არც ერთხელ არ დაუდგენია მეწარმე იურიდიული პირის სასარგებლოდ არამატერიალური ზიანის

⁶²⁵ ოსაკვე კ., დასახელებული ნაშრომი, 68. იქვე: ამერიკის სასამართლო პრაქტიკაში არის ერთი პრეცედენტი, რომელიც მიღებულია Restatement (2nd) Torts 561-ე პარაგრაფის საფუძველზე: ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ადგილობრივი კორპორაციის მთავარი ბუღალტერი მსხვილი თაღლითია, ხშირად ფლანგავს კორპორაციის ფინანსურ სახსრებს, რაც აისახება კორპორაციის მუდმივი უფულობით. შეტყობინება აღმოჩნდა ცრუ. გაზეთის ქმედება შეფასებულ იქნა აშკარა, კორპორაციის საქმიანი რეპუტაციის წინააღმდეგ მიმართულ განზრახ ქმედებად. თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა: თუკი დამტკიცდება, რომ სტატიამ დაზიანა კორპორაციის საქმიანი რეპუტაცია და იმავდროულად მისი კრედიტუნარიანობა, მოსარჩელეს (კორპორაციას) უფლება აქვს მოითხოვოს ანაზღაურება, როგორც საქმიანი რეპუტაციის, ასევე კორპორაციის კრედიტუნარიანობის შემცირებისათვის.

⁶²⁶ იქვე, 68.

⁶²⁷ Архиепеев Н.В., დასახელებული ნაშრომი, 85.

⁶²⁸ Нуждин Т.А., Особенности правового регулирования нематериальных благ в зарубежном гражданском праве, Хозяйство и право, № 4(387), 2009, 138.

⁶²⁹ Архиепеев Н.В., დასახელებული ნაშრომი, 85.

კომპენსაცია. მაგრამ სასამართლომ განმარტა, რომ არაკომერციულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ მტკიცებულებათა წარდგენა არამატერიალური კომპენსაციის დაკისრების აუცილებლობისას.

ინგლისის კანონმდებლობა კომპენსაციაში გულისხმობს ეკონომიკური დანაკარგის დაფარვას. სასამართლოები მიიჩნევენ, რომ „იურიდიული პირების სულს არ შეიძლება ზიანი მიაღვეთ, სულის არარსებობის გამო“. ამასთან, იყენებენ საჯარიმო სანქციებს აღკვეთისა და დასჯის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის მოსაზრებების გათვალისწინებით.⁶³⁰

ზოგიერთ ქვეყანაში არამატერიალური ზიანი ფართოდ განისაზღვრება. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი არ განასხვავებს მატერიალურ და მორალურ ზიანს. საფრანგეთის სასამართლოები იხილავენ სარჩელებს საქმიანი რეპუტაციისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.⁶³¹

იტალიის ცივილისტური დოქტრინა აღიარებს იურიდიული პირის უფლებას არამატერიალური ზიანის კომპენსაციაზე. იტალიის სამოქალაქო კოდექსის 2059-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლო პრაქტიკა ამ ნორმას საკმაოდ ლიბერალურად განმარტავს. დანაშაულით მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება სისხლის სამართლის კანონითაა გათვალისწინებული.⁶³²

იტალიის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ არაქონებრივ ზიანში მოიაზრება ნებისმიერი ზიანი, რომელიც არ არის ქონებრივი. მორალური ზიანი არაქონებრივი ზიანის ნაირსახეობაა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ არაქონებრივი და მორალური ზიანის კომპენსაცია სხვადასხვა კატეგორიებია. პირველი გამოიყენება ნებისმიერი ზიანის აღმნიშვნელად, რომელიც ფულად შეფასებას არ ექვემდებარება, ხოლო მეორე ე. წ. pecunia Doloric-ით (ტკივილისა და ზნეობრივი ტანჯვის ფასი) გამოიხატება.⁶³³ ამასთან, კანონმდებელმა დაადგინა, რომ არაქონებრივი ზიანი გულისხმობს, არამარტო ფიზიკურ და ფსიქიკურ ტანჯვას, არამედ, იურიდიული პირის რეპუტაციისათვის მიყენებულ დანაკლისს, კონფიდენციალური კომერციული საიდუმლოების გამჟღავნებით მიყენებულ ზიანს, ანუ ნებისმიერ ზიანს, რომელიც ქონებრივი არ არის.⁶³⁴ იტალიის უზენაესმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მორალური ზიანი ანუ ადამიანისათვის მიყენებული ემოციური ტანჯვა, იურიდიული პირისთვის დამახასიათებელი არ არის. თუმცა იტალიური სასამართლოები საკმაოდ

⁶³⁰ Круг П., Юридические лица и неэкономический вред деловой репутации, Законодательство и практика масс-медиа, №10, 2005, 35.

⁶³¹ Анисимов А.Л., Честь, достоинство и деловая репутация: гражданско-правовая защита, М., Юристъ, 1994, 65.

⁶³² Манукян В.И., Компенсация за «страдания» в Европе. Возмещение морального вреда в Континентальной Европе: умеренность и рационализм, Юрид. практика. №33, 2007, 37.

⁶³³ Giardetti M., Danno по патrimoniale e persone giuridiche, Fiandaca L. Il danno по патrimoniale. Percorsi giurisprudenziali. Milan, 2009, 433-434, მითითებულია: Архиреев Н.В., დასახელებული ნაშრომი, 88.

⁶³⁴ Архиреев Н.В., დასახელებული ნაშრომი, 88.

ხშირად, არაქონებრივი და მორალური ზიანის დიფერენციაციის გარეშე, აკისრებენ არაქონებრივ ზიანის კომპენსაციას სწორედ, მიყენებული მორალური ზიანისათვის.⁶³⁵ პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ იურიდიული პირებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველია: პატივის, რეპუტაციის, გამოსახულების, იმიჯის, სახის, პრესტიჟის, ნდობის, სახელწოდების, „არსებობის“ უფლების ხელყოფა, ასევე კერძო სფეროს, იურიდიული პირის „თვითმყოფადობის“, „იდენტურობის“, „პიროვნების“ უფლების დარღვევა.⁶³⁶

იტალიაში არამატერიალური ზიანისათვის კომპენსაცია შეიძლება მოითხოვოს, არა მარტო კომერციულმა, ასევე არაკომერციულმა იურიდიულმა პირმა, ასევე საჯარო დაწესებულებებმა (მუნიციპალიტეტები, პროვინცია, სახელმწიფო).⁶³⁷ იტალიის უმაღლესმა სასამართლომ დაადასტურა სახელმწიფოს უფლება დიფამაციით მიყენებული არამატერიალური ზიანის კომპენსაციაზე, რომელიც ხელყოფს სახელმწიფოს სახეს და ავტორიტეტს, იღებს რა ამ ქმედებით მორალურ ზიანს.⁶³⁸

ზემოთ ითქვა, რომ უცხოური პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვისას არამატერიალური ზიანის კომპენსაციის საკითხში. ფაქტია, რომ ბევრი ქვეყანა აშკარა ფორმით არ აღიარებს იურიდიული პირის ამ უფლებას, მაგრამ არც უარყოფს მას.⁶³⁹

მოცემულ პარაგრაფში უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა იურიდიული პირისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას გამორიცხავს.

ერთ-ერთ საქმეზე⁶⁴⁰ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხეთათვის (გაზეთის მესაკუთრე, რედაქტორი და ჟურნალისტი) გამოქვეყნებული სტატიით საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო მიყენებული მორალური/არაქონებრივი ზიანის ასანაზღაურებლად იურიდიული პირის სასარგებლოდ 1 000 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე და ამ ნაწილში მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: სკ-ის 413.1 მუხლის მიხედვით, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. მართალია, სსკ-ის მე-18.6 მუხლიდან, შესაბამისი წინაპირობების

⁶³⁵ Архиепеев Н.В., დასახელებული ნაშრომი, 89.

⁶³⁶ Гаврилов Е.В., Компенсация неимущественного вреда юридическим лицам: опыт Италии, а также Европейского Суда по правам человека по «итальянским» делам и его использование в России, Хозяйство и право, №3, 2012, 100.

⁶³⁷ Christian von Bar. The common European law of torts. Vol. 2. Oxford, 2000, 132. მითითებულია: Архиепеев Н.В., Гражданско-правовая защита деловой репутации юридических лиц в Российской Федерации, Екатеринбург, 2017, 90.

⁶³⁸ Cimino Sara. Danni patrimoniali e non patrimoniali alle persone giuridiche e modalita della relavita quantificazione. მითითებულია: Архиепеев Н.В., Гражданско-правовая защита деловой репутации юридических лиц в Российской Федерации, Екатеринбург, 2017, 90.

⁶³⁹ Архиепеев Н.В., დასახელებული ნაშრომი, 89.

⁶⁴⁰ სუს გადაწყვეტილება 26 ივლისი, 2017, №ას-1011-972-2016.

არსებობისას (პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ბრალეული შელახვა), გამომდინარეობს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, **თუმცა იურიდიული პირის სარჩელთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკით დადგენილია დამატებითი შეზღუდვები.** იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთან ყველა იმ უფლებაში, რომელიც თვისებრივად არ უკავშირდება ადამიანს. პიროვნულ უფლებათაგან ნაწილი იურიდიულ პირს შეიძლება მხოლოდ მოდიფიცირებული ფორმით გააჩნდეს. იურიდიულ პირს არ გააჩნია სსკ-ის მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორცაა: პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ასევე, მორალურ განცდებთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. სასამართლომ იურიდიული პირის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იურიდიულად უსაფუძვლოდ მიიჩნია სასამართლო პრაქტიკაზე⁶⁴¹ დაყრდნობით და განმარტა, რომ მორალური ზიანი არ შეიძლება მიაღვეს იურიდიულ პირს, რადგან მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა, და სხვა). ამდენად, უდავოა, რომ **იურიდიული პირის დაცულ არაქონებრივ უფლებას წარმოადგენს საქმიანი რეპუტაცია, რომლის შელახვის გამო, არა მორალური, არამედ მატერიალური ზიანის დაკისრებაა შესაძლებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.**⁶⁴²

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის 41-ე მუხლით, „თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს **სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს**“.⁶⁴³ კონვენცია არ იძლევა განმარტებას, რა იგულისხმება სამართლიან დაკმაყოფილებაში. სასამართლო კომპენსაციას აკისრებს ერთდროულად ორი პირობის არსებობისას: როცა სასამართლომ ცნო კონვენციის დარღვევა და ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული სამართალი არ იძლევა დარღვევის შედეგის სრულყოფილად აღმოფხვრის შესაძლებლობას. კომპენსაციის სამართლიანობას განსაზღვრავს სასამართლო კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით. სამართლიანი კომპენსაცია შეიძლება მიენიჭოს მატერიალური ზიანის, მორალური ზიანისა და სასამართლო ხარჯების სახით. სასამართლო მკვეთრად მიჯნავს მატერიალურ და მორალურ ზიანს. *damnum emergens*, რეალური ზიანი და *lucrum cessans*, მიუღებელი შემოსავალი. მორალური ზიანი პრაქტიკულად არამატერიალური ზიანია. რეგლამენტის მიხედვით, მორალური ზიანი დაუთვლელი ზიანია, რომელიც განმცხადებლის ფსიქიკურ და ფიზიკურ

⁶⁴¹ სუს გადაწყვეტილებები 26.12.2001, N3კ/924-01, 30.09.2015, №ას-1052-1007-2014.

⁶⁴² სუს გადაწყვეტილება 26 ივლისი, 2017, №ას-1011-972-2016.

⁶⁴³ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია, რომი, 1950.

ტანჯვაში გამოიხატება. თუმცა მოცემული განმარტება არ ზღუდავს სასამართლოს განსახილველი საქმის გარემოებების გათვალისწინებით გადაწყვეტოს განმცხადებელს მიაჩნოს თუ არა მორალური ზიანი.⁶⁴⁴

ევროსასამართლოს პრაქტიკით არაერთხელ განიმარტა, რომ მორალური (არამატერიალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვთ, როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე კომპანიებს, მათ შორის საქმიანი რეპუტაციის შელახვისას.⁶⁴⁵

მორალური ზიანი ევროსასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, არ არის მორალური ზიანის იდენტური და არ შეიძლება შეიზღუდოს ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვით, არამედ, უფრო ფართოდ განიმარტება და გულისხმობს ზიანს, რომელიც ზუსტი ფულადი ექვივალენტით ვერ გამოითვლება.⁶⁴⁶

2000 წლიდან⁶⁴⁷ ევროპული სასამართლოს სამართალგამოყენების პრაქტიკა იურიდიული პირებისათვის მორალური ზიანის *dommage moral* კომპენსაციის საკითხში მკვეთრად შეიცვალა. საქმეში, *Comingersoll S.A. v. Portugal*,⁶⁴⁸ სასამართლომ აღნიშნა, რომ საწარმოსათვის მიყენებული ზიანი, მატერიალურ შემადგენლობასთან ერთად შეიძლება შეიცავდეს ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტებს. ამ ელემენტებში შედის საწარმოს რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანი, ასევე მისაღები გადაწყვეტილებების დაგეგმვის შეუძლებლობა, დარღვევები საწარმოს მართვის პროცესში, რომლის შედეგები არ შეიძლება ზუსტად დაითვალოს და ბოლოს განგაშის განცდა და დისკომფორტი, რომელსაც საწარმოს ხელმძღვანელები განიცდიან. ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში გამოყენებულია ნეიტრალური ცნება – ზიანი, დაზუსტების გარეშე. თუმცა მოსამართლე კ. როზაკისმა თანმხვედრ აზრში (რომელსაც სამი მოსამართლე ეთანხმება) დააზუსტა რომ, არ იყო საჭირო ადამიანურ ფაქტორზე აქცენტის გაკეთება, ზიანის დაკისრების საფუძვლად საკმარისი იყო ავტონომიური იურიდიული ერთობის (*entité juridique autonome*) ცნებაზე მითითება, რომელსაც იცავს კონვენცია, ფიზიკური და იურიდიული პირის გამიჯვნის გარეშე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კომერციული ორგანიზაციისთვის მორალური ზიანის კომპენსაციის მინიჭება არ უნდა გამოირიცხოს და სასამართლოს სავალდებულო წესით უნდა ჰქონდეს უფლება მიაჩნოს კომერციულ ორგანიზაციას მორალური ზიანის მატერიალური კომპენსაცია

⁶⁴⁴ Баглариду М. Ф., Возмещение морального вреда в практике европейского суда по правам человека, Московский журнал международного права. №2 (106). 2017, 158.<<https://www.mjil.ru/jour/article/view/190/130>> [02.04.2019]

⁶⁴⁵ Гаврилов Е.В., Запрет компенсации морального вреда юридическим лицам. Комментарий к Определению Судебной коллегии по экономическим спорам ВС РФ от 17.08.2015 N309-ЭС15-8331, Вестник экономического правосудия РФ., N9, 2015.

⁶⁴⁶ Гаврилов Е.В. დასახელებული ნაშრომი, 9.

⁶⁴⁷ Баглариду М. Ф., დასახელებული ნაშრომი, 158.

⁶⁴⁸ Case of *Comingersoll S.A. v. Portugal* (application no. 35382/97), 06.04.2000. [www.http://hudoc.echr.coe.int](http://hudoc.echr.coe.int). [24.05.2019]

კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლების ეფექტურად დასაცავად.

მომდევნო საქმეებში სასამართლომ დააზუსტა, რომ საუბარია იურიდიული პირისთვის მორალური ზიანის ანაზღაურებაზე, ამასთან ფრანგული ტერმინი *dommage moral*, უფრო ზუსტია ვიდრე ინგლისური *non-pecuniary damage*⁶⁴⁹.

ერთ-ერთ დავაში⁶⁵⁰ სასამართლომ კომერციულ კომპანიას მიაკუთვნა მატერიალური კომპენსაცია მორალური ზიანისათვის. საქმის ფაზულის მიხედვით სამინისტროს 1999 წლის 28 ივლისის დადგენილებით შესაბამისმა ორგანოებმა Centro Europa 7 S.r.l-ს (შპს მომჩივანი კომპანია) მიანიჭა ქვეყანაში სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზია 249/1997 კანონის შესაბამისად, მისცა რა ამასთანავე უფლება შეექმნა და გამოეყენებინა ანალოგი სატელევიზიო ქსელი. სიხშირეების მინიჭება გადაიდო მანამდე, სანამ ხელისუფლება არ მიიღებდა რეგულირების პროგრამას, რომლის საფუძველზეც მომჩივან კომპანიას უნდა განეახლებინა საკუთარი ინსტალაციები. რეგულირების პროგრამის იმპლემენტაცია არ განხორციელდა. მომჩივანმა მოითხოვა ზიანისა და დაკარგული შემოსავლის ანაზღაურება, ასევე მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 10,000,000 ევრო. მომჩივნის განმარტებით, სასამართლომ ამ მხრივ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები: (ა) გასული მნიშვნელოვანი ვადა; (ბ) ის ფაქტი, რომ მომჩივანი კომპანია, ლოგიკურად ელოდა იტალიის მთავრობას მიეცა საშუალება სამაუწყებლო ლიცენზიით სასარგებლოდ გონივრულ ვადებში; (გ) იმედგაცრუება და სასოწარკვეთა, რომელიც გამომდინარეობდა სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარებაზე თვალყურისდევნებით და უძღვრებით, არ შეეძლო რა მომჩივან კომპანიას ყოფილიყო მოცემული განვითარების ნაწილი და რიგი მომგებიანი საშუალებების დაკარგვით; (დ) მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი; (ე) კომპანიის რეპუტაციისადმი ზიანის მიყენება ჩართული პირების პოზიციის გამო; (ვ) კომპანიის სერიოზული წუხილი, არ შეეძლოთ რა დაწეოდნენ კონკურენტებს, რომლებმაც დაიმკვიდრეს პოზიცია ანალოგ სამაუწყებლო და მასთან დაკავშირებულ ბაზრებზე; (ზ) გაურკვევლობის მდგომარეობა, რომელშიც მომჩივან კომპანიას უწევდა სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება; (თ) იმედგაცრუება, რომელიც გამომდინარეობდა მთავრობის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ევროპული ინსტიტუტების მოთხოვნების განმეორებადი და აშკარა უგულვებელყოფით.

მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივან კომპანიას არ დაუდასტურებია, რომ მის მიერ გაწეული ყველა

⁶⁴⁹ Case of Meltex Ltd. and Mesrop Movsesyan v. Armenia (application no. 32283/04), 17.06.2008; Affaire Centro Europa 7 S.R.L. et Di Stefano c. Italie (requite no. 38433/09), 07.06.2012. <[www.http://hudoc.echr.coe.int](http://hudoc.echr.coe.int)> [24.05.2019]

⁶⁵⁰ Case of Centro Europa 7 S.R.L. And Di Stefano V.Itali, 07.06.2012, №38433/09.&221, 223. <[www.http://hudoc.echr.coe.int](http://hudoc.echr.coe.int)> [24.05.2019]

ინვესტიცია აუცილებელი იყო ლიცენზიის პირობებით ოპერირების დასაწყებად. რაც შეეხება სავარაუდოდ დაკარგულ შემოსავალს, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივან კომპანიას მართლაც მიაღწა ამგვარი ზიანი მრავალი წლის განმავლობაში ლიცენზიიდან მოგების მიუღებლობის შედეგად. თუმცა საქმის გარემოებანი არ იძლევა მატერიალური ზიანის ზუსტი შეფასების საშუალებას, რადგან ზიანის ამგვარი სახეობა მოიცავს მრავალ დაუზუსტებელ ფაქტორს, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდება სამართლიანი კომპენსირებისათვის საჭირო ზუსტი რაოდენობის დადგენა. სასამართლომ მიიჩნია, რომ უპრიანი იქნება თუკი მოხდება ერთიანი საკომპენსაციო თანხის მინიჭება მიყენებული ზიანისა და მიუღებელი შემოსავლისათვის, რომელიც გამომდინარეობდა ლიცენზიის გამოყენების შეუძლებლობით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში დადგენილი კონვენციის მე-10 მუხლისა და N1 ოქმის 1 მუხლის დარღვევები სავარაუდოდ გამოიწვევდა მომჩივან კომპანიაში ბიზნესის წარმოების ხანგრძლივი გაურკვევლობისა და უმწეობისა და იმედგაცრუების შეგრძნებას (იხ. *mutatis mutandis*, *Rock Ruby Hotels Ltd v. Turkey* (სამართლიანი დაკმაყოფილება), no. 46159/99, §36, 26 ოქტომბერი 2010). ამგვარად, სასამართლომ აღნიშნა, რომ მას შეუძლია კომერციულ კომპანიას მიაკუთვნოს მატერიალური კომპენსაცია მორალური ზიანისათვის. ამგვარი კომპანიების მიერ განცდილი მორალური ზიანი შესაძლოა მოიცავდეს მეტ-ნაკლებად „ობიექტურ“ და „სუბიექტურ“ ასპექტებს. გასათვალისწინებელი ასპექტები მოიცავს კომპანიის რეპუტაციას, გაურკვევლობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კომპანიის მენეჯმენტის შეფერხებას (რომელთან მიმართებაშიც არ არსებობს შედეგების გამოთვლის კონკრეტული მეთოდი) და ბოლოს, თუმცა შედარებით ნაკლებად, მმართველი გუნდის მიერ განცდილი იმედგაცრუება და დისკომფორტი (იხ. *Comingersoll S.A. v. Portugal*, [GC], no. 35382/97, §35, ECHR 2000-IV). ყოველივე ზემოთხსენებული ფაქტორის გათვალისწინებით, სამართლიან საწყისებზე შეფასებისას, სასამართლომ გონივრულად მიიჩნია მიაკუთვნოს მომჩივან კომპანიას მთლიანობაში 10,000,000 ევრო ყველა ზიანისათვის, დამატებული ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შესაძლოა დაეკისროს მოცემულ თანხას.

ერთ-ერთი საქმის⁶⁵¹ ფაბულის მიხედვით მომჩივანმა კომპანიამ შეიძინა სასტუმრო მიწის ნაკვეთთან ერთად სახელმწიფოსგან პრივატიზაციის საფუძველზე. პროკურატურის განცხადებით ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები გაბათილდა პროცედურული დარღვევების გამო. ევრო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხე-სახელმწიფოს მომჩივნის სასარგებლოდ დაეკისრა 7 მლნ ევრო მატერიალური ზიანის (სასტუმროსა და სხვა დანაკლისის ღირებულება) და 25 000 ევრო მორალური ზიანის საკომპენსაციოდ.

⁶⁵¹ *Dacia S.R.L. v. Moldova*,

<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22documentcollectionid%22%3A%22GRANDCHAMBER%22%2C%22CHAMBER%22%7D> [15.02.2019]

სხვა საქმეში⁶⁵² მომჩივანი დავობდა მოპასუხე-სახელმწიფოს მიერ მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის უკანონობაზე. სასამართლომ ლიცენზიის გაცემაზე უარი ინფორმაციისა და იდეების გავრცელების უფლებაში ჩარევად და შესაბამისად, კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად მიიჩნია. სასამართლომ კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს განმცხადებელი კომპანიის სასარგებლოდ **მორალური ზიანის** საკომპენსაციოდ 20000 ევროს გადახდა დააკისრა.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ სსკ-ის 18.6. მუხლის დეფინიციის მიუხედავად (ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება) არაქონებრივი ზიანი არ არის **მორალური ზიანის იდენტური. მორალური ზიანი არაქონებრივი ზიანის ნაირსახეობად უნდა მივიჩნიოთ.**

პრობლემურია მორალური ზიანის შეფასება. რეგლამენტის მიხედვით მისი გამოთვლა ზუსტად შეუძლებელია. სასამართლო, როგორც წესი, შეფასებას კონვენციის 41-ე მუხლში მოცემული სამართლიანობის პრინციპისა და საკუთარი პრეცედენტული პრაქტიკით გათვალისწინებული სტანდარტებით ახდენს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მორალური ზიანის სანაცვლო მატერიალური კომპენსაციის რაოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ ობიექტური შეფასების კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს, გაითვალისწინოს ზიანის მასშტაბი, სიმწვავე და შესაძლოა მოპასუხეს არც დააკისროს ფულადი თანხის გადახდა იმ მოტივით, რომ მისი უფლებების დარღვევის ფაქტის დადგენა სასამართლოს მიერ უკვე თავისთავად არის მოსარჩელის სამართლიანი ადეკვატური დაკმაყოფილება, როგორც ეს ხდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში. სასამართლომ საქმეზე *Golder v. United Kingdom App. No 4451/70*, აღნიშნა, რომ...სასამართლოს ზემოხსენებული დასკვნები თავისთავად წარმოადგენს ადეკვატურ სამართლიან დაკმაყოფილებას...⁶⁵³

იურიდიული პირის სასარგებლოდ **რეპუტაციური ზიანის** ანაზღაურების პრობლემა ახალი არ არის.

რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 04 დეკემბრის განმარტებით, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის მიზნით დარღვეული სამოქალაქო უფლებების დაცვის კონკრეტული მეთოდები იურიდიული პირის ბუნების გათვალისწინებით გამოიყენება. თუმცა კანონში დაცვის კონკრეტული საშუალების მიუთითებლობა არ ართმევს უფლებას იურიდიულ პირს მოითხოვოს ზიანის, მათ შორის არამატერიალური ზიანის ანაზღაურება. **არამატერიალური ზიანი, ფიზიკური პირისთვის მიყენებული მორალური ზიანისაგან განსხვავებით, დარღვეული არამატერიალური უფლების ხასიათისა და დარღვევის**

⁶⁵² *Meltex Ltd and Mesrop Movsesyan v. Armenia* (№32283/04), <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22documentcollectionid%22:%5B%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22%5D%7D> [15.02.2019]

⁶⁵³ პეპანაშვილი ნ., დასახელებული ნაშრომი, 180.

შედეგების გათვალისწინებით განსაკუთრებული შინაარსისაა. ამ დასკვნის საფუძველია რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 45.2. მუხლი, რომლის მიხედვით, თითოეულს შეუძლია თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საშუალებით.⁶⁵⁴

რფსკ-ის 152-ე მუხლის 2013 წლამდე არსებული რედაქცია იურიდიული პირისა და ფიზიკური პირის საქმიან რეპუტაციას ერთნაირად იცავდა. თუმცა რფ უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997-98 წლების დადგენილებაში საქმიანი რეპუტაციის დაცვის საქმეებზე განიმარტა, რომ იურიდიულმა პირმა არ შეიძლება განიცადოს ტანჯვა და პრეტენზია განაცხადოს მორალური ზიანის ანაზღაურებაზე. მიუხედავად აღნიშნულისა რუსეთის სასამართლო პრაქტიკისთვის განმსაზღვრელი გახდა რფ-ის საკონსტიტუციო, სასამართლოს 2003 წლის 04 დეკემბრის განმარტება, რომელშიც სასამართლომ აღნიშნა, რომ ორგანიზაციას უფლება აქვს მოითხოვოს არამატერიალური ზიანის კომპენსაცია თავისი განსაკუთრებული შინაარსით, რომელიც განსხვავდება მოქალაქისათვის მიყენებული მორალური ზიანისაგან.⁶⁵⁵ საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ კომპანიას უფლება აქვს დაიცვას საქმიანი რეპუტაცია არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, თუნდაც დაცვის ეს საშუალება კანონით არ იყოს გათვალისწინებული. ამასთან სასამართლომ აღნიშნა, რომ არამატერიალური (რეპუტაციური) და მორალური ზიანი თავისი შინაარსით განსხვავდება.

საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებული კომპრომისული განმარტება მიღების დროისთვის უდავოდ საყურადღებოდ მიგვაჩნია, ერთი მხრივ, იმის გამო, რომ იურიდიულ პირებს ეძლევათ ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში და მეორე მხრივ, ანაზღაურებადი ზიანი არ არის მორალური ზიანი, რაც იურიდიულ პირს ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის შეუძლებლობის გამო ვერ აუნაზღაურდება.⁶⁵⁶

რეპუტაციური ზიანი განსხვავდება გუდვილის ღირებულების დაკარგვისაგან. გუდვილი არამატერიალური აქტივია, რომელიც მოიცავს საწარმოს საქმიან რეპუტაციას, შექმნილ ბრენდს, კლიენტთა სიას, უნიკალურ პოზიციას ბაზარზე, ახალი ტექნოლოგიების ცოდნას, პერსონალის განსაკუთრებულ ცოდნას და ჩვევებს და მენეჯმენტს. ამდენად, გუდვილი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე საქმიანი რეპუტაცია და მოიცავს ისეთ

⁶⁵⁴ Определение КС РФ от 04.12.2003 г. №508-0, მოთითებულია: Тимерханов А.А., Деловая репутация юридического лица, Дис., М., 2012, 114.

⁶⁵⁵ Определение КС РФ от 04.12.2003 N 508-О «Об отказе в принятии к рассмотрению жалобы гражданина Шлафмана Владимира Аркадьевича на нарушение его конституционных прав пунктом 7 статьи 152 Гражданского кодекса Российской Федерации». მოთითებულია: Баглариду М. Ф., Возмещение морального вреда в практике европейского суда по правам человека, Московский журнал международного права. №2 (106). 2017, 160. <<https://www.mjil.ru/jour/article/view/190/130>> [02.04.2019]

⁶⁵⁶ Али М.З., Дмитренко А.Р., Проблема возмещения репутационного вреда юридическими лицами, 01.10.2017., <<http://xn----7sbbaj7auwnffhk.xn--p1ai/article/24842>> [06.04.2019].

ობიექტებს, როგორცაა ინდივიდუალიზაციის საშუალებები და კომერციული საიდუმლოება. გამოდის, რომ ინტელექტუალური საკუთრების ამ ობიექტებზე დარღვეული უფლებების აღსადგენად დანაკარგების (რეალური ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის) ანაზღაურება საკმარისი არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმიანი რეპუტაციისა და გუდვილის არასწორი იდენტიფიკაცია გამოიწვევს არამატერიალური ზიანის კომპენსაციის ინსტიტუტის დაუსაბუთებელ გაფართოებას ან წაშლის ზღვარს ასეთ ზიანსა და სტანდარტულ დანაკარგებს შორის. ამის გამო, რთულია დასაბუთებულად მივიჩნიოთ რეპუტაციური ზიანის ოდენობა, როცა მოსარჩელე მას გუდვილის ღირებულების პოტენციური დაკარგვით განსაზღვრავს.

რე უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმის 17.07.2012 დადგენილებაში აღინიშნა, რომ იურიდიულ პირს საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის გავრცელებისას დელიქტური პასუხისმგებლობის პირობების დამტკიცების შემთხვევაში შეუძლია არამატერიალური (რეპუტაციური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.⁶⁵⁷ რფსკ-ის 152.11.-ე მუხლის ახალი რედაქციით (ძალაში შევიდა 2013 წლის 01 ოქტომბრიდან) იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ხელყოფისას მორალური ზიანის ანაზღაურება აკრძალულია. რე სამოქალაქო კოდექსში იურიდიულ პირთათვის არამატერიალური ზიანისათვის კომპენსაციის არარსებობა შეიძლება შეფასდეს, კოდექსის 152-ე მუხლის ახალი რედაქციის შემშუშავებელთა მიერ, საერთაშორისო სამართლის ნორმების, ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ორგანოებისა და თანამედროვე პრაქტიკის რეალიების უპატივცემულობის ფაქტად.⁶⁵⁸ აღნიშნული ცვლილების (2013 წლის 01 ოქტომბრის) შემდეგ სასამართლოები რეპუტაციური ზიანის მოთხოვნას არ აკმაყოფილებენ იმ საფუძველით, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება კანონით დაშვებული არ არის, ან იმ საფუძველით, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა დანაკარგების არსებობა. ხშირად მოთხოვნას რეპუტაციურ ზიანზე მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნად აკვალიფიცირებენ.

ავტორთა მოსაზრებით, რეპუტაციური ზიანისათვის კომპენსაციის დანიშნულება მოსარჩელის უფლების რეალური დაცვაა, მაშინ როცა ფაქტობრივად მიყენებული ზიანის სამართლებრივი წანამძღვრების დამტკიცება ვერ ხერხდება. მიყენებულ ზიანსა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის გავრცელებას შორის მიზეზობრივი კავშირისა და ზიანის ოდენობის დადგენა ობიექტურად რთულია, მაგრამ აღნიშნულმა არ უნდა მოსპოს სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობა, იმ ვითარებაში, როცა დარღვევის ფაქტი დადგენილია. მტკიცების ტვირთის სირთულის

⁶⁵⁷ Али М.З., Дмитренко А.Р., დასახელებული ნაშრომი [06.04.2019.].

⁶⁵⁸ Гаврилов Е.В., დასახელებული ნაშრომი, 79 – 90.

გათვალისწინებით, არამატერიალური ზიანის ანაზღაურება გამოსავალია იმ სიტუაციაში, როცა რეალური ქონებრივი დანაკარგი ვერ დგინდება.⁶⁵⁹

მითითებულ მოსაზრებას ასაბუთებს განსაკუთრებული უფლებების დარღვევისას კომპენსაციის დაკისრების წესი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან მიმართებით,⁶⁶⁰ სადაც კანონმდებელმა ზიანის ანაზღაურების ნაცვლად, პირდაპირ გაითვალისწინა კომპენსაცია 10 ათასიდან 5 მლნ მანეთამდე.⁶⁶¹ ინტერნეტით სინამდვილის შეუსაბამო შემლახავი ინფორმაციის გავრცელებისას კანონით გათვალისწინებული დაცვის არაქონებრივი საშუალებები (უარყოფა, საპასუხო ინფორმაციის გამოქვეყნება) არ არის საკმარისი და ეფექტური საშუალება საქმიან რეპუტაციაზე ორგანიზაციის დარღვეული უფლების აღსადგენად. დიდი ალბათობით პირები ვინც შეიტყო ამ ინფორმაციის შესახებ, ვერ შეიტყობს მისი უარყოფის თაობაზე. აღნიშნულის გარდა, მტკიცების ტვირთის სიმძიმის გამო, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე, მოკლებულია საშუალებას მოითხოვოს არამატერიალური (რეპუტაციური) ზიანის ანაზღაურება, რაც ახდენს ხელმეოფი პირის მიერ საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის გავრცელების პროვოცირებას.⁶⁶²

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის აღდგენის ძირითადი საშუალება საქმიანი რეპუტაციის შელახვით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამართლიანი და დასაბუთებული ფულადი კომპენსაციაა.

სამოქალაქო სამართლის ობიექტების, ასევე მათთვის მიყენებული ზიანის შეფასება, ეკონომიკური მეცნიერების საგანია. თანამედროვე ეკონომიკური კვლევების მიხედვით იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდით ფულადი გამოხატულებით ფასდება. შესაბამისად, თუ საქმიანი რეპუტაციის შეფასება შესაძლებელია, ასევე შეფასებადია მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, მისთვის მიყენებული ზიანი.⁶⁶³

ამერიკული სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით, საქმიან რეპუტაციაზე იურიდიული პირის დარღვეული უფლების აღდგენა სრული და სამართლიანი ფულადი კომპენსაციითაა შესაძლებელი. ამასთან, უფლების დაცვის ძირითადი საშუალება სწორედ კომპენსაციაა და არა უარყოფა.⁶⁶⁴

⁶⁵⁹ Али М.З., Дмитренко А.Р., დასახელებული ნაშრომი, 01.10.2017., <http://xn----7sbbajZauwnffhk.xn--plai/article/24842> [06.04.2019.].

⁶⁶⁰ რფსკ-ის 1301, 1311, 1406.1. 1515, 1537 მუხლები.

⁶⁶¹ Али М.З., Дмитренко А.Р., დასახელებული ნაშრომი, 01.10.2017., <http://xn----7sbbajZauwnffhk.xn--plai/article/24842> [06.04.2019.].

⁶⁶² Али М.З., Дмитренко А.Р., დასახელებული ნაშრომი, 01.10.2017., <http://xn----7sbbajZauwnffhk.xn--plai/article/24842> [06.04.2019.].

⁶⁶³ Starkie A., Treatise on the Law of Slander, Libel, Scandalum Magnatum and False Rumours (1826) xx, quoted in Post, above n 40, 694.

⁶⁶⁴ Charles J. Fombrun. Reputation: realizing value from the corporate image. Harvard. 1996, 87.

დოქტრინაში არსებობს მოსაზრება, რომ კანონმდებელმა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაცვლად უნდა შემოიღოს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული საშუალება ფიქსირებული კომპენსაციის სახით, კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ფარგლებში.⁶⁶⁵

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ რფსკ-ით დადგენილია სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ნაწარმოებსა და სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლების დარღვევისას ალტერნატიული კომპენსაციის სახით.⁶⁶⁶

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის სამართლებრივი ბუნებისა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან მსგავსების გათვალისწინებით, უფლების დაცვის გამარტივების მიზნით, ასეთი მეთოდი ზოგიერთ ავტორს მისაღებად მიაჩნია. აღნიშნული მეთოდის დანერგვა უფლების დაცვის და კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას მისცემს იმ იურიდიულ პირებს, რომელთაც ვერ შეძლეს საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის დამტკიცება, მაგრამ დაამტკიცეს სამართალდარღვევის ფაქტი.⁶⁶⁷

გასაზიარებელია ტარასენკოს მოსაზრება, რომ რეპუტაციაშელახულმა პირმა უნდა გამოიყენოს, სხვადასხვა საშუალებები მატერიალური დანახარჯებისა და ინტელექტუალური ხასიათის მოქმედებების ჩათვლით,⁶⁶⁸ რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს კომპენსაციის გამოთვლას. კომპენსაციის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება საქმიანი რეპუტაციის აღსადგენად საჭირო ღონისძიებები და მათი ღირებულება. კერძოდ, სარეკლამო კომპანია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ინფორმაციის გავრცელება, სხვა ღონისძიებები კონკურენტულ ბაზარზე იმიჯის გასაუმჯობესებლად.⁶⁶⁹ კომპენსაციის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება დარღვეული უფლების დაცვის საშუალებები-უარყოფა და პასუხის გამოქვეყნება, რომელნიც როგორც აღვნიშნეთ, სრულად ვერ აღადგენენ, მაგრამ ამცირებენ ზიანის ოდენობას.

ამერიკული სასამართლო პრაქტიკით იურიდიული პირის ფიქციური ბუნების გათვალისწინებით, კომპანიის გრძნობებს არ შეიძლება ზიანი მიადგეს, ზიანი შეიძლება მიადგეს მხოლოდ ქონებასა და შემოსავალს.⁶⁷⁰

კარდინალურად სხვა მოსაზრება აქვთ საერთო სამართლის ქვეყნებში, სადაც იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია, როგორც ობიექტი შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმით საკუთრებად განიხილება და ამ

⁶⁶⁵ Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 123.

⁶⁶⁶ რფსკ-ის 1301, 1515 მუხლები.

⁶⁶⁷ Herzfeld P., Corporations, Defamation And General Damages: Back To First Principles, Media and Arts Law Review. (2005) 10,144.

⁶⁶⁸ Гражданское право: актуальные проблемы теории и практики, Под общ. ред. В.А. Белова. М., 2008, 911.

⁶⁶⁹ Мэггс П.Б., Сергеев А.П., Интеллектуальная собственность. М., 2000, 189.

⁶⁷⁰ Lewis vs Daly Telegraph. US [1964] AC 234 at 262.

აბსოლუტური უფლებისთვის დამახასიათებელი დაცვით სარგებლობს დარღვევის ყველა შემთხვევაში.⁶⁷¹

რუსეთის სასამართლო პრაქტიკით სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ღონისძიება (ზიანის ანაზღაურება) უკიდურესი საშუალებაა და გამოიყენება მაშინ როცა უფლების აღდგენა სხვა (არაქონებრივი) საშუალებით შეუძლებელია, საერთო სამართლის დოქტრინით კი, პირიქით, არამატერიალური საშუალებები დამატებით გამოიყენება.

უცხოელ ავტორთა აზრით, არამატერიალური ზიანისადმი ზოგადი დამოკიდებულება უნდა გაუმჯობესდეს. არამატერიალური ზიანის საყოველთაოდ უარყოფის ნაცვლად, იგი საყოველთაოდ უნდა იქნას აღიარებული „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებების შესახებ კონვენციის“ 74-ე მუხლის ფარგლებში. ყურადღება შეიძლება მიექცეს გონივრულ შეზღუდვებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არამატერიალური ზიანის კომპენსირების სტანდარტებს და სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ საერთაშორისო კანონით აღიარებული პრინციპები არამატერიალური ზიანის ვალდებულების შესაზღუდად.⁶⁷²

3.7. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვა და გამოხატვის თავისუფლება

გამოხატვის თავისუფლება უნივერსალური ღირებულების ძირითადი უფლებაა, რომელიც საფუძვლად უდევს სხვა უფლებებს. საქმიანი რეპუტაციის უფლებაზე, როგორც პირისთვის უმნიშვნელოვანეს უფლებაზე კვლევაში უკვე ვისაუბრეთ. იმის გათვალისწინებით, რომ საქმიანი რეპუტაციის შელახვის გავრცელებული ფორმა ცილისწამებასთან ანუ ცრუ, სინამდვილის შეუსაბამო ინფორმაციის გავრცელებასთანაა დაკავშირებული, ხშირად ერთმანეთს უპირისპირდება გამოხატვის თავისუფლებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის ინტერესი. ინტერესთა კონფლიქტის გადაწყვეტისას კი ბუნებრივად წარმოიშობა ერთ-ერთი მათგანის შეზღუდვის აუცილებლობა.

არაქონებრივი უფლების დაცვის საკითხი გამოხატვის თავისუფლების ზღვარზე გადის. მართალია, გამოხატვის თავისუფლება, ასევე, კონსტიტუციური უფლებაა, თუმცა ე.წ. „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლების არარსებობის შემთხვევაში, თანაზომიერების პრინციპის არსიდან გამომდინარე, მათი შეზღუდვა შესაძლებელია მაშინ, როდესაც კრიტიკა დასაშვებ ზღვარს გადასცდება და შეურაცხყოფა (ცილისწამება) პირველ

⁶⁷¹ Belinda I. Brand protection matters. London, 2000, 162 –165; Star Industrial Company Ltd v Yap Kwee Kor (1976) FSR256 (P.C.)

⁶⁷² Dupont A., დასახელებული ნაშრომი, 58.

პლანზე იქნება წამოწყული.⁶⁷³ სწორედ შეზღუდვა შეიძლება გახდეს არაქონებრივი უფლების თაობაზე ზიანის მიყენების მტკიცების და შესაბამისად, ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში კომპენსაციის დაკისრების საფუძველი.⁶⁷⁴

რა შემთხვევაში იზღუდება გამოხატვის თავისუფლება იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის ინტერესიდან გამომდინარე, როდისაა გამართლებული ჩარევის აუცილებლობა, როგორია ჩარევისა და შეზღუდვის ფარგლები. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად კვლევაში საჭიროა გამოხატვის თავისუფლების სამართლებრივი ბუნების დახასიათება.

უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე აღიარებულია არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტით. ადამიანის უფლებათა 1948 წლის 10 დეკემბრის საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს აზრისა და მისი თავისუფლად გამოხატვის თავისუფლება. ეს თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი და დაუბრკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებით, მიუხედავად საზღვრებისა“.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლით ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ამავე მუხლით ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, **სხვათა რეპუტაციის** ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მიხედვით, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ხოლო 17-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. ამასთან ამ უფლებათა

⁶⁷³ ლუთრინგჰაუსი, დელიქტური სამართალი, შნიტგერი, ლუთრინგჰაუსი, შუშკე, ტოლკმიტი, მოკლე კონსპექტები, 2011, 24-25, მითითებულია: ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 18, 2017, 111.

⁶⁷⁴ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 18, 2017, 111.

განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, **სხვათა უფლებებისა** და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

აზრის გამოხატვის თავისუფლების ძირითადი უფლება ადამიანის უფლებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პირველადი უფლებაა. იგი თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების არსებობის საფუძველია. ეს უფლება ადამიანებს აძლევს იმის გარანტიას, რომ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი ნაფიქრი, მაშინაც კი, როცა ეს ხდება მისი ყოველგვარი შემოწმების გარეშე.⁶⁷⁵

აზრი მოიცავს შეფასებით მსჯელობებს (გამონათქვამებს) და „ფაქტობრივ გარემოებებს“ („ფაქტებს“), როცა ისინი აზრის ჩამოყალიბების წინაპირობას წარმოადგენენ.⁶⁷⁶ აზრის ცნებაში იგულისხმება ნებისმიერი შეფასებითი გამონათქვამი, რომლებიც შედგება განსჯის, დამოკიდებულებისა და შეფასების ელემენტებისაგან.⁶⁷⁷ „აზრი ადამიანის პირადი, სუბიექტური შეფასებაა ამა თუ იმ მოვლენის, იდეის, ფაქტისა თუ პიროვნების მიმართ“. ⁶⁷⁸ ამდენად, აზრის თავისუფლების გამოვლენის მთავარი მახასიათებელია შეფასებითი შეხედულებების გამოთქმის თავისუფლება.

აზრისათვის დამახასიათებელია ინდივიდის სუბიექტური დამოკიდებულება მისი გამონათქვამების მიმართ. აზრი არის ის, რასაც ფიქრობს თავად სუბიექტი (პიროვნება). რაც შეეხება ფაქტობრივ გარემოებებს (იმავე ფაქტებს), იგი შეფასებით მსჯელობებსა (გამონათქვამებსა) და სინამდვილეს შორის ობიექტური ურთიერთობაა და ამდენად მისი არსი სუბიექტის შეფასებითი მსჯელობისაგან დამოუკიდებელია.⁶⁷⁹

კონსტიტუციით დაცულია ნებისმიერი კატეგორიის აზრი, იმის მიუხედავად იგი რაციონალურია თუ ემოციური, დასაბუთებულია თუ

⁶⁷⁵ Jarss/Pieroth. Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 5. Auflage, München, 2000, 172-173. მითითებულია: ზოიძე ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომც., შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 255.

⁶⁷⁶ Jarss/Pieroth. დასახელებული ნაშრომი, 173. მითითებულია: ზოიძე ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომც., შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 255.

⁶⁷⁷ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ, 2010, 211-212, 255.

⁶⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის №2/1/241 გადაწყვეტილება, კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2004, თბ, 2005, 26.

⁶⁷⁹ იქვე, 255.

უსაფუძვლო, აღიქმება სასარგებლოდ თუ საზიანოდ, ძვირფასად თუ უფასურად.⁶⁸⁰

აზრის გამოხატვა განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში მხოლოდ მაშინ შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას, თუკი მისდამი ლოიალური დამოკიდებულება საფრთხეს შეუქმნის ძირითად კონსტიტუციურ ფასეულობებს.⁶⁸¹

აზრის თავის უფლებით დაცულია არა მხოლოდ წინასწარ კარგად მოფიქრებული, აწონილ-დაწონილი გამონათქვამები, არამედ მწვავე, მოუფიქრებელი, უხამსი გამონათქვამები.⁶⁸² „... დაცვის სფერო მოიცავს არა მხოლოდ იმ „ინფორმაციას“ ან „იდებს“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ასევე ისეთს, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება“.⁶⁸³

აზრის გამოხატვის თავისუფლება ასევე გულისხმობს შეცდომის თავისუფლებასაც, ურომლისოდაც შეუძლებელია თავისუფალი დისკუსია, კამათი. აზრის გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა და არსი ისაა, რომ აზრთა ინტელექტუალური ჭიდილის („den geistigen kamp den Meinungen“) გარანტია თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების ელემენტარულ ძირითად პირობას წარმოადგენს.⁶⁸⁴ დაცულია ნებისმიერი აზრი, მიუხედავად იმისა, რა გავლენას ახდენენ ისინი მსმენელებზე. აზრის გამოთქმის თავისუფლება ვრცელდება მხოლოდ არგუმენტებზე, ახსნა-განმარტებებზე და არა ზემოქმედების სხვა საშუალებებზე.⁶⁸⁵ აზრის გამოხატვის მიზანი, გარე სამყაროზე ზემოქმედება მოახდინოს, დაცულია მანამ, ვიდრე ეს ზემოქმედება ამ აზრის ღირსების შესაფერისი საშუალებებით ხორციელდება.⁶⁸⁶

ძირითადი უფლებით დაცულია აზრის გამოხატვა და გავრცელება ხანგრძლივი თუ ხანმოკლე საინფორმაციო გადაცემის პროცესში. დაცულია

⁶⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის №2/1/241 გადაწყვეტილება, კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2004, თბ, 2005, 255.

⁶⁸¹ იქვე, 257.

⁶⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის №2/1/241 გადაწყვეტილება, კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2004, თბ, 2005, 212.

⁶⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.3.7.

⁶⁸⁴ ზოიძე ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომც., შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 257.

⁶⁸⁵ კუბლაშვილი, ვ. ძირითადი უფლებები, თბილისი, 2010, 214. 256.

⁶⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წ. №2/1/241 გადაწყვეტილება, კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2004, თბ, 2005, 26, 257.

აზრის არამართო შინაარსი, არამედ მისი გამოხატვის ფორმა, სახე და საშუალება, ასევე ყველა საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობს ინფორმაციის გაგზავნასა და გავრცელებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ფაქტები რეალურად, ნამდვილად მომხდარი საგნები, მოვლენები ან გარემოებებია, რომლებიც შეიძლება იყოს მცდარი ან მართალი, სწორი. აქედან გამომდინარე, ფაქტები ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებებს. შესაბამისად, ფაქტების გავრცელება ექვემდებარება მათი სისწორის, ნამდვილობის მტკიცების ვალდებულებას, მაშინ როცა მოსაზრების ნამდვილობის მტკიცება შეუძლებელია და, შესაბამისად, ამის ვალდებულებაც აზრის გამომთქმელს არ უნდა ეკისრებოდეს.⁶⁸⁷

ფაქტების დაცვა აზრისგან (შეხედულებებისგან) განყენებულად არ ხდება.

აზრის დაცვა შეიძლება არ იყოს დაკავშირებული ფაქტებთან, მაგრამ ფაქტები სამართლებრივი შეფასების საგანი ხდება მხოლოდ მათთან კავშირში. ფაქტებთან დაკავშირებით შეფასებითი მსჯელობები ვერ შეცვლის ფაქტების ობიექტურ ბუნებას, მაგრამ აზრის გამოხატვას წარმოადგენს. როცა აზრი შეიცავს არამართო შეფასებით ელემენტებს, არამედ ფაქტობრივსაც, ასეთ შემთხვევაში აზრის დაყოფა „შეხედულებად“ და „ფაქტის გადმოცემად“ არ არის სწორი. ისინი უნდა განვიხილოთ მთლიანობაში, როგორც „ძირითადი უფლებით დაცული სიკეთე“.⁶⁸⁸ ამდენად, ფაქტი ობიექტურად არსებულია, აზრი კი სუბიექტურად.

„აზრის თავისუფლებით ამკარად ცრუ ფაქტების დაცვა გამორიცხულია, მაგრამ არ გამოირიცხება ჭორის ან ფაქტების გადმოცემა და დაცვა იმ შემთხვევაში, როცა არ ჩანს სწორია ისინი თუ მცდარი“.⁶⁸⁹

„აზრისა და ფაქტების ურთიერთობის შეფასების პროცესში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „ფაქტებისა და მოსაზრებების ხისტი გამიჯვნა ხშირად ძალზე ძნელია. აზრები უმეტესწილად გამოიხატება რაღაც კონკრეტულ ფაქტებთან კავშირში, ეხება და ეფუძნება მათ“.⁶⁹⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „ფაქტებისა და მოსაზრებების გონივრული გამიჯვნა“ მისი მართებულად გამოყენების საფუძველია. როცა საქმე ეხება ცრუ ან დაუდასტურებელი ფაქტების მტკიცებას, აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე წინ პიროვნების უფლებების დაცვა დგება.⁶⁹¹

⁶⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წ. №2/1/241 გადაწყვეტილება, კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2004, თბ, 2005, 26, 258.

⁶⁸⁸ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ, 2010, 215, 257.

⁶⁸⁹ კუბლაშვილი კ., დასახელებული ნაშრომი, 217.

⁶⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წ. №2/1/241 გადაწყვეტილება, კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2004, თბ, 2005, 26, 259.

⁶⁹¹ იქვე, 259.

პრესის თავისუფლება მაღალი რანგის კონსტიტუციური თავისუფლებაა. საჯარო ხელისუფლების გავლენისა და ცენზურისაგან დამოუკიდებელი პრესა თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ფაქტორია (თვისება). პრესის ამოცანაა ხელი შეუწყოს ყოვლისმომცველი ინფორმაციის გავრცელებას, მრავალმხრივი შეხედულებების ჭიდილს და თავად შეხედულებათა ჩამოყალიბებას.⁶⁹² დემოკრატიულ სახელმწიფოში თავისუფალი პრესა ხალხის მხრიდან ხელისუფლების კონტროლის საშუალებაა. კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი იცავს არამარტო პრესის თავისუფლებას, მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია, არამედ საზოგადოების უფლებას, იყოს ჯეროვნად ინფორმირებული.⁶⁹³

პრესა მოიცავს აზრისა და ინფორმაციის გასავრცელებლად ვარგის ყველა ბეჭდვით პროდუქტს. დაცულია არამარტო ყველა სახის გაზეთები და ჟურნალები, არამედ ასევე წიგნები, პლაკატები, პროკლამაციები და ა.შ. მათი გავრცელების საშუალება შეიძლება იყოს მექანიკური ან ქიმიური.⁶⁹⁴ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით გარანტირებულია „ნებისმიერი ფორმით ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლება“. პრესის თავისუფლების უფლებაზე არ ახდენს რაიმე გავლენას მისი შინაარსი. პრესის თავისუფლებით დაცულია ყველა სახის პრესა, არამარტო „სერიოზული“, „პოლიტიკური“ პრესა, არამედ „ყვითელიც“.⁶⁹⁵

პრესის თავისუფლებით დაცულია ინფორმაციის წყარო. ეს ეხება ჟურნალისტური ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას. ევროსასამართლოს პრეცედენტების თანახმად, ჟურნალისტური ინფორმაციის წყაროების დაცვა პრესის თავისუფლების უმნიშვნელოვანესი პირობაა.⁶⁹⁶

პრესის თავისუფლება, გარდა უფლებებისა, ვალდებულებებთანაცაა დაკავშირებული. კერძოდ, პრესამ არ უნდა გაავრცელოს ყალბი ცნობები და მონაცემები.⁶⁹⁷ იგი ვალდებულია ხელი შეუწყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული ფასეულობების განმტკიცებას, რაც ვერ მიიღწევა პროფესიული პასუხისმგებლობით მოქმედების გარეშე. ჟურნალისტთა

⁶⁹² Jarss/Pieroth. Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 5. Auflage, München, 2000, 180. მითითებულია: ზოიძე ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომც., შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 262.

⁶⁹³ გოცირიძე ე., აზრის გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, თსუ, 2006, 166, 262.

⁶⁹⁴ ზოიძე ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 262.

⁶⁹⁵ იქვე, 263.

⁶⁹⁶ გოცირიძე, აზრის გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, თსუ, 2006, 147-148, 264.

⁶⁹⁷ კუბლაშვილი კ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, მუხლი 24, თბ., 2005, 203. 264.

მხრიდან საზოგადოებისათვის მცდარი ინფორმაციის მიწოდებას და მის შეცდომაში შეყვანას ევროსასამართლო მიიჩნევს პროფესიული მოვალეობების დარღვევად და, შესაბამისად, ამ ნიადაგზე შესაძლებელია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.⁶⁹⁸ პრესა ვალდებულია მის ხელთ არსებული საშუალებებით გადაამოწმოს ინფორმაციის ნამდვილობა. ამ ვალდებულების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ პრესის ამოცანაა ინფორმაციის გავრცელება და არა მისი ნამდვილობისა თუ მცდარობის გამოძიება. ამიტომაც, ამ მხრივ, პრესის ვალდებულება ისე უნდა განისაზღვროს, რომ ექვემდებარება არ დადგეს პრესის თავისუფლებას.⁶⁹⁹ ელექტრონული მედიის თავის უფლების ძირითადი უფლებით დაცულია როგორც მედიის დაწესებულებათა შექმნის, ისე მათი საქმიანობის პროცესი – სათანადო ინფორმაციის მოპოვებიდან დაწყებული მათი გავრცელებით დამთავრებული. ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება ხდება ტექნიკური საშუალებებით. ამით იგი განსხვავდება პრესის თავისუფლებისაგან. ძირითადი უფლებით დაცულია აზრისა და ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით გავრცელება მათი შინაარსის მიუხედავად. თანაბრად არის დაცული აუდიო– და ვიდეოინფორმაცია, ცნობები, კომენტარები, პოლიტიკური, მუსიკალური, გასართობი თუ სხვა გადაცემები.⁷⁰⁰ მედიის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევას მაშინ აქვს ადგილი, როცა სახელმწიფო თავისი ძალაუფლების გამოყენებით ხელს უშლის მას თავისი საქმიანობის განხორციელებაში. კერძოდ, როცა სახელმწიფო ერევა პროგრამების შერჩევაში, მათი შინაარსის ფორმირებაში და ა.შ.⁷⁰¹ მედიის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „მაუწყებლის, ისევე როგორც სხვა მედიის შეზღუდვა, დასაშვებია კონსტიტუციით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. გამოხატვის თავისუფლებაზე ნებისმიერი შეზღუდვის, მათ შორის ლიცენზირების ვალდებულების დაწესება, კონსტიტუციით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს“.⁷⁰²

საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, როდესაც შეზღუდვის საფუძველი უნივერსალური ლეგიტიმური მიზანი, სხვათა უფლებების დაცვაა.⁷⁰³ სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს

⁶⁹⁸ გოცირიძე, აზრის გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, თსუ, 2006, 147-148. 264.

⁶⁹⁹ ზოიძე ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 264.

⁷⁰⁰ კუბლაშვილი, კ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, მუხლი 24, თბ., 2005, 210, 265.

⁷⁰¹ იქვე, 266.

⁷⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/468, 133. 266.

⁷⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483, 487,502 გადაწყვეტილება, II.პ.100.

კონსტიტუცია აღიარებს და განამტკიცებს აზრისა და გამოხატვის უფლებას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას, მაგრამ ამავე დროს ითვალისწინებს უფლების შეზღუდვის საფუძვლებსაც, მათ შორის ისეთი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, როგორცაა სხვათა უფლებების დაცვა^{.704} სასამართლომ კონსტიტუციური ღირებულებების დემარკაციას მიმართა და განაცხადა, რომ „გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც გამოხატვა კვეთს ზღვარს, გავლელს გამოხატვის თავისუფლებასა და სხვის უფლებას შორის.⁷⁰⁵ ცალსახაა, რომ ამ შემთხვევაში ძალიან სკურპულოზური განხილვა იქნება საჭირო. ისევე როგორც მაშინ, როდესაც გამოხატვის თავისუფლებას ენიჭება უპირატესობა. „ამის მართლზომიერების შეფასება ზუსტად სასამართლოში უნდა მოხდეს თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით. ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეაფასოს დარღვეული უფლება ან უფლების დარღვევის საფრთხე, რომელსაც შესაძლოა შეიცავდეს კონკრეტული პროგრამა ან ინფორმაცია და დაუპირისპიროს იგი გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობას. სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, შეაფასოს გამოხატვის ფორმის და შინაარსის ღირებულება, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და, მეორე მხრივ, ის ზიანი, რომელიც ამ უფლების რეალიზაციამ გამოიწვია.“⁷⁰⁶ ეს ნიშნავს, რომ სასამართლო ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში აფასებს: გამოხატვის ფორმის და შინაარსის საზოგადოებრივ მნიშვნელობას და ზიანს, რომელიც ამ უფლების რეალიზაციამ გამოიწვია.

მართალია, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს სხვათა უფლებებით, თუმცა ეს ზედმიწევნით ფრთხილად უნდა განხორციელდეს, რათა არ შეიქმნას თვითცენზურის საფუძველი. „გამოხატვის თავისუფლება საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებათა, მაგრამ ამ უფლებების სრულყოფილი განხორციელებისთვის მხოლოდ საკანონმდებლო გარანტიები არ კმარა, საჭიროა, რომ თავად საზოგადოება იყოს შემწყნარებელი ინდივიდის უფლებისადმი, თავისუფლად და უშიშრად გამოხატოს საკუთარი აზრი. დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანებს აქვთ თმენის ვალდებულება იმ მოსაზრებების მიმართ, რომელთაც ისინი არ იზიარებენ ან, თუნდაც თვლიან ზნეობრივად გაუმართლებლად. დაუშვებელია კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის ზნეობრივი ნორმების ან მსოფლმხედველობის საზოგადოების სხვა ჯგუფებზე თავსმოხვევა სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის სასამართლოს მეშვეობით.“⁷⁰⁷

სასამართლომ ცალსახად განაცხადა, რომ სხვათა განწყობის შეუსაბამობის მოტივით არ შეიძლება უფლების შეზღუდვა. „ზოგადად, სახელმწიფოს არ შეუძლია შეზღუდოს ინფორმაცია იმ საფუძვლით, რომ გარკვეული ინფორმაცია ან იდეები შეიძლება ემოციურად გამაღიზიანებელი

⁷⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.3.6.

⁷⁰⁵ იქვე, II.3.6.

⁷⁰⁶ იქვე, II.3.6.

⁷⁰⁷ იქვე, II.3.7.

აღმოჩნდეს ან მიუღებელი საქციელის წამახალისებელი იყოს. ადამიანებს უფლება აქვთ, მიიღონ და გაავრცელონ იდეები და თავად გადაწყვიტონ, რა არის მათთვის მისაღები ან მიუღებელი. აღნიშნული რაციონალის საფუძველზე დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი გარკვეული აკრძალვების გარდა, პირები, მათ შორის მაუწყებლებიც, უფლებამოსილი არიან, გადასცენ ნებისმიერი ინფორმაცია და ითვლება, რომ ადამიანებს ამ იდეებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა აქვთ...“⁷⁰⁸. „ზნეობრიობის საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა უარყოფით ეფექტს იქონიებს მაუწყებლის თავისუფლებაზე იმდენად, რამდენადაც, უმეტეს შემთხვევაში, ძნელია ობიექტურად იმის განსაზღვრა, რა შეესაბამება ზნეობრივ ნორმებს და რა არა. ასეთი საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა გამყინავ ეფექტს იქონიებს მაუწყებლის თავისუფლებაზე და შედეგად დააზარალებს მთლიანად საზოგადოებას“.⁷⁰⁹

მაგრამ თუ გამოხატვა უხამსობაში გადადის, მაშინ სასამართლოს შეფასების ფარგლები ფართოვდება. „უნდა აღინიშნოს, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას დასაშვებად მიჩნევს მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს. შესაძლოა სახელმწიფოს ასეთი შეზღუდვის დაწესების უფლება ჰქონდეს, მაგრამ საქართველოს კონსტიტუცია და ევროპული კონვენცია ასეთ შემთხვევებში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ვალდებულებას არ აწესებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოსთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში დაწესებული ნებისმიერი ასეთი შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის ტესტს უნდა აკმაყოფილებდეს. მხოლოდ მაუწყებლის პოზიციის, ფასეულობების, იდეების მიუღებლობა არ შეიძლება გახდეს მისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ობიექტურად იდენტიფიცირებადი ინტერესები, მაგრამ არა სუბიექტური გრძნობები“.⁷¹⁰ მაუწყებელი ვალდებულია, გადმოსცეს ნამდვილი ფაქტები, შეფასებებში კი ის თავისუფალია.

ზემოთ მითითებულმა საკანონმდებლო რეგულაციებმა და დოქტრინალურმა შეფასებებმა ასახვა ჰპოვა შესაბამისად, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ისე ქართულ სასამართლო პრაქტიკაში.

როდესაც სტრასბურგის სასამართლო განიხილავს ჩარევის აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში, სხვათა უფლებების ან რეპუტაციის დაცვის მიზნით, ევროპულ სასამართლოს შეიძლება

⁷⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.3.7.

⁷⁰⁹ იქვე, II.3.7.

⁷¹⁰ იქვე, II.3.7.

მოეთხოვოს, დაადგინოს რამდენად დაიცვა ეროვნულმა ხელისუფლებამ სამართლიანი ბალანსი კონვენციით უზრუნველყოფილ ორ ღირებულებას შორის, რომლებიც კონკრეტულ საქმეებში ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოვიდნენ. კერძოდ, ერთი მხრივ, მე-10 მუხლით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებასა და, მეორე მხრივ, მე-8 მუხლით დაცულ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას შორის (Axel Springer AG v. Germany, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება (დიდი პალატა), §§ 83-84).

ქვემოთ მითითებულია ევროსასამართლოს მიერ განხილული რამდენიმე საქმე, სადაც იურიდიულ პირთან მიმართებით გამოხატვის თავისუფლების საკითხია განხილული.

ერთ-ერთ ცნობილ საქმეში⁷¹¹ სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი. საქმის ფაბულის მიხედვით, 1959-1962 წლებში ბრიტანული ფარმაცევტული კომპანია, „დისტილერსი“ აწარმოებდა და ყიდდა მედიკამენტებს, რომლებიც ნივთიერება „ტალიდომიდი“ შეიცავდა. 1959-1962 წლებში ბევრი ახალშობილი სერიოზული დეფორმაციით და დაავადებებით დაიბადა – ტკივილგამაყუჩებელი წამლის „ტალიდომიდის“ გამოყენების გამო. ბავშვების მშობლებმა ზიანის ასანაზღაურებლად კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს. მხარეთა შორის მოლაპარაკება რამდენიმე წელი გაგრძელდა. ყველა გაზეთმა, „სანდი ტაიმსი“ ჩათვლით, გააშუქა ეს საკითხი. 1971 წელს მხარეებმა წამოიწყეს მოლაპარაკებები თანდაყოლილი სიმახინჯის მატარებელი ბავშვებისათვის საქველმოქმედო ფონდის დასაარსებლად. 1972 წელს „სანდი ტაიმსმა“ დაბეჭდა სტატია, სათაურით „ჩვენი ტალიდომიდი ბავშვები: ეროვნული სირცხვილის მიზეზი“. სტატიაში კომპანია გაკრიტიკებული იყო, ერთი მხრივ, მსხვერპლთათვის გადახდილი თანხის დიდი მოცულობის გამო და, მეორე მხრივ, საქველმოქმედო ფონდში კომპანიის მიერ გადასარიცხად განსაზღვრული თანხის სიმცირის გამო. „სანდი ტაიმსის“ სტატიაში აღნიშნული იყო, რომ გაზეთი მომავალშიც გააგრძელებდა ამ ტრაგედიის გარემოებების აღწერას.

კომპანიის მოთხოვნით, გენერალურმა პროკურორმა სასამართლოს მიმართა გაზეთის წინააღმდეგ შემზღუდველი ბრძანების მისაღებად, რომლითაც „სანდი ტაიმსს“ აკრძალა ამ საქმის გაშუქება – სასამართლოში საკითხის განხილვამდე. ბრძანება გაიცა და, მის შესაბამისად, „სანდი ტაიმსმა“ აღარ გამოაქვეყნა სტატია.

ინგლისური გაზეთ „სანდი ტაიმსის“ საჩივრის განხილვა სასამართლომ დაიწყო იმის შეხსენებით, რომ „სიტყვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს“ და ეს რეალობა ესადაგება არამართო ისეთ ინფორმაციას, რომლის მიღება „სასიამოვნო ან უწყინარია, არამედ ისეთსაც, რომელიც შეურაცხყოფს, შოკს მოჰკვრის ან ააფორიაქებს სახელმწიფოს თუ მოსახლეობის რომელიმე სექტორს“. „ეს პრინციპები... თანაბრად შეესაბამება მართლმსაჯულების ადმინისტრირების სფეროს, რომელიც ემსახურება საზოგადოების

⁷¹¹ Sunday Times v. The United Kingdom, საჩივარი 6538/74. <<http://hudoc.echr.coe.int>>[18.03.2019]

ინტერესებს. საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ შენიშნა, რომ „ტალიდომიდის უბედურება“ უეჭველად წარმოადგენდა საჯარო ინტერესის საგანს. დაბოლოს, ტრაგედიასთან დაკავშირებულ ოჯახებს, ისევე, როგორც ზოგადად საზოგადოებას, ჰქონდათ ამ საკითხთან დაკავშირებული ფაქტების გაცნობის უფლება.

ინტერესთა დაბალანსებისას სასამართლომ დაასკვნა, რომ **გაზეთის წინააღმდეგ მიღებული ბრძანება „არ ეფუძნებოდა იმდენად ძლიერ სოციალურ მოთხოვნას, რომელიც ბალანსს სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ გადაწყვეტდა... შეზღუდვა არ წარმოადგენდა კანონიერი მიზნის პროპორციულს და არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში მართლმსაჯულების ავტორიტეტულობის შესანარჩუნებლად“.**

ერთ-ერთი საქმე⁷¹² წარმოადგენდა პირველ შემთხვევას, როცა ევროსასამართლომ განიხილა საჩივარი, რომელიც ეხებოდა ინტერნეტ გვერდზე ახალი ამბების მომხმარებლების მიერ გაკეთებულ კომენტარებს. აპლიკანტი კომპანია, რომელიც მართავს კომერციაზე დაფუძნებულ ახალი ამბების პორტალს, დავობდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მას პასუხისმგებლობა დააკისრეს იმ შეურაცხმყოფელი კომენტარების გამო, რომელსაც მკითხველები წერდნენ საბორნე კომპანიასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ახალ სტატიასთან მიმართებით. საბორნე კომპანიის მფლობელის იურისტების თხოვნით, აპლიკანტმა კომპანიამ წაშალა აღნიშნული შეურაცხმყოფელი კომენტარები მათი გამოქვეყნებიდან დაახლოებით 6 კვირის შემდეგ.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება), დაასკვნა რა, რომ ესტონეთის სასამართლოების მიერ აპლიკანტი კომპანიისთვის პასუხისმგებლობის დაწესება წარმოადგენდა მართებულ და პროპორციულ შეზღუდვას ინტერნეტგვერდზე გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში. აღნიშნული კომენტარები იყო უკიდურესად მწვავე და გამოხატავდა მკითხველთა რეაქციას აპლიკანტის მიერ მართულ, კომერციაზე დაფუძნებულ, ახალი ამბების პორტალზე გამოქვეყნებულ სტატიასთან მიმართებით. განმცხადებლის ქმედებები ყოველგვარი დაყოვნების გარეშე შეურაცხმყოფელი კომენტარების წაშლასთან დაკავშირებით არ იყო საკმარისი. ამასთან, **320 ევროიანი ჯარიმის დაწესება** არ იყო გადაჭარბებული მომჩივანთან მიმართებით, რომელიც ესტონეთში ერთ-ერთ უდიდეს ინტერნეტ-პორტალს წარმოადგენდა.

სხვა საქმე⁷¹³ ეხებოდა ინტერნეტ პროვაიდერების თვითმარეგულირებელი ორგანოსა და საინფორმაციო ინტერნეტ-პორტალის

⁷¹² Delfi AS v. Estonia, დიდი პალატის გადაწყვეტილება, №64569/09; 16/06/2015, მითითებულია: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თემატური სამიებული, (EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, CASE-LAW, (FACTSHEETS), საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბ., 2016, 32.

⁷¹³ Magyar Tartalomsgazdálkodók Egyesülete and Index.hu Zrt v. Hungary, №22947/13; 02/02/2016, მითითებულია: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების

პასუხისმგებლობას ვულგარული და შეურაცხმყოფელი ონლაინ კომენტარების გამო. კომენტარები, რომელიც გამოქვეყნდა მათ ვებგვერდებზე, ეხებოდა უძრავი ქონების ორი ვებსაიტის შეცდომაში შემყვან ბიზნეს პრაქტიკას. დავა წარმოიშვა კრიტიკული მოსაზრების გამოქვეყნების შემდეგ. განმცხადებლები ჩიოდნენ მათ წინააღმდეგ გამოტანილი უნგრეთის სასამართლოების გადაწყვეტილებების შესახებ, რომელიც ავალდებულებდა მათ ვებგვერდზე მკითხველების მიერ გაკეთებული კომენტარების შინაარსის შერბილებას. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ აღნიშნული ფაქტი ეწინააღმდეგებოდა ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლების არსს.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). კერძოდ, ევროსასამართლომ კვლავ აღნიშნა, რომ ვალდებულებები კომენტარების ავტორებს კი არა, არამედ ინტერნეტ საინფორმაციო პორტალებს ჰქონდათ. თუმცა, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ უნგრეთის სასამართლოებს, როდესაც განიხილავდნენ პასუხისმგებლობის ცნებას აპლიკანტის საქმეში, არ განუხორციელებიათ სათანადო დამაბალანსებელი მოქმედება კონკურენტულ უფლებებს შორის, კერძოდ, აპლიკანტის გამოხატვის თავისუფლებასა და უძრავი ქონების ვებსაიტის კომერციული რეპუტაციის პატივისცემის უფლებას შორის. აღსანიშნავია, რომ უნგრეთის სახელისუფლებო ორგანოებმა ერთმნიშვნელოვნად მიიჩნიეს, რომ კომენტარები უკანონო იყო, როგორც უძრავი ქონების ვებსაიტების რეპუტაციისთვის დამაზიანებელი.

ერთ-ერთი საქმე⁷¹⁴ ეხებოდა ცილისწამებასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას. მომჩივნის – უნივერსიტეტის პროფესორის წინააღმდეგ დამსაქმებელმა – ორელის სახელმწიფო ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სამოქალაქო სარჩელი აღძრა მას შემდეგ, რაც აპლიკანტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საარჩევნო პროცედურის დროს გამოვლენილი ხარვეზების გამო უნივერსიტეტის მმართველი ორგანო ვერ მიიჩნეოდა ლეგიტიმურად. მომჩივანი დავობდა, რომ ცილისწამების თაობაზე მის წინააღმდეგ საქმის აღძვრა არღვევდა მისი გამოხატვის თავისუფლების უფლებას.

ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევა. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ რუსეთის სასამართლოებმა მომჩივნის წინააღმდეგ გადაწყვეტილების გამოტანისას მხედველობაში არ მიიღო აკადემიური ურთიერთობების სპეციფიკური მახასიათებლები. კერძოდ, კონვენციის თანახმად, უნივერსიტეტის რეპუტაციის დაცვა არ შეიძლება გათანაბრებული იქნეს ინდივიდის რეპუტაციის დაცვასთან. ყურადღება გაამახვილა რა არჩეული სენატის არალეგიტიმურობის თაობაზე მომჩივნის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე, რუსეთის სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს დაეცვათ

თემატური საძიებელი, (European Court of Human Rights, Case-Law, (Factsheets), საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბ., 2016, 34.

⁷¹⁴ Kharlamov v. Russia, №27447/07; 08/10/2015, მითითებულია: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თემატური საძიებელი, (European Court of Human Rights, Case-Law, (Factsheets), საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბ., 2016, 86.

სამართლიანი ბალანსი უნივერსიტეტის რეპუტაციის დაცვის საჭიროებასა და აპლიკანტის გამოხატვის თავისუფლებას შორის.

უზენაესმა სასამართლომ ერთ საქმეში⁷¹⁵ მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით აღიარებული გამოხატვის თავისუფლების უფლების სუბიექტად აღიარებულია არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ იურიდიული პირებიც. ევროპული სასამართლოს განმარტებით, მე-10 მუხლი ვრცელდება „ყველაზე“, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე (*ob. Autronic AG v Switzerland, 1990, §47*). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც შეეხებოდა გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე დავას ფიზიკურ პირებსა და იურიდიულ პირს შორის (*ob. Steel and Morris v. the United Kingdom*)⁷¹⁶ გაიზიარა მოდავე მხარის მტკიცება, რომ ისეთ ძლიერ მრავალეროვნულ კომპანიას, როგორც „მაკდონალდსია“, პრინციპულად უნდა ჩამორთმეოდა დიფამაციური ბრალდებებისაგან თავდაცვის საშუალება, ანდა მოპასუხეებს არ უნდა დაკისრებოდათ გაკეთებული განცხადებების სიმართლის დამტკიცების ვალდებულება. სიმართლეა ის, რომ ძლიერი კომპანიები შეგნებულად და აუცდენლად იყენებენ თავს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მათი ქმედებები ღიაა ყოველმხრივი კრიტიკული განხილვისათვის... დასაშვები კრიტიკის ფარგლები ასეთ კომპანიებთან მიმართებაში გაცილებით უფრო ფართოა (*Fayed v. the United Kingdom, 1994*). თუმცა, ბიზნესის პრაქტიკის თაობაზე ღია დებატების საზოგადოებრივ ინტერესთან ერთად, არსებობს კომპანიების კომერციული წარმატებისა და სიცოცხლისუნარიანობის დაცვის კონკურენტული ინტერესიც, ამასთან, არა მარტო ამ კომპანიების აქციონერებისა და თანამშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ფართო ეკონომიკური სიკეთის თვალსაზრისითაც. შესაბამისად, სახელმწიფო სარგებლობს შეფასების თავისუფლებით შიდა კანონმდებლობის საფუძველზე საშუალებების უზრუნველყოფისას, რომელიც კომპანიას შესაძლებლობას აძლევს საკამათოდ გახადოს იმ განცხადებების სიმართლე, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებს მის რეპუტაციას, და შეამციროს ზიანი (*markt intern Verlag GmbH and Klaus Beermann v. Germany, 1989*). ამდენად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილია, რომ ცილისწამებასთან დაკავშირებით რეპუტაციის დაცვაზე სათანადო მხარედ შეიძლება მოგვევლინონ იურიდიული პირებიც, თუმცა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ თავისუფლება, შიდა კანონმდებლობით დაარეგულირონ სამართლის სუბიექტის რეპუტაციის დაცვის საკითხი, როდესაც სადავო ხდება ცილისწამებიდან გამომდინარე ზიანი.

საკასაციო სასამართლომ სხვა საქმეში⁷¹⁶ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შესახებ დავის გადაწყვეტისას გააანალიზა რა ევროსასამართლოს პრაქტიკა, აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლებაში

⁷¹⁵ სუს გადაწყვეტილება, 30 სექტემბერი, 2015, №ას-1052-1007-2014.

⁷¹⁶ სუს განჩინება 20 მაისი, 2016, №ას-625-593-2014.

ჩარევის „აუცილებლობის“ ძირითადი პრინციპები ევროპის ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლომ მრავალ საქმეში დაადგინა. ამ გადაწყვეტილებებში სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ იმ „ინფორმაციისა“ და „იდეების“ მიმართ, რომლებიც კეთილგანწყობით მიიღება, არამეურაცხმყოფელად არის მიჩნეული ან ინდიფერენტული დამოკიდებულების საგანია, არამედ იმათ მიმართაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, გამოგნებელი ან შემამფოთებელია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა განსაზღვრული იყოს მკაცრად და მისი გამოყენების საჭიროება სარწმუნოდ უნდა იყოს დადასტურებული. შეზღუდვის გამოყენება უნდა იყოს „აუცილებელი“ დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად. „აუცილებელი“ კი, სასამართლოს განმარტებით, ნიშნავს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ (*Handyside v. the United Kingdom* (7 December 1976, Series A no. 24), *Stoll v. Switzerland* ([GC] no. [69698/01](#), §101, ECHR 2007-V); *Animal Defenders International v. the United Kingdom* [GC], no. [48876/08](#), §100, ECHR 2013; *Morice v. France* [GC], no. [29369/10](#), §124, 23 April 2015).

როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთა რეპუტაციის დაცვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებაა. სტრასბურგის სასამართლომ არაერთ საქმეში აღნიშნა, რომ ორივე უფლება – გამოხატვის თავისუფლებაც და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაც – თანაბარ დაცვას იმსახურებს. თუმცა, იმისათვის, რომ მე-8 მუხლით დაცული უფლების დარღვევა დადგინდეს, თავდასხმამ პირის რეპუტაციაზე სერიოზულობის განსაზღვრულ ხარისხს უნდა მიაღწიოს (*Arztekkammer Fur Wien And Dorner v. Austria*, no. [8895/10](#), §62, 16 February 2016).

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც ამ ორ უფლებას შორის სამართლიანი წონასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ფასდება. აღნიშნული კრიტერიუმებია: (ა) ის წვლილი, რომელიც სადავო განცხადებამ საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში მიმდინარე დებატებში შეიტანა; (ბ) იმ პირის საზოგადოებრივი ცნობადობის ხარისხი, როლი და ფუნქცია, ვისაც სადავო განცხადება ეხებოდა და იმ ქმედებების ბუნება, რომელთა შესახებ ინფორმაციაც სადავო განცხადებაში აისახა; (გ) განცხადებაში ასახულ პირთა ქმედებები განცხადების გამოქვეყნებამდე; (დ) განცხადების გამოქვეყნების ფორმა და მანერა; (ე) რა გზით იქნა მოპოვებული განცხადებაში დაცული ინფორმაცია და რამდენად სარწმუნო იყო ის – აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს ჟურნალისტებთან მიმართებაში ნათქვამი აქვს, რომ ისინი უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად, სათანადო ფაქტობრივ საფუძველზე და, ჟურნალისტური ეთიკის წესების შესაბამისად, საზოგადოებას აწვდიდნენ სარწმუნო და ზუსტ ინფორმაციას (*Axel Springer AG v. Germany* [GC], no. [39954/08](#), §93, ECHR 2012).

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსაკუთრებით პრობლემურია პირის რეპუტაციის დაცვის მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ

განცხადება, რომელიც პირის რეპუტაციას ეხება, პოლიტიკურია ან გაკეთებულია საზოგადოების ინტერესის სფეროში მყოფ საკითხზე მიმდინარე დებატების პროცესში (*Sürek v. Turkey (no. 1) [GC], no. 26682/95, §61, ECHR 1999-IV; Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France [GC], nos. 21279/02 and 36448/02, §46, ECHR 2007-IV; and Axel Springer AG v. Germany [GC], no. 39954/08, §90, ECHR 2012*). საკითხისადმი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას გაკეთებულ განცხადებაში გამოვლენილი მტრული დამოკიდებულების გარკვეული ხარისხი (*E.K. v. Turkey, no. 28496/95, §§79-80, 7 February 2002*) და გამოთქმების სერიოზულობაც კი (*Thoma v. Luxembourg, no. 38432/97, §57, ECHR 2001-III*) არ ართმევს განმცხადებელს უფლებას დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლებით (*Paturel v. France, no. 54968/00, §42, 22 December 2005*).

თავის გადაწყვეტილებებში საქმეებზე ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (*Lingens v. Austria, 8 July 1986, §46, Series A no. 10*) და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (*Oberschlick v. Austria (no.1), 23 May 1991, §63 Series A no. 204*) სტრასბურგის სასამართლომ **ზღვარი გაავლო ფაქტის შემცველ განცხადებასა და შეფასებით მსჯელობას** შორის და აღნიშნა, რომ ფაქტის არსებობა შეიძლება დემონსტრირებულ იქნას, მაშინ როცა შეფასებითი მსჯელობის სიმართლე შეუძლებელია მტკიცების საგანი იყოს. ამიტომ შეფასების სიმართლის დამტკიცება არ შეიძლება ვინმეს დაევალოს. ეს შეეწინააღმდეგებოდა თავად გამოხატვის თავისუფლების არსს (*De Haes and Gijssels v. Belgium, 24 February 1997, §42, Reports-I*). თუმცა, მაშინაც კი, როცა განცხადება შეფასებით მსჯელობად არის მიჩნეული, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობა შეიძლება იმაზე იყოს დამოკიდებული, არსებობს თუ არა ასეთი შეფასებისათვის საკმარისი „ფაქტობრივი საფუძველი“. თუ საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი არ არსებობს, მაშინ შეფასება შეიძლება გასცდეს პრივილეგიით დაცულ ზღვარს და მიჩნეულ იქნას, როგორც „გადაჭარბებული“ (*De Haes and Gijssels, §47; Oberschlick v. Austria (no. 2), 1 July 1997, §33, Reports 1997-IV; Brasilier v. France, no. 71343/01, §36, 11 April 2006; and Lindon, Otchakovsky-Laurens and July, §55*).

იმისათვის, რომ ფაქტობრივი ბრალდება შეფასებითი მსჯელობისაგან გაიმიჯნოს, აუცილებელია საქმის გარემოებებისა და განცხადების ზოგადი ტონის ანალიზი, იმის მხედველობაში მიღებით (*Brasilier v. France, no. 71343/01, 11 April 2006, §37*), რომ გამონათქვამები საჯარო ინტერესის საკითხზე, შესაძლებელია, სწორედ აღნიშნულ საფუძველზე (სწორედ აღნიშნულის გამო), უფრო შეფასებით მსჯელობას წარმოადგენდეს, ვიდრე ფაქტის შესახებ განცხადებას (*Paturel v. France, no. 54968/00, 22 December 2005, §37*).

პასუხისმგებლობის მსუბუქ ფორმასაც კი შესაძლებელია გამოხატვის თავისუფლებაზე მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს, განსაკუთრებით ადვოკატებთან მიმართებაში, რომლებიც ვალდებულნი არიან განახორციელონ მათი კლიენტების ეფექტიანი დაცვა (*Mor v. France, no. 28198/09, §61, 15 December 2011*). ადვოკატის მიმართ პასუხისმგებლობის მსუბუქი სახის გამოყენებასაც

კი შესაძლებელია მოჰყვეს მისთვის პირდაპირი (დისციპლინური დევნის აღძვრა) ან არაპირდაპირი (საზოგადოებრივი იმიჯის შელახვა ან კლიენტების ნდობის დაკარგვა) უარყოფითი შედეგი (*Morice v. France*[GC], no. 29369/10, §176, 23 April 2015).

საქართველოს სასამართლოებში წარმოებულ ერთ საქმეში,⁷¹⁷ მოსარჩელემ (იურიდიული კომპანია) მოითხოვა მოპასუხის (ადვოკატის) მიერ გავრცელებული ინფორმაციის იმავე ფორმით (საზოგადოებრივი მაუწყებლის საშუალებით) საჯაროდ უარყოფა. კერძოდ, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხე ადვოკატმა განაცხადოს, რომ: ბრიფინგზე, მან არასწორი ინფორმაცია გაავრცელა. სრულიად უსაფუძვლოდ მოიხსენია მოსარჩელე იურიდიული კომპანია კლიენტისათვის თანხის გამომძალველად და ამ თანხის მიმთვისებლად. მან უნდა უარყოს მისი სიტყვები და განმარტოს, რომ ეს კომპანია არ ახდენდა კლიენტზე ზეწოლას; ფირმას არ გამოუძალავს 10 000 აშშ დოლარი და ეს თანხა წარმოადგენდა საადვოკატო მომსახურების საზღაურს, რომ ფირმა არ გამქრალა საქმიდან და კეთილსინდისიერად ასრულებდა მის მოვალეობებს. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხე ადვოკატმა, დაარღვია რა ადვოკატთა პროფესიული ეთიკისა და ზნეობის ნორმები, შელახა მოსარჩელის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია ისეთი ფაქტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებით, რომლებიც არ არის დადასტურებული, რითაც განზრახ შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება.

სასამართლომ დავის განხილვისას შეაფასა ადვოკატის მიერ სატელევიზიო ბრიფინგის დროს საჯაროდ გავრცელებული განცხადება იურიდიული კომპანიის შესახებ, რომელიც წარსულში მომსახურებას უწევდა მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს, წარმოადგენდა თუ არა მოსარჩელის სკ-ის მე-18 მუხლით დაცულ სფეროში იმგვარ ჩარევას, რასაც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვება. სხვაგვარად, წარმოადგენდა თუ არა ადვოკატის განცხადება ცილისწამებას, რომელმაც შელახა იურიდიული კომპანიის საქმიანი რეპუტაცია. შესაბამისად, მოპასუხის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა აუცილებელია თუ არა. სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება უკავშირდება ადვოკატის დამოუკიდებლობას და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება დაცვის მხარის ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მიჩნეულ იქნას „აუცილებლად“ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო განცხადება გაკეთდა საზოგადოების ინტერესის სფეროში მყოფ საკითხზე მიმდინარე დებატების პროცესში, რის გამოც, იგი სარგებლობს გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი ხარისხით. ამასთან, სადავო განცხადება შედგება როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტებისაგან. შეფასებები ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, შეფასებების საფუძველია. ამიტომ განცხადებაში აზრებისა და ფაქტების იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამების შინაარსის დამახინჯების გარეშე. სიტყვისა და გამოხატვის შესახებ კანონის მე-7.5 მუხლის შესაბამისად, განცხადება და მასში მოცემული

⁷¹⁷ სუს განჩინება 20 მაისი, 2016, №ას-625-593-2014.

სადავო გამონათქვამები მთლიანობაში უნდა ჩაითვალოს უფრო აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად, ვიდრე ფაქტების შემცველ განცხადებად, რადგან ისინი უმთავრესად გამოხატავს მოპასუხის მიერ მოსარჩელე იურიდიული კომპანიის საქმიანობის ფაქტებზე დაფუძნებულ ზოგად შეფასებას კლიენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისას მისი დაცვის პროცესში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გამონათქვამები იყო მძიმე და მოსარჩელე იურიდიული კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შემცველი, თუმცა ისინი აღწერდა სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სავარაუდო დარღვევებს, რაც ზოგადად წარმოადგენს საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის საგანს, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში ეს ინტერესი უფრო მაღალი იყო ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მოპასუხე ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირის პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად ცნობის საკითხის განხილვის გამო.

იმის გათვალისწინებით, რომ მსუბუქ სანქციასაც შეიძლება ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებაზე, როცა ის ახორციელებს დაცვას. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს მოპასუხე ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა („მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“) დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსარჩელე იურიდიული კომპანიის საქმიანი რეპუტაციის დასაცავად. საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ სადავო გამონათქვამები შეფასდა აზრის გამოთქმად, ვიდრე ფაქტების შემცველ განცხადებად, რაც სარჩელის უარყოფის საფუძველი გახდა.

სხვა საქმეში⁷¹⁸ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის მხოლოდ ცილისმწამებლური განცხადების გავრცელების ფაქტის დადგენა არ ჩათვალა საკმარისად.

საქმის ფაბულის მიხედვით მოსარჩელე-იურიდიული პირი მოითხოვდა მოპასუხე ფიზიკური პირების მიერ სიმართლესთან შეუსაბამო, ცილისმწამებლური განცხადებების უარყოფას იმავე მასობრივი საშუალებებით, რომლითაც გავრცელდა განცხადებები, ასევე სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნებას.

სააპელაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მოპასუხეების მიერ გავრცელებული ცნობები მოსარჩელე საზოგადოების ადმინისტრაციის მიერ თანამშრომლების რელიგიური და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის თაობაზე ცილისმწამებად მიიჩნია. მოპასუხეებს დაევალიათ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში გაზეთ „ბ-ში“ გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით,

⁷¹⁸ სუს გადაწყვეტილება, 30 სექტემბერი, 2015, №ას-1052-1007-2014.

მოპასუხეთა განცხადებებმა, სულ მცირე, ხ-ის უნივერსიტეტში შეკრებილი ადამიანების თვალში, შელახა მოსარჩელის პატივი და საქმიანი რეპუტაცია.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ იმსჯელა რა გავრცელებული განცხადების „აზრისა“ თუ „ფაქტის“ კატეგორიას მიკუთვნების საკითხზე დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეების მიერ გავრცელებული განცხადებები შეიცავდა ფაქტებს, რომელთა ობიექტურ რეალობასთან შეუსაბამობის დამტკიცება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ინიციატორმა უზრუნველყო. სასამართლომ სადავო განცხადებები „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ცილისწამებად დააკვალიფიცირა. **საკასაციო პალატამ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის მხოლოდ ცილისმწამებლური განცხადების გავრცელების ფაქტის დადგენა საკმარისად არ ჩათვალა.** სასამართლოს აზრით, გამოხატვის შეზღუდვის აუცილებლობის ხასიათი განისაზღვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული სტანდარტით. შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას. გამოხატვის შეზღუდვის საკითხის გადაწყვეტისას წარმოიშობა კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსების პრობლემა. გამოხატვის თავისუფლებასა და სხვა პირთა უფლებებსა და რეპუტაციას შორის ბალანსი უნდა გადაწყდეს კონკრეტული დავის თავისებურებების გათვალისწინებით, თუმცა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დასაშვები კრიტიკის ფარგლები; პრესის თავისუფლების ინსტიტუტი; საზოგადოებრივი ინტერესი.

კერძო პირის ცილისწამების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის დაკისრების იურიდიულ შემადგენლობას განსაზღვრავს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი და სავალდებულოდ მიიჩნევა შემდეგი ფაქტობრივი წინაპირობების არსებობას: ა) გავრცელებული ინფორმაცია უნდა ეხებოდეს მოსარჩელეს; ბ) გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი; გ) გავრცელებული ინფორმაცია ზიანს უნდა აყენებდეს პირის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.

სასამართლომ სარჩელი უარყო იმ საფუძველით, რომ მოსარჩელეს ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელების შედეგად ზიანის მიყენების ფაქტზე ფორმალურადაც არ მიუთითებია და არც ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები მოიპოვეს საქმის მასალებში.

ფიზიკურ პირთან ერთად იურიდიული პირის მიერ წარმოებულ დავაში,⁷¹⁹ მოსარჩელეთა მოთხოვნას საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფის გამოქვეყნება წარმოადგენდა, გაზეთის იმავე გვერდზე და ისეთივე შრიფტით, როგორც გამოქვეყნდა აღნიშნული (დიფამაციური) ინფორმაცია. მოსარჩელები ასევე მოითხოვდნენ მორალური ზიანის ანაზღაურებას.

⁷¹⁹ სუს გადაწყვეტილება 26 ივლისი, 2017, №ას-1011-972-2016.

სარჩელი დიფამაციური ინფორმაციის უარყოფის ნაწილში დაკმაყოფილდა. სასამართლომ დაადგინა **დიფამაციური ცნობების უარყოფის გამოქვეყნება** (კერძოდ, რომ არ შეესაბამება სინამდვილეს ის, რომ ვითომ პირველმა და მეორე მოსარჩელემ (პირველი მოსარჩელე ფიზიკური პირი, ხოლო მეორე მოსარჩელე იურიდიული პირია) უკანონოდ მიისაკუთრეს სადავო კომპანიათა აქტივები), ისეთივე შრიფტით, რომლითაც გამოქვეყნდა აღნიშნული (დიფამაციური) ინფორმაცია.

სასამართლოს აზრით, **გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის დაცვის მიზნით აუცილებელია და კანონიერ მიზანს ემსახურება. უფლებაში ჩარევის საშუალება ჩარევის მიზანთან - ხელყოფილი უფლების დაცვასთან პროპორციულია. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ჩარევა მინიმალური, თანაზომიერი, ეფექტიანი, ეკონომიური და აღსრულებადია.**

საკასაციო სასამართლომ ამავე გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ როგორც წესი ცილისწამების (დიფამაციის) შესახებ სარჩელის წარმატებისათვის მნიშვნელოვანია სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაცია, რასთან გვაქვს საქმე **აზრის გამოხატვასთან თუ ფაქტის შემცველი ინფორმაციის გავრცელებასთან.** ასევე უნდა გაირკვეს ხომ არ არსებობს ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, კერძოდ, რომ განცხადება, სპეციალური კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური ან სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებში არ გავრცელებულა. უნდა დადგინდეს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული კვალიფიციური პრივილეგიის მიმნიჭებელი გარემოებების არარსებობა. ამავე კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების არარსებობა *(თუ პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა, სადავო განცხადებაში მითითებული ფაქტის დაუდასტურებლობისა და მცდარობის გამო).*

ხშირად აზრისა და ფაქტის გამიჯვნა რთულია, თუმცა როგორც სპეციალური კანონის, ისე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ანალიზით მათი განსხვავება შესაძლებელია.

სასამართლომ განმარტა, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონით მოცემულია როგორც აზრის *(შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს)*, ისე ცილისწამების *(არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება)* დეფინიცია, რომელთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა აუცილებელი პირობაა ცილისწამების განსაზღვრისათვის. მითითებული ნორმის მიხედვით, „აზრი“ ფართოდ უნდა განიმარტოს. იგი გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე

თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია.

ერთმანეთისაგან განასხვავა რა ინფორმაცია (ფაქტები) და შეხედულებები (შეფასებითი მსჯელობა), ევროსასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ ფაქტების არსებობა შეიძლება დამტკიცებულ იქნეს, მაშინ, როდესაც შეფასებითი მსჯელობის ნამდვილობა არ ექვემდებარება მტკიცებას. ... რაც შეეხება შეფასებით მსჯელობას, ამ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და იგი თავისთავად ხელყოფს შეხედულებების თავისუფლებას, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების ფუნდამენტურ ნაწილს (*Lingens v. Austria; Jerusalem v. Austria; Dichand and Others v. Austria*).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი⁷²⁰ კონკრეტულ დავაში სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო სტატია ისეთ კონკრეტულ ინფორმაციას შეიცავს, რომელთა დადასტურება ან უარყოფა შესაძლებელია, ვინაიდან, ინფორმაცია და გამონათქვამები მტკიცებითი და არა შეფასებითი ფორმისაა – „როგორც გაზეთმა გამოარკვია, ჩამოთვლილი ფირმებისა და ბანკის მეშვეობით, ცრუ მეწარმეობით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზებით, სხვისი ქონების მითვისება – გაფლანგვით მოსარჩელებმა ყოფილ გუბერნატორსა და ელჩს ... არაპირდაპირი ფორმით 4 მილიონი დოლარი გადაუხადა და ხელში ჩაიგდო 20-30 მილიონის ქონება. ცხადია შენობის კანონიერ მესაკუთრეს არაფერი ჰკითხეს და ერთი თეთრიც არ გადაუხადეს“. სასამართლოს აზრით, სტატია ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ მკითხველზე დადასტურებული ფაქტის შთაბეჭდილებას ტოვებს. რაიმე მსჯელობა ან იმაზე მინიშნება, რომ ეს მხოლოდ სტატიის ავტორის მოსაზრებაა, არ გვხვდება, პირიქით, ავტორი ირწმუნება, რომ ამგვარი ფაქტები „გაზეთმა გამოარკვია“.

უზენაესი სასამართლო დაეყრდნო ამავე სასამართლოს ადრინდელ განმარტებას,⁷²¹ რომლის მიხედვით, ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომელიც რეალობისგან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია.⁷²²

სასამართლომ აღნიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და მათი გამიჯვნა რთულია. ეს

⁷²⁰ სუსგ 3.04.2012, №ას-1477-1489-2011.

⁷²¹ სუსგ 24.09.2012, №ას-677-638-2011.

⁷²² სუსგ 01.10.2014, №ას-179-172-2012.

განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. მოცემულ შემთხვევაში, სადავო სტატიაში, ბუნებრივია, მხოლოდ ფაქტები არ არის გადმოცემული და ჟურნალისტთა მოსაზრებასა თუ შეფასებასაც შეიცავს, თუმცა აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალიბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი.⁷²³ ამასთან, ევროსასამართლოს განმარტებით, როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისათვის, ვინაიდან სუბიექტური შეფასებაც კი, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძველით გამყარების გარეშე შეიძლება ზედმეტი იყოს (*Dichand and Others v. Austria*). ცილისწამების შემადგენლობის უმთავრესი ელემენტია სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული დავების განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს გამავრცელებლის მიმართებას მის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მცდარობა-ჭეშმარიტებასთან. დაუშვებელია, მედიის წარმომადგენლებს მოეთხოვოთ ასი პროცენტით გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელება, თუმცა გონივრულ ფარგლებში გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელების სტანდარტის დაცვა აუცილებელია, რომ არ გაუფასურდეს დემოკრატიული ფასეულობები. ქვეყნის ამგვარი სტანდარტის დაწესება სრულად შეესაბამება სამოქალაქო უფლებათა კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პრესის თავისუფლებისაგან განუყოფელია ჟურნალისტის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, მათ შორის მნიშვნელოვანია, ჟურნალისტი, საჭიროების შემთხვევაში, გაემიჯნოს რესპონდენტების მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და იზრუნოს იმისათვის, რათა ნებისთნეულად თუ უნებლიეთ არ გადაიქცეს სიძულვილის მომწოდებელი განცხადებების გამავრცელებლად. როდესაც სტატია ფაქტებს ეხება, მნიშვნელოვანია, დასტურდებოდეს ჟურნალისტის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულება: მისი მხრიდან ფაქტების გადამოწმება და კრიტიკის ობიექტისათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ პრესის მეშვეობით პასუხი გასცეს მის მიმართ წარდგენილ ბრალდებებს. მათი შეუსრულებლობა ბადებს საფუძვლიან ეჭვს ჟურნალისტის განზრახვასთან მიმართებით, მას ამოძრავებს საზოგადოების ინფორმირების

⁷²³ სუსგ 20.02.2012, №ას-1278-1298-2011.

სურვილი თუ თავს ესხმის ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომლის მიზანი შეურაცხყოფა და რეპუტაციის შელახვაა.

საკასაციო პალატამ გაიზიარა რა ევროსასამართლოს მიდგომა აღნიშნა, რომ, როდესაც ჟურნალისტი „არაკეთილსინდისიერად“ მოქმედებს, მისი (ჟურნალისტის) დაცვის ხარისხი გაცილებით დაბალია, ვიდრე სხვა შემთხვევაში. კონვენციის მეათე მუხლი ითვალისწინებს როგორც უფლებებს, ასევე – ვალდებულებებს, რომლებიც უნდა დაიცვას პირმა, თუკი იგი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს. ეს მოვალეობები პრესაზე ვრცელდება და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე ეხება პირის რეპუტაციის შელახვას. მეათე მუხლის თანახმადვე, ჟურნალისტები კეთილსინდისიერად უნდა მოქმედებდნენ და უზრუნველყოფდნენ ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდებას ჟურნალისტური ეთიკის საფუძველზე (*Bladet Tromsø and Stensaas v. Norway*). სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეზე ჟურნალისტმა დაარღვია პროფესიული მოვალეობა. თუ დადასტურდებოდა, რომ ჟურნალისტმა ინფორმაცია მიიღო ოფიციალური წყაროებიდან, იგი დარწმუნებული იყო გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში, ჟურნალისტმა გონივრულ ფარგლებში გადაამოწმა გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება ან გადამოწმება დაუძლეველ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, შესაძლებელია, გამორიცხულიყო სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თუ პრესას ინფორმაციის გავრცელების ამოცანა აკისრია, საზოგადოებას, თავის მხრივ, უფლება აქვს, მიიღოს სულ მცირე, გადამოწმებული ინფორმაცია.

მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ერთი მხრივ, არსებობს ფაქტის შესახებ განცხადება, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება და მეორე მხრივ, ჟურნალისტი განიხილავს ჭეშმარიტი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს. ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტის პროფესიონალური ქცევის და კეთილსინდისიერების შემოწმება ხდება გადაწყვეტი მნიშვნელობის (*Kasabova v. Bulgaria, Flux v. Moldova*). საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სწორედ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტებისათვის კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე მინიჭებული დაცვა იმ წინაპირობას გულისხმობს, რომ ისინი მოქმედებენ კეთილსინდისიერად, რათა უზრუნველყონ ზუსტი და საიმედო ინფორმაციის გადაცემა. მართალია, ჟურნალისტის მხრიდან გაზვიადება და გადაჭარბება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ექცევა, მაგრამ პრესამ არ უნდა გადალახოს გარკვეული საზღვრები, განსაკუთრებით, სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის თვალსაზრისით. სასამართლოს აზრით, განსახილველ საქმეში, ბრალდებები იყო სერიოზული, ისინი არ იყო გამყარებული მასალებით, ასევე, არ დგინდება, რომ ჟურნალისტმა საკუთარი პროფესიული ვალდებულებები შეასრულა, გადაამოწმა გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება ან შესაძლებლობა მისცა მოსარჩელეებს პასუხი გაეცათ წარდგენილი ბრალდებებისთვის. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მასალებიც არ ამართლებენ ბრალდებებს.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება რამდენიმე უფლებას აერთიანებს და დაცვის სფეროებიც განსხვავებულია,

კერძოდ, განსხვავებულია მიდგომა მედიასაშუალებების მიერ ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებაზე, როდესაც სასამართლო ვალდებულია, გადაწყვეტილება კერძო და საჯარო ინტერესების სამართლიანი ბალანსის დაცვის პირობებში მიიღოს. ასევე, განსხვავებულია დაცვის სტანდარტი, საჯარო პირის მიმართ ინფორმაციის გავრცელებაზე, რომელსაც საზოგადოებრივი თუ თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, თმენის მომეტებული ვალდებულება ეკისრება, მაგრამ, მოცემულ საქმეზე მედიის უფლებას, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, უპირისპირდება მოსარჩელეთა რეპუტაციის უფლება, რომელიც აღიარებული და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტითა (გამოხატვის თავისუფლება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, **სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად**, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად) და კონვენციისმე-10 მუხლით (ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწყსრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, **სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად**, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად). სასამართლოს აზრით, გამოხატვის ძირითადი უფლება დაკარგავს თავის არსს, თუკი მას მოეხსნება შეზღუდვის კონსტიტუციური საფუძვლები. ამდენად, სხვათა უფლებების და ღირსების დაცვა წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებისათვის დაწესებულ კონსტიტუციურ საპირწონეს. მითითებული ნორმებიდან ჩანს, რომ ღირსებისა და რეპუტაციის საკითხს, საქართველოს კონსტიტუცია და ევროპული კონვენცია განიხილავს, როგორც გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზანს. პირთა პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა კი, უპირველ ყოვლისა, მათი უფლებების დაცვაა, რომ ცნობები მათი ქცევის, საქმიანობის შესახებ, რაც გავლენას ახდენს გარშემომყოფთა მიერ მათ შეფასებაზე, სინამდვილეს შეესაბამებოდეს.

საკასაციო სასამართლომ მსჯელობისას მოიხმო ევროსასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვით, განცხადების შეფასებისას მნიშვნელოვანი

ელემენტია, რამდენად შეიცავს იგი შეურაცხყოფელ ტერმინებს, ასევე, მათი შინაარსი და გავლენა საზოგადოებაზე (*Chauvy v France*). საკასაციო სასამართლოს დასკვნით, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხებმა პირველი მოსარჩელის, როგორც მეწარმის, როგორც პიროვნების მიმართ საზოგადოებას არასწორი სურათი მიაწოდეს. ასევე, არასწორი სურათი შექმნეს იურიდიულ პირთან მიმართებით, რომელსაც კომერციული წარმატებისა და სიცოცხლისუნარიანობის დაცვის კონკურენტული ინტერესი აქვს, ამასთან, არამართო ამ კომპანიების აქციონერებისა და თანამშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ფართო ეკონომიკური სიკეთის თვალსაზრისითაც (*Markt intern Verlag GmbH and Klaus Beermann v. Germany*). მოსარჩელეთა ინტერესი – საკუთარი რეპუტაციის დაცვისა, უპირატესია გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით.

საკასაციო სასამართლოს აზრით, დარღვეულია ჟურნალისტის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, სტატიებში მოცემული გამონათქვამები მისაღები კრიტიკის ფარგლებსა და ინფორმირების უფლებას სცილდება. როგორც გამონათქვამები, ისე სტატიათა შინაარსი მოსარჩელეთა პირად უფლებებზე თავდასხმას წარმოადგენს. ამდენად, სახეზეა კანონიერი ინტერესის მიზანმიმართული დაზიანება. აღნიშნული გარემოებები კი, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობას ამართლებენ.

კონვენციის მიხედვით, დიფამაციისათვის მინიჭებული ზიანის ანაზღაურება უნდა გულისხმობდეს რეპუტაციისათვის მიყენებულ ზიანთან პროპორციულობის გონივრულ ურთიერთკავშირს (*Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom*). თუმცა განსახილველ დავაში მოსარჩელები მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას არ ითხოვდნენ.⁷²⁴

საყურადღებო უნდა იყოს მოსაზრება, რომ „მიუხედავად კონსტიტუციის მე-17 მუხლით გაცხადებული „ხელშეუვალობისა“, ადამიანის პატივის ან სხვაგვარად – რეპუტაციის უფლების დაცულობის სტანდარტი საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ზემოაღნიშნული არ არის. რეპუტაციის შელახვა, ჩვეულებრივ, გამოხატვის თავისუფლების განხორციელების დროს ხდება. საქართველოს კანონმდებლობა კი დიფამაციასთან (ანუ ცილისწამებასთან) დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას აშკარა პრიორიტეტს გამოხატვის თავისუფლებას ანიჭებს.“⁷²⁵ „სასამართლოს გზით რეპუტაციის დაცვის ალბათობა საკმაოდ მცირეა, ვინაიდან „საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომლითაც სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს, ამის შესაძლებლობას საკმაოდ ზღუდავს.“⁷²⁶ „იგი გამორიცხავს ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არაერთ შემთხვევაში. შეფასებითი

⁷²⁴ სუს გადაწყვეტილება 26 ივლისი, 2017, №ას-1011-972-2016.

⁷²⁵ გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომც. შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 114.

⁷²⁶ იქვე, 114.

მსჯელობის დროს რეპუტაციის შელახვისათვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა საერთოდ არ არის გათვალისწინებული“.⁷²⁷

3.7.1. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონთან კავშირში

სსკ-ის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. ამავე კოდექსის 27.5-ე მუხლის შესაბამისად, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესები.

სიტყვისა და გამოხატვის უფლების დაცვის პარალელურად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი, ისევე როგორც, სსკ-ის მე-18.2 მუხლი, იცავს პირის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას შელახვისაგან. საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების შინაარსისათვის დამახასიათებელია ის, რომ შესაბამისი ინფორმაცია ეხება იურიდიული პირის საქმიანობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ფაქტებს, საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობები შეიძლება შეიცავდეს პირის საქმიანობის ზოგად შეფასებას, ცნობები არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს.⁷²⁸

საქმიანი რეპუტაციის შემლახავია ისეთი ცნობები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას იურიდიული პირის მიერ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის, თავისი საქმიანობის განხორციელებისას იურიდიული პირის მიერ არაკეთილსინდისიერი მოქმედებების ჩადენის, საქმიანი ეთიკის ან საქმიანი ბრუნვის ჩვეულებების (სავაჭრო ჩვეულებების) დარღვევის შესახებ, რაც ლახავს იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციას.⁷²⁹

სსკ-ის 18 II მუხლში განსაზღვრულ დანაწესში მითითებულ სპეციალურ კანონში ცალკეულ კანონებთან ერთად, უპირატესად იგულისხმება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც 2004 წელს იქნა მიღებული.⁷³⁰ მე-18 მუხლიდან გამომდინარე, სპეციალური კანონის გამოყენება, განსაკუთრებით მორალურ ზიანთან მიმართებით, ხშირადაა გამოსადეგი, თუმცა არაქონებრივი უფლებების დაცვის ყველაზე გავრცელებული სპეციალური მოწესრიგების მქონე აქტი სწორედ დასახელებული კანონია, რომელშიც

⁷²⁷ გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომც. შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 114.

⁷²⁸ Смолина Л.В. Защита деловой репутации организации. М., Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2014, 17.

⁷²⁹ ქურდაძე გ., დასახელებული ნაშრომი, 10.

⁷³⁰ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 2017, 123.

მოცემულია ცილისწამების, როგორც არაქონებრივი უფლების დარღვევის ერთ-ერთი შემთხვევის, სამართლებრივი ინსტიტუტი.⁷³¹

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ პუნქტით „ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.“ ამ კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი კი იძლევა ტერმინ „განცხადების“ განმარტებას, რომელშიც ნათქვამია, რომ განცხადება არის ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან გააცნო მესამე პირს.

სპეციალური კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

ამრიგად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიზნებისთვის, ცილისწამება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი რომ გახდეს და სამოქალაქო სამართლებრივი წესით დაცულ სიკეთედ იქცეს, აუცილებელია სახეზე იყოს სახელის გამტეხი და არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაცია, განცხადებებმა ინფორმაცია საჯაროდ გაავრცელოს ან მესამე პირებს გააცნოს და გავრცელებული ინფორმაციით სხვას ზიანი მიადგეს.

თუ არსებითად მცდარი ინფორმაცია/განცხადება მიზნად ისახავს სხვისთვის ქონებრივი ზიანის მიყენებას და არა სახელის გატეხვას, ან/და მათ გავრცელებას ადგილი აქვს გაუფრთხილებლობით, მაგრამ დაზარალებულს ქონებრივი ზიანი მიადგა, ასეთი აშკარად არასწორი ფაქტების გავრცელება ან გახმაურება, არ წარმოადგენს ცილისწამებას. შესაბამისად, ზიანის მომტანი აშკარად არასწორი ცნობების გავრცელების/გახმაურების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა განისაზღვრება დელიქტური ვალდებულებებისთვის, სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლით დადგენილი წესით.⁷³²

ცილისწამებას საფუძვლად უნდა დაედოს ცრუ მონაცემები (მითითება არასწორ ფაქტზე, ანუ სიმართლესთან შეუსაბამო ფაქტზე) და ზიანი, რომელიც მიადგა პირს.⁷³³

სასამართლო ცილისწამების შემადგენლობის უმთავრეს ელემენტად სინამდვილესთან შეუსაბამო არსებითად მცდარი ინფორმაციის გავრცელებას,⁷³⁴ ხოლო კომპენსაციის განსაზღვრისას ამოსავალ კრიტერიუმად შემლახავი ცნობების გავრცელების არეალს მიიჩნევს.⁷³⁵

⁷³¹ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 2017, 123.

⁷³² მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 202.

⁷³³ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 2017, 123.

⁷³⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 1 აგვისტო, 2012, #28/1476-12.

⁷³⁵ ალფაიძე, მედია სამართალი, 220. მითითებულია: ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ. 2017, 125.

ამდენად, თუ ცილისწამების ფაქტი არ დადასტურდება, იმავე სახის გავრცელებულ ინფორმაციაზე პირს არაქონებრივი ზიანის მიყენებისთვის კომპენსაცია არ დაეკისრება. მაგალითად, თუ ფაქტები რეალურია და მხარეს არ გააჩნია მისი სიმართლესთან შეუსაბამობის მტკიცების საფუძველი, ასეთი განცხადება ცილისწამებლური არ არის და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაც არ წარმოიშობა.⁷³⁶ თუ ცნობები ნეიტრალური ხასიათისაა, ე.ი. არ ლახავს პირის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას, მაშინ მათი უარყოფის მოთხოვნა სსკ-ის მე-18 მუხლით დადგენილი წესით უსაფუძვლო იქნება.⁷³⁷

არსებითად მცდარი ფაქტი გულისხმობს არარსებულ ან/და რეალურად არსებულ, მაგრამ დამახინჯებულად წარმოდგენილ ინფორმაციას, რომელიც საზოგადოების შეგნებაში ამცირებს ადამიანის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას.⁷³⁸

სინამდვილის შეუსაბამო ცნობები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას იმ ფაქტებისა და გარემოებების შესახებ, რომელთაც საერთოდ არ ჰქონიათ ადგილი; ანდა, მათში მთლიანობაში, მართალია, ასახულია ისეთი მოვლენები, ფაქტები და გარემოებები, რომელთაც ჰქონდათ ადგილი, მაგრამ ისინი წარმოდგენილია ყალბი სახით; ანდა, სრულად და ზუსტად არის ასახული ინფორმაცია მოვლენებისა და გარემოებების შესახებ, მაგრამ მოცემულია მათი უარყოფითი შეფასება.⁷³⁹

სახელის გამტეხია სინამდვილის შეუსაბამო ისეთი ცნობები, რომლებიც შეიცავს მტკიცებას ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ მოქმედი კანონმდებლობის და მორალური პრინციპების დარღვევის შესახებ (შრომით კოლექტივში, ყოფა-ცხოვრებაში უპატიოსნო საქციელის, არასწორი მოქმედების ჩადენის შესახებ და სხვა ცნობები, რომლებიც ლახავენ საქმიანობას, საქმიან რეპუტაციას და ა.შ.), რომლებიც ლახავენ ფიზიკური პირის პატივსა და ღირსებას ან ფიზიკური და იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციას.⁷⁴⁰

ამრიგად, სახელის გამტეხ ცნობებს მიეკუთვნება ცნობები, რომლებიც შეიცავს საზოგადოების სამართლებრივი და მორალური თვალსაზრისით უარყოფითად შეფასებულ ინფორმაციას. ამასთან, სახელის გამტეხ ცნობებში ასახული ინფორმაცია უნდა ეხებოდეს მოსარჩელის ქცევის კონკრეტულ ფაქტებს და მისი საქმიანობის ნებისმიერ სფეროს.⁷⁴¹

არსებითად მცდარად, რომ ჩაითვალოს განცხადება (ინფორმაცია) უნდა ეხებოდეს კონკრეტულ ფაქტებს და არ წარმოადგენდეს შეფასებითი ხასიათის მსჯელობას. ამდენად, აუცილებელი ხდება ფაქტისა და

⁷³⁶ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 2017, 123.

⁷³⁷ თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 64.

⁷³⁸ მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 207.

⁷³⁹ თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 64.

⁷⁴⁰ იქვე, 64.

⁷⁴¹ იქვე, 64.

მოსაზრების (აზრის) გამიჯვნის აუცილებლობა, რადგან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის თანახმად, აზრი განმარტებულია, როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. (1.ბ. მუხლი) აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით (4.1. მუხლი) და შეფასებითი ხასიათის მსჯელობა არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ცილისწამებად. შესაბამისად, აზრის გამოხატვისას სახეზეა კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო განთავისუფლების საფუძველი.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი გავრცელებად მიიჩნევს არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების საზოგადოებისათვის საჯაროდ მიწოდებას ან მესამე პირისათვის მის გაცნობას. (1.ა. მუხლი)

ფიზიკური და იურიდიული პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელებად, რომლის თაობაზეც მითითებულია კანონმდებლობაში, უნდა მივიჩნიოთ ასეთი ცნობების გამოქვეყნება ბეჭდვით ორგანოში, რადიო და სატელევიზიო პროგრამებში ტრანსლაცია და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით გავრცელება, სამსახურებრივ დახასიათებაში, საჯარო გამოსვლებით, განცხადებებში ასახვა (გადმოცემა) ან შეტყობინება (გაცნობა) სხვა, მათ შორის, ზეპირი ფორმით რამდენიმე ან თუნდაც ერთი პირისათვის (მესამე პირისათვის).^{742/743}

ცნობები გავრცელებული უნდა იყოს მესამე პირის მიერ. სხვაგვარად რომ ითქვას, საკუთარი თავის შესახებ პირის მიერ ცნობების გავრცელება, რაოდენ შემლახავიც არ უნდა იყოს ისინი საქმიანი რეპუტაციის, არ ჩაითვლება ამ პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვად.⁷⁴⁴

ცილისწამებად არ ჩაითვლება უცხო პირისათვის იმგვარ გარემოებათა თაობაზე შეტყობინებაც, რასაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მომავალში. აღნიშნულის მიზეზი ისაა, რომ ვარაუდი არ შეიძლება შეფასდეს ცილისწამებად. თუმცა, გამოთქმული ვარაუდი პიროვნების სამომავლო ქცევის თაობაზე შეიძლება გახდეს პირისპირ შეურაცხყოფის ან უხამსობის გამო სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, რადგან პირისპირ შეურაცხყოფით ან უხამსობით პატივის და ღირსების უფლების ხელყოფას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როგორც მცდარი, ასევე სწორი ინფორმაციის ან თუნდაც შეფასებითი აზრის გადაცემით.⁷⁴⁵

⁷⁴² თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 63.

⁷⁴³ ნინიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, გამომც., „სამართალი“, 2002, 61.

⁷⁴⁴ ქურდაძე გ., დასახელებული ნაშრომი, 10.

⁷⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება #1/3/421, 422 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საკანონმდებლო მაცნე, #82,17-11-2009, 9.

იმდენად, რამდენადაც კანონი არ შეიცავს ცნობების გავრცელების ფორმების ამომწურავ ჩამონათვალს, აქედან გამომდინარე, ამით კანონმდებელი ხაზს უსვამს იმას, რომ მას ცნობების გავრცელების სხვადასხვა ფორმისადმი ერთნაირი დამოკიდებულება აქვს. ამავე დროს ხაზი ესმება იმას, რომ მნიშვნელოვანია თავად მათი გავრცელების ფაქტი. ცნობები გავრცელებულად ითვლება მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა ისინი მათი გამავრცელებლის ნებით ცნობილი გახდა თუნდაც ერთი პირისათვის. ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ ასეთი ცნობების შეტყობინება იმ პირისათვის, რომელსაც ისინი ეხება, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ცნობების გავრცელებად.⁷⁴⁶ სახელის გამტეხი ცნობების გავრცელების ტრადიციული ფორმებია ოფიციალური ან პირადი ხასიათის წერილები, საუბრები ნაცნობებთან, მათ შორის ტელეფონით.

ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს ან/და რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული.⁷⁴⁷

შესაძლებელია, რომ კონკრეტულ განცხადებაში პირი საერთოდ არ იყოს უშუალოდ ნახსენები, მაგრამ განცხადების შინაარსი მის რეპუტაციას მაინც ლახავდეს.⁷⁴⁸

მიუხედავად იმისა, რომ გავრცელებულ ცნობებში მოსარჩელები შეიძლება არ იყვნენ მოხსენიებული სახელებით, აღნიშნული არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ გავრცელებული ცნობები ლახავენ მათ რეპუტაციას. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს, გამონათქვამების ფორმა, შინაარსი, გავრცელების წყარო, გარემოებები, რომლებსაც უკავშირდებოდა გავრცელებული გამონათქვამები და ამ ურთიერთობის სუბიექტები. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ გავრცელებული ცნობები გულისხმობენ თუ არა კონკრეტულ პირებს და ამ ცნობების გათვალისწინებით შესაძლებელია თუ არა მათი ინდივიდუალიზაცია.⁷⁴⁹

ცილისწამების მაკვალიფიცირებელია ზიანის არსებობა. ცილისწამების შემადგენლობა განხორციელებულია, როცა საქმიანი რეპუტაციის შელახვით დაზარალებულს ადგება ქონებრივი და/ან არაქონებრივი ზიანი.

კანონი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებს. მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნულია, რომ ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, თუ ის შესრულდა: ა) პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე, პარლამენტის ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; ბ) წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე, სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის ან საკრებულოს, აგრეთვე მათი კომიტეტის

⁷⁴⁶ თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 63.

⁷⁴⁷ საქართველოს კანონი სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, მუხლი 3.2. <www.matsne.gov.ge> [15.02.2019].

⁷⁴⁸ სუს განჩინება, 1 დეკემბერი, 2005, #ას-448-775-05.

⁷⁴⁹ სუს განჩინება, 1 დეკემბერი, 2005, #ას-448-775-05.

სხდომაზე, პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში; გ) უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით.

კანონის 6.5. მუხლის მიხედვით, ცილისწამების თაობაზე დავისას არ შეიძლება მოპასუხედ იმ პირის გამოძახება, რომელმაც ტექნიკურად უზრუნველყო განცხადების გავრცელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის აშკარად და პირდაპირ უჭერდა მხარს განცხადებას.

პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას ადგილი შეიძლება ჰქონდეს უხამსობით. კანონის მიზნებისათვის, პირველი მუხლის „ვ“ პუნქტის მიხედვით, უხამსობად მიიჩნევა მხოლოდ განცხადება, ანუ გავრცელებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც არაეთიკურია, ვინაიდან უხეშად ლახავს რა პირის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას, აღნიშნულით ეწინააღმდეგება ზნეობისა და მორალის ნორმებს.

გავრცელებული ცნობები, სინამდვილესთან მათი შესაბამისობის მიუხედავად, თუ ლახავს ისეთ არამატერიალურ ფასეულობებს როგორცაა: პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, სახეზე იქნება უხამსობა და ინფორმაციის გამავრცელებლის მიერ იმაზე მითითება, რომ მოქმედებდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით დაცული აზრის აბსოლუტური თავისუფლების ფარგლებში, ვერ გახდება მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის საშუალება, ვინაიდან დასახელებული კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირს აქვს ნებისმიერი ინფორმაციის მოძიების, მიღების, შექმნის და გაცემის უფლება, მაგრამ მხოლოდ მაშინ თუ სახეზე არ იქნება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ის საფუძველი, რომელიც უზრუნველყოფს ამგვარი შეზღუდვით დაცული სიკეთის უპირატესობას სიტყვისა და გამოხატვის უფლების შეზღუდვით მიყენებულ ზიანთან შედარებით.⁷⁵⁰

პირს, რომლის უფლებებიც შეილახა ამგვარ ცნობათა გავრცელებით, არ გაუჭირდება იმის მტკიცება, რომ შეზღუდვა კრიტიკულად აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის, არ არის დისკრიმინაციული, პროპორციულად ზღუდავს ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებას (დასახელებული კანონის მე-8.1 და მე-8.2 მუხლი) და პირდაპირაა მიმართული საქართველოს კონსტიტუციის 23.4-ე მუხლში მითითებული ისეთი ლეგიტიმური მიზნის განხორციელებისაკენ, რომელიც უშვებს ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების შესახებ უფლების შეზღუდვას (კონსტიტუციის 23.1-ე მუხლი), როცა ეს აუცილებელია სხვათა უფლებების და ღირსების დასაცავად.⁷⁵¹ საკითხის ამგვარად გადაწყვეტა, თანხვედრაშია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტთან, სხვათა რეპუტაციისა

⁷⁵⁰ მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 230.

⁷⁵¹ იქვე, 230.

და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების უფლებათა შორის ბალანსის თვალსაზრისით.⁷⁵²

„გამოხატვის თავისუფლება, აზრის აბსოლუტურ თავისუფლებასთან ერთად, გულისხმობს პოლიტიკური სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასაც. ჩამოთვლილ შემთხვევებში გამოხატვას კი შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოწოდების სახით. კანონმდებელმა გაითვალისწინა ეს გარემოება და განსაზღვრა, რომ მოწოდება მხოლოდ მაშინ გამოიწვევს პასუხისმგებლობას თუ სახეზეა ისეთი ქმედება, რომელიც ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს. ე.ი. მოწოდება დაცულია კვალიფიციური პრივილეგიით ვინაიდან, იძლევა კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის ნაწილობრივ ან პირობით განთავისუფლების შესაძლებლობას“.⁷⁵³

„სასამართლოს გადაწყვეტილებით პირმა შეიძლება დაკარგოს ეს პრივილეგია, თუ ჩაიდინა ბრალეული ქმედება და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება აუცილებელია იმ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, რომელიც ემსახურება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-3 და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტებში ჩამოთვლილი სიკეთეების დაცვას“.⁷⁵⁴

სპეციალური კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან ერთად იცავს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ და სხვა საყოველთაოდ აღიარებულ ისეთ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც პირად არაქონებრივ უფლებებთან ასოცირდებიან.⁷⁵⁵

იმ შემთხვევაში, როცა ჩამოთვლილი უფლებების ხელყოფის თაობაზე არსებობს გონივრული ეჭვი, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ინიციატორმა, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის 7.6. მუხლის თანახმად, უნდა დაამტკიცოს, რომ ცილისწამებით ხელყოფილი პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის დაცვის აუცილებლობა აღემატება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვით გამოწვეულ ზიანს. ე.ი. მტკიცების საგანს ამ შემთხვევაში წარმოადგენს იმის ჩვენება, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა პირადი არაქონებრივი უფლებების სასარგებლოდ, პირდაპირაა მიმართული ლეგიტიმური მიზნის განხორციელებისკენ ანუ, შეზღუდვა გამოწვეულია იმ პირობებით, რომლებიც ჩამოთვლილია კონსტიტუციის 24.3-ე ან 26.3-ე მუხლებში.⁷⁵⁶ კერძოდ, შეზღუდვის ინიციატორმა უნდა დაამტკიცოს, რომ: პირადი არაქონებრივი უფლებების შეზღუდვა კრიტიკულად აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის; 2) არ წარმოადგენს დისკრიმინაციულ ქმედებას; 3) არაპროპორციულად არ ზღუდავს სხვათა

⁷⁵² მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 230.

⁷⁵³ იქვე, 222.

⁷⁵⁴ იქვე, 222.

⁷⁵⁵ იქვე, 222.

⁷⁵⁶ იქვე, 222.

უფლებებს; 4) ემსახურება დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის შეუცვლელ და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სიკეთის დაცვას. მხოლოდ ზემოთაღნიშნული მოთხოვნების შესრულებისა და ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ყველა გონივრული და ქმედითი შესაძლებლობის ამოწურვის შემდეგ შეიძლება მიენიჭოს პირს კვალიფიციური პრივილეგია. ანუ, სასამართლომ ნაწილობრივ ან/და პირობით შეიძლება გაათავისუფლოს იგი მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან.⁷⁵⁷

გონივრული და ქმედითი შესაძლებლობები კი ამოწურული იქნება მაშინ, როცა ცილისმწამებლური ინფორმაციის გამავრცელებელი მიიღებს ზომებს ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლებს შეცდომის თავიდან აცილებას. ამასთან, გაატარებს ქმედით ღონისძიებებს ცილისმწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად.⁷⁵⁸ ანალოგიურად, კვალიფიციური პრივილეგია იცავს იმ პირს, რომელიც არსებითად მცდარი ფაქტის შემცვლელი განცხადების გაკეთებით მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს. კვალიფიციური პრივილეგია იცავს პირს იმ შემთხვევაშიც როცა მან არსებითად მცდარი ფაქტის შემცვლელი განცხადება გააკეთა იმ პირის თანხმობით, რომლის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფისკენაც არის მიმართული საჯაროდ გავრცელებული ან მესამე პირისათვის გაცნობილი ინფორმაცია.⁷⁵⁹

ამ შემთხვევაში მოტივს თუ რით ხელმძღვანელობდნენ არსებითად მცდარი ფაქტის შემცვლელი ინფორმაციის გამავრცელებელი და ე.წ. „დაზარალებული“ მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია დადგინდეს, რომ შეთანხმებას მართლაც ჰქონდა ადგილი. ანალოგიურად, იმ შემთხვევაშიც, როცა ცილისმწამებლური განცხადება წარმოადგენდა ამა თუ იმ პირის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებაზე თანაზომიერ პასუხს, მას იცავს კვალიფიციური პრივილეგია. „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ კანონი ცხადყოფს, რომ ცილისმწამებისათვის პასუხისმგებლობა პირს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ მაშინ, თუ მან იცოდა, ან არ იცოდა, მაგრამ მეტი გულისხმიერება, რომ გამოეჩინა შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ცილისმწამებას ავრცელებდა.⁷⁶⁰

3.8. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვასთან კავშირში

⁷⁵⁷ მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 222.

⁷⁵⁸ იქვე, 222.

⁷⁵⁹ იქვე, 222.

⁷⁶⁰ იქვე, 223.

„ცნება „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი“ დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის (მათ შორის პოსტსოციალისტური) ქვეყნებისათვის. საერთო სამართლის სისტემის ქვეყნები თავს არიდებენ ამ ცნების გამოყენებას. სამაგიეროდ იყენებენ ტერმინს „subject matter“ – რაც ითარგმნება როგორც საგანი. საქართველოში დამკვიდრებულია ტერმინი ობიექტი“.⁷⁶¹

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ჩამონათვალი მოცემულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის მე-2 მუხლში.⁷⁶² აღნიშნული მუხლის მიხედვით ინტელექტუალური საკუთრების სამართლის დაცვის ობიექტი შეიძლება იყოს ადამიანის მიერ შექმნილი ნებისმიერი ქმნილება, რომელიც არის ინტელექტუალური (გონებრივ-შემოქმედებითი) საქმიანობის შედეგი. ქმნილების გარდა ინტელექტუალურ საკუთრებას მიკუთვნებულია ობიექტები, რომლებიც შემქმნელობით შემოქმედებას არ მოითხოვს (მაგ. კომერციული აღნიშვნები). ფაქტობრივად ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ორი კატეგორიაა მოცემული ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (შემდეგში ისმო) ჩამონათვალში-ობიექტები რომლებიც პირველად იქმნება და მოითხოვს შემქმნელობით (საავტორო) შემოქმედებას (ქმნილებები-გამოგონება, ნაწარმოები, მეცნიერული აღმოჩენა და ა.შ.) და ობიექტები, რომლებიც დასაცავია იმის გამო, რომ მათი კონკრეტული მიზნით გამოყენება დაკავშირებულია სამეწარმეო-გამოყენებითი ხასიათის შემოქმედებასთან, და უმეტეს შემთხვევაში, პირველი კატეგორიის ობიექტების ეკონომიკურ სარგებლობას უწყობს ხელს (ნაწარმოების შესრულება, ფონოგრამა, სამაუწყებლო გადაცემა, სასაქონლო და მომსახურების ნიშანი, საფირმო სახელწოდება, სხვა კომერციული აღნიშვნები).⁷⁶³

ტრადიციულად მეცნიერები ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს სამ ჯგუფად ყოფენ: საავტოროდა მომიჯნავე უფლებათა ობიექტები, სამრეწველო საკუთრების ობიექტები და სხვა არატრადიციული ობიექტები. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის I მუხლის მეორე წინადადების მიხედვით სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებია: პატენტები გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე, სამრეწველო ნიმუშზე, სასაქონლო ნიშანი, მომსახურების ნიშანი, საფირმო სახელწოდება, წარმოშობის აღნიშვნა ან ადგილწარმოშობის დასახელება და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა.⁷⁶⁴

რუსი ცივილისტების აზრით, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებსა და მასთან გათანაბრებულ იდენტიფიკაციის საშუალებებზე

⁷⁶¹ ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური უფლებები, თბ., 2006, 13.

⁷⁶² The convention Establishing the World Intellectual Property Organization (WIPO): Stockholm, July, 14 1967. <<https://www.wipo.int/treaties/en/conventio/trtdocsw029.html>>[03.04.2019]

⁷⁶³ ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2006, 11.

⁷⁶⁴ The Paris Convention for the Protection of Industrial Property, Paris, 1883, <https://www.wipo.int/treaties/en/ip/paris/trtdocs-wo_020.html> მითითებულია: გუგეშაშვილი გ., დასახელებული ნაშრომი, 17.

განსაკუთრებული უფლებების დარღვევა შეიძლება და უნდა გახდეს კიდევ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით შელახული საქმიანი რეპუტაციის დაცვის საფუძველი.⁷⁶⁵

საერთო სამართალში ერთიანი პოზიციაა იმასთან დაკავშირებით, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები და მასთან გათანაბრებული იდენტიფიკაციის საშუალებები სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის მიზნებისათვის არ არიან გამოყოფილი, მაგრამ ქმნიან ერთ ობიექტს – გუდვილს, რაც იურიდიული პირის გაერთიანებული (კომბინირებული) არამატერიალური აქტივია.⁷⁶⁶

სასამართლოში შეიძლება აღიძრას სარჩელი ერთდროულად ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებისა და კომპანიის გუდვილის ან გუდვილის შემადგენლობაში საქმიანი რეპუტაციის დაცვის მოთხოვნით. აშშ უზენაესმა სასამართლომ 1916 წელს პრეცედენტული ნორმით განმარტა, რომ სასაქონლო ნიშნის დაცვის შესახებ წარმოებულ დავებში მოსარჩელე კომპენსაციას იღებს იმ საფუძველით, რომ მოპასუხემ შელახა მოსარჩელის უფლება გუდვილზე. სასამართლოები კომპენსაციას აკისრებენ მოპასუხეს, იმიტომ, რომ მოსარჩელეს აქვს გუდვილის კანონიერი ინტერესი. სასაქონლო ნიშანი ხომ გუდვილს გამოხატავს და მის განვითარებას ემსახურება.⁷⁶⁷ ხშირად, სასაქონლო ნიშნის დაცვის მოთხოვნა გულისხმობს გუდვილის და მასთან ერთად საქმიანი რეპუტაციის დაცვის მოთხოვნასაც და ცალკე არ გამოიყოფა. გამონაკლისია, იურიდიული პირის მიმართ ცილისწამების შემთხვევა, როცა სასარჩელო მოთხოვნა, როგორც წესი, საქმიანი რეპუტაციის დაცვაა. ასეთი გადაწყვეტა ტექნიკურად და პროცესის ეკონომიის თვალსაზრისით გამართლებულია. ერთი არამატერიალური ობიექტის, მაგ. სასაქონლო ნიშნის, ხელყოფა იწვევს სხვა ობიექტების, მათ შორის საქმიანი რეპუტაციის დაზიანებასაც.⁷⁶⁸ ამიტომ მიზანშეწონილია, გუდვილის დაცვის მოთხოვნით, სხვა ობიექტებზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ასევე მიზანშეწონილია სხვა არამატერიალურ ობიექტებზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევისას შელახული იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის უფლების დაცვა.

საქმიანი რეპუტაციის სიმბოლიზება და შესაბამისად დაცვა სასაქონლო ნიშნის მეშვეობით ხორციელდება.

სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს

⁷⁶⁵Кулишенко В.С., Защита от неправомерного использования деловой репутации субъекта хозяйствования в конкуренции (перевод с украинского): Дис., Одесса, 2003, 45-104. 98.

⁷⁶⁶ Griffiths A.W., Trade Mark Law and Practice. London 1930, 1.

⁷⁶⁷ Hanover Star Milling Co. V. Metcalf, 240 U.S. 403 (1916).

⁷⁶⁸ Мазаев Д.В., Гражданско-правовая защита прав на товарные знаки: Автореф. Дис., М., 2011, 3.

საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან (შემდგომში – საქონელი)⁷⁶⁹.

სასაქონლო ნიშნის გამოყენება რამდენიმე მიზანს ისახავს პოტენციური მყიდველის თვალსაზრისით, სასაქონლო ნიშანი ეხმარება მას გადაწყვეტილების მიღებაში – იყიდოს თუ არ იყიდოს ესა თუ ის ნაწარმი. ასეთი გადაწყვეტილება ეყრდნობა საქონლის მოსალოდნელ მახასიათებლებს (ზომა, წონა, ფერი, სურნელება, გემო, ვარგისიანობის ხანგრძლივობა, მუშაობის ეფექტურობა და ა.შ.). პოტენციური მყიდველი ეძებს საქონლის გარკვეულ ხარისხს ან მის რაიმე სხვა მახასიათებელს. ამგვარად, სასაქონლო ნიშნის ერთ-ერთი ფუნქციაა, თვალსაჩინოდ მიანიშნოს ამ ხარისხზე ან ამ მახასიათებელზე. სასაქონლო ნიშნის კიდევ ერთი ფუნქციაა, განასხვავოს საქონელი, რომელსაც აქვს ასეთი ხარისხი ან ასეთი მახასიათებლები, სხვა ანალოგიური საქონლისაგან. თუმცა, ხშირად ამტკიცებენ, რომ სასაქონლო ნიშანი უნდა დაეხმაროს მომხმარებელს, განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი სხვა საწარმოს მიერ დამზადებულ იმავე სახის საქონლისაგან, მაგრამ არ არის აუცილებელი, მომხმარებელმა იცოდეს ფირმის სახელწოდება, რომელიც აწარმოებს, ან ყიდის საქონელს, ე.ი. სასაქონლო ნიშანს შეუძლია განასხვავოს ერთი და იმავე ფირმის მიერ წარმოებული საქონელიც კი.⁷⁷⁰

სასაქონლო ნიშნის მეორე ფუნქცია ის არის, რომ იგი საშუალებას აძლევს მეწარმეს, ამოიცნოს მის მიერ წარმოებული საქონელი, მას შემდეგ, რაც ის უკვე მესამე პირთა, მაგალითად, ამ საქონლით მოვაჭრეთა განკარგულებაშია.⁷⁷¹

სასაქონლო ნიშნის მესამე ფუნქციაა, საშუალება მისცეს სახელმწიფოს ორგანოებს, რომელთაც ევალებათ სასაქონლო ნიშნის მატარებელი საქონლის ხარისხისა და სხვა მახასიათებლების შემოწმება, შეასრულონ თავიანთი მოვალეობა.⁷⁷²

საწარმოებს საქმე აქვთ არა მხოლოდ საქონლის გამოშვებასთან, არამედ მომსახურების განხორციელებასთანაც. მომსახურება პრაქტიკულად შეიძლება ნებისმიერი სახისა იყოს. მათ შორის: ტურიზმი, რეკლამა, ტრანსპორტირება, დაზღვევა და ა.შ. მომსახურების სექტორის საწარმოები (სასტუმროები, რესტორნები, ავიახაზები, მანქანის გამჭირავებელი სააგენტოები, სამრეცხაოები, ქიმიკა და სხვ.) „მომსახურების ნიშანს“ თავის განმასხვავებელ ნიშნად იყენებენ.⁷⁷³

⁷⁶⁹ საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, 2005 წლის 20 დეკემბერი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, №1, 2006 წ. რეგისტრაციის №2380. მუხლი 3.1.

⁷⁷⁰ ინტელექტუალური საკუთრება, დასახელებული ნაშრომი, 16.

⁷⁷¹ The Protection of Trademarks and Service Marks; History and Functions of Trademark System. ISIP/92.3. International Bureau of WIPO.

⁷⁷² The Protection of Trademarks and Service Marks; History and Functions of Trademark System. ISIP/92.3. International Bureau of WIPO.

⁷⁷³ ინტელექტუალური საკუთრება, დასახელებული ნაშრომი, 16.

სასაქონლო ნიშანი საშუალებას აძლევს ფირმას, პოტენციური მომხმარებლის ყურადღება მიაპყროს საქონლის არსებობას, მიიზიდოს იგი, ხოლო მომხმარებელმა შეძლოს მოცემული საქონლის განსხვავება ბაზარზე არსებული სხვა ანალოგიური საქონლისაგან. **ამგვარად, ფირმას შეუძლია მოიპოვოს ამ სასაქონლო ნიშნით რეალიზებული საქონლის მწარმოებლის რეპუტაცია.** სასაქონლო ნიშნის მნიშვნელობა გამომდინარეობს ნიშანსა და საქონელს შორის იმ ასოციაციიდან, რაც სტიმულს აძლევს შესაბამის საქონელზე მოთხოვნილების ზრდას და საშუალებას აძლევს მას, კონკურენცია გაუწიოს მსგავს საქონელს, რომელსაც კონკურენტი აწარმოებს. როცა სასაქონლო ნიშანი კარგ რეპუტაციას იძენს, შესაბამისი საქონლისათვის ბევრად გაადვილდება ახალ ბაზრებში შეღწევა და ამით ექსპორტის სტიმულირება ხდება.⁷⁷⁴

სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის⁷⁷⁵ შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის მფლობელს ენიჭება ერთგვაროვან ან მსგავს საქონელზე ამ ნიშნის ან მისი ვარიანტების გამოყენების განსაკუთრებული უფლება. ამავე კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად კი, სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვებისა და დამცავი დოკუმენტების ძალაში შენარჩუნების წესებს არეგულირებს მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობა.

ევროსაბჭოს დირექტივაში №(89/104EEC) (შემდგომში დირექტივა), რომელიც მიღებულ იქნა 1988 წლის 21 დეკემბერს მითითებულია „სასაქონლო ნიშანი, რომელსაც მოპოვებული აქვს რეპუტაცია“. დირექტივა მიზნად ისახავს ევროპის გაერთიანების წევრი ქვეყნების სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას.⁷⁷⁶

ზემოაღნიშნული დირექტივა წევრ-სახელმწიფოებს უფლებას აძლევს გააფართოონ იმ სასაქონლო ნიშნების დაცვა, რომლებსაც მოპოვებული აქვთ რეპუტაცია.

დირექტივის მე-4 მუხლის მე-3 პარაგრაფის მიხედვით, დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ან თუ იგი უკვე რეგისტრირებულია აღნიშნული რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს, თუკი სასაქონლო ნიშანი იდენტური ან მსგავსია ამ დირექტივის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე გაერთიანების სასაქონლო ნიშნისა, რომელსაც გაერთიანებაში მოპოვებული აქვს რეპუტაცია და ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენება განმცხადებელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ხელყოფს უფრო ადრინდელი

⁷⁷⁴ ინტელექტუალური საკუთრება, დასახელებული ნაშრომი, 17.

⁷⁷⁵ სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციას საქართველო მიუერთდა სსრ კავშირის დროს (1965 წ.) აღებული ვალდებულებების გაგრძელების შესახებ დეკლარაციის საფუძველზე, 1994 წლის 18 იანვარს,

<http://www.wipo.int/treaties/en/notifications/paris/treaty_paris_147.html> [03.04.2019]

⁷⁷⁶ First Council Directive of 21 December 1988 to approximate the laws of the member states relating to trade marks. (89/104 EEC), http://www.wipo.int/clea/en/text_html.jsp?lang=EN&id=1418. [03.04.2019]

პრიორიტეტის მქონე გაერთიანების სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობას და ზიანს აყენებს მის რეპუტაციას. აღნიშნული აკრძალვა გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც საქონელი და მომსახურება, რომლისთვისაც განმცხადებელი ითხოვს რეგისტრაციას ან უკვე ნიშანი რეგისტრირებული არ არის მსგავსი იმ საქონლისა და მომსახურების, რომელთან დაკავშირებითაც არის რეგისტრირებული უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე გაერთიანების სასაქონლო ნიშანი.⁷⁷⁷

საქართველოს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-5 მუხლის ზ) პუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე ისეთი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია, რომელსაც საქართველოში აქვს კარგი რეპუტაცია და ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენება განმცხადებელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა.⁷⁷⁸ კანონის აღნიშნული მუხლი შეესაბამება ევროკავშირის №(89/104EEC) დირექტივის შესაბამის მუხლს. ამავე კანონის მე-5 მუხლის დ) პუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება მასთან აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა.⁷⁷⁹

ბუნებრივია ისმის კითხვა რა არის სასაქონლო ნიშნის რეპუტაცია?

„ნიშნის რეპუტაცია არის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომლის შინაარსის ზუსტად გადმოცემა შეუძლებელია. ნიშნის რეპუტაციის სიძლიერე დამოკიდებულია იმიჯის გასხვისებადობის შესაძლო ფარგლებზე. უკვე არსებული იმიჯის გადაცემის უნარი ე.ი. ნიშნის ეკონომიკური გამოყენებადობის უნარი განსხვავებული სახის საქონელსა და მომსახურებაზე, შეიძლება გამოყენებულ იქნას ნიშნის ძლიერი რეპუტაციის მაჩვენებლად“.⁷⁸⁰

ევროსასამართლომ საქმეზე General Motors Corporation v. Yplon SA. განმარტა რა ზემოაღნიშნული დირექტივის 5(2) მუხლი, აღნიშნა, რომ იმისათვის, რათა სასაქონლო ნიშანი დაცულ იქნას განსხვავებული სახის საქონლისა და მომსახურებისათვის გამოყენების შემთხვევაშიც ანუ ნიშანს

⁷⁷⁷ First Council Directive of 21 December 1988 to approximate the laws of the member states relating to trade marks. (89/104 EEC), <http://www.wipo.int/clea/en/text_html.jsp?lang=EN&id=1418.> [03.04.2019]

⁷⁷⁸ საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, 2005 წლის 20 დეკემბერი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, №1, 2006 წ. რეგისტრაციის №2380.

⁷⁷⁹ იქვე.

⁷⁸⁰ Franzosi M., European community trade mark, Commentary to the European Community Regulation, The Hague, Netherlands, 1997, 217. მითითებულია: გუგეშაშვილი გ., დასახელებული ნაშრომი, 140.

მიენიჭოს ე.წ. გაფართოებული დაცვა, აუცილებელია, რომ ნიშანი ცნობილი იყოს საზოგადოების იმ წევრთათვის, რომელთაც შეხება აქვთ ამ სასაქონლო ნიშნით მონიშნულ საქონელსა და მომსახურებასთან. „რეპუტაციის მქონე სასაქონლო ნიშანი“ ნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშანს მოპოვებული აქვს რეპუტაცია საზოგადოების იმ წევრთა შორის, რომელთაც გარკვეული კავშირი აქვთ ამ ნიშანთან. ამით „რეპუტაციის მქონე სასაქონლო ნიშანი“ განსხვავდება სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მე-6^{bis} მუხლით გათვალისწინებული საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნისაგან.⁷⁸¹

„გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ №(89/104EEC) დირექტივის 5(2) მუხლი ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნის დაცვას, რომელიც რეგისტრირებულია განსხვავებული სახის, არამსგავსი საქონლისა და მომსახურებისათვის, მისი პირველი პირობა მოითხოვს უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის ცნობილობის გარკვეულ დონეს. რამდენადაც უფრო ძლიერია ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობა და რეპუტაცია, მით უფრო ადვილია იმის დადგენა მიაღწა თუ არა მას ზიანი“.⁷⁸²

დღესდღეობით, გაფართოებული დაცვა ენიჭება არა მხოლოდ რეპუტაციის მქონე სასაქონლო ნიშნებს, არამედ საყოველთაოდ ცნობილ და ცნობილ სასაქონლო ნიშნებსაც. ცნობილ და საყოველთაოდ ცნობილ ნიშნებს ყოველთვის აქვთ მოპოვებული რეპუტაცია.⁷⁸³

ევროგაერთიანების ქვეყნებში განვითარებული მიდგომით, რეპუტაცია, ისევე როგორც საერთო სამართლისათვის დამახასიათებელი გუდვილი, სასაქონლო ნიშნის განსაკუთრებული ღირებულების მაჩვენებელია.⁷⁸⁴

„ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებულ სამართლებრივ სისტემებში გამოყენებული ტერმინები „რეპუტაცია“ და „გუდვილი“ სინონიმებია, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რეპუტაცია ზრდის სასაქონლო ნიშნის ღირებულებას, შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ იგი გუდვილის მოპოვების ხელშემწყობი ფაქტორია. სასაქონლო ნიშნის განსაკუთრებული ღირებულება ანუ გუდვილი სწორედ რეპუტაციის მოპოვების შედეგად წარმოიშობა. გამოდის, რომ ევროკავშირის ზემოაღნიშნული დირექტივით გათვალისწინებული რეპუტაციის მქონე სასაქონლო ნიშანი იმავდროულად ფლობს გუდვილსაც. აქედან გამომდინარე, მართალია ტერმინი „გუდვილი“ მოცემულ დირექტივაში არ

⁷⁸¹ General Motors Corporation v. Yplon SA, C-375/97, European Court of Justice, 14 Sept. 1999 (1), http://eurlex.europa.eu/SuiteJurisprudence.do?T1=V111&T3=V1&RechType=RECH_jurisprudence&Submit=Search, მითითებულია: გუგემაშვილი გ., დასახელებული ნაშრომი, 141.

⁷⁸² General Motors Corporation v. Yplon SA, C-375/97, European Court of Justice, 14 Sept. 1999 (1), http://eurlex.europa.eu/SuiteJurisprudence.do?T1=V111&T3=V1&RechType=RECH_jurisprudence&Submit=Search, მითითებულია: გუგემაშვილი გ., დასახელებული ნაშრომი, 141.

⁷⁸³ გუგემაშვილი გ., დასახელებული ნაშრომი, 141.

⁷⁸⁴ იქვე, 144.

არის ნახსენები, თუმცა, რეპუტაციის მქონე სასაქონლო ნიშნის დაცვისას, ამავედროულად, ხდება სასაქონლო ნიშნის გუდვილის დაცვაც“.⁷⁸⁵

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია ემსგავსება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს იდეალური და ინფორმაციული სამართლებრივი ბუნებით.⁷⁸⁶ მათ შორის მსგავსება იმაშიც გამოიხატება, რომ როგორც ერთი, ისე მეორე ფართოდ გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობაში და იდეალური ბუნების მიუხედავად შეფასებადია.⁷⁸⁷ ამერიკული პრაქტიკის მიხედვით, კომპანიის საქმიანი რეპუტაციის პირობები გუდვილის შემადგენლობაში, მისი ხარისხი და შეფასება აქციების ყიდვა-გაყიდვის, ასევე საწარმოთა გაერთიანების ხელშეკრულების ნაწილია.⁷⁸⁸

„ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერ ობიექტს აქვს ინფორმაციული ბუნება და შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ინფორმაციის სახით. მაგრამ რა ინფორმაციას შეიცავს და გადასცემს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან გათანაბრებული ინდივიდუალიზაციის ისეთი საშუალებები, როგორცაა საფირმო სახელწოდება, სასაქონლო ნიშანი, მომსახურების ნიშანი და კომერციული აღნიშვნა. საფირმო სახელწოდება იურიდიული პირის ინდივიდუალიზაციის ძირითადი საშუალებაა. არსებობს მოსაზრება, რომ საქმიანი რეპუტაცია საფირმო სახელწოდებიდან ნაწარმოები იურიდიული პირის იდენტიფიკაციის მეორეხარისხოვანი საშუალებაა. სასაქონლო ნიშანი იურიდიული პირისა და ინდემწარმის საქონლის იდენტიფიკაციას ემსახურება, იმით, რომ მეწარმისა და მის მიერ ნაწარმოები საქონლის ურთიერთკავშირს ასახავს და საქმიან რეპუტაციას გამოხატავს.“⁷⁸⁹ მაღალხარისხიანი საქონლის მწარმოებლები იყენებენ რა თავის სასაქონლო ნიშანს მოპოვებული რეპუტაციის საფუძველზე უმატებენ საქონელს ფასს, მყიდველი ენდობა საქონელს სწორედ კონკრეტული მწარმოებლის რეპუტაციის გამო.⁷⁹⁰ იდენტიფიკაციის საშუალებები სამოქალაქო უფლებათა განსაკუთრებული ობიექტებია. ისინი გამოხატავენ საქმიან რეპუტაციას, განსაზღვრავენ ნდობის ხარისხს, რაც მათ პოტენციურ კომერციულ ღირებულებას განაპირობებს და იძლევიან ბიზნესის არამატერიალური აქტივების შეფასების საშუალებას, რომელიც აღემატება მატერიალური აქტივებს. იდენტიფიკაციის საშუალებები ნდობასთან დაკავშირებული დამოუკიდებელი კატეგორიაა, რომელიც წარმატებული

⁷⁸⁵ გუგეშვილი გ., დასახელებული ნაშრომი, 144.

⁷⁸⁶ Сахапов Ю.З., Деловая репутация субъектов предпринимательской деятельности в системе объектов гражданских прав и особенности ее гражданско-правовой защиты: Автореф. Дис., Казань, 2007, 12.

⁷⁸⁷ Степанов С.А., Предприятие как имущественный комплекс по Гражданскому кодексу Российской Федерации. Актуальные проблемы гражданского права. Под ред. С.С. Алексеева; М., 2000, 63-67; Сухенко А.П., Деловая репутация как фактор капитализации промышленной компании: Автореф. Дис., М., 2006, 12-14.

⁷⁸⁸ Martin D. Ginsburg, Jack. S. Levin., Mergers, Acquisitions and Buyouts. NY, 2000. Vol. 3. 275.

⁷⁸⁹ Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 59.

⁷⁹⁰ Мэггс П.Б., Сергеев А.П., Интеллектуальная собственность. М., 2000, 8.

ბიზნესის ფუნდამენტი და საქმიანი რეპუტაციის რეიტინგის განმსაზღვრელი კრიტერიუმია.⁷⁹¹

მსგავსი დასკვნის საშუალებას იძლევა დიდი ბრიტანეთისა და აშშ კანონმდებლობა. დიდი ბრიტანეთის 1986 წლის კანონით „ფინანსური მომსახურების“ შესახებ ფრენშიაზინგის ხელშეკრულება მოგებისა და შემოსავლის მომტანი შეთანხმებაა, რომლის მიხედვით პირი სარგებლობს სავაჭრო მარკით, დიზაინით ან სხვა ინტელექტუალური საკუთრებით, მათ შორის მასთან ასოცირებული რეპუტაციით.⁷⁹²

პირის მიერ საქმიანი რეპუტაციისა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების (სასაქონლო ნიშნის ან სასაქონლო მარკის) უკანონო გამოყენება, რაც რეგისტრირებულ თუ არარეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებზე უფლების დარღვევასა და არაკეთილსინდისიერ კონკურენციაში ვლინდება სასამართლომ უნდა აღკვეთოს მხარეთა პირდაპირი კონკურენციის ან ნივთებისა და მომსახურების სახეების აღრევის არარსებობის მიუხედავად.⁷⁹³ ანალოგიური რეგულაციაა მოცემული ტეხასის სამეწარმეო და კომერციული კოდექსის 2005 წლის 16.29. მუხლში.⁷⁹⁴

ავტორთა მოსაზრებით, საქმიანი რეპუტაციის ქონებრივი შინაარსის, მესამე პირთათვის მისი გამოყენების გადაცემის უფლების, ინდივიდუალიზაციის საშუალებებთან მსგავსებისა და ურთიერთკავშირის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საქმიანი რეპუტაცია ინდივიდუალიზაციის საშუალებების მსგავსად ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებს (ობიექტებს) გაუთანაბრდეს.⁷⁹⁵

სასაქონლო ნიშანი, ისევე, როგორც საფირმო სახელწოდება კონკრეტული საწარმოს იმიჯსა და რეპუტაციას ქმნის, რაც მათი დაცვის აუცილებლობას განაპირობებს, შესაბამისად, სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებული დარღვევები პირდაპირ განაპირობებს იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვას და სამრეწველო საკუთრების ობიექტების დაცვა საქმიანი რეპუტაციის დაცვის პირდაპირპროპორციულია.

აღნიშნულის დამადასტურებელია ქვემოთ მითითებული ქართული და უცხოური სასამართლო პრაქტიკა.

ერთ-ერთ საქმეში⁷⁹⁶ მოსარჩელე (მეწარმე) მოითხოვდა მოპასუხისაგან კუთვნილი სასაქონლო ნიშნის იდენტური/მსგავსი ნიშნის უკანონო

⁷⁹¹ Карунная Я.А., Правовая природа средств индивидуализации коммерческих организаций: Автореф. Дис., Новосибирск, 2004, 9.

⁷⁹² Сосна С.А., Васильева Е.Н., Франчайзинг. Коммерческая концессия. М., 2005, 167.

⁷⁹³ New York General Business Law 2006, ნიუ-იორკის შტატის სამეწარმეო ძირითადი კანონი, 360-L.

⁷⁹⁴ Texas Business & Commerce Code 2005. Westlaw Electronic Legal Database.

⁷⁹⁵ Килинкаров В.В., Право на деловую репутацию субъектов предпринимательской деятельности: Дис., СПб, 2011, 35, Малеина М.Н., Защита чести, достоинства, деловой репутации предпринимателя. Законодательство и экономика. 1993. №24, 18; Никуличева Н.Ю., დასახელებული ნაშრომი, 18, Рясинцев В.А., Неимущественный интерес в советском гражданском праве. Ученые записки МЮИ. М., 1939. Вып. 1. 26-27.

⁷⁹⁶ სუს განჩინება 9 სექტემბერი, 2014, №ას-42-41-2014.

გამოყენების, ასეთივე სახელის, საფირმო სახელწოდების გამოყენების აკრძალვას. მოპასუხის ყველა გამოსახულების, ეტიკეტის, სარეკლამო განცხადების განადგურებას, რომელიც შეიცავს მოსარჩელის საკუთრებაში არსებული რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავს ნიშანს, ასლს და იმიტაციას. მოსარჩელის განმარტებით, სასაქონლო ნიშანი 2009 წლიდან წარმოადგენს მის რეგისტრირებულ ინტელექტუალურ საკუთრებას. 2009 წლის აპრილში გაიხსნა ამ დასახელების პირველი აფთიაქი, რომელმაც მალე დაიმკვიდრა იაფი ფასების მქონე სააფთიაქო ქსელის სახელი. მოსარჩელის მტკიცებით, **მოპასუხის მიერ საზოგადოებისათვის ამგვარი სახელის მინიჭება მიზნად ისახავდა მოსარჩელის კარგი რეპუტაციის გამოყენებას და ამით, დაუმსახურებლად, ხელსაყრელი პირობების შექმნას.** მითუმეტეს, როცა მოდავე მხარეთა კომერციული საქმიანობა უკავშირდება ფარმაცევტული პრეპარატებით ვაჭრობას.

სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. ამასთან საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად მიიჩნია, რომ მოსარჩელის კუთვნილ სააფთიაქო ქსელს 2009 წლიდან საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული აქვს კარგი რეპუტაცია და იაფი აფთიაქის სახელი. სასამართლოს მითითებით, ამ გარემოებას საქმისათვის მნიშვნელობა აქვს იმ კუთხით, რომ დადგინდეს გააჩნია თუ არა მოპასუხეს უკვე დაცული სასაქონლო ნიშნის იდენტური/მსგავსი ნიშნით სარგებლობის მოტივაცია, ხოლო თავის მხრივ, მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნით საქართველოს ბაზარზე არსებული სააფთიაქო ქსელის წარმატებული ფუნქციონირება (ანუ, აღნიშნული კომპანიის მიერ კარგი სახელის დამკვიდრება სააფთიაქო ბაზარზე) უბიძგებს მოპასუხეს გამოიყენოს სხვისი კეთილი სახელი კომერციულ ურთიერთობებში, რაც ამავედროულად, მოსარჩელის ინტელექტუალური საკუთრების მითვისებაზეც მიუთითებს.

სხვა საქმეში⁷⁹⁷ მოსარჩელე მოითხოვდა რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის არამართლობიერი გამოყენების გამო მოპასუხისათვის ყველა გამოსახულების, ეტიკეტის ანაბეჭდის, შეფუთვის, სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეების, მატრიცების, სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევების შეუძლებლობის გამო საქონლის განადგურებას, ასევე მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების მიზნით 160000 ლარის დაკისრებას. მოსარჩელის განმარტებით მოპასუხის მიერ წარმოებული მაიონეზი საკვები ღირებულებისა და ცხიმინობის მიხედვით, ერთი მესამედით ჩამოუვარდება მოსარჩელის მიერ წარმოებულ მაიონეზის საკვებ ღირებულებას, რის გამოც **შელახულია მოსარჩელის რეპუტაცია.**

საბოლოოდ, მხარეთა შორის დამტკიცებული მორიგების პირობების თანახმად მოპასუხემ ივალდებულა, რომ არ გამოიყენებს მოსარჩელის სასაქონლო ნიშანს და მასვე დაეკისრა 3000 ლარი მოსარჩელის სასარგებლოდ.

დავის შინაარსის მიხედვით⁷⁹⁸ მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის კუთვნილი სასაქონლო ნიშნების გაუქმება, ამ ნიშნებისა და სახელის

⁷⁹⁷ სუს განჩინება 20 მარტი, 2009, #ას-823-1038-08.

⁷⁹⁸ სუს განჩინება 29 სექტემბერი, 2017, №ას-495-463-2017.

გამოყენების აკრძალვა. სარჩელის საფუძვლად მითითებული იყო ის გარემოება, რომ მოსარჩელე საწარმოსა და მოპასუხე კომპანიის დამფუძნებლის შვილიშვილს (უფლების დამთმობს) შორის დაიდო უფლების დათმობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, უფლების დამთმობმა, როგორც საწარმოს დამფუძნებლის საავტორო უფლებების „ლ-ის“ ბრენდის, სავაჭრო ნიშნების ერთადერთმა მემკვიდრემ და იმავე ბრენდის საავტორო უფლებების და მათთან დაკავშირებული ყველა უფლების, **რეპუტაციისა** და საავტორო უფლებების ერთადერთმა მფლობელმა, საავტორო უფლებები და დასახელებულ ბრენდთან დაკავშირებული სხვა უფლებები, პატენტები, სავაჭრო ნიშნები და საწარმოო ინფორმაცია სრულად გადასცა მოსარჩელეს და მოპასუხე კვლავ იყენებს, როგორც უფლებებს, ასევე კომპანიის დამფუძნებლის სახელს.

სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. მოპასუხე კომპანიისათვის სახელის გამოყენების აკრძალვის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის უარყოფისას სასამართლომ მიუთითა, რომ **სასაქონლო ნიშანი, ისევე, როგორც საფირმო სახელწოდება კონკრეტული საწარმოს იმიჯსა და რეპუტაციას ქმნის, რაც მათი დაცვის აუცილებლობას განაპირობებს**, აღნიშნულს კი უზრუნველყოფს, როგორც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, აგრეთვე პარიზის კონვენცია, რომლის მიხედვითაც, საფირმო სახელწოდება დაცულია მიუხედავად იმისა, დაცულია თუ არა ის სასაქონლო ნიშნად, ან მის ნაწილად.

საფირმო სახელწოდებასთან ერთად დაცულია ე.წ. „კომერციული დასახელება“, რომლის მიზანი საფირმო სახელწოდების შემოკლებაა. ამასთან, „კომერციული დასახელების“ გამოყენება უფრო მოსახერხებელია და არ საჭიროებს რეგისტრაციას, თუმცა, დაცულია სათანადო წესით. განსახილველ შემთხვევაში, კომპანიის დამფუძნებელმა თავისი სამოქალაქო სახელი გადასცა მის მიერვე დაფუძნებულ საწარმოს, რითაც აღნიშნული სახელი კომპანიის ქონების ნაწილად გადაიქცა, არამატერიალურ ქონებრივ სიკეთედ, რომელიც, თავის მხრივ, გადაცემაუნარიანია, თუმცა, დღესდღეობით, მას შემდეგ, რაც აღნიშნული საწარმო სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო 1987 წელს სახელმწიფომ სახელი – კომპანიის ერთ-ერთ ნაწილს დაუბრუნა, რომლის სამართალმემკვიდრეც დღევანდელი მოპასუხეა, სახელი კვლავ დასახელებული მოპასუხის საფირმო სახელს წარმოადგენს, შესაბამისად, მისი პრეროგატივაა აღნიშნული სახელის გამოყენება.

სხვა საქმეში⁷⁹⁹ მოპასუხეს აკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის გამოყენება იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოსარჩელეს საქპატენტში რეგისტრირებული აქვს სასაქონლო ნიშანი N...I. და დადგინდა მოპასუხის კუთვნილი კონტრაფაქციული ტვირთის განადგურება. **სასაქონლო ნიშნის დასაცავად**

⁷⁹⁹ სუს განჩინება, 3 ოქტომბერი, 2016, №ას-718-686-2016.

მითითებული საშუალების გამოყენებით სასამართლომ პრაქტიკულად დაიცვა მოსარჩელის (მეწარმის) საქმიანი რეპუტაცია.⁸⁰⁰

სხვა საქმეში,⁸⁰¹ სადაც სასარჩელო მოთხოვნას მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების ბათილად ცნობა წარმოადგენს, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები სწორედ მოსარჩელის (გამყიდველის) პროდუქციაზე დატანილი განმასხვავებელი ნიშნებია, ასოცირდება ამ უკანასკნელის პროდუქციასთან და შეესაბამება ნორმას, რომელიც აწესრიგებს რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს. სადავო რეგისტრაციით, მოპასუხე იძენს უფლებას, არაკეთილსინდისიერად აუკრძალოს მოსარჩელეს იმ სასაქონლო ნიშნებით სარგებლობა, რომლის ქვეშ ყოველთვის მოიაზრებოდა მოსარჩელის მიერ წარმოებული ღვინო, მისი უნიკალურობით, გემური თვისებებით, ტექნოლოგიით, ქიმიური შემადგენლობით და რომელსაც საკმაოდ სტაბილური გაყიდვებით იცნობს მომხმარებელთა ფართო წრე. სასამართლომ მიუთითა, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენებისას, განმსაზღვრელი ფაქტორია პროდუქციის ინდივიდუალიზაცია, ანუ უკავშირებს თუ არა მომხმარებელი წარმოებულ პროდუქციას კონკრეტულ საწარმოს. სასამართლომ აღნიშნა, რომ, მომხმარებელს აქვს საშუალება, თავად აირჩიოს სასურველი პროდუქცია, რომელსაც იცნობს და ენდობა, ამდენად, სასაქონლო ნიშნის გამოყენების მიზანი სწორედ ისაა, რომ მომხმარებელს ჰქონდეს უტყუარი ინფორმაცია, კონკრეტული პროდუქციის წარმოშობის, მისი მწარმოებლისა და სხვა სპეციფიკური ნიშან-თვისებების შესახებ, რის გამოც ირჩევს პროდუქტს. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მიზანი არა მხოლოდ კერძო პირთა საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფაში გამოიხატება, არამედ საჯარო ინტერესშიც, რომ მომხმარებელთა არა მხოლოდ კონკრეტული წრე, არამედ პოტენციური მომხმარებელიც დაცული იყოს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან სხვა მახასიათებლების შესახებ შეცდომაში შემყვანი, არასწორი ინფორმაციისაგან. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მისი რეგისტრაციის მომენტიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცულ „ქონებას“ წარმოადგენს⁸⁰² შესაბამისად, რეგისტრაციის პროცედურების დასრულების შემდგომ სასაქონლო ნიშანი ხდება საკუთრების ობიექტი და მასზე ვრცელდება

⁸⁰⁰ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ: სუსგ-ები: 21 დეკემბერი, 2015, №ას-119-111-2015, 03 თებერვალი, 2012, №ას-119-111-2015, სუსგ 01.12. 2015, №ას-1285-1223-2014, 11.03. 2016, №ას-970-919-2015.

⁸⁰¹ სუსგ განჩინება 28 ივლისი, 2016, №ას-62-56-2015.

⁸⁰² Anheuser-Busch Inc. v. Portugal [GC], no. 73049/01, §§66-72, ECHR 2007-I/.<[http://hudoc.echr.coe.int/eng#{"dmdocnumber":\["812726"\],"itemid":\["001-78981"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{)> სუსგ ას 1285-1223-2014, 01.12.2015.

საკუთრების დაცვის ყველა სამართლებრივი რეგულაცია. ზოგიერთ შემთხვევაში არა მხოლოდ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, არამედ თავად რეგისტრაციის განაცხადი და სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მამიებლის სამართლებრივი სტატუსიც კი უკვე შესაძლებელია წარმოშობდეს ისეთ ქონებრივ უფლებებს, რომლებიც ექცევა პირველი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული „ქონების“ ცნებაში⁸⁰³, ამიტომ, მოპასუხის არაკეთილსინდისიერი ქმედებით, ფაქტობრივად მოხდა მოსარჩელის საკუთრების ხელყოფა, რადგან კანონიერ მესაკუთრეს აეკრძალა კუთვნილი სასაქონლო ნიშნების გამოყენება.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სპეციალური კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის ქმედება (სადავო ნიშნების რეგისტრაცია), სწორად დააკვალიფიცირა, როგორც არაკეთილსინდისიერი. კერძოდ, მითითებული მუხლის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით.

სასამართლომ მიუთითა, რომ როდესაც უფლების მოპოვება ხდებოდა ისეთ სასაქონლო ნიშანზე, რომელზეც მესამე პირს გააჩნდა უპირატესი ლეგიტიმური ინტერესი, რეგისტრაცია ხორციელდებოდა იმ შეგნებით, რომ პირმა მიითვისოს სხვის მიერ რეგისტრაციამდე შექმნილი და ბაზარზე დამკვიდრებული, მაგრამ დაუცველი ნიშანი და მისგან მომდინარე სიკეთე, რაც უდავოდ მოჰყვება მომხმარებელში კარგად ნაცნობ, **დადებითი რეპუტაციის მქონე ნიშნით** შეფუთული ღვინის რეალიზებას. ამასთან, მოპოვებული უფლება არ ეფუძნება უპირატესი დაცვის ღირს ინტერესს. მოპასუხისთვის განსაკუთრებული უფლების მოპოვება წარმოადგენს კონტრაგენტთან მიმართებაში უპირატესობის მოპოვების საშუალებას. **არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, სხვისი შექმნილი არამატერიალური ქონებრივი სიკეთის მითვისება და ამ გზით ბაზარზე უპირატესობის მოპოვება**, წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობის საფუძველს.

პარიზის კონვენციის პირველ მუხლის თანახმად, სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა. კონვენციის მე-10^{bis} მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კავშირის ქვეყნები ვალდებული არიან, უზრუნველყონ კავშირის ქვეყნების მოქალაქეები არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტიანი დაცვით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს შეადგენს კონკურენციის ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის პატიოსან ჩვევებს. ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, აკრძალულია ისეთი ხასიათის მქონე ყველა ქმედება, რომელსაც შეუძლია რაიმე გზით გამოიწვიოს აღრევა კონკურენტის დაწესებულების, საქონლის, სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის მიმართ. სპეციალური კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტი წარმოადგენდა, პარიზის კონვენციის ზემოხსენებული ნორმებით

⁸⁰³ სუსგ 01.12.2015, ას 1285-1223-2014.

სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების რეალიზების ერთადერთ საშუალებას, რომელიც უნდა განხილულიყო სხვა სამართლებრივ საშუალებებთან ურთიერთკავშირში. კანონმდებელი კანონის აღნიშნული მუხლით განსაზღვრავს მეწარმე სუბიექტის უფლების დაცვის მექანიზმს, როდესაც სახეზეა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გაწვევის მიზნით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ფაქტი. იმისათვის, რომ სახეზე იყოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევა ანუ სხვისი რეპუტაციის მითვისება და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის მცდელობა, აუცილებელი პირობაა, რომ მოწინააღმდეგე გამოიყენოს სადავო სასაქონლო ნიშანი, მოახდინოს ამ ნიშანთან გაიგივებული პროდუქციის რეალიზაცია, ამ ნიშნით შექმნას რეპუტაცია ან არსებობდეს უკვე ამ ნიშნით შექმნილი რეპუტაცია, როგორც ფაქტი. თუმცა შეიძლება ბათილად ცნობა შესაძლებელი იყოს იმ შემთხვევაშიც, როცა არ გამოუყენებია, მაგრამ რეალურია, რომ გამოიყენებს.⁸⁰⁴

ერთ-ერთ საქმეში⁸⁰⁵ საქმიანი რეპუტაციის დაცვის საკითხი წამოიჭრა სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებების თაობაზე წარმოებული სასამართლო საქმისწარმოების დროს, სასაქონლო ნიშან „Miele“-ს დაცვის შესახებ, გერმანული კომპანია „Миле & Си. Гмнх & Ко“-ს სარჩელის გამო სს „სტერე“-ს წინააღმდეგ, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხემ, რომელმაც ინტერნეტში დაარეგისტრირა დომენი სახელწოდებით „Miele.ru“, რომელიც შეიცავდა მოსარჩელის სასაქონლო ნიშანს, მოსარჩელეს მოუსპო ინტერნეტით საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაყიდვის შესაძლებლობა. აღნიშნულით, კი არა მარტო დაარღვია მოსარჩელის უფლება სასაქონლო ნიშანზე, არამედ, მომხმარებელში, ბაზარზე ხანგრძლივი დროის მანძილზე ცნობილი საქმიანი რეპუტაციის მქონე მოსარჩელის მიერ წარმოებული საყოფაცხოვრებო ტექნიკის არარსებობის ასოციაცია გამოიწვია, რაც მოსარჩელე კომპანიის მიმართ უარყოფითი ინფორმაციის გავრცელების ტოლფასია“. აღნიშნულით სასამართლომ აღიარა, რომ სასაქონლო ნიშანზე უფლების დარღვევა უარყოფითად აისახა კომპანიის საქმიან რეპუტაციაზე. ამით სასამართლომ ცნო მოსარჩელის უფლება საქმიან რეპუტაციაზე და დაავალა გადაწყვეტილების გამოქვეყნება პრესაში.

სხვა საქმეში⁸⁰⁶ სს „ნევის-კოსმეტიკი“ სს „კონცერნ „კალინას“ წინააღმდეგ აღძრული სარჩელით საქმიანი რეპუტაციის დაცვას მოითხოვდა იმ საფუძვლით, რომ მოპასუხემ გამოუშვა და გაყიდა დაბალი ხარისხის კონტრაფაქციული სარეცხი ფხვნილი სასაქონლო ნიშნით „ТпМАХ“, რომლითაც დაარღვია მოსარჩელის არა მარტო განსაკუთრებული უფლება სარეცხ ფხვნილზე სასაქონლო ნიშანზე „BiMAX“, არამედ, შელახა მისი

⁸⁰⁴ სუს განჩინება 28 ივლისი, 2016, №ას-62-56-2015.

⁸⁰⁵ Решение Арбитражного суда г. Москвы от 10.01.2002 г. по делу № А40-42141/01-26-190, Архив Арбитражного суда г. Москвы, მითითებულია: Тимерханов А.А., Деловая репутация юридического лица, Дис., М., 2012,102.

⁸⁰⁶ Решение Арбитражного суда Республики Татарстан от 15.12.2005 г. по делу №А65-18509/2005, мითითებულია: Тимерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 102.

საქმიანი რეპუტაცია. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და აღნიშნა, რომ მოსარჩელის საქმიან რეპუტაციას მოპასუხის ქმედებით ზიანი მიადგა, კერძოდ, მოპასუხის მიერ წარმოებული პროდუქცია, მომხმარებელს უქმნის უარყოფით დამოკიდებულებას სასაქონლო ნიშანთან „BiMAX“ და შესაბამისად, იმ პროდუქციასთან, რომელიც ამ სასაქონლო ნიშნით იყიდება.

ცნობილი ბრენდების (GUERLAIN, YVES ST LAURENT, LACOSTE) სახელით დამზადებული საქონლით (სარჩებით) მოვაჭრეს სასჯელად – სამი თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, 2 თვიანი სასჯელი შეეფარდა პროდუქციის მიმწოდებელს და განხორციელდა პროდუქციის კონფისკაცია და განადგურება. დამრღვევებს ასევე დაეკისრათ ჯარიმა 10 000 ევროს ოდენობით, გარდა ამისა ჩვეულებრივი ჯარიმები. ზიანის ანაზღაურება მხოლოდ 1000 ევროს ოდენობით განისაზღვრა თითოეული ბრენდის მფლობელის მიმართ, ვინაიდან მიჩნეულ იქნა, რომ რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანი არ იყო მნიშვნელოვანი. სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით რამდენიმე გაზეთში გამოაქვეყნა პუბლიკაცია გადაწყვეტილების შესახებ, რათა მოსახლეობას, რომელიც მსგავს ვაჭრობაში აღმოჩნდებოდა ჩაბმული, ჰქონოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შედეგით მთავრდება ამგვარი სამართალდარღვევა.⁸⁰⁷

3.9. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის საჯაროსამართლებრივი საშუალებები

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვა სამოქალაქო-სამართლებრივთან ერთად, საჯარო სამართლებრივი საშუალებებითაც ხორციელდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სამრეწველო საკუთრების დაცვის 1883 წლის პარიზის კონვენციის 10 bis და 10 ter მუხლების დანაწესით იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დარღვევა იკრძალება, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით უზრუნველყონ საქმიანი რეპუტაციის ხელყოფის აკრძალვა.⁸⁰⁸

სამოქალაქო უფლების დაცვა ადმინისტრაციული წესით გათვალისწინებულია მაშინ, როცა ირღვევა არა მარტო სამოქალაქო უფლება, არამედ, საჯარო წესრიგი.⁸⁰⁹ ასეთი შემთხვევების გავრცელებული მაგალითია არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და არასათანადო რეკლამა. საჯარო კანონმდებლობა მითითებული ნორმებით არაკეთილსინდისიერი

⁸⁰⁷ Goutal J., Criminal enforcement against trade mark infringement: the French approach, Cuerpi-Universite de Grenoble 2, 175, მითითებულია: Enforcement of intellectual property rights and patent litigation, Proceedings of symposium held from 10 to 14 September 2001 European patent office, Munich, Publisher: European patent office international academy.

⁸⁰⁸ The Paris Convention for the Protection of Industrial Property, Paris, 1883, <https://www.wipo.int/treaties/en/ip/paris/trtdocs-wo_020.html>[03.04.2019]

⁸⁰⁹ Тиммерханов А.А., დასახელებული ნაშრომი, 106.

კონკურენციისა და არაკეთილსინდისიერი რეკლამის ფარგლებში არაპირდაპირ იცავს საქმიან რეპუტაციას.

სასამართლომ მართებულად მიიჩნია ანტიმონოპოლიური ორგანოს გადაწყვეტილება, რომლითაც მეწარმე დაჯარიმდა არაკეთილსინდისიერი რეკლამის გავრცელებისთვის. ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ დაჯარიმების საფუძველი გახდა დამრღვევი საწარმოს მიერ ინტერნეტით რეკლამის გავრცელება მეორე საწარმოს მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ, რომელიც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, რითაც შელახა საწარმოს საქმიანი რეპუტაცია.⁸¹⁰

განსხვავებული მიდგომაა საერთო სამართლის ქვეყნებში. აშშ-ში არსებობს კატეგორია „exemplary damages“-საჯარიმო კომპენსაცია,⁸¹¹ რომელიც საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით ეკისრება დამრღვევს დაზარალებულის სასარგებლოდ ზარალის ანაზღაურებასთან ერთად. თავად დამატებითი კომპენსაციის დაკისრების ფაქტი მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორია პოტენციური დამრღვევებისთვის.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის ერთ-ერთ პრეცედენტულ საქმეში სასამართლომ „Wall Street Journal“-ის გამომცემელ კომპანია „Dow Jones“-ს საბროკერო კომპანია „MMAR Group Inc“-ის სასარგებლოდ დააკისრა ზიანის (ფაქტობრივი ზიანი, მიუღებელი შემოსავალი, ხარჯები საქმიანი რეპუტაციის აღსადგენად) ასანაზღაურებლად 22,7 მლნ დოლარი და **200 მლნ დოლარი საჯარიმო კომპენსაცია საქმიანი რეპუტაციის შემლახავი პუბლიკაციისთვის**. სტატიის მიხედვით, მოსარჩელის მიერ განხორციელებული ფასიანი ქაღალდების ოპერაციის შედეგად დაიკარგა საპენსიო ფონდის კლიენტების კუთვნილი 50 მლნ დოლარი. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული სამოქალაქო დარღვევა საშიშაა სამართლებრივი წესრიგისათვის.⁸¹²

საერთო სამართლის ქვეყნებში საქმიანი რეპუტაციის უფლების დარღვევისას გამოიყენება, როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ლუიზიანას 1885 წლის სამოქალაქო კოდექსის 47-ე მუხლი ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დიფამაციისთვის. პასუხისმგებლობა განისაზღვრება ჯარიმით 5000 დოლარამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით 6 თვემდე ვადით.⁸¹³

აღსანიშნავია, რომ საქმიანი რეპუტაციის დიფამაციით შელახვისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგენილია აშშ-ს 17 შტატის კანონმდებლობით.⁸¹⁴

⁸¹⁰ Simons D., Mendel T., Defamation ABC. A simple introduction to key concepts of defamation law. London, 2006, 107.

⁸¹¹ კალიფორნიის სამოქალაქო კოდექსის 48-ე მუხლი, Westlaw electronic database.

⁸¹² Firm Awarded \$222.7 Million in a Libel Suit Vs. Dow Jones; The New York Times. 1997. March 21.

⁸¹³ Louisiana Civil Code 1885; Westlaw Electronic Legal Database, 1885.

⁸¹⁴ Guanghua Yu., Minkang Gu., Law Affecting Business. Transactions in the PRC. Tb., 2003, 464-466.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დარღვევათა უმეტესობა არაკეთილსინდისიერ კონკურენციაზე ან არაკეთილსინდისიერ რეკლამაზე მოდის. ამ ქმედებათა საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით მათი აღკვეთა საჯარო მართლწესრიგით გამართლებულია.

3.9.1. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვა და არაკეთილსინდისიერი რეკლამა

ბაზარზე პატიოსანი თამაში არ შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ სამრეწველო საკუთრების უფლებათა დაცვით. არაკეთილსინდისიერ ქმედებათა ფართო წრე, ისეთი, როგორც არის შეცდომაში შემყვანი რეკლამა და კომერციული საიდუმლოების დარღვევა, ჩვეულებრივ, არ განიხილება კონკრეტული კანონებით სამრეწველო საკუთრების დარგში.⁸¹⁵

განვითარებადი ქვეყნებისათვის სასაქონლო ნიშნების, საფირმო სახელწოდებებისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ტიპური კანონის კომენტარში საქმიანობის 12 სახეობა მიეკუთვნება არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. მათ შორისაა **რეკლამა, რომელშიც ხდება შედარება კონკურენტის საქონელთან ან მომსახურებასთან.**⁸¹⁶

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია შეიძლება შეილახოს არასათანადო რეკლამის გზითაც. რეკლამა არის საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას.⁸¹⁷

ნორმატიულად არასათანადო რეკლამა განმარტებულია, როგორც არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო, არაეთიკური, შეცდომაში შემყვანი ან სხვა რეკლამა, რომელშიც დარღვეულია მისი შინაარსის, დროის, ადგილის ან გავრცელების წესის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.⁸¹⁸

თავის მხრივ, არაკეთილსინდისიერი რეკლამა, რომელიც არასათანადო რეკლამის შემადგენელი ნაწილია, გულისხმობს რეკლამირებადი საქონლის არაკორექტულ შედარებას სხვა პირთა საქონელთან, რასაც თან ახლავს ისეთი

⁸¹⁵ ინტელექტუალური საკუთრება, დასახელებული ნაშრომი, 23.

⁸¹⁶ იქვე, 21.

⁸¹⁷ საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ, 18 თებერვალი, 1998 (#1228-11-s), მუხლი 3.1.<www.matsne.gov.ge> [02.04.1019].

⁸¹⁸ საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, მუხლი 3.2.

გამონათქვამები, რომელსაც ცოდნისა და გამოცდილების უკმარისობის გამო არა მხოლოდ შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი, არამედ იმ პირთა დისკრედიტირებასაც ახდენს, რომლებიც აწარმოებენ ამ საქონელს, ან სარგებლობენ რეკლამირებადი საქონლით.⁸¹⁹ არასათანადო რეკლამით დაზარალებულ პირს, შეუძლია საკუთარი საქმიანი რეპუტაცია დაიცვას „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

აკრძალულია არასათანადო რეკლამის განთავსება და გავრცელება. (მუხლი 4.8.).

შედარებითი რეკლამა სხვა შემთხვევებთან ერთად დაიშვება შემდეგ შემთხვევებში:

თუ ის არ ახდენს კონკურენტის მდგომარეობის, სავაჭრო ნიშნების, სავაჭრო დასახელებების, სხვა განმასხვავებელი ნიშნების, საქონლის, მომსახურების ან საქმიანობის დისკრედიტაციას და თუ ის არ სარგებლობს კონკურენტის სავაჭრო ნიშნის, სავაჭრო დასახელების და სხვა განმასხვავებელი ნიშნის რეპუტაციით ან კონკურენტპროდუქტის წარმოშობის აღნიშვნით.⁸²⁰

დასახელებული კანონის ნორმები ვრცელდება საქართველოსა და უცხო ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრაციის საფუძველზე აწარმოებენ, განათავსებენ ან ავრცელებენ რეკლამას საქართველოში.⁸²¹ „რეკლამის შესახებ“ კანონის ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ, საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ განხორციელებული რეკლამა იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს ისეთი უარყოფითი შედეგი როგორცაა, კონკურენციის შეზღუდვა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შეცდომაში შეყვანა საქართველოს ტერიტორიაზე.⁸²² მათგან განსხვავებით, „რეკლამის შესახებ“ კანონის ნორმები არ ვრცელდება: პოლიტიკური ხასიათის რეკლამაზე და ფიზიკურ პირთა იმ განცხადებაზე, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობასთან.⁸²³ რეკლამა შეიძლება გავრცელდეს, როგორც მაუწყებლის (რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი) მიერ მისი გადაცემის გზით, ისე სხვა ფორმით (მაგ. დასაშვებია რეკლამის გავრცელება სატრანსპორტო საშუალებებზე, შენობა-ნაგებობებზე, და ა.შ. განთავსებით), რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირის საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეის და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებას და შენარჩუნებას, ასევე რეალიზაციისათვის ხელშეწყობას.⁸²⁴

„რეკლამის შესახებ“ კანონით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევის გზით პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფის შემთხვევაში,

⁸¹⁹ საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, მუხლი 3.3.

⁸²⁰ იქვე, მუხლი 12(1).

⁸²¹ იქვე, მუხლი 2.3.

⁸²² იქვე, მუხლი 2.4.

⁸²³ იქვე, მუხლი 2.5.

⁸²⁴ მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 240.

სამაუწყებლო რეკლამის სფეროში რეკლამის გავრცელების დროის, განთავსების ფორმისა (ადგილისა) და გამოყენებული საშუალებების, აგრეთვე სამაუწყებლო რეკლამის გამავრცელებლის მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ და „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი შეზღუდვების დაცვის კონტროლს ახორციელებს მხოლოდ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია,⁸²⁵ რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- ა) იღებს გადაწყვეტილებას არასათანადო რეკლამის სრულად ან ნაწილობრივ შეჩერებაზე ან კონტრერეკლამის განხორციელებაზე.
- ბ) უფლებამოსილია „მაუწყებლობის შესახებ“ და „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონების, სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა დამრღვევს კანონით დადგენილი წესით დააკისროს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სანქცია.
- გ) უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის ორგანოებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე (მუხლი 17¹).

სხვა დანარჩენ შემთხვევებში კი შეზღუდვის დაცვის კონტროლი ევალება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. კერძოდ, ეს უკანასკნელნი დამრღვევს აკისრებენ ადმინისტრაციულ სახდელს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158^{4/826} და 159^{1/827} მუხლებით.

„რეკლამის შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, კონტრერეკლამა უნდა გავრცელდეს იმავე საშუალებით, თანმიმდევრობის, სივრცისა და ადგილის იმავე მახასიათებლების გამოყენებით, როგორც ეს იყო სათანადო რეკლამის გავრცელების შემთხვევაში.

პირებს, რომელთა უფლებები და ინტერესები დარღვეულია არასათანადო რეკლამის შედეგად, უფლება აქვთ დადგენილი წესით, სარჩელით მიმართონ სასამართლოს ჯანმრთელობისა და ქონებისათვის, სახელის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის თაობაზე და მოითხოვონ არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა.⁸²⁸

⁸²⁵ საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, მუხლი 17¹

⁸²⁶ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასათანადო რეკლამის განთავსება (გავრცელება) – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 3 000 ლარის ოდენობით.

იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც 1 წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი, – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 6 000 ლარის ოდენობით.

⁸²⁷ არასათანადო რეკლამის განთავსება (გავრცელება), – გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას განთავსებული (გავრცელებული) რეკლამის სრული ღირებულების ოთხმაგი ოდენობით, იურიდიული პირებისა და დაწესებულებებისა – განთავსებული (გავრცელებული) რეკლამის სრული ღირებულების შვიდმაგი ოდენობით.

⁸²⁸ საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, მუხლი 21.3.

პირებს, რომელთა უფლებების ხელყოფასაც აქვს ადგილი, შეუძლიათ სასარჩელო განცხადებით მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თვითმართველობის (მმართველობის) ორგანოსა ან/და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გატარებული ღონისძიებების, ასევე მიღწეული შედეგების მიუხედავად.

არასათანადო რეკლამით ხელყოფილი პირადი არაქონებრივი უფლებების საქმეზე სათანადო მოპასუხეები არიან: რეკლამის დამკვეთი, რეკლამის მწარმოებელი და რეკლამის გამავრცელებელი. რეკლამის დამკვეთი პასუხს აგებს რეკლამის შესაქმნელად წარდგენილი ინფორმაციის შინაარსზე, თუ არ დამტკიცდა, რომ ეს დარღვევა მოხდა რეკლამის მწარმოებლის ან გამავრცელებლის მიზეზით. რეკლამის მწარმოებელი რეკლამის გაფორმებაზე, წარმოებასა ან მომზადებაზე, რეკლამის გამავრცელებელს კი პასუხისმგებლობა ეკისრება რეკლამის გავრცელების დროზე, ადგილსა და საშუალებებზე.⁸²⁹

3.9.2. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვა და არაკეთილსინდისიერი კონკურენცია

„საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებისა და განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სამეურნეო სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნაა. კონკურენცია-არის ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედ სუბიექტთა მეტოქეობა, ბაზარზე უპირატესობის მოპოვების სურვილი“.⁸³⁰

„სამეწარმეო თვალსაზრისით, ესაა ბრძოლა ყველაზე დიდი მოგების მიღებისათვის. ამასთან, მთავარია რომ მეწარმეთა ზემოაღნიშნული მისწრაფება საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილებისა და საუკეთესო სამეურნეო შედეგების მიღწევის ფონზე წარიმართოს“.⁸³¹

საქართველოს კონსტიტუციის 30.2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა, მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით. **კონკურენცია** არის მეტოქეობა ცალკეულ სუბიექტებს (კონკურენტებს) შორის რაიმე ასპარეზზე უპირატესობის მოსაპოვებლად. ეკონომიკის სფეროში **კონკურენცია** გულისხმობს მეწარმეთა შეჯიბრს საქონლის (მომსახურების) წარმოებისა და გასაღების ხელსაყრელი პირობებისათვის.⁸³² ანალოგიური შინაარსისაა კონკურენციის ნორმატიული განმარტება, კერძოდ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის

⁸²⁹ მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 240.

⁸³⁰ ქოქრაშვილი ქ., სამეწარმეო სამართალი, თბ., 2010, 198.

⁸³¹ იქვე, 198.

⁸³² სუს განჩინება, 28 სექტემბერი, 2017, ბს-595-592 (კ-17).

თანახმად, კონკურენცია არის შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. შესაბამისად, კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს საწარმოს უნარს, უზრუნველყოს კომერციული წარმოება გარკვეულ ბაზარზე ისე, რომ გაუძლოს ანალოგიური საქონლის (მომსახურების) საბაზრო კონკურენციას. მთელი საუკუნეა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა ითვლება სამრეწველო საკუთრების სისტემის ნაწილად. მისი აღიარება პირველად მოხდა 1900 წელს ბრიუსელის დიპლომატიურ კონფერენციაზე, რომელიც მიემდგვნა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის⁸³³ (შემდგომში – პარიზის კონვენცია) გადასინჯვას, როდესაც კონვენციის ტექსტში შეტანილ იქნა 10^{bis} მუხლი, რომლის თავდაპირველი ვარიანტის მიხედვით, იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც შეუერთდნენ კონვენციას (მუხლები 2 და 3), კავშირის ყველა ქვეყანაში სარგებლობენ დაცვით, რომელიც ეძლევა საკუთარ მოქალაქეებს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ.^{834/835} კონვენციის შემდგომ კონფერენციებზე შეტანილ ცვლილებათა შემდეგ პარიზის კონვენციის სტოკჰოლმის აქტის მიხედვით:

1. კავშირის ქვეყნები ვალდებული არიან, უზრუნველყონ კავშირში მონაწილე ქვეყნების მოქალაქეები არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტური დაცვით;
2. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად ჩაითვლება კონკურენციის ყველა აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება მეწარმეობასა და ვაჭრობაში მიღებული პატიოსანი საქმიანობის წესებს;

კერძოდ, იკრძალება:

- ა. ყველა ქმედება, რომელსაც შეუძლია რაიმე გზით გამოიწვიოს აღრევა კონკურენტის საწარმოს, პროდუქტის ან სამეწარმეო ან სავაჭრო საქმიანობის მიმართ;
- ბ. კომერციული საქმიანობისას ისეთი ხასიათის ცრუ განცხადებების გაკეთება, რაც კონკურენტის საწარმოს, პროდუქტისა ან სამეწარმეო ან სავაჭრო საქმიანობის დისკრედიტაციას იწვევს;
- გ. ისეთი მითითებებისა და განცხადებების გაკეთება, რომელთა კომერციულ საქმიანობაში გამოყენებამ შესაძლოა საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს საქონლის ბუნების, დამზადების ხერხის, თვისებების, ვარგისიანობის ან რაოდენობის შესახებ.⁸³⁶

პარიზის კონვენცია არაკეთილსინდისიერ კონკურენციას განიხილავს, როგორც მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროში არსებული კეთილსინდისიერი ჩვევების საწინააღმდეგო აქტს. კავშირი არაკეთილსინდისიერ კონკურენციასა და სამრეწველო საკუთრების დაცვას

⁸³³ ინტელექტუალური საკუთრება, დასახელებული ნაშრომი, 21.

⁸³⁴ The Paris Convention for the Protection of Industrial Property, Paris, 1883, <<https://www.wipo.int/treaties/en/ip/paris/trtdocs-wo 020.html>>[03.04.2019]

⁸³⁵ მამუკაშვილი დ., დასახელებული ნაშრომი, 127.

⁸³⁶ ინტელექტუალური საკუთრება, დასახელებული ნაშრომი, 23.

შორის იმდენად ფართოა, რომ მისი აღკვეთისაკენ მიმართული ნორმების შეტანას აუცილებლად თვლის ყველა ქვეყნის სასაქონლო ნიშნების შესახებ თუ საპატენტო სამართალი.⁸³⁷

აღიარებულია, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ქმედითი დაცვა კარგად ავსებს და განამტკიცებს სამრეწველო საკუთრების ობიექტების დაცვას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათზე ჯერ კიდევ უფლებები მოპოვებული არ არის.⁸³⁸

არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა უფლებების ასეთი სახით მინიჭებას კი არ ემყარება, არამედ მოსაზრებას (იქნება ის დაფიქსირებული თუ აღიარებული როგორც უფლების ზოგადი პრინციპი), რომ ქმედებანი, რომლებიც მკვეთრად ეწინააღმდეგება საყოველთაოდ მიღებულ პატიოსან კომერციულ პრაქტიკას, დაუშვებელია.⁸³⁹

არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვის სამართალი არაკეთილსინდისიერ კონკურენტულ ქმედებებში მოიაზრებს უპირატესობის მოპოვებას სხვათა მიღწევების ხარჯზე (FREE RIDING), რაც სხვა ანტიკონკურენტულ ქმედებებთან ერთად მოიცავს სხვისი რეპუტაციის გამოყენებას.⁸⁴⁰

სხვისი რეპუტაციის გამოყენება უკანონო მითვისების კიდევ ერთი სახეობაა, რომელიც უკანასკნელ წლებში აღიარებულია როგორც პატიოსანი საქმიანობის საწინააღმდეგო, სხვა სამრეწველო ან კომერციულ საწარმოთა რეპუტაციით ან ეკონომიკურ მიღწევათა „პრესტიჟით“ არაკეთილსინდისიერი სარგებლობა. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით ესადაგება საყოველთაოდ ცნობილი აღნიშვნების მითვისებას. მაგალითად, თუ გაყალბების გარეშე მარკირებული პროდუქტის ან მომსახურების ხარისხი მომხმარებელს უბიძგებს, რომ მოცემული სასაქონლო ნიშანი ასოციაციით დაუკავშიროს გარკვეულ წარმოშობას ან პროდუქტის ხარისხის დონეს, მისი უნებართვო გამოყენება სხვა საქონლის ან მომსახურებისათვის, თუმცა იგი არ იწვევს აღრევას წარმოშობის წყაროს მიმართ, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უკანონო მითვისება. ასეთი მიდგომა შეიძლება აგრეთვე პროდუქტის გარეგანი სახის მიმართ, მაგრამ ამ შემთხვევაში აღიარებული უნდა იქნეს, რომ გარეგანი სახე მიუთითებს ხარისხის, რეპუტაციის ან პრესტიჟის გარკვეულ დონეზე.⁸⁴¹

სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა მიდგომა გააჩნია ამგვარი უკანონო მითვისების მიმართ. მაგალითად, მაშინ, როცა საფრანგეთში სხვისი ნიშნის, ან პროდუქტის პრესტიჟის მითვისება, ჩვეულებრივ, განიხილება როგორც არაკეთილსინდისიერი ქმედება, ესპანეთში უკანონო მითვისების ასეთი სახეობა პირდაპირ იკრძალება ყოველგვარი წინაპირობის გარეშე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვის შესახებ 1991 წ. კანონის მე-

⁸³⁷ მამუკაშვილი დ., დასახელებული ნაშრომი, 128.

⁸³⁸ იქვე, 128.

⁸³⁹ ინტელექტუალური საკუთრება, დასახელებული ნაშრომი, 23.

⁸⁴⁰ იქვე, 457.

⁸⁴¹ იქვე, 457.

12 მუხლით. მესამე პირის მიერ მითვისების დასაშვებად გერმანიაში მოითხოვება, რომ ნიშნის მეორადი გამოყენება არ იყოს შესაძლებელი არანაირი მოსაზრებით. ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არსებობს პრინციპული ხასიათის წინააღმდეგობა მითვისებასთან დაკავშირებით, თუ არ არსებობს აღრევის შესაძლებლობა, მაგალითად, „სპონსორობის“ შემთხვევაში, როდესაც მხედველობაში მიიღება სასაქონლო ნიშნის პრესტიჟი.⁸⁴²

არც ისე დიდი ხანია, რაც ჩვენში ფეხი მოიკიდა თავისუფლად რეგულირებულმა სამომხმარებლო ბაზარმა, რომლის წარმატებით განვითარების მთავარი ბერკეტი მეწარმეთა კონკურენციაა. ხოლო იქ, სადაც შეჯიბრი არსებობს, მიუხედავად კეთილი ჩვევებისა, ტრადიციისა და დაწერილი თუ დაუწერიელი კანონებისა, არსებობს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებაც.⁸⁴³

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამწევი პირი, უპირველესად, ცდილობს მოატყუოს მომხმარებელი, რომლის განწყობაზეც არის დამოკიდებული საქმიანობის წარმატება. მაგრამ, ეკონომიკა ვერ იქნება დამოკიდებული იმაზე, გაერკვა თუ არა მომხმარებელი მეწარმის კეთილსინდისიერებაში. ეკონომიკის აღმავალი განვითარებისათვის საჭიროა მყარი საკანონმდებლო უზრუნველყოფა.⁸⁴⁴

საქართველოში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმკვეთი ნორმები სხვადასხვა კანონშია მოცემული.

მონოპოლიური საქმიანობა იკრძალება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებით, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კანონით დაშვებული ბუნებრივი მონოპოლიის შემთხვევაშიც არ ისპობა სახელმწიფოს ვალდებულება, ხელი შეუწყოს კონკურენციის განვითარებას,⁸⁴⁵ ვინაიდან თავისუფალი სამეწარმეო ურთიერთობის განვითარების მთავარ პირობას კონკურენტული საბაზრო გარემო წარმოადგენს. „მხოლოდ კონკურენციის პირობებშია შესაძლებელი სუბიექტის თავისუფალი წარმოშობა, საქმიანობა და არსებობის შეწყვეტა. კონკურენციის ხელის შეწყობით სახელმწიფო ახალისებს ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი სუბიექტების საქმიანობას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ჯანსაღი სამოქალაქო ბრუნვის ჩამოყალიბებას“.⁸⁴⁶

საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირება შემოღებულ იქნა 1992 წელს სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“, 1996 წელს მიღებულ იქნა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონი, რომელიც 2005 წელს გაუქმდა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის

⁸⁴² ინტელექტუალური საკუთრება, დასახელებული ნაშრომი, 457.

⁸⁴³ მამუკაშვილი დ., დასახელებული ნაშრომი, 128.

⁸⁴⁴ იქვე, 128.

⁸⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება, კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2009, ბათუმი, 2008, 98. 267.

⁸⁴⁶ იგივე გადაწყვეტილება, 98. 267.

შესახებ“ კანონით, რომელიც თითქმის არ შეიცავდა დებულებებს ეკონომიკური აგენტებისათვის დაშვებული ან აკრძალული ქმედებების თაობაზე. ეს უკანასკნელი კი ძალადაკარგულია ამჟამად მოქმედი „კონკურენციის შესახებ“ კანონით.

საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. ამავე კანონით განისაზღვრება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის არამართლზომიერად შემზღუდველი ქმედებები, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის დარღვევის თავიდან აცილებისა და აღკვეთის სამართლებრივი საფუძვლები და უფლებამოსილი ორგანოს კომპეტენცია.⁸⁴⁷

ამავე კანონის 11³-ე მუხლით რეგულირებულია ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების აკრძალვა. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია (მუხლი 11³.1.).

11³.2. მუხლის მიზნებისათვის არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება ეკონომიკური აგენტის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს, კერძოდ:

- ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა(მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს;
- ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა;
- გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია.
- დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება.
- ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება.
- ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რომ მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან მომხმარებლის ინტერესების უგულვებელყოფით იმოქმედოს.
- ზ) ბოიკოტისაკენ მოწოდება.

⁸⁴⁷ საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, 08 მაისი, 2012. მუხლი 1-2. <www.matsne.gov.ge> [02.04.1019].

საქართველოს კონკურენციის სააგენტო კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში ახდენს ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენას და შესაბამის რეაგირებას.

საქართველოს კონკურენციის სააგენტომ შპს „დ-ნ3-ის“ მიერ წარდგენილ საჩივარზე წარმოებული მოკვლევის ფარგლებში მიღებული მასალებისა და ინფორმაციების დამუშავების საფუძველზე, დაადასტურა შპს „დნას“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი, რომელიც სოციალურ ქსელ Facebook-ზე შპს „დ-ნ3-ის“ რეპუტაციისა და ინტერესის შემლახავი ცნობების გავრცელებაში გამოიხატება.

კანონდარღვევის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, შპს „დნას“ დაევალა – დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სოციალურ ქსელ Facebook-ის გვერდიდან იდენტური/მსგავსი პოსტის/პოსტების წაშლა, რომელიც მომხმარებელს შპს „დ-ნ3-ის“ შესახებ არასწორ ინფორმაციას აწვდის.⁸⁴⁸

ერთ-ერთ საქმეზე⁸⁴⁹ სააგენტომ სს კვლევითი ინსტიტუტის საჩივრის საფუძველზე კვლევის ინსტიტუტის მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11³-ე მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე წარმოებული მოკვლევის შედეგად სააგენტომ მოპასუხე მხარის ქმედებები „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით არ შეაფასა, ვინაიდან მომჩივანი მხარის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები. სააგენტომ დაავალდებულა მოპასუხე ეკონომიკური აგენტი, უზრუნველყოს კანონდარღვევის აღმოფხვრა და მომავალშიც არ დაუშვას და თავი შეიკავოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით – სს კვლევითი ინსტიტუტის შესახებ ისეთი ინფორმაციის გავრცელებისაგან (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს.

⁸⁴⁸<<http://competition.ge/ge/page4.php?b=609>> [14.03.19].

⁸⁴⁹<<http://competition.ge/ge/page4.php?b=609>> [14.03.19].

თავი 4

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამოქალაქო საპროცესო საშუალებები

ფიზიკური პირების მსგავსად, საკუთარი საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება აქვთ იურიდიულ პირებსაც (სსკ-ის 27.5 მუხლი), თუ ისინი თვლიან, რომ მათ შესახებ გავრცელებულია სახელის გამტეხი ცნობები, რომლებიც სინამდვილეს არ შეესაბამება.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, მაგრამ იმავდროულად არ უარყოფს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული და სხვა საყოველთაოდ აღიარებული ისეთი უფლებების და თავისუფლებების დაცვის აუცილებლობას, რომლებიც პირად არაქონებრივ უფლებებთან ასოცირდებიან.⁸⁵⁰

აღნიშნული კანონი ამჟამად ძირითადი და სპეციალური კანონია ქართულ კანონმდებლობაში, რომელიც ადგენს ყველაზე მეტად გავრცელებული დელიქტით – ცილისწამებისას იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის ხელყოფისას დაცვის არა მარტო მატერიალურ, არამედ პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

4.1. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა

სსსკ-ის მე-11 მუხლით დადგენილია, რომ სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება სამოქალაქო (ქონებრივი და პირადი არაქონებრივი) სამართალურთიერთობებიდან გამომდინარე დავები (საქმეები), იმ შემთხვევების გარდა, როცა ასეთი დავების განხილვა კანონით სხვა ორგანოს კომპეტენციაში შედის.

მაგალითად, სსკ-ის მე-18 მუხლით დადგენილი წესით არ შეიძლება განხილულ იქნეს მოთხოვნები იმ ცნობების უარყოფის შესახებ, რომლებიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და განაჩენებში, წინასწარი გამოძიების ორგანოების დადგენილებებში და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში, რომელთა გასაჩივრებისათვის გათვალისწინებულია კანონით დადგენილი სხვა წესი.⁸⁵¹

სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება დავა იმ ცნობების უარყოფის შესახებ, რომლებიც ასახულია სამსახურებრივ დახასიათებაში, რომლებიც დაინტერესებული პირის აზრით, ლახავენ მის პატივს, ღირსებას,

⁸⁵⁰ მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 231.

⁸⁵¹ თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 51.

საქმიან რეპუტაციას. ამ შემთხვევაში, მთავარია განისაზღვროს დაინტერესებული პირის მიზანი.

სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება მოთხოვნები პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების უარყოფის შესახებ, მიუხედავად იმისა, რა ფორმითა და საშუალებებით არის ისინი გავრცელებული (ზეპირად თუ წერილობით, ცალკეული პირის მიერ გავრცელდა, ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით, ტელევიზიით, თუ შრომითი კოლექტივის შეკრებაზე და ა.შ.).

კანონი არ ითვალისწინებს, რომ სავალდებულო წესით დაინტერესებულმა პირმა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების უარყოფის შესახებ მოთხოვნით წინასწარ მიმართოს მოპასუხეს, მათ შორის იმ შემთხვევაში, როცა სარჩელი აღძრულია ასეთი ცნობების გამავრცელებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიმართ, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს პრაქტიკაში.⁸⁵²

საპროცესო კანონმდებლობით იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის მოთხოვნით სარჩელის წარდგენისას განსაკუთრებული განსჯადობა არ არსებობს. სარჩელი სასამართლოს სსსკ-ის მე-15 მუხლის მიხედვით მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის ან მოპასუხე იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით წარედგინება. როცა საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები რესპუბლიკური მნიშვნელობის მედია საშუალებებით ვრცელდება, მოსარჩელეს ბუნებრივია უხდება სარჩელის თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენა, რაც მოსარჩელისთვის ყოველთვის არაა კომფორტული და ხელყოფს სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას.⁸⁵³

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაში, როცა საქმიანი რეპუტაციის შემლახველი განცხადება ქვეყნის გარეთ არსებულ ინტერნეტ-საიტზე გავრცელდა ან ეს უკანასკნელი არ არის დარეგისტრირებული მედიასაშუალებად. პირველ შემთხვევაში, საკითხი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობის დონეზე საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე უნდა გადაწყდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში დიფამაციისთვის პასუხისმგებლობა ვებ-გვერდის მფლობელს ან ადმინისტრატორს უნდა დაეკისროს,⁸⁵⁴ ვინაიდან მას აქვს საშუალება თვალი ადევნოს ინფორმაციას ვებ-გვერდზე და წაშალოს სინამდვილის შეუსაბამო ან შეურაცხმყოფელი ან ცილისმწამებლური ინფორმაცია.⁸⁵⁵

⁸⁵² თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 54.

⁸⁵³ იქვე, 54.

⁸⁵⁴ Гирин В.А., Отдельные проблемы правового регулирования споров о защите чести, достоинства и деловой репутации, Международный научный журнал, Молодой учёный, № 3 (241), Январь, 2019, 240.

⁸⁵⁵ Сидорова Е.Н., Процессуальные особенности защиты чести, достоинства и деловой репутации, Евразийская адвокатура, Международный научно-практический журнал, 2018. მოითხოვს: Гирин В.А., Отдельные проблемы правового регулирования споров о защите чести, достоинства и деловой репутации, Международный научный журнал, Молодой учёный, № 3 (241), Январь, 2019, 240.

4.2. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ სარჩელის თავისებურებანი

პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ხელყოფის თავიდან აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით.⁸⁵⁶ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დასაცავად სარჩელი შეიძლება შეიტანოს მისმა ორგანომ, რომელიც მოქმედებს კანონით, წესდებით ან დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ან მათმა წარმომადგენლებმა, რომელთა უფლებამოსილებაც განისაზღვრება ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ და დასტურდება მინდობილობით (სსსკ-ის 93-ე მუხლი და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავა არ შეიძლება ეხებოდეს სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას.⁸⁵⁷

თანამედროვე პერიოდში აქციონერთა უფლებების დასაცავად გამოიყენება დერივაციული სარჩელები.⁸⁵⁸ ასეთი სარჩელის წარდგენა ხდება იმ შემთხვევაში, როცა კორპორაციის მოთხოვნებს თვითონ კორპორაცია ან მისი კომპეტენტური ორგანო სხვადასხვა მიზეზების გამო არ იყენებს. ასეთი არაპირდაპირი სარჩელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ დირექტორების წინააღმდეგ, არამედ მესამე პირთა მიმართაც.⁸⁵⁹

დაინტერესებული პირის მიერ სარჩელის შეტანა სასამართლოში თავისთავად არ ნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმე აღიძვრება. იმისათვის, რომ სამოქალაქო საქმე აღიძრას, მოსამართლემ უნდა შეამოწმოს საქმის აღძვრის სტადიაზე სსსკ-ის 186-ე მუხლში მითითებული გარემოებების არსებობა ან არარსებობა, რომლებიც შეიძლება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს.⁸⁶⁰

იურიდიულ პირს – მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში მათ შესახებ გავრცელებული სახელის გამტეხი ცნობების უარყოფის მოთხოვნის გარდა, უფლება აქვთ მოითხოვონ მიყენებული ქონებრივი ან/და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი).

სასამართლო პრაქტიკაში ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა გაერთიანების სხვადასხვაგვარი ვარიანტი (შემთხვევა) გვხვდება, თუმცა ძირითადია (თავდაპირველია) ცნობების უარყოფის შესახებ მოთხოვნა, დანარჩენი მოთხოვნები კი თანმხლები (ნაწარმოები) მოთხოვნებია. მიუხედავად იმისა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითოეული ზემოაღნიშნული მოთხოვნის

⁸⁵⁶ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის 6.1. მუხლი.

⁸⁵⁷ იქვე, 3.2. მუხლი.

⁸⁵⁸ ჭანტურია ლ., „კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში“, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2006, 414-423.

⁸⁵⁹ იქვე, 415.

⁸⁶⁰ თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 54.

დამოუკიდებლად აღძვრა არ შეიძლება. მთავარია, რომ თითოეული მათგანის დასამტკიცებლად მოსარჩელემ მიუთითოს ის გარემოებები, რომლებიც ამ მოთხოვნებს ასაბუთებენ.⁸⁶¹

სასარჩელო განცხადებაში, რომელსაც მოსარჩელე მოპასუხის მიმართ წარადგენს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი პირობები: ა) ფაქტების მცდარობა (მოსარჩელის მტკიცების ტვირთი). ბ) ზიანის ფაქტი (უნდა არსებობდეს რაიმე შედეგი) და გ) გაცხადებული ფაქტების მცდარობის შესახებ ინფორმაცია მოპასუხისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან ამ უკანასკნელმა გამოიჩინა დაუდევრობა, რამაც ამ ინფორმაციის გავრცელება გამოიწვია. ჩამოთვლილი პირობებიდან ერთ-ერთის არარსებობის შემთხვევაში არ დადგება პირის პასუხისმგებლობა არაქონებრივი ზიანისთვის.⁸⁶²

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს ან/და რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული.

ზიანის ანაზღაურების საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია მოსარჩელემ სწორად განსაზღვროს პასუხისმგებლობის სუბიექტი.⁸⁶³ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირია, მაშინ ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქმე ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ/პალატამ უნდა განიხილოს. კერძოდ, მოსარჩელის მიერ უნდა მოხდეს დიფერენცირება იმის თაობაზე, მოთხოვნას აყენებს კონკრეტული პირის, როგორც თანამდებობის პირის თუ რიგითი მოქალაქის მიმართ.⁸⁶⁴

პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ საქმეებზე მოპასუხეა სახელის გამტეხი ცნობების გამავრცელებელი. ასეთი შეიძლება იყოს იურიდიული და ფიზიკური პირები. ეს პირები მოპასუხეებია იმდენად, რამდენადაც ივარაუდება (რა თქმა უნდა, მოსარჩელის აზრით), რომ აღნიშნულმა პირებმა თავიანთი ნებით გაავრცელეს მოსარჩელის სახელის გამტეხი ცნობები, რომლებიც სინამდვილეს არ შეესაბამება.⁸⁶⁵

მოპასუხის განსაზღვრის თვალსაზრისით გასათვალისწინებელია საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რომლის 6.2. მუხლის თანახმად, მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას,

⁸⁶¹ თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 62.

⁸⁶² სუს განჩინება, 16 მაისი, 2008, №ას-810-1129-07, მითითებულია: ჯორბენაძეს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 148.

⁸⁶³ სუხიტაშვილი დ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტები, მართლმსაჯულება და კანონი, №2(29)11, 95, მითითებულია: ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 138.

⁸⁶⁴ სუს განჩინება, 22 ოქტომბერი, 2009, №ას-711-1012-09, მითითებულია: ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 138.

⁸⁶⁵ თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 55.

მოპასუხეა მედიის მესაკუთრე. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, კი ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავისას არასათანადო მოპასუხეა პირი, რომელიც არ არის განცხადების ავტორი, ან რედაქტორი, ან პირი, რომელმაც ტექნიკურად უზრუნველყო განცხადების გავრცელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის აშკარად და პირდაპირ უჭერს მხარს განცხადებას.⁸⁶⁶

ავტორთა მოსაზრებით, ზემოაღნიშნულ ნორმათა პრაქტიკაში გამოყენებისას გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება. სამართლებრივად არაზუსტია ტერმინი-„მედიის მესაკუთრე“. უმჯობესი იქნებოდა ის შეცვლილიყო ტერმინით-„მედიის დამფუძნებელი“, რაც სამართლებრივად უფრო სწორი იქნებოდა. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული მუხლის მე-5 ნაწილის ლოგიკური განმარტებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოცემული კატეგორიის საქმეებზე დაიშვება საპროცესო თანამონაწილეობა მოპასუხის მხარეზე, ვინაიდან, ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავისას, მედიის მესაკუთრესთან (დამფუძნებელთან) ერთად სათანადო მოპასუხედ ითვლება განცხადების ავტორი ან რედაქტორი (რედაქცია) და ასევე ის პირიც, რომელმაც ტექნიკურად უზრუნველყო განცხადების გავრცელება იმ შემთხვევაში, როცა ის აშკარად და პირდაპირ უჭერს მხარს განცხადებას.⁸⁶⁷

მედიის დამფუძნებელი (მესაკუთრე) მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მოპასუხე, როდესაც მედია არ არის იურიდიული პირი.

ამდენად, ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის განხილვის დროს თანამოპასუხეებია განცხადების ავტორი ან რედაქტორი და მედია, როგორც იურიდიული პირი, ხოლო თუ მედია არ არის იურიდიული პირი, მაშინ თანამოპასუხეები იქნებიან განცხადების ავტორი და მედიის მესაკუთრე (დამფუძნებელი).⁸⁶⁸

როგორც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-6 მუხლიდან ჩანს, იგი სპეციალურად მიუთითებს ვალდებულების განსაკუთრებულ სუბიექტზე. კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მედიაში ჟურნალისტის მიერ ცილისწამების საკითხთან დაკავშირებით მოპასუხე მხარეს წარმოადგენს მედიის მესაკუთრე.⁸⁶⁹ აღნიშნული, ერთი მხრივ, გამომდინარეობს ჟურნალისტსა და მედია საშუალებას შორის არსებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან, თუმცა, მეორე მხრივ, იგი გარკვეულწილად შეუსაბამოა ამავე მუხლის მე-5 პუნქტთან, რომელშიც არასათანადო მოპასუხის საკითხია განსაზღვრული.⁸⁷⁰

⁸⁶⁶ თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 55.

⁸⁶⁷ იქვე, 55.

⁸⁶⁸ იქვე, 55.

⁸⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. მითითებულია: ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 2017, 138.

⁸⁷⁰ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 2017, 138.

კერძო და საჯარო პირის ცილისწამების საკითხის განხილვისას ამოსავალი წერტილია არა ის, თუ ვინაა განცხადების ავტორი (ცილისწამების განმახორციელებელი), არამედ ის, ვინაა გავრცელებული განცხადების ადრესატი.⁸⁷¹

მედიის ინტერესებს წარმოადგენენ მათი რედაქციები, რადგან სწორედ მთავარი რედაქტორი, როგორც მედიის ხელმძღვანელი, წარმოადგენს მას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობებში, აგრეთვე სასამართლოში. ამიტომ, თუ სარჩელი შეიცავს მედიაში გავრცელებული ცნობების უარყოფის შესახებ მოთხოვნას, მოპასუხედ უნდა ჩაებას ავტორი და შესაბამისი მედიის (მასობრივი ინფორმაციის საშუალების) რედაქცია. თუ სახელის გამტეხი ცნობები გამოქვეყნებულია პირობითი სახელით ან ავტორის სახელის მითითების გარეშე (მაგალითად, სარედაქციო სტატიაში), საქმეზე მოპასუხედ უნდა ჩაებას შესაბამისი მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქცია. თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქცია არ არის იურიდიული პირი, საქმეში მოპასუხედ მონაწილეობისათვის უნდა ჩაერთოს მოცემული მასობრივი ინფორმაციის საშუალების დამფუძნებელი (მესაკუთრე).⁸⁷²

რე უმაღლესმა სასამართლომ არაერთ აქტში აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როცა ვერ დგინდება პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახავი პირი, განცხადება ასეთი ინფორმაციის არანამდვილად ცნობის (უარყოფის) შესახებ განიხილება განსაკუთრებული წარმოების წესით. თუ განხილვის პროცესში გამოვლინდება შემლახავი ინფორმაციის გამავრცელებელი სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს.⁸⁷³

მიზანშეწონილია კანონით მოწესრიგდეს პასუხისმგებლობის საკითხი ანონიმური ცნობების გავრცელების შემთხვევაში, როდესაც საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გამავრცელებლის დადგენა შეუძლებელია. მართებული იქნება, ასეთ შემთხვევაში პირმა უდავო წარმოების წესით დაიცვას თავისი ინტერესი.

მიგვაჩნია, რომ საპროცესო სამართალი, აგებულია რა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე მოსარჩელესა და ლეგალურად ქმედების ჩამდენს (მოპასუხეს) შორის დავას მხარეთა თანასწორობის საწყისებზე წყვეტს და ეს უკანასკნელი სრულყოფილი საპროცესო საშუალებებით იცავს თავს მოსარჩელისგან. უდავო წარმოების წესით ამგვარი შესაძლებლობა არ არსებობს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელმყოფმა (პოტენციურმა მოპასუხემ) ანონიმურობით თავად შექმნა ვითარება, რომელიც საქმიანი რეპუტაციის ხელყოფის სასურველ მიზანს მიაღწევინებს და ამასთან

⁸⁷¹ სუს განჩინება, 30 აპრილი, 2015, №ას-1179-1124-2013, მითითებულია: ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 2017, 138.

⁸⁷² თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 56.

⁸⁷³ Гирин В.А., Отдельные проблемы правового регулирования споров о защите чести, достоинства и деловой репутации, Международный научный журнал, Молодой учёный, № 3 (241), Январь, 2019, 240.

პასუხისმგებლობას თავიდან ააცილებს. ვფიქრობთ, სამართალმა ასეთი თვითნებობა არ უნდა დაუშვას და უნდა შექმნას თუნდაც ნაკლიანი, არასრულყოფილი მექანიზმი ხელყოფილი უფლების ნაწილობრივ აღსადგენად. მართალია, უდავო წარმოების შედეგად განმცხადებელი კანონით გათვალისწინებული დაცვის საშუალებებით ვერ ისარგებლებს, მაგრამ იმ ფაქტის დადგენა, რომ გავრცელებული ინფორმაცია არასწორია და არ შეესაბამება სინამდვილეს მოახდენს იურიდიული პირის რეპუტაციის რეაბილიტაციას საზოგადოების თვალში და შესაბამისად, უზრუნველყოფს ხელყოფილი უფლების ნაწილობრივ აღდგენას.

რედაქცია, მთავარი რედაქტორი, ჟურნალისტი პასუხისმგებლობისაგან პირობით ნაწილობრივ თავისუფლდება იმ ცნობების გავრცელებისათვის, რომლებიც არ შეესაბამება სინამდვილეს და ლახავს ფიზიკური პირის პატივსა და ღირსებას ან ფიზიკური პირის ანდა ორგანიზაციის საქმიან რეპუტაციას (კვალიფიციური პრივილეგია ცილისწამებისათვის – სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-15 მუხლი), თუ:

- ა) მან მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომების თავიდან აცილება და განახორციელა ქმედითი ღონისძიებები ცილისწამებით დაზარალებული პირის რეპუტაციის აღსადგენად;
- ბ) იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს;
- გ) მან განცხადება გააკეთა მოსარჩელის თანხმობით;
- დ) მისი განცხადება წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ მის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებაზე თანაზომიერ პასუხს;
- ე) მისი განცხადება წარმოადგენდა სამართლიან და ზუსტ რეპორტაჟს იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადებისგან განსხვავებით, რომელიც ფაქტობრივად ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ბრალის გარეშე (აქ აღსანიშნავია, რომ პირადი არაქონებრივი სიკეთეების დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმოყოფის ბრალისა), სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-16 მუხლი უშვებს პასუხისმგებლობას მხოლოდ ბრალის შემთხვევაში, კერძოდ, მასში აღნიშნულია, რომ პირს ცილისწამებისათვის არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა.

რედაქციას, მთავარ რედაქტორს, ჟურნალისტს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ ცნობების გავრცელებისათვის, რომლებიც არ შეესაბამება სინამდვილეს და ლახავს ფიზიკური პირის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას, ან იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციას, თუ:

- ა) ეს ცნობები მიღებულია საინფორმაციო სააგენტოებისაგან;
- ბ) მათში სიტყვასიტყვითაა გადმოცემული ცნობები და მასალები ან მათი ფრაგმენტები, რომლებიც გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით, რომელიც შეიძლება დადგინდეს

და რომელსაც შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა კანონმდებლობის მოცემული დარღვევისათვის;

- გ) ისინი ასახულია საავტორო ნაწარმოებებში, რომლებიც წინასწარი ჩაწერის გარეშე გადის ეთერში, ან ასახულია ტექსტებში, რომლებიც კანონის შესაბამისად რედაქტირებას არ ექვემდებარება;
- დ) მათში სიტყვასიტყვითაა გადმოცემული სხდომებსა და სესიებზე დეკლარაცია, სხდომების, კონფერენციების დელეგატთა გამოსვლების ფრაგმენტები, აგრეთვე ასახულია სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირთა ოფიციალური გამოსვლები;
- ე) ისინი ასახულია ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხში ან სახელმწიფო ორგანოთა პრეს-სამსახურების მასალებში.⁸⁷⁴

აქედან გამომდინარე, ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მოპასუხედ უნდა ჩაებას (პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს) პირი, რომელიც ინფორმაციის წყაროა. რედაქციას და ავტორს პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ, იმიტომ რომ ისინი არ არიან ვალდებული შეამოწმონ ასეთ შემთხვევებში გავრცელებული ცნობების უტყუარობა. ასეთი შესაძლებლობის გამოყენება კი დაიშვება მხოლოდ იმ ცნობების, მასალების ან მათი ფრაგმენტების სიტყვასიტყვით გადმოცემის დროს.⁸⁷⁵

რედაქცია, მთავარი რედაქტორი, ჟურნალისტი არ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული წყაროებიდან მიღებულ ცნობებს ისინი ამატებენ ახალ ცნობებს, რომლებიც ეხება იმ პროცესებსა და მოვლენებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია ამოღებულია ამ წყაროებიდან და შემდეგ სინამდვილის შეუსაბამო და ფიზიკური და იურიდიული პირების პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავად არის მიჩნეული.⁸⁷⁶

ავტორთა მოსაზრებით, მოპასუხედ მოცემულ საქმეში ჩაბმული უნდა იყოს ის პირიც, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს და რედაქციაც, მთავარი რედაქტორი, ჟურნალისტი, რადგან ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია დადგინდეს, ხომ არ არის შეტანილი დამატებები ინფორმაციის გავრცელების დროს ზემოაღნიშნული წყაროებიდან მიღებულ ცნობებზე, ხოლო ეს მხოლოდ მთავარ სხდომაზეა შესაძლებელი. ამ გარემოების გამორკვევის შედეგების მიხედვით, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს აღნიშნული პირების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხი.⁸⁷⁷

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქციის მოპასუხედ ჩაბმის აუცილებლობა იმითაცაა განპირობებული, რომ დაზარალებულის სარჩელის დაკმაყოფილების დროს, მას შეიძლება დაეკისროს სასამართლო

⁸⁷⁴ თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 58.

⁸⁷⁵ იქვე, 58.

⁸⁷⁶ იქვე, 58.

⁸⁷⁷ იქვე, 59.

გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების ვალდებულება იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს მისი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი საფუძველი.⁸⁷⁸

ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავისას არასათანადო მოპასუხეა პირი, რომელიც არ არის განცხადების ავტორი ან რედაქტორი, ან პირი, რომელმაც ტექნიკურად უზრუნველყო განცხადების გავრცელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის აშკარად და პირდაპირ უჭერს მხარს განცხადებას.⁸⁷⁹

ისევე, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალება, მოპასუხედ შეიძლება ჩაეხსნას ნებისმიერი სხვა იურიდიული და ფიზიკური პირი, რომელმაც გაავრცელა სახელის გამტეხი ცნობები. მაგალითად, სარჩელებზე, რომლებითაც პირი მოითხოვს სამსახურებრივ დახასიათებაში გადმოცემული სახელის გამტეხი ცნობების უარყოფას, მოპასუხეა ის, ვინც ხელი მოაწერა დახასიათებას და ის დაწესებულება (ორგანიზაცია, საწარმო), რომლის სახელითაც გაცემულია დახასიათება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემული კატეგორიის საქმეებზე შეიძლება ადგილი ჰქონდეს საპროცესო თანამონაწილეობას, უფრო ხშირად ეს ხდება მოპასუხის მხარეზე. ეს იმით აიხსნება, რომ მოცემულ შემთხვევებში სასამართლოს არა აქვს შესაძლებლობა და უფლება ურთიერთობათა ყველა მონაწილის ჩაბმის გარეშე განიხილოს და დავა არსებითად გადაწყვიტოს. ეს, პირველ ყოვლისა, იქიდან გამომდინარეობს, რომ ზიანის ერთობლივად მიმყენებელ პირებს ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა (სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი) და მხოლოდ დაზარალებულის მოთხოვნით და მისი ინტერესებიდან გამომდინარე სასამართლოს აქვს უფლება დააკისროს მათ წილობრივი პასუხისმგებლობა.⁸⁸⁰

მოცემული კატეგორიის საქმეებზე ხშირად ხდება, რომ სახელის გამტეხი ცნობები შეიძლება გავრცელებული იყოს რამდენიმე პირის მიერ ან რამდენიმე პირის შესახებ, ან ერთდროულად რამდენიმე პირმა გაავრცელოს რამდენიმეს შესახებ. მაგალითად, საპროცესო თანამონაწილეობასთან გვექნება საქმე, როცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ქვეყნდება მკითხველთა სხვადასხვა წერილი. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხედ უნდა ჩაეხსნას მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქცია, აგრეთვე წერილის ავტორი, რადგან თავად ფაქტი რედაქციაში წერილის გაგზავნისა, წარმოადგენს მოქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს ცნობების გავრცელებას.⁸⁸¹

მოცემული კატეგორიის საქმეებზე სასამართლომ სსსკ-ის 205-ე მუხლით გათვალისწინებული მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის შემთხვევების (პირობების) გარდა, მოსამზადებელი სხდომა შეიძლება დანიშნოს სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ კანონის 5.1.

⁸⁷⁸ თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 59.

⁸⁷⁹ სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ კანონის 5.6. მუხლი.

⁸⁸⁰ თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 60.

⁸⁸¹ იქვე, 60.

მუხლით გათვალისწინებული პირობის (ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები) არსებობისას. ასეთი გარემოებების დადასტურებისას სასამართლოს გამოაქვს საქართველოს სსკ-ის 209-ე და 273-ე მუხლებით გათვალისწინებული განჩინება (ე.ი. შეწყვეტს საქმისწარმოებას). ამ შემთხვევაში საქმეს სასამართლო შეწყვეტს თავისი ინიციატივით. მოცემული საფუძველი საქმისწარმოების შეწყვეტის კერძო შემთხვევას წარმოადგენს.⁸⁸²

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-6 მუხლის თანახმად, ცილისწამების შესახებ სასამართლო დავისას სასამართლო იღებს ზომებს მხარეთა მოსარიგებლად. მას უფლება აქვს გადადოს საქმის განხილვა და მორიგებისათვის დანიშნოს ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს.

4.3. მტკიცების ტვირთი იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვისას

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამოქალაქო საპროცესო საშუალებების განხილვისას მნიშვნელოვანი მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხია.

სპეციალური კანონის მე-7 მუხლი ახდენს მტკიცების სტანდარტისა და ტვირთის რეგლამენტაციას. ამ კანონის 7.2. მუხლით ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შეზღუდვისას ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ამ უფლებების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ, ხოლო 7.6. მუხლის შესაბამისად, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.

ცილისწამებისას მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება.

პირმა, რომელსაც მიაჩნია, რომ მას ცილი დასწამეს, უნდა დაასაბუთოს გავრცელებული ფაქტების მცდარობა და ზიანის მიყენების ფაქტი.⁸⁸³ მოსარჩელეს ეკისრება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცების ტვირთი: 1. სადავო განცხადების გამავრცელებლის (მოპასუხის) დასაბუთება; 2. განცხადებით მოსარჩელის არაქონებრივი უფლებების შელახვის საკითხი; 3. ფაქტების სიმართლესთან შეუსაბამობა; 4. გამოხატვის თავისუფლების ფარგლების (თანაზომიერების პრინციპის) განსაზღვრა; 5. მიყენებული ზიანის დადასტურება.⁸⁸⁴ არ შეიძლება ჩამოთვლილთაგან რომელიმეს მტკიცების ტვირთის სახით მოპასუხის მიმართ შებრუნება.⁸⁸⁵ მაგალითად,

⁸⁸² თოდუა მ., ქურდაძე შ., დასახელებული ნაშრომი, 65.

⁸⁸³ სუს განჩინება 14 იანვარი, 2008, №ას-564-905-07.

⁸⁸⁴ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 2017, 125.

⁸⁸⁵ სუს განჩინება, 3 აპრილი, 2012, №ას-1477-1489-2011.

პირმა, რომელმაც მედიასაშუალებების მიერ გავრცელებულ სარედაქციო ჩანაწერთან დაკავშირებით, რომელზე დაყრდნობითაც პირი მიიჩნევს, რომ მის მიმართ განხორციელდა ცილისწამება, უნდა წარადგინოს საპასუხო მტკიცებულებები, რითაც დაადასტურებს გავრცელებული ინფორმაციის უზუსტობას.⁸⁸⁶

ისეთი მტკიცებულების წარდგენა, რომელიც ინტერნეტის საშუალებითაა გავრცელებული, უმეტეს შემთხვევაში დამატებით სირთულეებთანაა დაკავშირებული.⁸⁸⁷ კერძოდ, მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ სწორედ მოპასუხეა ის პირი, ვინც ინტერნეტში შესაბამისი ინფორმაცია განათავსა და სხვ.⁸⁸⁸

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შესახებ წარმოებულ ერთ-ერთ საქმეში⁸⁸⁹ მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით სასამართლომ გაიზიარა ევროსასამართლოს პოზიცია McVicar-ის საქმეში, რომ მე-10 მუხლთან პრინციპულად შეუთავსებელი არ იყო ცილისწამების საქმეებზე მოპასუხისათვის დიფამაციური განცხადებების სიმართლის მტკიცების დაკისრება. სასამართლომ მიუთითა Bladet Tromso and Stensaas-ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, სადაც მან განმარტა, რომ გაზეთის გავრცელებამდე ფაქტების შესახებ განცხადებების გადამოწმება წარმოადგენდა სრულიად ორდინარულ ვალდებულებას. ევროსასამართლოს მიდგომა მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით არ არის იმგვარი, რომ ფაქტების სისწორის მტკიცება ყოველთვის მოპასუხეს ეკისრებოდეს (მაგალითად, სახელმწიფო მოხელეთა მიერ აღძრულ საჩივრებში ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ტვირთის დაკისრება აზრის გამომხატველისთვის წარმოადგენს მე-10 მუხლის დარღვევას), არამედ პირიქით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟურნალისტმა თავისი „მოვალეობისა და პასუხისმგებლობის“ შესრულება უნდა დაამტკიცოს.

სხვა საქმეში,⁸⁹⁰ სასამართლომ აღნიშნა, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, კერძო პირის მიმართ ცილისწამებისათვის მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრისას **მოსარჩელეს ეკისრება ტვირთი დაამტკიცოს**, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

საყურადღებოა პროფ. ე. გოცირიძის მოსაზრება, რომ მითითებული კანონით (იგულისხმება კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ) დადგენილია პრინციპი, რომ **ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ და, მაშასადამე, რეპუტაციის უფლების საზიანოდ**. მაგრამ მთავარი ისაა, რომ სასამართლო პროცესზე მტკიცების ტვირთი ეკისრება რეპუტაციაშელახულ პირს. მას

⁸⁸⁶ სუს განჩინება, 19 მარტი 2007, №ას-385-789-06.

⁸⁸⁷ სუს განჩინება, 10 ოქტომბერი, 2013, #ას-1378-1300-2012.

⁸⁸⁸ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 2017, 124.

⁸⁸⁹ სუს გადაწყვეტილება 26 ივლისი, 2017, №ას-1011-972-2016.

⁸⁹⁰ სუს განჩინება 20 მაისი, 2016, №ას-625-593-2014.

ევალუბა დაამტკიცოს, თანაც უტყუარად, რომ განცხადება შეიცავდა ცილისწამებას. მტკიცების ტვირთის მოსარჩელისათვის დაკისრება, ფაქტობრივად, გულისხმობს ერთგვარი პრეზუმფციის დაშვებას, რომ სახელის გამტეხი ცნობები სინამდვილეს შეესაბამება, სანამ მოსარჩელე არ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს. ასეთი პრეზუმფციის დაშვება ძნელად თუ შეესატყვისება ადამიანის პატივის „ხელშეუვალობას“, რაც კონსტიტუციის მე-17 მუხლით არის გარანტირებული⁸⁹¹ ეს წესი არ არის სამართლიანი წესი. ვინაიდან ისედაც უფლებამწიკვალ პირს აყენებს თავის მართლების პოზიციში.⁸⁹²

მტკიცების ტვირთის მოსარჩელისათვის დაკისრებისა და რეპუტაციის უფლებასთან შედარებით გამოხატვის თავისუფლებისათვის პრიორიტეტის მინიჭების საკითხებში საქართველო მიდგომები იმეორებს აშშ-ში დამკვიდრებულ პოზიციებს. ევროპული სასამართლოს პოზიციები კი გაცილებით ზომიერია. რეპუტაციის უფლების საზიანოდ გამოხატვის თავისუფლების გადამეტებულ დაცვას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, მათ შორის აშშ-ში, ევროპასა და თვით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რასაც შესაბამის საქმეებზე უმცირესობაში დარჩენილი მოსამართლეების განსხვავებულ აზრთა დიდი რაოდენობაც მოწმობს... საკმაოდ მომწიფებელია აზრი, რომ პიროვნების რეპუტაცია უკეთ დაცვას იმსახურებს.⁸⁹³

მიგვაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი განსაკუთრებული წესით უნდა შეიცვალოს. მტკიცების ტვირთის სრულად დაზარალებულზე (მოსარჩელეზე) დაკისრება მეტისმეტად ამძიმებს ამ უკანასკნელის მდგომარეობას და აშკარად უსამართლოა. ამასთან, გვინდა დავაზუსტოთ, რომ მოსარჩელე მთლიანად კი არ უნდა განთავისუფლდეს მის მიერ მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან, არამედ, ნაწილობრივ, კერძოდ, მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ქმედების მართლწინააღმდეგობა, ზიანის არსებობა, ზიანის ოდენობა, ხოლო გავრცელებული ფაქტის შემცველი ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამება თუ არა მოპასუხის სამტკიცებელი უნდა იყოს.

ცილისწამებით ხელყოფილი პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის დაცვისათვის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლით დადგენილია ხანდაზმულობის სპეციალური 100 დღიანი ვადა. მისი ათვლა იწყება იმ დღიდან როცა პირი გაცნო ცილისწამებლურ განცხადებას ან შეეძლო გაცნობოდა მას.

⁸⁹¹ გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 115.

⁸⁹² ქურდაძე გ., დასახელებული ნაშრომი, 41.

⁸⁹³ გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომც. შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 115.

უხამსობის დროს, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კანონით დაცული უფლების შეზღუდვის შესახებ, მოსარჩელის მოთხოვნა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. შეზღუდვის მტკიცების ტვირთი კი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს.

ამასთან, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების სასარგებლოდ. ცილისწამებისაგან განსხვავებით, უხამსობით შელახული პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვაზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა. ამასთან, კანონით არ არის აკრძალული და ამდენად, დასაშვებია, მოპასუხის იძულება ბოდიშის მოხდასთან დაკავშირებით, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს, როგორც ქონებრივი ისე მორალური ზიანის ანაზღაურება.⁸⁹⁴

განსხვავებით სპეციალური კანონისგან, **მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მიხედვით**, განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება, ან უარყოფის თაობაზე მოთხოვნა შესაძლებელია დაყენებულ იქნეს განცხადების გამოქვეყნებიდან/ფაქტის მოყვანიდან ათი დღის ვადაში.⁸⁹⁵ უარყოფა უნდა განხორციელდეს საწყისი განცხადების ხანგრძლივობით, დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება და იმავე პერიოდულობით.⁸⁹⁶ ასეთი ფაქტის დადგენის შემთხვევაში **ჟურნალისტის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა უშუალოდ მაუწყებლის პრეროგატივაა**⁸⁹⁷ და დაინტერესებული პირის მიერ ჟურნალისტის პასუხისმგებლობის თაობაზე დაყენებული მოთხოვნა სამართლებრივ საფუძველს იქნება მოკლებული. ამასთან, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის შესაბამისად, მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმით საჩივრის განხილვის შემთხვევაში საჩივრის ავტორს წარმოეშობა უფლება, თვითრეგულირების მექანიზმის სააპელაციო ორგანოში გაასაჩივროს განხილული საკითხი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან სასამართლოს მიმართოს შესაბამისი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით იგი ვერ მიმართავს⁸⁹⁸ და ასეთ საჩივარს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო არ მიიღებს.⁸⁹⁹

არაქონებრივ დავებზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, სამოქალაქო-საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, შესაბამისი ინსტანციების მიხედვით,

⁸⁹⁴ მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2013, 231.

⁸⁹⁵ ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 2017, 145.

⁸⁹⁶ იქვე, 123.

⁸⁹⁷ ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ., მედია სამართალი, თბ., 2014, 154.

⁸⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მითითებულია: ჯორბენაძეს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 149.

⁸⁹⁹ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 7 დეკემბრის №776/23 გადაწყვეტილება, მითითებულია: ჯორბენაძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017., 149.

100, 150 და 300 ლარია, თუ არაქონებრივი დავიდან ქონებრივი დავა არ გამომდინარეობს და თუ ეს უკანასკნელი 100 ლარს არ აღემატება.⁹⁰⁰ ამასთან, საკასაციო საჩივრის შეტანისას არაქონებრივ დავაზე დასაშვებობის საკითხი დასახელებული კოდექსის 391-ე მუხლიდან გამომდინარე განისაზღვრება. კერძოდ, სსსკ-ის 391.4. მუხლის მიხედვით, არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე, ხოლო სხვა არაქონებრივ დავებზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ამავე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით განიხილება.

⁹⁰⁰ სსსკ-ის 39-ე მუხლის „თ“ პუნქტი, 40.2. მუხლი.

სამართლებრივი დასკვნა

- ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაზიარებულია მოსაზრება, რომ ზოგიერთ არამატერიალურ სიკეთეს, მათ შორის კომერციულ სახელს და საქმიან რეპუტაციას აქვს, როგორც არაქონებრივი, ისე ქონებრივი ღირებულება. მიგვაჩნია, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია, როგორც არამატერიალური არაქონებრივი სიკეთე სახელის მსგავსად, ორგვარი სამართლებრივი ბუნებისაა. იგი ზოგჯერ ბრუნვაუნარიანია კერძოდ, მისი გასხვისება იურიდიულ პირთან ერთად შესაძლებელია. სახელის მსგავსად მარტოდენ საქმიანი რეპუტაცია არ შეიძლება დამოუკიდებლად გადაეცეს მესამე პირებს. საქმიანი რეპუტაცია გადაცემადი და გასხვისებადია მხოლოდ სამეწარმეო სფეროში. გუდვილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტია, რომელიც ხელს უწყობს ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტების ეკონომიკურ სარგებლიანობას კონკურენტულ ურთიერთობათა პროცესში. გუდვილი და რეპუტაცია ორივე არამატერიალური სიკეთეა, მხოლოდ გუდვილი ქონებრივი სიკეთეა, რეპუტაცია კი პირადი არაქონებრივი უფლება, რომელიც ზოგჯერ, შეიძლება განვიხილოთ არამატერიალურ ქონებრივ უფლებად. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია უფლების არამატერიალური, ბრუნვაუნარიანი, შეფასებადი ობიექტია, რომელიც მოიცავს, როგორც არაქონებრივ, ისე ქონებრივ კომპონენტებს.

ნაშრომში აღვნიშნეთ, რომ გუდვილი საერთო სამართლის ქვეყნებში წარმოიშვა, როგორც სამართლებრივ-ეკონომიკური კატეგორია, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში იმ კრიტერიუმებს, რასაც გუდვილი მოიცავს, საქმიანი რეპუტაციის ცნებაში მოიაზრებენ. ამიტომაცაა რუსულ დოქტრინაში საქმიანი რეპუტაციის განკარგვის შესაძლებლობაზე საუბარი მაგ. კომერციული კონცესიის (იგივე ფრენშაიზინგის) ხელშეკრულების საფუძველზე. კონტინენტური ევროპის ქვეყნებისთვის გუდვილი სიახლეა, რომელიც ჯერ-ჯერობით საბუღალტრო სფეროში ფიქსირდება, თუმცა განსხვავებული სამართლის ოჯახის ცივილისტები არ უარყოფენ, რომ საქმიანი რეპუტაცია შედის გუდვილის შემადგენლობაში. გამომდინარე აღნიშნულიდან, ლოგიკურია, თუკი გუდვილი შეფასებადი სიდიდეა, ხოლო საქმიანი რეპუტაცია გუდვილის ნაწილია, გუდვილის ფასში სხვა ელემენტებთან ერთად საქმიანი რეპუტაციის ღირებულებაც მოიაზრება.

საბოლოოდ, უნდა დავასკვნათ, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია, როგორც არამატერიალური ობიექტი მოიცავს, როგორც არაქონებრივ, ისე ქონებრივ კომპონენტებს. როგორც არამატერიალური არაქონებრივი სიკეთე, იგი ბრუნვაუნარო და სამართლით დაცული ობიექტია, ხოლო, როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთე ბრუნვაუნარიანი ობიექტია სსკ-ის მე-7 მუხლის გაგებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანი

რეპუტაცია არამატერიალური, არაქონებრივი შინაარსისაა, ხოლო სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირების-არამატერიალური, ქონებრივი შინაარსის.

მართალია, აღიარებული მოსაზრებების თანახმად, სამართალი არ არეგულირებს საქმიანი რეპუტაციის წარმოშობასა და გამოყენებასთან (სარგებლობასთან) დაკავშირებულ ურთიერთობებს, არამედ, აწესრიგებს მხოლოდ მის დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, მაგრამ გამონაკლისი ალბათ ამ შემთხვევაშიც დასაშვებია. ნაშრომში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, ვინაიდან იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია სახელის მსგავსად, ზოგჯერ, ორგვარი სამართლებრივი ბუნებისაა. კომერციულ ურთიერთობებში იგი ბრუნვაუნარიანი, ქონებრივი შინაარსის მქონე სიკეთეა. აღნიშნული ურთიერთობები კი სამართლებრივი რეგულირების სფეროში შედის. მაშასადამე, ამ კონტექსტში სამართალი არა მხოლოდ იცავს, არამედ, არეგულირებს კიდევ იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

2. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საქმიანი რეპუტაცია შეიძლება განიმარტოს, როგორც ფიზიკური თუ იურიდიული პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების მაიგივებელი საზოგადოებრივი შეფასება. არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად რეპუტაციის საზოგადოებრივ, პროფესიულ და საქმიან რეპუტაციად დიფერენციაცია, ვინაიდან, ვთვლით, რომ საზოგადოებრივი და პროფესიული ქმედებებიც საქმიანობაა განსხვავებული მიზნებით და მათი განმხორციელებელი სუბიექტის სტატუსის მიუხედავად მითითებულ დეფინიციაში თავსდება.
3. ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ადამიანის ღირსების ძირითადი უფლებით გარანტირებული დაცვა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე. მათ აქვთ მხოლოდ რეპუტაციის დაცვის უფლება. ადამიანის ღირსება, როგორც ფასეულობა, მნიშვნელოვნად აღემატება „პატივის“ უფლებას, რომელიც, ფაქტობრივად, საზოგადოების თვალში ადამიანის რეპუტაციის დაცვას გულისხმობს. საქმიანი რეპუტაცია სხვა არაქონებრივ უფლებათაგან ყველაზე მეტ „სიახლოვეს“ პატივთან ავლენს, გერმანულ სამართალში იურიდიული პირის პატივი დამკვიდრებულია. „პატივი“, ღირსებისაგან განსხვავებით, საქმიანი და მორალური რეპუტაციის გაგებით, გააჩნიათ იურიდიულ პირებსაც.
4. მიზანშეწონილი და აუცილებელია სსკ-ის მე-18 მუხლის მეოთხე ნაწილში შევიდეს ცვლილება და იგი შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს: „პირს, რომლის პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.
5. გასაზიარებელია მოსაზრება, რომ სსკ-ის 27.5. მუხლის დანაწესი ვრცელდება როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო იურიდიულ პირებზე, ამიტომ საკანონმდებლო ცვლილების გზით სსკ-ის 27-ე მუხლის მეხუთე ნაწილმა, უნდა დაიმკვიდროს თავისი კუთვნილი

ადგილი სამოქალაქო კოდექსის იურიდიულ პირთა შესახებ მეორე თავის ზოგად დებულებებში.

6. მიგვაჩნია, რომ ნაშრომში განხორციელებული კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე და შედეგი იურიდიული პირისათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის დასაბუთება წარმოადგენს. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების შელახვისას როგორც მატერიალური, ასევე არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველს.⁹⁰¹ სსკ-ის 27.5.-ე მუხლი აკონკრეტებს სსკ-ის მე-18 მუხლით დაცულ სიკეთეებს იურიდიული პირის მიმართ და მე-18 მუხლის მოქმედებას მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის დაცვაზე ავრცელებს. თუმცა სასამართლო პრაქტიკა ამ თემაზე მკაცრად თანმიმდევრული და სტაბილური და იურიდიული პირის მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხში კატეგორიულად უარყოფითია. კვლევამ ცალსახად აჩვენა, რომ სასამართლო პრაქტიკის მიერ სამართლებრივი რეგულაციების შეზღუდვა და იურიდიული პირის მიმართ არგამოყენება დისკრინაციულ მდგომარეობაში აყენებს იურიდიულ პირს ფიზიკურ პირთან შედარებით, გარკვეულწილად არღვევს კანონის მოთხოვნებს და ართმევს იურიდიულ პირს საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში დარღვეული უფლების სრულყოფილად დაცვის შესაძლებლობას.

აბსოლუტურად ვიზიარებთ დოქტრინის და სასამართლო პრაქტიკის მოსაზრებებს, რომ იურიდიული პირისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება მორალური ზიანის „კლასიკური“ შინაარსით იურიდიული პირების მიმართ ვერ იქნება გამოყენებული, რადგან იურიდიული პირი არ არის ადამიანი და ამ უკანასკნელის ბუნებრივი თვისებების შესაბამისად ვერ განიცდის „ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვას.“ მსგავსი შემთხვევებისათვის, მორალური ზიანის, ფიზიკური პირისათვის დამახასიათებელი შინაარსით დახასიათება სრულიად მიუღებელია. ვეთანხმებით დოქტრინაში არსებულ მოსაზრებას, რომ იურიდიული პირის არაქონებრივი უფლების შელახვა უარყოფით გავლენას ახდენს იურიდიული პირის სამეწარმეო (კომერციულ) ან სხვა სახის საქმიანობაზე. ამიტომ, იურიდიული პირისათვის მიყენებულ მორალურ ზიანში იგულისხმება იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის ნებისმიერი უარყოფითი შედეგი, რომელიც ამ პირის ქონებრივი სფეროს ხელყოფას უკავშირდება და მორალური ზიანის კომპენსაციის საკითხის გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია იურიდიული პირის არაქონებრივი უფლების დაცვა.

სხვადასხვა ქვეყნის დოქტრინალური მოსაზრებების გარდა, აღნიშნულს ცალსახად ადასტურებს ევროსასამართლოს პრაქტიკა,

⁹⁰¹ სსკ-ის 18.6. და სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის 17.3. მუხლები.

რომლის მიხედვით კომერციული ორგანიზაციისთვის მორალური ზიანის კომპენსაციის მინიჭება არ უნდა გამოირიცხოს და სასამართლოს სავალდებულო წესით უნდა ჰქონდეს უფლება მიანიჭოს კომერციულ ორგანიზაციას მორალური ზიანის მატერიალური კომპენსაცია კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლების ეფექტურად დასაცავად. იურიდიული პირისათვის (საწარმოსთვის) მიყენებული ზიანი, მატერიალურ შემადგენლობასთან ერთად შეიძლება შეიცავდეს ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტებს. ამ ელემენტებში შედის საწარმოს რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანი, ასევე მისაღები გადაწყვეტილებების დაგეგმვის შეუძლებლობა, დარღვევები საწარმოს მართვის პროცესში, რომლის შედეგები არ შეიძლება ზუსტად დაითვალოს და ბოლოს განგაშის განცდა და დისკომფორტი, რომელსაც საწარმოს ხელმძღვანელები განიცდიან. შესაბამისად, არამატერიალური ზიანი, ფიზიკური პირისთვის მიყენებული მორალური ზიანისაგან განსხვავებით, დარღვეული არამატერიალური უფლების ხასიათისა და დარღვევის შედეგების გათვალისწინებით განსაკუთრებული შინაარსისაა.

მიგვაჩნია, რომ სათანადო სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას იურიდიულ პირს უნდა აუნაზღაურდეს არაქონებრივი (მორალური) ზიანი, რაც მისი დარღვეული უფლების სრულყოფილ დაცვას უზრუნველყოფს. ამასთან, გასაზიარებელია მოსაზრება, რომ არაქონებრივი ზიანი არ არის მორალური ზიანის იდენტური. მორალური ზიანი არაქონებრივი ზიანის ნაირსახეობად უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხება ტერმინს, ვთვლით, რომ უფრო სწორი და მიზანშეწონილი იქნებოდა იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის (ასევე სხვა არამატერიალური უფლებების) შელახვისას ტერმინის-არაქონებრივი ზიანის გამოყენება, თუმცა ზემოთქმულის მიუხედავად, ასევე ვფიქრობთ, საკითხის გადაწყვეტისთვის არავითარ პრობლემას არ ქმნის ტერმინის-მორალური ზიანი, დამკვიდრება, მისი ფართო შინაარსის მინიჭების პირობებში, როგორც ეს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკითაა მიღებული.

7. აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის სრულყოფილი დაცვის მიზნით **მიზანშეწონილია პირს ჰქონდეს უფლება მოითხოვოს საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების შემდგომში გავრცელების აღკვეთა ან აკრძალვა**, რაც ასეთი ინფორმაციის მატარებლების-ტექნიკური საშუალებების განადგურების გარეშე შეუძლებელია. აღნიშნული პრობლემა სამართლებრივად მოწესრიგებულია, როცა საქმიანი რეპუტაციის შელახვა სასაქონლო ნიშნების ან საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების დარღვევას ახლავს თან. ანალოგიურად უნდა განხორციელდეს საქმიანი რეპუტაციის დასაცავად და მომავალში გავრცელების თავიდან აცილების მიზნით უფლების დამრღვევი მოქმედების შეწყვეტა ან

აღკვეთა. აღკვეთა უნდა განხორციელდეს ცნობების ამსახველი მასალის განადგურებით, ინტერნეტში განთავსებული მასალის ან გამოსახულების წაშლით.

8. მიზანშეწონილია კანონით მოწესრიგდეს პასუხისმგებლობის საკითხი ანონიმური ცნობების გავრცელების შემთხვევაში, როდესაც საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გამავრცელებლის დადგენა შეუძლებელია. მართებული იქნება, ასეთ შემთხვევაში **პირმა უდავო წარმოების წესით დაიცვას თავისი ინტერესი**. ვინაიდან უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეების ჩამონათვალი ამომწურავია, მიზანშეწონილია გაფართოვდეს იგი და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის გავრცელებისას, როცა გამავრცელებლის პიროვნება უცნობია, დაზარალებულმა შეძლოს უდავო წარმოების წესით თავისი ინტერესების დაცვა, კერძოდ, სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ გავრცელებული ცნობები საქმიანი რეპუტაციის შემლახველია და ისინი არ შეესაბამება სინამდვილეს
9. რეკომენდირებულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესის განსაკუთრებული წესით შეცვლა. მოპასუხემ უნდა ამტკიცოს, რომ გავრცელებული ცნობები სინამდვილეს შეესაბამება.
10. მიზანშეწონილია კანონით გათვალისწინებულ იქნეს იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში როცა სინამდვილის შეუსაბამო ცნობების გავრცელებას საქმიანი რეპუტაციის შელახვა არ მოჰყოლია, მაგრამ გავლენას ახდენს საქმიან რეპუტაციაზე. (ზემოთ მივუთითეთ კომპანიის მიერ თითქოსდა აქციების შეძენის შესახებ). ასეთ შემთხვევაში **დაცვის ყველაზე მისაღები ფორმა გავრცელებული ინფორმაციის უარყოფაა**. თუ ასეთი ინფორმაციის გავრცელებას ზიანი მოჰყვება, მაგ., კონტრაგენტი უარს განაცხადებს გარიგების გაფორმებაზე, მიყენებული ზიანი ბრალეულმა პირმა უნდა აანაზღაუროს.
11. მიგვაჩნია, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია დაცულ უნდა იქნეს შემლახავი ნამდვილი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაშიც, რაც მოქმედი კანონმდებლობით დაცვას არ ექვემდებარება. დაცვა უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაზეც, როცა ნამდვილი ცნობები გაავრცელეს ზიანის მიყენების ან კონკურენციის შეზღუდვის მიზნით. (ცნობების გავრცელება ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ.) ზიანის არსებობისას **შესაძლებელი უნდა იყოს სარჩელის აღძვრა ქმედების შეწყვეტის მოთხოვნით**.
12. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლების სუბიექტები არიან არამართო სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობის განმხორციელებელი, არამედ არასამეწარმეო (არაკომერციული) და საჯარო უფლებამოსილების განმხორციელებელი იურიდიული

პირებიც კი. მოქმედი კანონმდებლობა ამ მხრივ რაიმე შეზღუდვებს არ ითვალისწინებს.

13. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სრულყოფილი მექანიზმი უნდა ითვალისწინებდეს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიულ საშუალებას ფიქსირებული კომპენსაციის სახით, კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ფარგლებში.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

საქართველოს კონსტიტუცია, 1995. www.matsne.gov.ge;

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 4 ნოემბერი, 1950. www.matsne.gov.ge;

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948 წლის 10 დეკემბერი (საქართველოს უზენაესი საბჭოს უწყებები, სექტემბერი 1991, N9, მუხ. 655). www.matsne.gov.ge;

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, იანვარი, 1994, №14), www.matsne.gov.ge;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, www.matsne.gov.ge;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ., 14.11.1997, www.matsne.gov.ge;

საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 22 დეკემბერი 2004, www.matsne.gov.ge; [02.04.1019].

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თბ., 15.12.1984, www.matsne.gov.ge; [02.04.1019].

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, www.matsne.gov.ge; [06.02.2019]

საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, თბ., 08 მაისი, 2012. www.matsne.gov.ge; [02.04.1019].

საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ, თბ., 18 თებერვალი, 1998 (N°1228-11-ს), www.matsne.gov.ge; [02.04.1019].

საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, თბ., 2005 წლის 20 დეკემბერი, (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2006 წ., №1, ნაწილი I, რეგისტრაციის №2380), www.matsne.gov.ge; [02.04.1019].

საქართველოს კანონი სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ, თბ., 24.06.2004, www.matsne.gov.ge; [02.04.1019].

საქართველოს კანონი ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ, თბ., 14 მარტი, 2008, www.matsne.gov.ge; [02.04.1019].

საქართველოს კანონი მაუწყებლის შესახებ, თბ., www.matsne.gov.ge [02.04.1019].

საქართველოს კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ, თბ., www.matsne.gov.ge; [02.04.1019].

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, თბ., 28.10, 1994, www.matsne.gov.ge; [06.02.2019]

საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ, თბ., 22 ივნისი, 1999. www.matsne.gov.ge; [02.04.1019].

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თბ., გამომცემლობა „სიესტა“, 2010.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, თბ., 12 მარტი, 2009, www.matsne.gov.ge; [02.04.1019].

Гражданский кодекс Российской Федерации (часть первая) от 30.11.1994, N51-ФЗ. <http://stgkrf.ru/>;

Приказ Минфина России от 16.10.2000 г. № 91н (в ред. приказа Минфина России от 18.09.2006, №115н, Финансовая газета. 2000. №48;

Гражданский кодекс Штата Луизиана 1885;

Закон Австралии о товарных знаках. М.: ВНИИПЭ, 1985;

Закон Великобритании о финансовых услугах от 1986;

Закон США о товарных знаках. М.: ВНИИПЭ, 1982;

Закон Японии о товарных знаках. М.: ВНИИПЭ, 1982;

Инструкция по гражданскому судопроизводству штата Калифорния, 21.06.2012;

Предпринимательский и коммерческий кодекс Штата Техас, 2006;

First Council Directive of 21 December 1988 to approximate the laws of the member states relating to trade marks. (89/104 EEC);

The convention Establishing the World Intellectual Property Organization (WIPO): Stockholm, July, 14 1967;

The Paris Convention for the Protection of Industrial Property, Paris, 1883;

The Protection of Trademarks and Service Marks; History and Functions of Trademark System. ISIP/92.3. International Bureau of WIPO;

California Civil Jury Instruction 21.06.2012, Westlaw Electronic Legal Database,21.06.2012.<<https://store.legal.thomsonreuters.com/law-products/Jury-Instructions/California-JuryInstructionsmdashCivil-CACI/p/100003586>> [12.03.2019]

Financial Services Act 1986, Westlaw Electronic Legal Database;<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1986/60/pdfs/ukpga_19860060_en.pdf> [25.01.2019]

Louisiana Civil Code 1885; Westlaw Electronic Legal Database;<<https://lcco.law.lsu.edu/>> [25.01.2019]

Texas Business &Commerce Code 2005, Westlaw Electronic Legal Database <<https://law.justia.com/codes/texas/2005/bc.html>> [10.02.2019]

მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თემატური საძიებელი, (European Court of Human Rights, Case-Law, (Factsheets), საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბ., 2016;

ალფაიძე თ., მედია სამართალი, თბ., გამომცემლობა „პოლიგარდ თბილისი“, 2008.

ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 1998;

ბაბუნაშვილი ა., იმიჯი თუ რეპუტაცია, ჟურნ., „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“, 2007, №4;

ბარაბაძე ნ., მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, თბ., 2011;

ბერეკაშვილი დ., თოდუა მ., ჩაჩავა ს., ძლიერიშვილი ზ., კაზუსის ამოხსნის მეთოდის სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომცემლობა GIZ, 2015;

ბიჭია მ., კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „სამართლის ჟურნალი“, 2011, №1;

ბიჭია, პატივის სამოქალაქო-სამართლებრივი ცნების მოცულობა (ქართულ-ევროპული მიდგომები), თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, 2014, №1(2);

ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2012;

ბიჭია მ., ღირსების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის რამდენიმე ასპექტი, საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“, მოხსენებები, თბ., თსუ, 2014;

ბოელინგი ჰ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდის, თბ., გამომცემლობა „ჯისიაი“, 2003;

ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2010, ტომი I;

ბურდული ი., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ჭანტურია (რედ), თბ., 2017;

ბურდული ი., ეგნატაშვილი დ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ჭანტურია (რედ), თბ., 2017;

გალდავა გ., სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, თსუ, 2009, №1;

გოცირიძე ე., აზრის გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., თსუ, 2006;

გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბ., გამომცემლობა შპს „პეტიტი“, 2013;

გუგეშაშვილი გ., გუდვილი როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი და მისი ადგილი კონკურენტულ ურთიერთობებში, დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., თსუ, 2010;

დერბურგი ჰ., პანდექტები, 1, ტფილისი, 1928;

დოღონაძე ლევან, „მორალური ზიანის ანაზღაურება“, დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010;

დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი, თსუ, 2009, №1;

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., თსუ გამომცემლობა, 2005;

ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ., GTZ, 2010;

ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში. თბ., საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005;

ზოიძე ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბ., გამომცემლობა შპს „პეტიტი“, 2013;

თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006;

თოდუა მ., ქურდაძე შ., ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, თბ., საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, 2005;

იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2005;

ინტელექტუალური საკუთრება, წიგნი პირველი, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“, თბ., 2001;

კაკუშაძე, ზიანის ანაზღაურება ცილისწამებისთვის ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თანამედროვე სამართლის აქტუალური პრობლემები, 2016;

კარელიძე, თვითრეგულირების ორგანოები რეგიონალურ მაუწყებლებში, მედია, სამართალი და ეთიკა, 2015;

კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., გამომცემლობა „ემსი“, 2009;

კვიციანი ქ., იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლებებისა და ქონებრივი უფლებების დაცვის სამართლებრივი საშუალებების ურთიერთმიმართება, სასემინარო ნაშრომი, თბ., თსუ ბიბლიოთეკა, 2013;

კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., გამომცემლობა „ჯისიაი“, 2008;

ლუთრინგჰაუსი, დელიქტური სამართალი, შნიტგერი, ლუთრინგჰაუსი, შუმპე, ტოლკმიტი, მოკლე კონსპექტები, 2011;

მარტენი რ., პირი და სამართლის სუბიექტი, კრებული რ. შენგელია-70, თბ., დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012;

მაყაშვილი ვ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე თ., „დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ“, თბ., გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980;

მონიავა პ., პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი პრობლემები, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 1999;

მონიავა პ., პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2005;

მონიავა პ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2013;

ნინიძე თ., პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები, ჟურნ., საბჭოთა სამართალი, 1977, №1;

ნინიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ., გამომცემლობა „სამართალი“, 1999, წიგნი I;

ნინიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ., გამომცემლობა „სამართალი“, 2001, წიგნი I;

ნინიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ., გამომცემლობა „სამართალი“, 2002, წიგნი I;

ნინიძე თ., სახელის უფლების შინაარსი, ჟურნ. საბჭოთა სამართალი., 1976, №1;

ნინიძე თ., ცოცხალი ხატი ღირსებისა, ჟურნალი „ეკონომიკისა და სამართლის სერია“, თბ., გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, №3;

ნინიძე თ., სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის სტრუქტურა, კრებული, აკაკი ლაბარტყავა, 80 წელი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2013.

ოსაკვე კ., „ანგლო-ამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება კლასიფიკაცია და ანაზღაურება“, თბ., გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2015;

პეპანაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ., ჯ. ვაშინგტონის სამართლის სახლი, 2015, წიგნი I, მეორე გამოცემა;

პოშერი რ., ადამიანის ღირსება, როგორც ტაბუ, (მ. ბიჭიას თარგმანი), ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(41);

სავანელი ბ., ხელისუფლებათა განაწილების პრინციპი და ადამიანის უფლებების კონსტიტუციური გარანტიები (ბრძოლა უფლებებისთვის) კრებულში: „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თბ., (1994 წლის 23-25 მაისს თბილისში გამართული საერთაშორისო კონვენციის მასალები), თსუ-ს გამომცემლობა, 1994;

„საკუთრების უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე“, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების იმპლემენტაციისათვის. ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო, №10, ევროპის საბჭო, თბ., 2007;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., გამომცემლობა „სამართალი“, 2001;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის პრობლემატურ საკითხებზე, თბ., 25.07.2007;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის ანგარიში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ, თბ., 2018;

სტურუა ნ., ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, სამართლის ჟურნალი, 2012, №1;

სურგულაძე ი., ხელისუფლება და სამართალი, თბ., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002;

სუხიტაშვილი დ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტები, მართლმსაჯულება და კანონი, №2(29)11;

ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010;

ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2013;

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები №38 (IFRS 2017); www.saras.gov.ge

ქოლინი პ., ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, „აირის-საქართველო“ და „იბერთედ-პრესი“, ლექსიპრო სერია 2002-11, თბ., 2002;

ქოქრაშვილი ე., სამეწარმეო სამართალი, თბ., საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2010;

ქოჩაშვილი ე., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, თსუ, 2009, №1;

ქურდაძე გ., იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებები, სასემინარო ნაშრომი, თბ., თსუ ბიბლიოთეკა, 2014;

ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012;

ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., თსუ, 2010;

ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 1998;

ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანის ანაზღაურება იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების ხელყოფისათვის, ჟ. „სამართალი“, 2004, №1-2;

ჩიკვაშვილი შ., პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2003;

ცვაიგერტი ვ., კოტცი ჰ., „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში“, თარგმანი ეკატერინე სუმბათაშვილის, თბ., გამომცემლობა ჯისიაი, 2001, ტომი II;

ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი, თბ., გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2014;

ძლიერიშვილი ზ., სვანაძე გ., ცერცვაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., რობაქიძე ი., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014;

ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., გამომცემლობა „განათლება“, 2000;

ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბ., გამომცემლობა „სამართალი“, 2002;

ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., გამომცემლობა „სამართალი“, 2006;

ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომცემლობა „სამართალი“, 2012;

ჭანტურია ლ., პირადი არაქონებრივი უფლებები თანამედროვე სამოქალაქო სამართალში, სამართალი, 11-12/1997;

ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომცემლობა „სამართალი“, 2011;

ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., გამომცემლობა „სამართალი“, 1997;

ხუბაშვილი, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია საფირმო სახელწოდებასთან მიმართებით ბესარიონ ზოიძე 60, საიუბილეო კრებული, თბ., დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013;

ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ., მედია სამართალი, თბ., დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014;

ჯორბენაძე ს., ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 1998;

ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ჭანტურია (რედ), თბ., 2017;

Авилов Г. Е., Суханов Е. А., Юридические Лица в Современном Российском Гражданском Праве, Журнал Вестник Гражданского Права, 2006, №1;

Али М.З., Дмитренко А.Р., Проблема возмещения репутационного вреда юридическими лицами, 01.10.2017;<<http://xn----7sbbaj7auwnffhk.xn--plai/article/24842>>

Анисимов А.Л., Честь, достоинство и деловая репутация: гражданско-правовая защита, М., Юрист, 1994;

Архиереев Н.В., Гражданско-правовая защита деловой репутации юридических лиц в Российской Федерации, Екатеринбург, 2017;

Баглариду М, Ф, Возмещение морального вреда в практике европейского суда по правам человека. Московский журнал международного права, 2017, №2 (106).

Бауер Ф. Юрген, Штернер Р, (Jürgen F. Baur, Rolf Stürner), Проблемы гражданского и предпринимательского права Германии, пер. с нем. М., 2001;

Борзунова О.А., Гудвилл, Налоговый вестник, 2009, №6;

Борзунова О.А., Хорошую репутацию нельзя потрогать, но можно обложить налогами, Налоговый вестник, 2009, №6;

Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право. М.,Статут, 2011,Т. 3;

Братусь С.Н., Курс советского гражданского права. М.,Госюриздат, 1963;

Братусь С.Н., Субъекты гражданских прав. М.,Госюриздат, 1950;

Гаврилов Е.В., Запрет компенсации морального вреда юридическим лицам. Комментарий к определению судебной коллегии по экономическим спорам ВС РФ от 17.08.2015 N309-ЭС15-8331, Вестник экономического правосудия РФ., 2015, №9;

Гаврилов Е.В., Компенсация неимущественного вреда юридическим лицам: опыт Италии, а также Европейского Суда по правам человека по «итальянским» делам и его использование в России, Хозяйство и право, 2012, №3;

Гаврилов Е.В., Компенсация нематериального (репутационного) вреда юридическим лицам и новая редакция ст. 152 ГК РФ, Вестник экономического правосудия Российской Федерации, 2015, №3.

Генкин Н.М., Гражданское и торговое право капиталистических государств, М., Госюриздат, 1949;

Гирин В.А., Отдельные проблемы правового регулирования споров о защите чести, достоинства и деловой репутации, Международный научный журнал, Молодой учёный, Январь, 2019, №3 (241);

Гражданское право: актуальные проблемы теории и практики. Под общ. ред. Белова В.А., М.,Юрайт-Издат, 2008;

Гражданское право, часть 1, Учебник под ред. Сергеева А.П., Толстого Ю.К., М.,Изд-во Проспект, 1997;

Гражданское право: Учебник: Под ред. д-ра юрид. наук, проф. Садикова О.Н., Том 1. М.,Юридическая фирма «КОНТРАКТ»: «ИНФРА-М», 2006;

Гражданское право: Учебник: В 3 т. 6-е изд., перераб. и доп., Отв. ред. Сергеев А.П., Толстой Ю.К., М.,Проспект, 2006, Том 1;

Гражданское право: Учебник: В 3 т. 4-е изд., перераб. и доп., под ред. Сергеева А.П., Толстого Ю.К., М.,Тк велби, Изд-во Проспект, 2008;

Гражданское право: Учебник: В 3 т. под ред. Толстого Ю.К., М., Тк велби, Изд-во Проспект, 2009, Том 1;

Гражданское право: Учебник: В 3 т. 7-е изд., перераб. и доп. Байбак В.В., Егоров Н.Д., Елисеев И.В. [и др.]; под ред. Толстого Ю.К., М., Изд-во Проспект, 2009,Том 1;

Гражданское право: Учебник: В 4 т. Том 3: Обязательственное право, Отв. ред. Суханов Е.А., 3-е изд., перераб. и доп. М.,Изд-во Волтерс Клувер, 2005;

Гражданское право: Учебник: В 4 т. Том 1: Общая часть, Отв. ред. Суханов Е.А., 3-е изд., перераб. и доп. М., Изд-во Волтерс Клувер, 2008;

Грибанов В.П., Осуществление и защита гражданских прав, М.,Статут, 2001;

Даль В.И., Толковый словарь живого великорусского языка. М., Цитадель, 1998, Т. 2;

Даулинг Г., Репутация фирмы: создание, управление и оценка эффективности. М., Издательство: ИМИДЖ-Контакт, Инфра, 2003;

Договорная ответственность по зарубежному праву, Журн. российского права, 2000,№2;

Дозорцев В.А., Интеллектуальные права: Понятие. Система. Задачи кодификации. М., Статут, 2003;

Дьяченко Е.М., Деловая репутация юридических лиц, Дис., Краснодар, 2005; <www.dissertCat.com.> [28.12.2018]

Жуйков В.М., Возмещение морального вреда. Комментарий российского законодательства. М., Наука, 1995, Вып. 1;

Зикрацкий С., Понятие деловой репутации; <<https://www.ziz.by/publications/23-p6>> [01.02.2018]

Иоффе О.С., Избранные труды. СПб., Юридический центр-Пресс, 2003, Т. 1;

Карунная Я.А., Правовая природа средств индивидуализации коммерческих организаций, Новосибирск, 2004; <www.dissertCat.com> [28.12.2018]

Кархалев Д.Н., Соотношение мер защиты и мер ответственности в гражданском праве России, Екатеринбург, 2003; <www.dissertCat.com> [28.12.2018]

Килинкаргов В.В., Право на деловую репутацию субъектов предпринимательской деятельности, СПб, 2011; <www.dissertCat.com> [28.12.2018]

Козлова Н.В., Понятие и сущность юридического лица. Очерк истории и теории, М., Статут, 2003;

Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации: В 3 т., Под ред. Абовой Т.Е. и др., М., Юрайт, 2005, Т. 1;

Красавчикова Л.О., Институт коммерческой концессии в гражданском законодательстве РФ, Цивилистические записки: Межвузовский сборник научных трудов. М., Статут, 2002, Вып. 2;

Красавчиков О.А., Социальное содержание правоспособности советских граждан, Правоведение. 1960, №1;

Круг П., Юридические лица и неэкономический вред деловой репутации, Законодательство и практика масс-медиа, 2005, №10;

Кудрявцева А.В., Олефиренко С.П., Доказывание морального вреда в уголовном судопроизводстве. М., Юрлитинформ, 2011;

Кулишенко В.С., Защита от неправомерного использования деловой репутации субъекта хозяйствования в конкуренции (перевод с украинского), Одесса, 2003; <www.dissersCat.com> [28.12.2018]

Ломакин Д.В., Очерки теории акционерного права и практики применения акционерного законодательства. М., Статут, 2005;

Мазаев Д.В., Гражданско-правовая защита прав на товарные знак., М., 2011; <www.dissersCat.com> [23.12.2018]

Малеина М.Н., Защита чести, достоинства, деловой репутации предпринимателя, Законодательство и экономика. 1993, №2;

Малеина М.Н., Личные неимущественные права граждан: понятие, осуществление, защита. М., МЗ Пресс, 2000;

Малеин Н.С., Правонарушение: понятие, причины, ответственность. М., Юрид. лит., 1985;

Малеина М. Н., Личные неимущественные права граждан., М., МЗ Пресс, 2001;

Манукян В.И., Компенсация за «страдания» в Европе. Возмещение морального вреда в Континентальной Европе: умеренность и рационализм, Юрид. практика. 2007, №33;

Матузов Н.И., Теоретические проблемы субъективного права, Харьков, 1973; <www.dissersCat.com> [23.12.2018]

Мэггс П.Б., Сергеев А.П., Интеллектуальная собственность. М., Юрист, 2000;

Никуличева Н.Ю., Право юридических лиц на деловую репутацию и ее гражданско-правовая защита, Новосибирск, 2004; <www.dissersCat.com> [23.12.2018]

Нуждин Т.А., Особенности правового регулирования нематериальных благ в зарубежном гражданском праве, Хозяйство и право, 2009, №4;

Орехов А.М., Интеллектуальная собственность: опыт социально-философского исследования, М., 2009; <www.dissersCat.com> [23.12.2018]

Панченко Т., Отражение деловой репутации при приобретении предприятия как имущественного комплекса, Финансовая газета. 2005, №21;

Парыгина Н.Н., Защита права на деловую репутацию юридических лиц и индивидуальных предпринимателей по гражданскому законодательству Российской Федерации, Омск, 2017; <www.dissertCat.com> [23.12.2018]

Покровский И.А., История римского права. М., Статут, 2004;

Покровский И.А., Основные проблемы гражданского права. СПб., 1917;

Покровский И.А., Основные проблемы гражданского права. М., Статут, 1998;

Покровский И.А., Основные проблемы гражданского права, Глава VII: Проблема нематериальных интересов, М., Статут, 2001;

Проблемы теории нематериальных благ: Научная монография, О.Н. Ермолова, А.В. Трофименко. М., Канон, 2008;

Редько Е.П., Компенсация морального вреда как способ защиты деловой репутации юридического лица, Российская юстиция. 2009, №9;

Решетникова А.А., Гражданско-правовой режим средств индивидуализации субъектов предпринимательской деятельности и производимой ими продукции (товаров, работ, услуг), Архангельск, 2005; <www.dissertCat.com> [23.12.2018]

Рожкова М.А., Судебная практика по делам о защите деловой репутации юридических лиц и предпринимателей, Приложение к журналу «Хозяйство и право», 2010, №2;

Ромовская З.П., Личные неимущественные права граждан СССР, Киев, 1968; <www.dissertCat.com> [23.12.2018]

Российское гражданское право: В 4 т., Отв. ред. Суханов Е.А., Т. 1. М., Статут, 2010;

Рясенцев В.А., Неимущественный интерес в советском гражданском праве, Ученые записки МЮИ. М., Юрид. изд-во НКЮ СССР, 1939, Вып. 1;

Сахапов Ю.З., Деловая репутация субъектов предпринимательской деятельности в системе объектов гражданских прав и особенности ее гражданско-правовой защиты, Казань, 2007; <<http://www.dslib.net/>> [23.12.2018]

Сенчищев В.И., Объект гражданского правоотношения, Актуальные вопросы гражданского права, Под ред. Брагинского М.И.: Сборник статей. М., 1998;

Сергеева А.П., Толстой Ю.К., Гражданское Право, М., Изд-во Проспект, 1998, Т.1;

Сергеев А.П., Толстой Ю.К., Гражданское право: учебник: в 3 т, М., Изд-во Проспект, 2003, Т. 1;

Сидорова Е.Н., Процессуальные особенности защиты чести, достоинства и деловой репутации. Евразийская адвокатура, Международный научно-практический журнал, 2018;

Синайский В.И., Русское гражданское право. М., Статут, 2002;

Смолина Л.В. Защита деловой репутации организации. М. Издательско-торговая корпорация «Дашков и К». 2014;

Сосна С.А., Васильева Е.Н., Франчайзинг. Коммерческая концессия. М., ИКЦ Академкнига, 2005;

Степанов С.А., Предприятие как имущественный комплекс по Гражданскому кодексу Российской Федерации, Актуальные проблемы гражданского права, Под ред. Алексеева С.С., М., Статут, 2000;

Суворов Н.С., Об юридических лицах по римскому праву. М., Статут, 2000;

Сухенко А.П., Деловая репутация как фактор капитализации промышленной компании, М., 2006; www.disserCat.com [23.12.2018]

Сэй Ж.Б., Трактат по политической экономии; Сэй Ж.Б., Экономические софизмы; Экономические гармонии, Фредерик Бастиа. М., Дело, 2000;

Тимерханов А.А., Деловая репутация юридического лица, М. 2012; <www.disserCat.com> [23.12.2018]

Трубников П.Я., Применение судами законодательства о защите чести, достоинства и деловой репутации, Законность, 1995, №5;

Ульянова О.А., Деловая репутация юридического лица в российском гражданском праве: понятие и отличительные черты, Молодой ученый, 2015, №9; <<https://moluch.ru/archive/89/17830>> [19.12.2017].

Флейшиц Е.А., Личные права, Ученые труды ВЮИИ. М., Юрид. Изд-во, 1941, Вып. VI;

Фроловский Н.Г., Защита деловой репутации юридического лица, Законы России: опыт, анализ. Практика, 2012, №4;

Цитович П.П., Труды по торговому и вексельному праву: В 2 т. Т. 1: Учебник торгового права. К вопросу о слиянии торгового права с гражданским. М., Статут, 2005;

Шершеневич Г.Ф., Курс торгового права. М., Статут, 2003, Т. 1;

Шершеневич Г.Ф., Общая теория права, М., Изд. Бр. Башмаковых, 1912;

Шершеневич Г.Ф., Учебник русского гражданского права (по изданию 1907 г.). М., Спарк, 1995;

Шичанин А., Проблемы становления и перспективы развития института возмещения морального вреда. М., 1955; <www.dissertCat.com> [23.12.2018]

Шретер В.Н., Недобросовестная конкуренция, Сборник памяти Г.Ф. Шершеневича. М., Изд. Бр. Башмаковых, 1915;

Эннекцерус Л., Курс германского гражданского права: В 2 т. М., Издательство иностранной литературы, 1950. Т. 1, полутом 2;

Эрделевский А.М., Защита деловой репутации, Закон. 1998, №11/12;

Эрделевский А.М., Компенсация морального вреда 2-е изд. М., БЕК, 2000;

Эрделевский А.М., Компенсация морального вреда: анализ и комментарий законодательства и судебной практики, 3-е изд., испр. и доп., Волтерс Клувер, М., 2004;

Ярошенко К., Б., Гражданско-правовая защита чести и достоинства Граждан, Проблемы совершенствования советского законодательства, Труды (Всесоюзный, научно-исследовательский институт советского государственного строительства), М., 1998;

Ярошенко К.Б., Гражданско-правовая защита чести и достоинства граждан. Проблемы совершенствования советского законодательства. М., Изд-во ВНИИСЗ, 1989;

Bainbridge D., Intellectual property, Harlow, 2002;

Belinda I. Brand protection matters. London, 2000, 162 –165; Star Industrial Company Ltd v Yap Kwee Kor (1976) FSR256 (P.C.); <<https://www.amazon.co.uk/Brand-Protection-Matters-Belinda-Isaac/dp/0421569301>> [25.01.2019]

Bleckmann A., The Subjective Right in Public International Law, German Yearbook of International Law. 1985. Vol. 28; P. 147-149. <<https://elibrary.duncker-humboldt.com/publication/b/id/33602/>> [25.01.2019]

Business Dictionary.com;

California Civil Jury Instruction, § 1820; Gionfriddo v. Major League Baseball (2001) 94 Cal.App.4th 400, 409 [114 Cal.Rptr.2d 307];

California Civil Jury Instruction 21.06.2012, Westlaw Electronic Legal Database, 21.06.2012. <<https://store.legal.thomsonreuters.com/law-products/Jury-Instructions/California-JuryInstructionsmdashCivil-CACI/p/100003586>> [12.03.2019]

Charles J. Fombrun. Reputation: realizing value from the corporate image. Harvard. 1996,P. 80; <<https://www.amazon.com/Reputation-Realizing-Value-Corporate-Image/dp/0875846335>> [12.03.2019]

Christian von Bar. The common European law of torts. Vol. 2. Oxford, 2000.

Depot legal, 2e trimestre 1994;

Dupont A., Non-Pecuniary loss in commercial contracts: with special emphasis on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG). Minor dissertation. University of Cape Town, 2014;

Financial Services Act 1986, Westlaw Electronic Legal Database <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1986/60/pdfs/ukpga_19860060_en.pdf> [25.01.2019]

Firm Awarded \$222.7 Million in a Libel Suit Vs. Dow Jones // The New York Times. 1997. March 21; <https://law.unimelb.edu.au/_data/assets/pdf_file/0007/1680343/Garnett.pdf>[25.01.2019]<<https://www.nytimes.com/1997/03/21/business/firm-awarded-222.7-million-in-a-libel-suit-vs-dow-jones.html>> [25.01.2019]

Franzosi M., European community trade mark, Commentary to the European Community Regulation, The Hague, Netherlands, 1997;

„Freedom of Expression and the Right of Reputation” MELANGES offerts aSilvio Marcus Helmons, Bruxelles, 2002;

Goutal J., Criminal enforcement against trade mark infringement: the French approach, Cuerpi-Universite de Grenoble 2, 175, (Enforcement of intellectual property rights and patent litigation, Proceedings of symposium held from 10 to 14 September 2001 European patent office, Munich, Publisher: European patent office international academy);

Griffits A.W., Trade Mark Law and practice. London, 1930, P. 1;

Guanghua Yu., Minkang Gu., Law Affecting Business. Transactions in the PRC. Tb., 2003, P. 464-466; <<https://www.amazon.com/Law-Affecting-Business-Transactions-Prc/dp/9041114955>> [10.02.2019];

HANOVER STAR MILLING CO. V. METCALF, 240 U.S. 403 (1916). <<https://caselaw.findlaw.com/us-supreme-court/240/403.html>> [12.03.2019]

Heath C., The protection of well-known marks, Max «Planck Institute for Intellectual Property Competition and Tax Law», Munich (Enforcement of intellectual property rights and patent litigation, Proceedings of symposium held from 10 to 14 September 2001 European patent office, Munich, Publisher: European patent office international academy);

Herzfeld P. Corporations, Defamation and General Damages: Back To First Principles, Media and Arts Law Review. (2005)10. P. 142;

IRC V Muller & Co Margarine Limited, (1901) AC 217; Wedderburn v Wedderburn (no 4) (1856) Beav. 84; Robertson v Quiddington (1860) 28 Beav.529; Star Industrial Company Ltd v Yap Kwee Kor (1976) FSR 256 (P.C.); <https://library.croneri.co.uk/cch_uk/svhcases/1901-svc-25> [25.01.2019];

<https://books.google.ge/books?id=pkhNAQAAMAAJ&pg=PA187&lpg=PA187&dq=Wedderburn+v+Wedderburn&source=bl&ots=lkGB8oOJfB&sig=ACfU3U3w8fabJPbExl02pwHXimXxKkIvww&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwivroKn_rDhAhUJlAKHSAIC9kQ6AEwBnoECAgQAQ#v=onepage&q=Wedderburn%20v%20Wedderburn&f=false> [25.01.2019];

<https://books.google.ge/books?id=M60zAQAAMAAJ&pg=PA732&lpg=PA732&dq=Wedderburn+v+Wedderburn&source=bl&ots=Cn02zQgV9h&sig=ACfU3U0iVMaGfCVVxKJWjz7t3hMbXp9gGg&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwivroKn_rDhAhUJlAKHSAIC9kQ6AEwCHoECACQAQ#v=onepage&q=Wedderburn%20v%20Wedderburn&f=false> [25.01.2019];

<https://books.google.ge/books?id=-nQz-OB_YHoC&pg=PR43&lpg=PR43&dq=Robertson+v+Quiddington&source=bl&ots=ASP2u1gMeS&sig=ACfU3U1QccYqR0XmSJ1Dtgyad542lu_0g&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwjG-fzR_rDhAhXNlIAKHS-LAE0Q6AEwAXoECAkQAQ#v=onepage&q=Robertson%20v%20Quiddington&f=false> [25.01.2019];

<<https://www.casemine.com/judgement/uk/5b2897b62c94e06b9e19923b>> [25.01.2019];

Lebech M., What is Human Dignity? Maynooth Philosophical Papers, Maynooth, 2004;

Lewis vs Daily Telegraph. US [1964] AC 234 at 262.
<<https://app.justis.com/case/lewis-v-daily-telegraph-ltd-no-2/overview/c4yZmZGJn2Wca>> [17.03.2019]

Louisiana Civil Code 1885, Westlaw Electronic Legal Database,
<<https://lcco.law.lsu.edu/>> [07.02.2019];

Martin D. Ginsburg, Jack. S. Levin. Mergers, Acquisitions and Buyouts. NY, 2000. Vol. 3, P. 275; <<https://irus.wolterskluwer.com/store/product/mergers-acquisitions-and-buyouts-december-2018/>> [25.01.2019];

Moseley Et Al Dba Victor's Little Secret v V. Secret Catalogue Inc. Et Al. 523 US. 418 [2003].
<<https://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1449&context=btlj>> [05.02.2019];

Nims H.D., The Law of unfair competition and trade marks with chapters on goodwill, trade secrets..., New York, 1947;

Saidov D., Damages: The Need for Uniformity, „Journal of Law and Commerce“, 25, 2005-06;

Savigny F.C. v. System des heutigen römischen Rechts. Bd. II. Berlin, 1840;

Schwartz, G, Damages under US Law, Unification of Tort Law: Damages, U. Magnus (ed.). London - Boston, 2001. P. 181
<<https://irus.wolterskluwer.com/store/product/unification-of-tort-law-fault/>> [30.01.2019];

Simons D., Mendel T., Defamation ABC. A simple introduction to key concepts of defamation law. London, 2006;
<http://www.concernedhistorians.org/content_files/file/TO/226.pdf> [30.01.2019]

Starkie A., Treatise on the Law of Slander, Libel, Scandalum Magnatum and False Rumours (1826) xx, quoted in Post, above n 40, 694;
<<https://www.amazon.com/treatise-slander-scandalum-magnatum-rumors/dp/1429741589>> [05.02.2019];

Texas Business & Commerce Code 2005, Westlaw Electronic Legal Database (Предпринимательский и коммерческий кодекс Штата Техас от 2006
<<https://law.justia.com/codes/texas/2005/bc.html>> [10.02.2019]

Baumbach/Hopt Kurzkomentar zum HGB, § 17, Rn. 5; Schwerdtner in Münchener Kommentar zum BGB (2001), §12, Rn. 19 ff;

Bierling E.R., Zur Kritik der juristischen Grundbegriffe, II, S. 85-86;

Conig, Bd. II, S. 340; Savigny, System des heutigen römischen Rechts, Bd. II, მითითებულია: კვიციანი ქ., იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლებებისა და ქონებრივი უფლებების დაცვის სამართლებრივი საშუალებების ურთიერთმიმართება, სასემინარო ნაშრომი, თბ, 2013.

Conig, Bd. II, S. 341; Flume, Savigny und die Lehre von der juristischen Person, მითითებულია: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც., სამართალი, 2011, 227.

Coing, Europäisches Privatrecht II, 19. Jahrhundert, 1985;

Flume, Savigny und die Lehre von der juristischen Person, მითითებულია: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც., სამართალი, 2011, 226.

Gierke, Otto von, Das Wesen der menschlichen Verbände. Rektoratsrede von der Universität Berlin am 15. Oktober 1902, Darmstadt, 1954, მითითებულია: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც., სამართალი, 2011, 228.

Gierke O., Die Genossenschaftstheorie und die deutsche Rechtsprechung, Berlin, 1887, მითითებულია: სურგულაძე ი., ხელისუფლება და სამართალი, თბ. 2002, 83.

Heise, Grundriss eines Systems des gemeinen Civilrechts zum Behuf von Pandecten Vorlesungen, Heidelberg, 1807, (3. Aufl., 1819), მითითებულია: ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი“, 1997.

Hens-Heinrich Jescheck, Thomas Weogend, Lehrbuch des Strafrechts. Allg. Teil. Berlin, 1996;

Herbert L., Persönlichkeitsschutz juristischer Personen, Archiv für die civilistische Praxis 170. Bd., H. 4 (1970), 266-294, Published by: Mohr Siebeck GmbH & Co, Münsteri. Westf. 274.7.;

Hopt in Baumbach Adolf, Hopt Klaus J., Kurzkommentar zum Handelsgesetzbuch, 33. Aufl. Beck: München, 2008, § 17, Rn. 5. (Baumbach/Hopt Kurzkommentar zum HGB);

Hugo, Lehrbuch des Naturrechts, als einer Philosophie des positive Rechts, Berlin, 1798, მითითებულია: ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი“, 1997.

Ihering, Geist des römischen Rechts, III, S. 325, 2-te Auflage;

Jarss/Pieroth. Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 5. Auflage, München, 2000;

Jürgen F. Baur, Rolf Stürner (Юрген фон Бауэр, Рольф Штернер). Проблемы гражданского и предпринимательского права Германии, пер. с нем. М., 2001;

Lasson A., Prinzip und Zukunft des Völkerrecht, Berlin, 1871;

Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, §15, RdNr. 56;

Mommsen, Lehre vom Interesse, (1855);

Savigny, Friedrich Carl von, System des heutigen römischen Rechts. Bd. II, Berlin: Veit, 1840-1849, მითითებულია: სურგულაძე ი., ხელისუფლება და სამართალი, თბ. საია, 2002.

Schiemann, In I. Von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch. 13. Aufl. (1998) Vorbem zum §§249ff. Rn. 43ff;

Unger J., die Verträge zugunsten Dritter, Jena, 1869, S. 11; Demelius G., Die Rechtsfiktion in ihrer geschichtlichen und dogmatischen Bedeutung, 1858, S. 82 ff, მითითებულია სურგულაძე ი. ხელისუფლება და სამართალი, თბ. 2002. 90.

Windscheid B., Lehrbuch des Pandektenrechts. Bd. I. 8. Aufl. Frankfurt, 1900;

Windscheid, B., Lehrbuch des Pandektenrechts, 4-te Aufl. I, S. 124, Anm. 5, მითითებულია: სურგულაძე ი. ხელისუფლება და სამართალი, თბ., 2002. 90.

Cimino Sara. Danni patrimoniali e non patrimoniali alle persone giuridiche e modalita della relativa quantificazione;

Giardetti M., Danno non patrimoniale e persone giuridiche, Fiandaca L. II danno non patrimoniale. Percorsi giurisprudenziali. Milan, 2009;

Points de droit familial: rencontres universitaires notariales belgo-quebecoises d'un colloque tenu à la Faculté de droit de l'Université catholique de Louvain-la-Neuve? Belgique, le 20 mars 1996.

Закон Японии о товарных знаках. М.: ВНИИПЭ, 1982; Закон США о товарных знаках. М.: ВНИИПЭ, 1982; Закон Австралии о товарных знаках. М.: ВНИИПЭ, 1985; LE NOUVEAU CODE CIVIL ET VOUS. Les Editions LIGIQUES inc., 1994. Depot legal, 2^e trimestre 1994. P. 33; Points de droit familial: rencontres universitaires notariales belgo-quebecoises d un colloque tenu a la Faculté de droit de T'Universite csthologique de Louvain-la-Neuve, Belgique, le 20 mars 1996.
<<https://wipolex.wipo.int/ru/legislation/details/6957>> [12.03.2019]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება, კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2009, ბათუმი, 2008;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421, 422 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საკანონმდებლო მაცნე, №82,17-11-2009;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482, 483, 487, 502 გადაწყვეტილება;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/468, 133. 266;

სასამართლო გადაწყვეტილებები

სუს 2001 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება №3კ/376-01;

სუს 2001 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება №3კ/924-01;

სუს 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება №3კ-1240-02;

სუს 2004 წლის 21 ივლისის განჩინება, №ას-322-605-04;

სუს 2005 წლის 26 ივლისის განჩინება, №ას-370-704-05;

სუს 2005 წლის 27 ივლისის განჩინება, №ას-627-903-04;

სუს 2005 წლის 1 დეკემბრის განჩინება, №ას-448-775-05;

სუს 2006 წლის 22 მარტის განჩინება, №ბს-1324-900(კ-05);

სუს 2007 წლის 19 მარტის განჩინება, №ას-385-789-06;

სუს 2008 წლის 14 იანვრის განჩინება, №ას-564-905-07;

სუს 2008 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება №ას-810-1129-07;

სუს 2009 წლის 20 მარტის განჩინება, №ას-823-1038-08;

სუს 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინება, №ას-711-1012-09;

სუს 2012 წლის 3 აგვისტოს განჩინება, №ას-1739-1720-2011;

სუს 2012 წლის 3 თებერვლის განჩინება, №ას-119-111-2015;

სუს 2012 წლის 20 თებერვლის განჩინება, №ას-1278-1298-2011;

სუს 2012 წლის 3 აპრილის განჩინება, №ას-1477-1489-2011;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება №2ბ/1476-12;

სუს 2012 წლის 3 აგვისტოს განჩინება, №ას-208-201-2012;

სუს 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინება, №ას-677-638-2011;

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება №776/23;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის განჩინება №2ბ/696-13;

სუს 2013 წლის 10 ოქტომბრის განჩინება, №ას-1378-1300-2012;

სუს 2013 წლის 15 ნოემბრის განჩინება, №ას-378-359-2013;

სუს 2014 წლის 23 აპრილის განჩინება, №ას-1332-1258-2012;

სუს 2014 წლის 9 სექტემბრის განჩინება, №ას-42-41-2014;

სუს 2014 წლის 1 ოქტომბრის განჩინება, №ას-179-172-2012;

სუს 2015 წლის 30 აპრილის განჩინება, №ას-1179-1124-2013;

სუს 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება, №ას-1052-1007-2014;

სუს 2015 წლის 1 დეკემბრის განჩინება, №ას-1285-1223-2014;

სუს 2015 წლის 21 დეკემბრის განჩინება, №ას-119-111-2015;

სუს 2016 წლის 11 მარტის განჩინება, №ას-970-919-2015;

სუს 2016 წლის 20 მაისის განჩინება, №ას-625-593-2014;

სუს 2016 წლის 28 ივლისის განჩინება, №ას-62-56-2015;

სუს 2016 წლის 3 ოქტომბრის განჩინება, №ას-718-686-2016;

სუს 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №ას-1011-972-2016;

სუს 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინება, №ბს-595-592 (კ-17);

სუს 2017 წლის 29 სექტემბრის განჩინება, №ას-495-463-2017;

Решение Арбитражного суда г. Москвы от 10.01.2002 г. по делу №А40-42141/01-26-190, Архив Арбитражного суда г. Москвы;

Решение Арбитражного суда Республики Татарстан от 15.12.2005 г. по делу №А65-18509/2005;

Решение Арбитражного суда г. Москвы по объединенному делу №А40-61491/09-67-474 и №А40- 61576/09-67-476 от 24.12.2009;

Постановление Девятого арбитражного апелляционного суда №09АП-3401/2010-ГК и №09АП-3402/2010-ГК;

Определение КС РФ от 04.12.2003 N 508-О «Об отказе в принятии к рассмотрению жалобы гражданина Шлафмана Владимира Аркадьевича на

нарушение его конституционных прав пунктом 7 статьи 152 Гражданского кодекса Российской Федерации»;

Lewis vs Daly Telegraph. US [1964] AC 234 at 262. 113;

Church of Scientology of California Inc v Readers Digest Services, [1980] 1 NSWLR344;

Markt intern Verlag GmbH and Klaus Beermann v. Germany, 1989. <http://hudoc.echr.coe.int>;

Autronic AG v Switzerland, 1990, §47. <http://hudoc.echr.coe.int>;

Castelles v. Spain, 11798/85, 1992. <http://hudoc.echr.coe.int>;

Fayed v. the United Kingdom, 1994. <http://hudoc.echr.coe.int>;

Iatridis v. Greece [GC], no. 31107/96, ECHR 1999-II. <http://hudoc.echr.coe.int>;

Anheuser-Busch Inc. v. Portugal [GC], no. 73049/01, §§66-72, ECHR 2007-I/.Delfi AS v. Estonia, №64569/09; 16/06/2015. <http://hudoc.echr.coe.int>;

Kharlamov v. Russia, №27447/07; 08/10/2015. <http://hudoc.echr.coe.int>;

Magyar Tartalomszolgáltatók Egyesülete and Index.hu Zrt v. Hungary, №22947/13. <http://hudoc.echr.coe.int>;

Steel and Morris v. the United Kingdom no. 68416/01, 17, &32. <http://hudoc.echr.coe.int>;

Dacia S.R.L. v. Moldova, <http://hudoc.echr.coe.int>;

Meltex Ltd and Mesrop Movsesyan v. Armenia (№32283/04), 17.06.2008. <http://hudoc.echr.coe.int>;

Buzescu v. Romania, <https://hudoc.echr.coe.int>;

Sunday Times v. The United Kingdom, ԵՏԻՕՅԵՐՈ 6538/74. <http://hudoc.echr.coe.int>;

Case of Centro Europa 7 S.R.L And Di Stefano V. Itali, 07.06.2012, №38433/09. <http://hudoc.echr.coe.int>;

Case of Comingersoll S.A. v. Portugal (application no. 35382/97), 06.04.2000. <http://hudoc.echr.coe.int>;

Gionfriddo v. Major League Baseball (2001) 94 Cal.App.4th 400, (2001).
77.General Motors Corporation v. Yplon SA, C-375/97, European Court of
Justice, 14 Sept. 1999 (1).<http://hudoc.echr.coe.int>;

Hanover Star Milling Co. V. Metcalf, 240 U.S. 403 (1916);

IRC V Muller & Co Margarine Limited, (1901) AC 217;

Wedderburn v Wedderburn (no 4) (1856) Beav. 84;

Robertson v Quiddington (1860) 28, Beav.529; Star Industrial Company Ltd v
Yap Kwee Kor (1976) FSR 256 (P.C.);

ინტერნეტ მასალა

<http://www.rway.ru/nwsinf.asp?nws=12887>

<http://competition.ge/ge/page4.php?b=609> [14.03.19]

<http://stgkrf.ru/> [17.12.2017].

www.matsne.gov.ge

www.parliament.gov.ge

www.supremecourt.ge.

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi5> [9.02.2018]

www.saras.gov.ge [2.02.2018]

<http://xn----7sbbaj7auwnffhk.xn--p1ai/article/24842> [06.04.2019.]

<https://www.mjil.ru/jour/article/view/190/130>

<http://www.ziz.by/publications/23-p6> [01.02.2018]

<https://moluch.ru/archive/89/17830> [19.12.2017]

<http://lexandbusiness.ru/view-article.php?id=493> [20.03.2015]

www.<http://hudoc.echr.coe.int>.

http://www.wipo.int/clea/en/text_html.jsp?lang=EN&id=1418

http://eurlex.europa.eu/SuiteJurisprudence.do?T1=V111&T3=V1&RechType=RECH_jurisprudence&Submit=Search

<https://www.wipo.int/treaties/en/conventio/trtdocswo029.html>

https://www.wipo.int/treaties/en/ip/paris/trtdocs-wo_020.html

<http://www.jstor.org/discover/10.2307/40994518?uid=3738048&uid=2129&uid=2&uid=70&uid=4&sid=21103284645633>

<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22docname%22:%5B%22Iatridis%20v.%20Greece%22%5D,%22documentcollectionid%22:%5B%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-58227%22%5D%7D> [05.02.2018]

<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22docname%22:%5B%22markt%20intern%20Verlag%20GmbH%20and%20Klaus%20Beermann%20v.%20Germany%22%5D,%22documentcollectionid%22:%5B%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-57648%22%5D%7D> [07.02.2018]

<http://hudoc.echr.coe.int> [07.02.2018]

<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-57890%22%5D%7D>
[07.02.2018]

<http://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22dmdocnumber%22:%5B%22812726%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-78981%22%5D%7D> [07.02.2018]

<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22documentcollectionid%22:%5B%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22%5D%7D> [07.02.2018]

[https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22documentcollectionid2%22:\[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22documentcollectionid2%22:[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22]}) [07.02.2018]

[https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22documentcollectionid2%22:\[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22documentcollectionid2%22:[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22]}) [07.02.2018]

www.disserCat.com

<http://www.dslib.net/>